ავთანდილ ოქროცვარიძე
დალი ოქროცვარიძე
მაგდა ვადაჭკორია

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები

დამხმარე სახელმძღვანელო

თბილისი - 2009

AVTANDIL OKROTSVARIDZE
LALI OKROTSVARIDZE
MAGDA VADACHKORIA

FOREIGN ECONOMIK RELATIONS

THE AUXILIRATY TEXTBOOK

TBILSI – 2009

UDK(უაკ)339.923
ო-87

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი კონცეფციები და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების დამყარების ძირითადი პრიციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე მსოფლიო ქვეყნების განვითარებას. განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა საგარეო ვაჭრობა, მომსახურეობის ბაზარი, სამუშაო ძალის და კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია, წარმოების ინტერნაციონალური ფასი, ტექნოლოგიების საერთაშორისო მოთხოვნები, საინვესტიციო თანამშრომლობა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან საეთაშორისო ურთიერთობა. ნაშრომში წარმოდგენილია პრაკტიკული ამოცანები და ტესტები, რაც გაუადვილებს მაგისტრებს მუშაობას.

დამხმარე სახელმძღვანელო მოწონებულია და რეკომენდირებულია საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის, ორგანიზაციის და მართვის დეპარტამენტის (სხდომის ოქმი № 9.4.06.2009), ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს (სხდომის ოქმი №11.12.06.2009) და ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ.

რეცენზენტები: ასოც. პროფ. თ. ლაჭყეპიანი
ასოც. პროფ. მ. ბახია

რედაქტორი: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სრული პროფესორი ო. ქეშელაშვილი

ISBN 978-9941-0-1642-4

გამომცემელი: ი/მ "მერაბ აბელაშვილი". ეროსი მანჯგალაძის ქ.№ 5, თბილისი, საქართველო.

შესავალი

თავი I. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, არსი და მნიშვნელობა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში

1.1. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების როლი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში ----------
1.2. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების არსი და მნიშვნელობა ----------

თავი II. წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია და კოოპერირება

თავი III. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირები და საგარეო ვაჭრობის ბალანსი

3.1. მსოფლიო ვაჭრობის დინამიკა ----------
3.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი ----------
3.3. ძალთა თანაფარდობის ცვლილება მსოფლიო ბაზარზე ------
3.4. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურა ----------
3.5. განვითარებული ქვეყნების ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა ——————————————————
3.6. ვაჭრობის გეოგრაფია ----------

თავი IV. სათბობ- სანედლეულო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში

4.1. ნედლეულითა და სათბობით ვაჭრობის ზოგადი ტენდენციები
4.2. სათბობ-ენერგეტიკული საქონლის ძირითადი სახეობებით ვაჭრობა ----------
4.3. სურსათით ვაჭრობა ----------
4.4. სანედლეულო სათბობით და სხვა საქონლებით ვაჭრობა ------

თავი V. მომსახურეობის მსოფლიო ბაზრის ფორმირების თავისებურებანი და პირობები

5.1. თანამედროვე მსოფლიო ბაზრის თავისებურებანი ----------
5.2. მომსახურების მსოფლიო ბაზრის ფორმირების პირობები ---
5.3. მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის სპეციფიკური

მახასიათებლები ----------
5.4. მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა, სტრუქტურა და გეოგრაფია ----------
5.5. ტურიზმი, როგორც მომსახურეობის სფეროს ერთ-ერთი დარგი——————————————————————

თავი VI. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია, თანამედროვე ტენდენციები

6.1. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია ----------
6.2.შრომითი მიგრაციის ძირითადი მსოფლიო ცენტრები -----
6.3 შრომითი მიგრაციის სახელმწიფო რეგულირება ----------
6.4. ემიგრაციის გავლენა სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკაზე ----------

თავი VII. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია, როგორც საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმა

7.1. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია ----------
7.2. სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარი ----------
7.3. საერთაშორისო კრედიტი და მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში ----------
7.4. კაპიტალების მსოფლიო ბაზარზე საკრედიტო ოპერაციათა ძირითადი სახეები ----------

თავი VIII. წარმოების ინტერნაციონალური ფასი და მისი ფორმირების თავისებურებანი

8.1. წარმოების ინტერნაციონალური ფასი ----------
8.2. მსოფლიო ფასებზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენა ---
8.3. ფასწარმოქმნაში სამომხმარებლო ღირებულების როლი -----
8.4. მსოფლიო ფასის ინტერნაციონალური ღირებულებიდან გადახრის ფაქტორები----
8.5. არაექვივალენტური გაცვლის არსის შესახებ ----------
8.6. სამეცნიერო - ტექნიკური რევოლუციის გავლენა მსოფლიო ფასებზე ----------
8.7. საქონელზე ფასების მრავალდონიანობის პირობებში მსოფლიო ფასის განსაზღვრის პრობლემა ----------
8.8. გაცხადებული (გამოქვეყნებადი) ფასების ძირითადი სახეები
8.9. ფასების დინამიკა ძირითად საქონელზე ----------

თავი IX. საგარეო ეკონომიკური კავშირების სატრანსპორტო მომსახურეობა

9.1. საგარეო გადაზიდვები ----------
9.2. საქონლის მოწოდების საბაზისო პირობები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში ----------

თავი X. ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი

10.1. ტექნოლოგია, როგორც საქონელი ----------
10.2. ტექნოლოგიის გადაცემის ფორმები ----------
10.3. ტექნოლოგიათა გადაცემის პრაქტიკა ----------
10.5. ტექნოლოგიის ღირებულება და ფასი ----------
10.6. საერთაშორისო ტექნოლოგიურ გაცვლებში ინჟინერინგი და ტექნიკური დახმარება----------

თავი XI. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან——————

თავი XII. საგარეო ეკონომიკური ფაქტორების შეფასების მაჩვენებლები——————————————————————

თავი XIII. საგარეო ეკონომიკური კავშირების ეფექტიანობის განსაზღვრა——————————————————————

ამოცანები პრაქტიკული მეცადინეობისათვის————

ტესტები საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის "საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები" ----------
პასუხები ——————————————
ტერმინოლოგიური ლექსიკონი ——————————————
გამოყენებული ლიტერატურა ——————————————

შესავალი

ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან მიერთება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოვება და სამეურნეო კავშირების განმტკიცება, კანონზომიერ მოვლენად იქცა. ამ პროცესების გაღრმავებას და გაფართოვებას ხელი შეუწყო მსოფლიოში უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა ძვრებმა, ეროვნული სამეურნეო ურთიერთობების ლიბერალიზაციამ. მსოფლიოს ქვეყნები საკუთარი ეროვნული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისას უფრო მეტად ითვალისწინებენ საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიურად ჩართვის აუცილებლობას, ამდენად, საქართველო, რომელმაც სულ ახლო წარსულში მოიპოვა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ბუნებრივია ამ გლობალური მოვლენებიდან გამონაკლისი და იზოლირებული არ უნდა დარჩეს, მაგრამ შიგა- ეკონომიკური პროცესების მოუწესრიგებლობა და ახალ სამეურნეო სისტემაზე გადასვლისას არსებულმა სიძნელეებმა რამდენადმე შეაფერხა მისი მსოფლიო მეურნეობასთან მიერთებისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაფართოების პროცესი. მთავარი მაინც ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი შეუქცევადია; მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს სამეურნეო რეფორმების რეალიზაცია. ამ ფონზე აქტუალურია ქვეყნებისა და სამეურნეო სისტემების მონაწილეობის გაფართოების პრობლემა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ეს საქმე ჩვენთვის ახალია, რადგან საუკუნის სამი მეოთხედის მანძილზე, ჩვენი ეკონომიკა დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობებიდან ფაქტიურად ჩამოცილებული აღმოჩნდა. ახალი საქმის თავიდან დაწყება კი ყოველთვის სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ ჩვენ გვჭირდება გამოცდილება ამ საქმეში, შესაფერისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონე და ტექნოლოგია იმისათვის, რომ განვავითაროთ ექსპორტი - საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითადი ფაქტორი, ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის და სიმდიდრის ერთ-ერთი მთავარი წყარო. ქვეყანა ჯერ კიდევ იძულებულია ორიენტაცია იქონიოს მსოფლიოს სხვა ქვეყნების დახმარებაზე. საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მიერ შეღავათიან კრედიტებზე, საგარეო ურთიერთობების განვითარებისათვის ჩვენ სხვა მხრივაც მოუმზადებელი აღმოვჩნდით – არ გაგვაჩნია: გამოცდილება ამ ურთიერთობების დასამყარებლად საჭირო შესაბამისი ინსტიტუტების ორგანიზაციებისათვის კადრები, რომლებიც თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობენ.

თავი I. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების არსი და მნიშვნელობა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში

1.1. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების როლი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაბთა ეფექტურობა შესაძლოა განისაზღვროს, საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქციაზე გაწეული შრომის დანახარჯების დონის შედარებით, იმ პროდუქტის წარმოებაზე გაწეულ ანალოგიურ დანახარჯებთან, რომელიც შესაძლოა ჩანაცვლდეს იმპორტით. ცხადია, თუ დანახარჯები, რომელიც აუცილებელია საზღვარგრეთ გარკვეული რაოდენობის საქონლის შესაძენად, ნაკლებია ვიდრე იმავე საქონლის ქვეყანაში წარმოებისათვის საჭირო ხარჯები, მიიღწევა გარკვეული ეკონომიკური ეფექტი.

მაგალითად, არის შესაძლებლობა საზღვარგრეთ შეძენილ იქნას ნედლეულისა და სურსათის არა მხოლოდ ის სახეობები, რომლებიც ბუნებრივ გარემოებათა გამო ვერ იქნება წარმოებული მოცემულ ქვეყანაში, არამედ ისეთიც რომლებსაც ქვეყანა მართალია აწარმოებს, მაგრამ მსოფლიო ბაზარზე ის უფრო იაფია. ამგვარი საქონლის შესყიდვა ქვეყნებში, სადაც მათი წარმოებისათვის უკეთესი პირობებია, შესაძლებელს ხდის უარი ითქვას სერიოზული დაბანდებების განხორციელებაზე ისეთი საბადოების დასამუშავებლად, რომლებშიც სასარგებლო წიაღისეული ნაკლებეფექტურადაა განლაგებული, ან უარი ვთქვათ იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, რომლისათვისაც არასაკმარისად ხელსაყრელი კლიმატური პირობებია.

ა.სმიტი, ცდილობდა რა დაესაბუთებინა, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელსაყრელია ყველა ქვეყნისათვის, აღნიშნავდა: **“ თუ რომელიმე სხვა ქვეყანას შეუძლია ჩვენი მომარაგება რაღაც საქონლით უფრო იაფ ფასებში, ვიდრე თავად შევძლებდით მის წარმოებას, ბევრად უმჯობესია შევისყიდოთ იგი მისგან ჩვენი საკუთარი სამრეწველო შრომის რაღაც ნაწილით, რომელიც განხორციელებულია იმ სფეროში, რომელშიც ჩვენ გარკვეულ უპირატესობას ვფლობთ”.**

ამ საკითხში კიდევ უფრო შორს წავიდა დ. რიკარდო. მისი თეორიის არსი (ისევე როგორც სმიტის) მდგომარეობს იმაში რომ ყველა ქვეყანა ნახავს სარგებელს საერთაშორისო ვაჭრობიდან, გამოიყენებს რა განსხვავებას წარმოების დანახარჯებში. მაგრამ, სმიტისგან განსხვავებით, რომელიც ოპერირებს აბსოლუტური კატეგორიებით, რიკარდოს შემოაქვს დანახარჯებში ფარდობითი მცნების უპირატესობა.

მას მოჰყავს ასეთი მაგალითი. პორტუგალიაში ღვინის გარკვეული რაოდენობის წარმოება მოითხოვს 80 ადამიანის შრომას წლის განმავლობაში, ხოლო მაუდის წარმოება დროის იმავე პერიოდში – 90 ადამიანის შრომას. ინგლისში ღვინის იმავე რაოდენობის საწარმოებლად საჭიროა 120 ადამიანის შრომა, ხოლო მაუდის წარმოებას დასჭირდება 100 ადამიანის შრომა.

პორტუგალიისათვის მომგებიანი იქნება გაიტანოს ღვინო ინგლისში და გადაცვალოს მაუდში, თუმცა შეეძლო მაუდი თავადაც ეწარმოებინა შრომის უფრო ნაკლები დანახარჯით ვიდრე ამას ახერხებს ინგლისი. საქმე იმაშია რომ გადაანაცვლებს რა კაპიტალსა და შრომას მაუდის წარმოების ბიზნესიდან მეღვინეობაში, ანუ დარგში, რომელშიც ინგლისთან მიმართებაში მეტ ფარდობით უპირატესობას ფლობს, პორტუგალია ღვინის მაუდში გადაცვლის გზით, შესძლებს მიიღოს მაუდი და იგი მას რეალურად დაუჯდება მხოლოდ 80 ადამიანის შრომა, ანუ მიაღწევს 10 ადამიანის შრომის ეკონომიას. გაცვლა ინგლისისათვისაც მომგებიანი იქნება, რადგანაც მას უკვე შეუძლია მოახდინოს რა მთელი რესურსის კონცენტრირება მაუდის წარმოებაზე, მასზე გადაცვლით მიიღოს ღვინის გარკვეული რაოდენობა რომელშიც ის დახარჯავს არა 120, არამედ მხოლოდ 100 ადამიანის შრომას. რიკარდოს თეორია დღეს ცნობილია წარმოების ფარდობითი დანახარჯების თეორიის სახით)

ფარდობითი დანახარჯების თეორია ამოდის სახვადასხვა ქვეყნებში გარკვეული საქონლის წარმოების დანახარჯებში ფაქტიურად არსებული განსხვავებებიდან. მაგრამ, გვერდს უვლის ამ განსხვავებათა წარმოქმნის მიზეზებს. ბუნებრივი პირობები ერთ-ერთი მიზეზთაგანია ამ განსხვავებათა არსებობისა (რიკარდო მხოლოდ ამ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას), ამსათან მათ მეტნაკლები გავლენა აქვთ წარმოების მხოლად ზოგიერთ სფეროზე – მაგალითად სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა. მაგრამ მთავარი ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს დანახარჯთა დონეზე არის წარმოების ტექნიკური დონე. აგრეთვე

მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობის სტრუქტურა. ამიტომაც, მსოფლიო ბაზარზე გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის გასაღების კუთხით უპირატესობას უდაოდ ფლობენ ქვეყნები ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონით.

საწარმოო ძალების ზრდის თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სფეროებშია კონცენტრირებული მოცემული ქვეყნის წარმოება. თუ ლაპარაკია სოფლის მეურნეობაზე, ამ დარგის შესაძლებლობა წარმოების ტექნიკური უზრუნველყოფის ზრდის პირობებში, მოიზიდოს დამატებითი სამუშაო ძალა, უკიდურესად შეზღუდულია. ფარდობითი დანახარჯების თეორიის მომხრეები, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, დიდი ხნის განმავლობაში ურჩევდნენ უპირატესად სოფლის მეურნეობაზე სპეციალიზირებას, რასაც ფაქტიურად უნდა გამოეწვია (და ასეც არის) ფარული აგრარული ჭარბმოსახლეობის ზრდა ამ ქვეყნებში. თანამედროვე მრეწველობის დარგების არარსებობა დღემდე უშლის ხელს განვითარებად ქვეყნებს რაციონალურად გამოიყენოს შრომისუნარიანი მოსახლეობა.

ცნობილია, რომ დასავლეთში უარი ითქვა შრომითი ღირებულების თეორიაზე, რომელსაც ეყრდნობოდა რიკარდო, და იყენებენ წარმოების ფაქტორთა თეორიას (ბეკშერ-ოლინის თეორემა). მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ წარმოებული პროდუქციის ღირებულება ყალიბდება შემოსავლებიდან წარმოების სამ ფაქტორზე – ანაზღაურება შრომისათვის, პროცენტი კაპიტალზე, სარენტო შემოსავლები მიწაზე. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში, ამ თეორიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ქვეყნები არათანაბრად არიან ამ ფაქტორებით უზრუნველყოფილნი. კონკრეტული საქონლის წარმოებისას, ამგვარი განსხვავებანი განსაზღვრავენ ფასებს ამ ფაქტორებზე. თუ ქვეყანა ჭარბად არის უზრუნველყოფილი წარმოების ერთ-ერთი ფაქტორით, მაგალითად შრომით, და შესაბამისად მისი ფასი შედარებით დაბალია, მაშინ ამ ქვეყანაში საქონელი, რომლის საწარმოებლად უფრო მეტად გამოიყენება ფაქტორი, რომელიც ჭარბად მოიპოვება, მოცემულ შემთხვევაში შრომატევადი საქონელი, დაჯდება შედარებით იაფი. ქვეყნებში სადაც იაფია კაპიტალი, ნაკლები დაჯდება კაპიტალტევადი საქონლები და ა.შ.

ესე იგი, ქვეყნები ჭარბი სამუშაო ძალით დაიწყებენ შრომატევადი საქონლების ექსპორტს, მაშინ როდესაც, ქვეყნებისათვის, რომლებიც განკარგავენ თავისუფალ კაპიტალს, მაგრამ არ ფლობენ ჭარბ სამუშაო ძალას, მომგებიანია - დასპეციალდნენ კაპიტალტევადი საქონლის წარმოებასა და უფრო გატანაზე, და მოახდინონ შრომატევადი პროდუქციის იმპორტი.

ამერიკელი ეკონომისტი ელსვორტი მიუთითებს: **"ყველა ქვეყანა ავლენს ტენდენციას სპეციალიზირდეს იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც მოითხოვს აქ ჭარბად არსებულ და ამიტომაც იაფ საწარმოო ფაქტორებს. იგი ამგვარი საქონლის ექსპორტირებას ახდენს, ხოლო იმპორტი უზრუნველყოფს იმ საქონლის მიღებას რომლის წარმოებასაც უფრო მიესადაგება სხვა ქვეყნების ხელთ არსებული ფაქტორები."**

განვითარებადი ქვეყნების მისწრაფება შექმნას ეროვნული ეკონომიკა, მათი პერეორიენტაცია ინდუსტრიალიზაციაზე, მოითხოვს გარკვეული კორექტივების შეტანას მოცემულ პოსტულატებში. თეორეტიკოსები დღეს იძულებულნი არიან აღიარონ ყოფილი კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობა. დღეს აქტიურად ლაპარაკობენ ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგზე, შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებაზე. მაგრამ მაინც, გამოდიან რა წარმოების ფაქტორთა თეორიიდან, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში ისინი რჩებიან ამ ქვეყნებში ძირითადად მრეწველობის იმ დარგების უპირატესი განვითარების მომხრეებად, რომლებიც დაკავშირებულია იაფი მუშახელის გამოყენებასთან და ორიენტირებულია მსოფლიო ბაზარზე. მათი რეკომენდაციები დიდადაა დაკავშირებული ტრანსნაციონალურ კორპორაციათა დაინტერესებასთან - განვითარებად ქვეყნებში შექმნან გარკვეული ტიპის წარმოებები.

რაც შეეხება უახლეს წარმოებებს, რომლებიც ასახავენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპს, უნდა დარჩეს კონცენტრირებული სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ფლობენ უპირატესობას კაპიტალით უზრუნველყოფის კუთხით, და რაც მთავარია ეს ქვეყნები ინარჩუნებენ აშკარა ფარდობით უპირატესობას მეცნიერთა და ინჟინერთა კვალიფიკაციაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ფარდობით დანახარჯთა თეორია, მისი თანამედროვე მოდიფიკაციების ჩათვლით, რომელიც დაფუძნებულია ფაქტორთა თეორიაზე, ვერ იძლევა პასუხს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ყველა ასპექტზე.

კერძოდ, ის არ ხსნის შრომის დანაწილებისა და ვაჭრობის განვითარების მიზეზებს ისეთ ქვეყნებს შორის, რომლებსაც

დაახლოებით თანაბარი წარმოების ხარჯები ან წარმოების ფაქტორებზე მსგავსი ფასები გააჩნიათ. ასეთებს მიეკუთვნება სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნები. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სწორედ ამ ქვეყნებს შორის იზრდება ვაჭრობა და განსაკუთრებით შიგადარგობრივი ვაჭრობა (ლეონტიევის პარადოქსი). მიაქციეს რა ყურადღება ამ ფენომენს, მეცნიერები წავიდნენ განსხვავებული მიმართულებით.

რიგი მეცნიერები გამოვიდნენ პროდუქციის დივერსიფიკაციის კონცეფციით, რომლის თანახმადაც, რაც მაღალია პროდუქტის დივერსიფიკაციის ხარისხი დარგში, მით მაღალია შიგადარგორივი ვაჭრობის ინტენსიურობა. მაგრამ სწორად დაინახეს რა თავად ტენდენცია, ამ კონცეფციის ავტორები არ აძლევენ სერიოზულ ახსნას.

სხვა მეცნიერები, რჩებიან რა ფარდობითი უპირატესობის თეორიის ჩარჩოებში, შეეცადნენ მის გაღრმავებას შიდადრგობრივი ფარდობითი უპირატესობების პრობლემატიკის წინწამოწევით. ინგლისელი მეცნიერი პ.ტარაკანი მიიჩნევს, რომ დარგეში, რომლებსაც ახასიათებთ დიდი მოთხოვნა საწარმოო ფაქტორებზე (ე.ი კაპიტალტევად ან შრომატევად დარგებში) იქმნება წარმოების ხარჯების დიდი დივერსიფიკაცია, რაც ხელს შეუწყობს დარგთაშორის ვაჭრობას. დარგები რომლებიც ხასიათდება წარმოების ფაქტორთა საშუალო თანაფარდობით, განსხვავებანი დანახარჯებში ნაკლებია, ხოლო შიდა დარგობრივი ვაჭრობის წილი კი მაღალი. ამასთან მნიშვნელოვანია პროდუქტის დივერსიფიკაციის ის ფორმა რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მომხმარებლის მხრიდან გამოვლენილ მიდრეკილებებს შორის არსებულ განსხვავებებთან. უნდა აღინიშნოს რომ, როდესაც ლაპარაკობენ შიდადარგობრივ ვაჭრობაზე, მეცნიერები განიხილავენ სხვადასხვა ხარისხის, ნომენკლატურისა და ასორტიმენტის საბოლოო პროდუქტის გაცვლას. მაგრამ მათი თვალთახედვის გარეთ რჩება გაცვლა, რომელიც უკავშირდება ტექნოლოგიურ სპეციალიზაციას.

კიდევ ერთ თანამედროვე კონცეფციას, რომელიც ავსებს ფარდობითი უპირატესობის თეორიას, წარმოადგენს ე.წ კომპეტენციის თეორია, რომელშიც ხაზგასმულია კვალიფიციური შრომის, როგორც საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ფაქტორის როლი. ამ თეორიის თანახმად, როგორც ამტკიცებს ამერიკელი მეცნიერი მაგი, ქვეყნები მოახდენენ იმ პროდუქციის ექსპორტირებას, რომლებიც თავის თავში მოიცავენ უფრო კავალიფიცირებულ შრომას.

საერთაშორისო ვაჭრობის ახალ თეორიათა შორის, რომლებიც განეკუთვნებიან ნეოტექნოლოგიურ თეორიებს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიას. ამერიკელი მეცნიერი პ. ვერნონი ქვეყნებს შორის დარგობრივი განსხვავებების ანალიზისას ითვალისწინებს "ნიოკრის" სფეროში განხორციელებულ დანახარჯთა დონეს. მისი აზრით, დარგი რომელიც ხასიათდება "ნიოკრ"-ზე ფარდობითად მაღალი დანახარჯებით, აწარმოებს პროდუქტს რომელიც იმყოფება სასიცოცხლო ციკლის ადრეულ სტადიაზე. წარმოების ტექნოლოგია დამალულია შუამავლებისა და კონკურენტებისაგან და დარგის პროდუქტი მიეწოდება მსოფლიო ბაზარს საგარეო ვაჭრობის ჩვეულებრივი არხებით. პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შემდგომ სტადიებზე, როდესაც ხორციელდება გადასვლა მსხვილმასშტაბიან მასიურ წარმოებაზე, ადგილობრივი სიმძლავრეები უკვე არასაკმარისია. საქონლის გატანა შეივსება კაპიტალის გატანით, ხორციელდება საზღვარგარეთ წარმოების ორგანიზაცია. ხოლო როდესაც საქმე გვაქვს კარგად ათვისებულ ტექნოლოგიებთან, მოწინავე ტექნოლოგიის გაჟონვის შიში გადადის მეორე პლანზე. მთავარი პრიორიტეტია მოგების ზრდა წარმოებისა და გაყიდვების მაქსიმალურად გაფართოების ხარჯზე. ფაქტიურად, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია ავსებს ფარდობითი დანახარჯების თეორიას, შემოაქვს რა ახალი საწარმოო ფაქტორი – დანახარჯები "ნიოკრ"-ზე.

დღეს მეცნიერები სულ უფრო იხრებიან იქითკენ რომ, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიზეზები არასწორია დაყვანილ იქნეს ერთ რომელიმე ფაქტორზე, არამედ აუცილებელია მოძრაობა საერთაშორისო ვაჭრობის მრავალფაქტორიანი მოდელებისაკენ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბუნებრივი ფაქტორები, რომლებიც დომინირებს რიკარდოს თეორიაში, აგრეთვე წარმოების ძირითადი ფაქტორები (ხეკშერისა და ოლინის თეორია) და ის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის კვალიფიკაციასა და დანახარჯებთან "ნიოკრ-ზე" (პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია).

დღეისათვის მრეწველობის დარგებში წარმოების ოპტიმალური მაშტაბების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების აუცილებლობა, წარმოადგენს შრომის დანაწილების გაღრმავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს. ცალკეულ ქვეყნებში სამრეწველო კომპლექსების კონცენტრაცია, რომლებიც იქმნება ცალკეულ დარგებში,

შესაძლებელს ხდის დაბანდდეს მათში დიდი მოცულობის რესურსები და შეიქმნას ოპტიმალური სიდიდის საწარმოები, რომლებიც ორიენტირებულია არა მხოლოდ შიდა, არამედ საგარეო ბაზრებზეც. ეს წარმოების ეფექტურობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა.

საერთაშორისო სპეციალიზაცია და კოოპერირება შესაძლებელს ხდის მოხდეს სამეცნიერო ძალების, კვალიფიციური კადრების, მატერიალური რესურსების კონცენტრირება წარმოების იმ დარგებში, რომელშიც მოცემული ქვეყანა სპეციალიზირდება მსოფლიო მასშტაბით. ამგვარი კონცენტრირება წარმოადგენს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ზრდის აუცილებელ პირობას.

თანამედროვე გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაცია იძლევა საკმარის წინაპირობებს იმისათვის რომ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, გამოყენებულ იქნას მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილება, როგორც გამოგონებებზე, ტექნოლოგიურ პროცესებზე, ახალ პროდუქციაზე ლიცენზიებისა და "ნოუ-ჰაუს" პირდაპირი შეძენის, ასევე საზღვარგარეთ შეძენილი უახლესი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების გამოყენების გზით.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს არა მხოლოდ ექსპორტ-იმპორტის დანახარჯები, არამედ შეძენილი პროდუქციის სამომხმარებლო თვისებები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით პრაქტიკულად მოწყვეტილი იყო სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნებისაგან. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოებრივი დანახარჯების ეკონომია წარმოქმნილი გააზრებული საიმპორტო პოლიტიკის გატარების შედეგად, არამედ ის ეფექტიც, რომელიც მიიღწევა იმპორტირებული ტექნიკის ექსპლუატაციის პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ ის უნდა იყოს უფრო მწარმოებლური და ეკონომიური. საზღვარგარეთ შეძენილი ტექნიკა გავლენას ახდენს არა მხოლოდ იმ დარგების საერთო ტექნიკურ მდგომარეობაზე, რომელშიც ის გამოიყენება, არამედ სხვაგანაც კი, ანუ გარკვეული სადემონსტრაციო ეფექტიც ახლავს.

პროდუქციის საექსპორტოდ წარმოება, რაც თავისთავად გულისხმობს გარე ბაზრებისა და საზღვარგარეთელი მწარმოებლების შესაბამისი პროდუქციის დეტალურ შესწავლას, როგორც წესი ხელს უწყობს არა მხოლოდ საექსპორტო პროდუქციის, არამედ თავად მისი წარმოების დონის ამაღლებას. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფაქტორს წარმოადგენს საზღვარგარეთ ახალი ტექნოლოგიების ლიცენზიების შეძენა, რაც საშუალებას იძლევა დროის ფაქტორის გათვალისწინებით რესურსების მნიშვნელოვანი ეკონამია მიიღწეს. დღეისათვის ლიცენზიების იმპორტს აქტიურად მიმართავს ყველა განვითარებული ქვეყანა. მაგალითად იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთის დანახარჯები ლიცენზიათა შეძენაზე 2-3 ჯერ აღემატება მათი გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს. ეს გზა აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენს ქვეყანაში.

1.2. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების არსი და მნიშვნელობა

თანამედროვე მსოფლიო XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისის მიჯნაზე იმყოფება. კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ეს პერიოდი ბევრი თავისებურებებით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის უდიდესი პროგრესი განხორციელდა, კაცობრიობის წინაშე მდგომი ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია. ეს ეხება გლობალური პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს მსოფლიო გლობალური პრობლემების ცენტრში კვლავ ეკონომიკა დგას. ძირითადად იგი განაპირობებს დანარჩენი ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობებს.

ჩვენს პლანეტაზე გეოგრაფიულ ზონებში, კონტინენტებსა და რეგიონებში განლაგებულია 209 დამოუკიდებელი სახელმწიფო, ყოველ მათგანს საკუთარი მართვის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ეკონომიკა აქვს, მათი განვითარების დონე ფრიად განსხვავებულია, რასაც მრავალი ფაქტორის მოქმედება განაპირობებს.

ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონის მიხედვით თანამედროვე პირობებში ეს სახელმწიფოები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: მაღალი, საშუალო და შედარებით დაბალი განვითარების (განვითარებადი) დონის ქვეყნებად. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ეს ქვეყნები სხვადასხვა როლს ასრულებენ. პირველი ჯგუფი, ე. ი. მაღალი განვითარების ქვეყნები, მაღალი პოზიციის მიხედვით წამყვანია და ლიდერის ფუნქციას ასრულებს.

დანარჩენი საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მეტ-ნაკლები ზომით მონაწილეობენ, რასაც ძირითადად მათი ეკონომიკური პოტენციალი განაპირობებს. სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, ქვეყნის განვითარების ტემპებსა და დონეს ძირითადად მაინც მათი ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა და საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს. ამიტომ ობიექტურ აუცილებლობად ჩამოყალიბდა მათ შორის კავშირების განვითარება, აღნიშნულ ობიექტურ მიზეზებთან ერთად პოლიტიკურ-ადმინისტრა-ციული შეზღუდვებიც უშლიდა ხელს, XX საუკუნის დასასრული-სათვის ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად შერბილდა მსოფლიო კომუნისტური ბლოკის და ძირითადად საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ახლა ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომლიც გარკვეული ზომით საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში არ მონაწილეობდეს.

თანამედროვე პირობებში საბაზრო ურთიერთობებმა სრულიად ახალი, ჩვენთვის თითქმის უცნობი მოთხოვნები წარმოშვა. ახალ მოთხოვნებს კი ახლებური, დროის შესაბამისი ხედვა და მართვა სჭირდება. თანდათანობით იხვეწება სამართლებრივი ბაზა; ტარდება ეკონომიკური რეფორმები; მუშავდება მიზნობრივი პროგრამები, მოდელები, კონცეფციები; ქვეყანა ერთიანდება საერთაშორისო ორგანიზაციებში; ჩნდება იმედის მომცემი მაჩვენებლები, ტენდენციები და სხვა.

მართალია, უჭირს მშრომელ ხალხს, მის ინტელიგენციას და თვით სახელმწიფოსაც. მაგრამ ყველაფერი გამოსწორებადია და დაიძლევა ადამიანთა ერთობლივი ძალისხმევით, ეროვნული თავისე-ბურებების და მოწინავე გამოცდილებების გათვალისწინებით.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მზა რეცეპტი არ არსებობს. ქვეყნის წინაშე დგას ძირითადი ამოცანა განვითარებული ქვეყნების მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა. მაღალგანვითარებული ქვეყნები, უპირველესად თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, მისთვის სასურველ მაკრო გარემოს ქმნიან. ამიტომ საჭიროა ეროვნული კადრების კვალიფიციური მომზადება, მოწინავე გამოცდილებების გააზრებითა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით განვითარების საკუთარი გზების შემუშავება. მომავალში ჩვენი ერის საკეთილდღეოდ არავითარი ეკონომიკური რეფორმა არ განხორციელდება, არავითარი წინსვლა არ იქნება, თუ არ მომზადდა ახლებური შეხედულებების გამტარებელი კადრები, განსაკუთრებით, უმაღლესი რგოლის მენეჯერები, ბიზნესმენები, ფინანსისტები, იურისტები, დიპლომატები და სხვა.

ამასთან, ვერც ერთი ქვეყანა დამოუკიდებლად, საკუთარ ეროვნულ საზღვრებში ჩაკეტილი ვერ განვითარდება. თუ გვინდა, რომ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყანა გავხდეთ, მაშინ თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში უნდა ჩავერთოთ. უნდა ჩავერთოთ არა ფორმალურად, არამედ ჩვენთვის მისაღები ეკონომიკური ურთიერთობებით. ყოველი ქვეყანა თავისი პოლიტიკური წყობით, ეკონომიკური განვითარების დონით, კულტურითა და სხვა მრავალი ფაქტორით, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური კავშირების გაღრმავება-გაფართოება უნდა იქცეს ცივილიზებული სამყაროს განვითრაების განმსაზღვრელ პირობად.

უკანასკნელ წლებში მსოფლიო მეურნეობაში კარდინალური ცვლილებები გასაოცარი სისწრაფით მიმდინარეობს. რის გამოც თვისებრივად ახალი ურთიერთობების პროცესი მიმდინარეობს, თანაცხოვრების სრულიად ახალი წესი მკვიდრდება. ამდენად, არც საქართველო არ უნდა დარჩეს გულგრილი, რადგან ყოველი დაკარგული დრო მძიმედ დააწვება ქვეყნის ეკონომიკას.

ამიტომ, გვსურს თუ არა, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა, უნდა შევიცნოთ და ვისწავლოთ თანამედროვე სამეწარმეო და კომერციული საქმიანობა.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების საგანი ცოდნის დამოუკიდებელი დარგია, რომლის შესწავლის ობიექტი – მსოფლიო მეურნეობაა, კონკრეტულად კი მსოფლიო ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებული სფეროა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფო და კომერციული, საფინანსო-საკრედიტო, საინფორმაციო, საინვესტიციო, მიგრაციულ და სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობებს.

მოცემული კურსის უმთავრესი ამოცანაა საერთაშორისო ეკონო-მიკური ურთიერთობების მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შესწავლა და ცხოვრებაში მათი გამოყენება.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები კვლევის პროცესში, სხვა მეცნიერული დისციპლინების მსგავსად, მრავალ მეთოდს გამოიყენებს. კერძოდ:

დიალექტიკური მეთოდი, რომელიც ეკონომიკურ მოვლენებს განიხილავს მუდმივ მოძრაობაში, ურთიერთკავშირში და განუწყვეტელ განვითარებაში, რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივი ცვლილებების განპირობებულობაში;

ინდუქცია და დედუქცია. პირველით ცალკეული ფაქტების შესწავლა-განზოგადების საფუძველზე ზოგადი დებულებები და დასკვნები ჩამოყალიბდება, ხოლო მეორეთი, ზოგადი დებულებებიდან გამომდინარე, კერძო დასკვნები მიიღება. ამ მეთოდს ჰიპოთეზის მეთოდსაც უწოდებენ.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. ა.სმიტის და დ.რიკარდოს შეხედულებები საექსპორტოდ განკუთვნილ პროდუქციაზე გაწეული შრომის დანახარჯების შესახებ.
2. ფარდობითი დანახარჯების თეორიის დახასიათება;
3. დ.რიკარდოს წარმოების ფაქტორთა თეორია (ჰეკშერ-ოლინის თეორემის დახასიათება);
4. პ.ტარაკანის შეხედულება წარმოების ხარჯების შესახებ;
5. დაახასიათეთ ამერიკელი მეცნიერის პ.ვერნონის შეხედულება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შესახებ;

თავი II. წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია და კოოპერირება

საერთაშორისო კოოპერირება და სპეციალიზაცია წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილების არა უბრალო ფორმებს, არამედ მის ელემენტებსაც.

წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია ვითარდება ორი მიმართულებით – საწარმოო და ტერიტორიალური. თავის მხრივ საწარმოო მიმართულება იყოფა დარგთაშორის, შიდადარგობრივი სპეციალიზაციისა და ცალკეული საწარმოების (კომპლექსების) სპეციალიზაციის მიმართულებებად. ტერიტორიალურ ასპექტში წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია გულისხმობს ცალკეული ქვეყნების, ქვეყნების ჯგუფების და რეგიონების სპეციალიზაციას ცალკეული პროდუქტების ან მათი ნაწილის მსოფლიო ბაზრისათვის წარმოებაზე სპეციალიზირებას.

საერთაშორისო სპეციალიზაციის ძირითად სახეობებს წარმოადგენს საგნობრივი (პროდუქტების წარმოება), სადეტალო (პროდუქტის ნაწილების, კომპონენტების წარმოება), ტექნოლოგიური, ანუ სტადიური სპეციალიზაცია (ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების, მაგალითად აწყობა, ღებვა, შედუღება და ა.შ განხორციელება)

საერთაშორისო სპეციალიზაცია დინამიური პროცესია და იცვლება დროსა და სივრცეში.

30-ან წლებში დომინირებდა წარმოების დარგთაშორისი სპეციალიზაცია და შესაბამისად ერთი კომპლექსური დარგის (მაგალითად გადამამუშავებელი მრეწველობის) პროდუქციის გაცვლა მეორე კომპლექსური დარგის (მაგალითად მომპოვებელი მრეწველობა, ან სოფლის მეურნეობა) პროდუქციაზე. 50-60-ან წლებში წამყვან პოზიციებს ინარჩუნებს საერთაშორისო სპეციალიზაცია, მაგრამ ახლა უკვე პირველადი დარგების დონეზე (საავტომობილო და ავიამშენებლობა, პლასმასების, რადიოაპარატურის და ა.შ. წარმოება). 70-80-ან წლებში წინა პლანზე იწევს და იმყარებს პოზიციებს შიდა დარგობრივი სპეციალიზაცია და შესაბამისი გაცვლა საქონელ ანალოგებით რომლებიც სამომხმარებლო მახასიათებლებით განსხვავდებიან (მაგალითად თვლიანი ტრაქტორები – მუხლუხაზე, ტყავის ფეხსაცმელი – რეზინისაზე და ა.შ).

საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის მნიშვნელობა ეროვნული მეურნეობის ეფექტიანობისა და ინტენსიფიცირების პროცესისათვის განუხრელად იზრდება. მაგალითად უკვე გასული საუკუნის 70-80-ან წლებში მანქანათმშენებლობის პროდუქციის მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპების თითქმის 40% უზრუნველყოფილი იქნა მაკომპლექტებელი ნაწარმის ვაჭრობით, მაშინ როდესაც 60-ანი წლების ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 4%-ს. ამჟამად კი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მანქანათმშენებლობის პროდუქციის საგრეო ვაჭრობაში, ცალკეული დეტალებითა და კვანძებით ვაჭრობის ხვედრითი წილი 2-ჯერ მეტად გაიზარდა და შეადგენს 40%.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი საერთაშორისო სპეციალიზაციის პრობლემატიკის მეთოდოლოგიაში უკავია "საერთაშორისოდ სპეციალიზირებული დარგისა" და "საერთაშორისოდ სპეციალიზირებული პროდუქციის " მცნების განმარტებას.

დარგობრივ ჭრილში, წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი ქვეყნის, რომელიც მაქსიმალურად აქტიურად მონაწილეობს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მატერიალური წარმოების დარგების ერთობლიობა. ხოლო დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის ხასიათს, წარმოადგენენ სწორედ საერთაშორისოდ სპეციალიზირებად დარგებს. მათი ნიშანდობლივი მახასიათებლებია: სხვა დარგებთან შედარებით, ექსპორტის მნიშვნელოვნად მაღალი წილი, როგორც წესი ამგვარი დარგების ხვედრითი წილი მოცემული ქვეყნის წარმოებაში უფრო მაღალია, ვიდრე მათი წილი მსოფლიო წარმოებაში, აგრეთვე შიდადარგობრივი სპეციალიზაციისა და კოოპერაციის განვითარების უფრო მაღალი დონე.

დარგის საერთაშორისო სპეციალიზაციის დონის განმსაზღვრელ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ფარდობითი საექსპორტო სპეციალიზაციის კოეფიციენტი და დარგის წარმოების საექსპორტო კვოტა.

ფარდობითი საერთაშორისო სპეციალიზაციის კოეფიციენტი განისაზღვრება ფორმულით:

$$K_0 = \frac{Э_0}{Э_м}$$

სადაც:

$Э_0$-საქონლის (დარგის სასაქონლო წარმოების ერთობლიობა) ხვედრითი წილი ქვეყნის ექსპორტში:

$Э_м$- საქონლის (ან საქონელ ანალოგების) ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში.

მოცემული კოეფიციენტის მეშვეობით, შესაძლებელია პირველი მიახლოებით განისაზღვროს ის სასაქონლო წრე და შესაბამისად დარგები, რომლებიც მოცემული ქვეყნისათვის წარმოადგენენ საერთაშორისოდ სპეციალიზირებულებს. განსაზღვრული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, ექსპორტის ნაციონალური სტრუქტურის სასარგებლოდ, რაც მაღალია (1-ზე მეტი) თანაფარდობა, მით უფრო მეტადაა გამოკვეთილი შესაბამისი დარგის საერთაშორისო სპეციალიზაცია. და პირიქით, რაც დაბალია ამგვარი თანაფარდობა (1-ზე ნაკლები), მით ნაკლებია საფუძველი ჩაითვალოს შესაბამისი საქონლები და დარგები საერთაშორისოდ სპეციალიზირებულად.

საექსპორტო ქვოტა მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად არის ეროვნული მრეწველობა, მისი ცალკეული დარგები ორიენტირებული საერთაშორისო ბაზრებზე, ამავდროულად მიუთითებს ამ უკანასკნელთა მოწყვეტის დონეს შიდა ნაციონალური ბაზრებისაგან. წარმოების საექსპორტო ქვოტა მიანიშნებს მრეწველობის საერთაშორისო კავშირების ინტენსიფიცირებაზე ერთი მიმართულებით – უცხოელი მომხმარებლებისაკენ და საერთაშორისოდ სპეციალიზირებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდისაკენ.

"საერთაშორისოდ სპეციალიზირებული დარგის" მცნებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული "საერთაშორისოდ სპეციალიზირებადი პროდუქციის" მცნება. ამ უკანასკნელს განეკუთვნება ის, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების, საწარმოო პროგრამების განაწილების ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების საგანს.

საერთაშორისოდ სპეციალიზირებულს მიეკუთვნება აგრეთვე საქონლები, რომლებიც წარმოებულია ერთ ან რამოდენიმე ქვეყანაში და ფარავს მათზე მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს. მათ რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე საერთაშორისო კომპანიების პროდუქცია, რომლებიც ახდენენ შრომის დანაწილებას საკუთარ საწარმოო ქვედანაყოფებს შორის და რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა ქვეყნებში.

საერთაშორისოდ სპეციალიზირებად დარგების საექსპორტო პროდუქციაში რაც უფრო მაღალი ხვედრითი წილი უკავია გადამამუშავებელი მრეწველობის მოწინავე დარგების პროდუქციას, მით უფრო პროგრესულია ქვეყნის წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია, მით მაღალია მისი რეალური დონე. და პირიქით, ექსპორტში მომპოვებელი მრეწველობის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციის აშკარა დომინირება, როგორც წესი მიუთითებს ქვეყნის პასიურ როლზე შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მის ფარდობითად ჩამორჩენილობაზე წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის კუთხით.

წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის თვისობრივი მხარის შემდგომი ასპექტი დაკავშირებულია საგარეო ბაზრებზე მიწოდებული საქონლების ნომენკლატურის (ასორტიმენტის) მრავალ-ფეროვნებასთან. ექსპორტის ნომენკლატურის სწრაფი გაფართოება მთლიანობაში წარმოადგენს ქვეყნის საერთაშორისოდ სპეციალი-ზაციის მაჩვენებელს და პირიქით, ნომენკლატურის შემცირება უფრო გამოკვეთილს ხდის ქვეყნის საექსპორტო პროფილს. მაგრამ ამგვარი დასკვნა ზედმეტად ზოგადია და მოითხოვს დაზუსტებას. თუ ექსპორტის ნომენკლატურის გაფართოება მთლიანობაში ხორციელ-დება საერთაშორისოდ სპეციალიზირებადი ნაწარმის ხარჯზე და ამ უკანასკნელთა ხვედრითი წილი ექსპორტში იზრდება, ფაქტიურად მიმდინარეობს წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის დონის ამაღლება. ნომენკლატურის გაფართოება ნაწარმის არასპეციალი-ზირებული სახეობების ხარჯზე განაპირობებს უკუ შედეგებს. მაშასადამე ნომენკლატურის გაფართოება თავისთავად არ ნიშნავს ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის დონის გაუარესებას.

შამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად, შეიქმნა საწარმოო კოოპერირების პროცესის სწრაფი განვითარების მატერიალური საფუძვლები. შამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა შესცვალა თავად შრომის საერთაშორისო კოოპერირების ხასიათი, და ჩართო მასში, როგორც ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, მეცნიერება. ამგვარად, შრომის კოოპერირების მთავარი ფუნქცია – შრომის მაღალი მწარმოებლურობის პირობებში იყოს წარმოებული მატერიალური დოვლათის ზრდის საშუალება, შევსებულ იქნა სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციით – პრინციპიალურად ახალი ამოცანების გადაჭრა, რაც ძალზე ძნელი ან შეუძლებელია რამოდენიმე ქვეყნის მწარმოებელთა ძალისხმევის გაერთიანების გარეშე.

წარმოების საერთაშორისო კოოპერირების ძირითად ნიშნებს მიაკუთვნებენ:

-მხარეების მიერ, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ერთობლივი საქმიანობის წესის შეთანხმება;

-საქმიანობის ურთიერთშეთანხმებულ სფეროებში, სხვადასხვა ქვეყნების საწარმოო-პარტნიორების მიერ, თანამშრომლობის ძირითადი მეთოდის სახით, სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციის გამოყენება;

-საწარმოო კოოპერირების უშუალო სუბიექტების სახით, სხვადასხვა ქვეყნის სამრეწველო საწარმოების (ფირმების), არსებობა;

-სახელშეკრულებო წესით, მზა ნაწარმის, პროდუქციის კომპონენტებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების, კოოპერირების ძირითადი ობიექტების სახით დაფიქსირება;

-პარტნიორებს შორის, შეთანხმებული პროგრამის ფარგლებში, დასახული ამოცანების გადანაწილება, საკოოპერაციო შეთანხმებების ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, მათთვის საწარმოო სპეციალიზაციის მიმართულებების განსაზღვრა და დამაგრება;

-პარტნიორების მიერ საქონლის ერთობლივი ან ცალმხრივი მიწოდების პროგრამის უშუალო კავშირი კოოპერირების პროგ-რამასთან, და არა ყოველივე ეს, როგორც რიგითი შეთანხმებების საფუძველზე, ყიდვა-გაყიდვის ვალდებულებების განხორციელების უბრალო შედეგი.

ძირითადი მეთოდები, რომლებიც გამოიყენება კოოპერაციული კავშირების ფორმირებისას, წარმოადგენს; 1)ერთობლივი პროგრა-მების განხორციელება, 2)შეთანხმებათა ფარგლებში სპეციალიზი-რება, 3) ერთობლივი საწარმოების შექმნა.

ე.წ. საიჯარო კოოპერირება, მრეწველობაში საწარმოო კავშირების ისტორიულად ყველაზე ძველი სახეობაა. საქმიანობის არსი კი მდგომარეობს იმაში, რომ შეთანხმებათა ერთ-ერთი მონაწილე (შემკვეთი), ავალებს მეორეს (შემსრულებელი), შესრულების ვადებთან, სამუშაოს მოცულობის, შესრულების ხარისხთან და ა.შ მიმართებაში, წინასწარ შეთანხმებული მოთხოვ-ნების შესაბამისად, გარკვეული სამუშაოების განხორციელებას. საიჯარო საწარმოო კოოპერირების ორი ძირითადი ნაირსახეობა არსებობს: “კლასიკური” – პროდუქციის წარმოება, და მეორე, ინოვაციური პროდუქციის სფეროში პროექტირება და წარმოება.

საწარმოო კოოპერირების მეორე მეთოდი – საშეთანხმებო სპეციალიზაცია მდგმარეობს, ამგვარ შეთანხმებათა მონაწილეებს შორის, საწარმოო პროგრამების გამიჯვნაში. სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებათა შესაბამისად, ხელშეკრულების მხარეები, მიისწრაფიან უზრუნველყონ საწარმოო პროცესებში დუბლირების მომენტის შემცირება ან საერთოდ გამორიცხვა, შედეგად კი თავი აარიდონ ერთმანეთში პირდაპირ კონკურენციას ბაზარზე. უმნიშვნელოვანესი პირობა, რომელიც სპეციალიზაციის შესახებ შეთანხმებებს ანიჭებს კოოპერაციულ ხასიათს, ეს არის მათში ისეთი დებულებების არსებობა, რომლებიც აფიქსირებენ წარმოების სფეროში მონაწილეთა მჭიდრო თანამშრომლობის ვალდებულებებს.

ერთობლივი საწარმოო ორგანიზაციების შექმნა – კოოპერაციული საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია, რომელიც ფართოდ ვრცელდება მსოფლიოში. ეს არის ეგრეთწოდებული ინტეგრირებული კოოპერაცია, როდესაც ცალკეული, ურთიერთშეთანხმებული მიზნის მისაღწევად, ერთიანი ორგანიზაციული ფორმის ქვეშ ერთიანდება რამოდენიმე მონაწილის კაპიტალი.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. საერთაშორისო სპეციალიზაცია რა მიმართულებით ხორციელდება;
2. ჩამოთვალეთ საერთაშორისო სპეციალიზაციის ძირითადი სახეობები;
3. როგორ გავიანგარიშოთ საერთაშორისო სპეციალიზაციის კოეფიციენტი;
4. დაახასიათეთ წარმოების საერთაშორისო კოოპერირების ძირითადი ნიშნები

თავი III. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირები და საგარეო ვაჭრობის ბალანსი

3.1. მსოფლიო ვაჭრობის დინამიკა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მსოფლიო ვაჭრობა ვითარდებოდა ფარდობითად მაღალი ტემპებით, რაც ფაქტორთა ორი ჯგუფის ზემოქმედებითაა განპირობებული. პირველ რიგში ეს არის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო ვაჭრობის საერთო მდგომარეობაზე. მათმა მოქმედებამ განაპირობა ის რომ, დასავლეთის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის საერთო ტემპები აღმოჩნდა არსებითად უფრო მაღალი, ვიდრე ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, ხოლო ციკლისებური კრიზისები არ იყო ისეთი ღრმა და ხანგრძლივი. ფაქტორთა პირველ ჯგუფს უპირველესად განეკუთვნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რომლის დროსაც ძირითადი კაპიტალის განახლებისა და გაფართოების პროცესები, დაკავშირებულია ახალი დარგების შექმნასა და ძველი წარმოებების საფუძვლიან ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან, აღმოჩნდა საკმარისად გრძელვადიანი და მოითხოვა უმსხვილესი კაპიტალდაბანდებანი. წარმოების ზრდის ტემპებზე განსაზღვრული ზეგავლენა იქონია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების განვითარებამ, რომელიც მიმართული იყო კაპიტალის დაგროვების პროცესის ინტენსიფიკაციისა და კრიზისების თავიდან აცილებისაკენ, აგრეთვე არსებითი აღმოჩნდა სამრეწველო კომპანიების შესაძლებლობების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლებმაც, საკუთარი საწარმოო კომპლექსების (რომელიც ხშირად ნაციონალური, ხანდახან საერთაშორისო წარმოების მთელ დარგებს აერთანებს) ფარგლებში დანერგეს დაგეგმვისა და პროგნოზირების ელემენტები. მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკურ სიტუაციაზე არსებითი ზეგავლენა იქონია ორი სოციალურ – ეკონომიკური სისტემის შეჯიბრმა, რომლის პირობებში დასავლეთის მმართველი წრეები მეტ ყურადღებას უთმობდენ ეკონომიკის ზრდის ტემპებს. გარკვეულ როლს თამაშობდა საზოგადოების აქტიურობაც საკუთარი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობებისათვის, რაც კომპანიებს არ აძლევდა საშუალებას მიეღწიათ მოგებათა ზრდისათვის რეალური ხელფასების შემცირებათა ხარჯზე, და აიძულებდა მათ ევლოთ ტექნიკური პროგრესის განვითარების გზით. ომის შემდგომი პერიოდის საერთო, ფარდობითად ხელსაყრელი

ეკონომიკური კონიუქტურა, მსოფლიო ვაჭრობის გაფართოების წინაპირობებს აყალიბებდა.

ფაქტორთა მეორე ჯგუფს, რომელიც გახდა მსოფლიო ვაჭრობის ზრდის უშუალი მიზეზი, განეკუთვნება მნიშვნელოვანი ძვრები, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით მოხდა წარმოებაში და მოითხოვა საერთაშორისო მასშტაბით წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარება. ეს პროცესები, რომელიც შეეხო თანამედროვე მრეწველობის ძირითად დარგებს, იქცა ქვეყნებს შორის სავაჭრო გაცვლის სწრაფი ზრდის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად.

საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერაციის პროცესები, რომლებიც განაპირობა საწარმოო ძალების განვითარების ობიექტიურმა აუცილებლობამ, გაძლიერებულ იქნა კაპიტალის გატანის მზარდი მოცულობებითა და ტრანსანიციონალური კორპორაციების ზრდით. ტნკ-ბი ანვითარებენენ რა სხვადასხვა ქვეყნებში განლაგებულ საკუთარ საწარმოებს შორის კოოპერირებისა და სპეციალიზაციის პროცესებს, ხელს უწყობენ საერთაშორისო საქონელბრუნვის ზრდას.

საერთაშორისო კოოპერირებისა და სპეციალიზაციის გაფართოება იწვევს, განვითარებული ქვეყნების მხრიდან, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებაში საიმპორტო პროტექციონიზმის ღონისძიებებზე უარის თქმასა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვებზე უარის თქმასა და საბაჟო განაკვეთების შემცირებისაკენ ტენდენციას (თუმცა ხშირია საპირისპირო ტენდენციებიც).. ეს განპირობებულია საწარმოო ძალების განვითარების აუცილებლობით, რადგანაც შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის შეფერხება, მათი განვითარების მუხრუჭად იქცევა. ეს აგრეთვე უკავშირდება ტნკ-ს ინტერესებსაც, რომელთათვისაც, სხვადასხვა საგარეო სავაჭრო შეზღუდვების გაუქმება არის აუცილებელი პირობა რათა შეუფერხებლად განავითარონ საწარმოო კავშირები საკუთარ საზღვარგარეთულ საწარმოებს შორის. თავის მხრივ, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, უფრო ღია ტიპის ეკონომიკაზე გადასვლა, თავად იქცა საერთაშორისო საქონელბრუნვის ზრდის ფაქტორად.

ამავე მიმართულებით მოქმედებდა ინტეგრაციაც, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში. ევროკავშირისა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებს შორის ვაჭრობის შეზღუდვების გაუქმებამ, ხელი შეუწყო მათ შორის ურთიერთ სასაქონლო ბრუნვას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დასავლეთევროპული ინტეგრაციის და განსაკუთრებით ევროკავშირის მონაწილე ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი (დაახლოებით ნახევარი) წილი, ცხადია მათი ვაჭრობის ზრდა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო გაცვლის ზრდის საერთო ტემპებზე.

მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო საერთაშორისო საქონელბრუნვის ზრდას, იყო ყოფილი კოლონიების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, რამაც განვითა-რებული ქვეყნებიდან, ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, მანქანებისა და მოწყობილობების მიღების საჭიროების შესაბამისად, განაპირობა ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ზრდა.

სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ზრდა, საერთაშორისო სპეციალიზაციისა და კოოპერირების, წარმოების ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების, ყველაზე ნათელი დადასტურებაა. სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირურთიერთობების ინტენსიურობის ზრდაზე ისიც მიუთითებს, რომ ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში, მათი საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპები აჭარბებდა ამ ქვეყნების სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებს. გასული საუკუნის 70-ანი წლებიდან მოყოლებული ექსპორტის ფიზიკური მოცულობა 2,6-ჯერ გაიზარდა (ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენს 9,2%), ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 3,6-ჯერ (ზრდის წლიური ტემპი – 4,3%)

ცხადია, მოცემული მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.

გასული საუკუნის 70-80-ან წლებში განსაკუთრებულად სწრაფი ტემპით იზრდებოდა იაპონიის ვაჭრობა (4-ჯერ), აგრეთვე ევროკავშირის ქვეყნების ვაჭრობა (3-ჯერ). იმპორტის ზრდამ განაპირობა სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის წარმოქმნა. ამერიკული ექსპორტის არსებითი ზრდა იწყება მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლო წლებიდან. ამჟამად ძალზე სწრაფი ტემპით იზრდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე. როგორც ევროპას, ასევე აშშ-ს ჩინეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვთ (განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ბაზრებზე). სიტუაცია უკვე ახლოსაა "სავაჭრო ომის" სიტუაციასთან.

3.2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი

მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების პროცესი ატარებს ინტენსიურ ხასიათს, რაც საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგიული კურსის თანმიმდევრული განხორციელებით არის განპირობებული. წლითიწლობით მატულობს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, ფართოვდება ვაჭრობის გეოგრაფია და იზრდება უცხოური ინვესტიციების მასშტაბები. ქვეყანამ პრაქტიკულად დაიბრუნა თავისი ისტორიული გეოპოლიტიკური ფუნქცია და გახდა ევრაზიის სახელმწიფოთა სტრატეგიული ეკონომიკური პარტნიორი.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1995-2008 წლებში გაიზარდა 7.5 - ჯერ და შეადგინა 7555,8 მლნ დოლარი. ამასთან, იმპორტის წინგამსწრები ტემპებით ზრდის პირობებში სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოთი. შესაბამისად, ეცემა საიმპორტო შემოსულობათა ექსპორტით დაფარვის დონე, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საგარეო დავალიანების ზრდას.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი 1995-2008 წლებში (მლნ აშშ დოლარებში)[1]

ცხრილი №1

წლები	1995	2000	2005	2008
საგარეო სავაჭრო ბრუნვა, სულ	1000.7	1032.0	3355.4	7555.8
მათ შორის: - ექსპორტი	289.5	322.8	865,5	1497.7
- იმპორტი	711.2	709.4	2490,0	6058.1
- სალდო (+,–)	- 421.7	- 3886.6	- 1624.5	- 4560.4
ექსპორტის წილი ბრუნვაში, %	28.9	31.2	25.8	19.8
იმპორტის ექსპორტით დაფარვის დონე, %	40.7	45.5	34.7	24.7

---

1. სტატისტიკური ბიულეტენი: საქ. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1995-1998 წლებში; საქ. ეკონ. და სოც. განვითარების ინდიკატური გეგმა

2. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები – კვარტალური მიმოხილვა; ოქტომბერი 2008

იმპორტის სტრუქტურაში ჭარბობს ენერგოშემცველები; თამბაქოს ნაწარმი, მსუბუქი ავტომობილები, სამკურნალო საშუალებები, ხორბალი და ფქვილი. ნიშანდობლივია, რომ იმპორტში ტექნოლოგიურ დანადგარებთან ერთად მნიშვნელოვანი ზომითაა წარმოდგენილი უცხოური კრედიტებისა და გრანტების ხარჯზე შეძენილი საქონელი. აქედან გამომდინარე, ნათელია ქვეყნის მეურნეობისა და სამომხმარებლო ბაზრის დამოკიდებულების მაღალი ხარისხი. ექსპორტში კვლავ ძირითადია სანედლეულო საქონელი.

დამახასიათებელია, რომ ექსპორტსა და იმპორტს შორის არ არსებობს საკმაო სტრუქტურული ურთიერთკავშირი, ამის ობიექტური მიზეზებია: ეკონომიკის მემკვიდრეობით მიღებული არარაციონალური დარგობრივი სტრუქტურა, საწარმოო პოტენციალის გამოყენების დაბალი დონე, პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის შიდა პრობლემები, საფინანსო კრიზისი რუსეთში 1998 წლის II ნახევარში და მისი ნეგატიური გავლენა ჩვენი ეკონომიკის დარგთა პროდუქციის ზრდის ტემპზე და უკანასკნელ წლებში რუსეთის მიერ ქართული საექსპორტო პროდუქციაზე ემბარგოს დაწესების მიუხედავად, საგარეო ვაჭრობის პირველადი მონაცემებით, საქართველოს ექსპორტი საანალიზო პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23%-ით გაიზარდა. რუსეთმა კი ქვეყნების ექსპორტის სტრუქტურაში პირველი ადგილიდან მეათეზე გადაინაცვლა,

ბოლო პერიოდში განხორციელებულმა პოლიტიკურმა და მაკროეკონომიკურმა რეფორმებმა აგრარული სექტორის რეაბილიტაციის ხელშემწყობი მიკრო გარემო შექმნა და განაპირობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თვისებრივად ახალი თანამშრომლობის ფორმირება, რის შედეგადაც სასურსათო ჰუმანიტარული დახმარების გაწევის კურსიდან აქცენტი ადგილობრივი წარმოების ზრდის ხელშეწყობის კურსზე იქნა გადატანილი.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში წარმატებით წარმართულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად FAO-ში ტექნიკური დახმარების პროექტების სამოქმედო პრიორიტეტად აგროსასურსათო სექტორის გარდაქმნისა და მისი საბაზრო ეკონომიკურ გარემოში ეფექტიანი ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა იქცა.

საქართველო აფართოებს და განამტკიცებს ახალ სავაჭრო პარტნიორულ ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან. 1999 წელს ჩვენმა ქვეყანამ სავაჭრო ოპერაციები განახორციელა 105 სახელმწიფოსთან, მაშინ, როდესაც 1995 წელს ეს ურთიერთობები დამყარებული იყო 54 ქვეყანასთან. ეს კავშირები მნიშვნელოვანწილად ატარებს სტაბილურ ხასიათს. ასე, მაგალითად, სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 2007 წლისათვის პარტნიორ ქვეყნებთან 6447254 ათ, დოლარს შეადგენდა, სადაც ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილი იყო თურქეთი, კერძოდ, იგი აღემატებოდა -14-%-ს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული ზრდით ხასიათდებიან განვითარებული ქვეყნები. (იხ.ცხრილი 2)

სავაჭრო ბალანსში კვლავ მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი დსთ-ს ქვეყნები, რომლებთანაც საქართველოს გააჩნდა ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები. მათ შორის უმსხვილესი პარტნიორი იყო რუსეთი, რომლის წილად მოდიოდა დსთ-ში გატანილი პროდუქციის ნახევარზე მეტი. დსთ-ს ქვეყნების წილმა 1997-1998 წლებში საქართველოდან ექსპორტის მთლიან მოცულობაში შეადგინა შესაბამისად 59,7 და 53,7%-ს, ხოლო იმპორტში – 36,4 და 35,2%-ს. ამიტომ დსთ-ს სივრცე ჩვენი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მიერ სტრატეგიულ ბაზრად იყო მიჩნეული. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ეს სურათი სრულიად შეცვლილია.

პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური მახასიათებლები სავსებით შეესაბამება ეკონომიკური ინტეგრაციის იმ აუცილებელ წინამძღვრებს, რომლებიც შემუშავებულია მსოფლიოს ეკონომიკური მეცნიერების მიერ. ესენია: ეროვნულ სამეურნეო კომპლექსთა გეოგრაფიული სიახლოვე, მათი ურთიერთშემავსებლობის ისტორიულად ჩამოყალიბებული მაღალი ხარისხი, ეკონომიკური განვითარების ერთიანი დონე, წარმოებით ურთიერთობათა ერთტიპიური ხასიათი.

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს მრავალ ქვეყანასთან გააჩნია შესაბამისი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, კერძოდ, დადებულია შეთანხმებები სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, ინვესტიციათა ურთიერთდაცვის და ურთიერთწახალისების შესახებ, საწარმოო კოოპერაციის შესახებ, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სხვა.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები სავაჭრო ბრუნვის მიხედვით 2007 წელს

ცხრილი №2

ქვეყნები	ექსპორტი ათასი აშშ დოლარი	პროცენტებით ჯამთან	იმპორტი ათასი აშშ დოლარი	პროცენტებით ჯამთან	ბრუნვა ათასი აშშ დოლარი	პროცენტებით ჯამთან
სულ	1 232 371	100.0	5214883	100.0	6447254	100.0
მათ შორის:						
თურქეთი	171764	13,9	727906	14,0	899670	14,0
უკრაინა	94169	7,6	574906	11,0	669075	10,4
რუსეთი	45599	3,7	576604	11,1	622203	9,7
აზერბაიჯანი	137455	11,2	382367	7,3	519822	8,1
გერმანია	56156	4,6	387327	7,4	443483	6,9
აშშ	149036	12,1	203891	3,9	352927	5,5
ბულგარეთი	59357	4,8	184050	3,5	243407	3,8
არაბთა გაერთი. ემირატ.	18638	1,5	214721	4,1	233360	3,6
ჩინეთი	8273	0,7	206709	4,0	214982	3,3
თურქმენეთი	26339	2,1	149902	2,9	176240	2,7
დანარჩენი პარტნიორი ქვეყნები	465585	37,8	1606500	30,8	2072085	32,1

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2008.

მსოფლიო ბაზარზე პოზიციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის აუცილებელია საწარმოებს გაეწიოთ დახმარება, რათა

მათ დაამყარონ პირდაპირი საწარმოო და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები თანამეგობრობის ქვეყნების საწარმოებთან, ვგულისხმობთ კომერციულ წინადადებათა ინფორმაციული ბანკის შექმნას, ხელშეკრულებების დადებას (მათ შორის სამინისტროების დონეზე)
მსხვილ რეგიონებთან და უშუალო მომხმარებლებთან და ა.შ. ტრადიციული ეკონომიკური კავშირების თვისებრივად ახალ დონეზე განვითარებასთან ერთად გაგრძელდება ქვეყნის მსოფლიო საბაზრო მეურნეობაში ინტეგრირების კურსი. საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს აქტიურ ინტეგრაციაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ FAO-ს ევროპის სოფლის მეურნეობის კომისიის 31-ე სხდომა 1999 წლის სექტემბერში საქართველოში ჩატარდა. სხდომას ესწრებოდნენ FAO-ს ევროპის რეგიონალური და ცენტრალური და აღმოსავლეთ და ევროპის ქვერეგიონული ოფისების, ევროკავშირისა და FAO-ს ევროპის რეგიონის წევრი და მეთვალყურე ქვეყნების წარმომადგენლები, აგრეთვე გაეროსა და სხვა საერთაშორისო სპეციალიზირებული ორგანიზაციები.

საერთაშორისო მომსახურების სფეროში ჩართვა გულისხმობს საბანკო და საფინანსო მომსახურების განვითარებას, ინფორმაციისა და ინფორმაციული მომსახურების როლის ამაღლებას, სატელეკომუ-ნიკაციო და კომპიუტერული ქსელების, კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგის განვითარებასა და სრულყოფას.

საგარეო კავშირების განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ტურისტულ-საკურორტო მომსახურების სფერო. უახლოეს პერიოდში უნდა განხორციელდეს საგრძნობი ინვესტიციები ამ დარგის სავალუტო-საშემოსავლო პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებისათვის.

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქვეყნის სასიცოცხლო სანედლეულო და სასურსათო მოთხოვნილებების პროგრამების დამუშავებასა და რეალიზაციასთან ერთად აუცილებელია გაძლიერდეს ზრუნვა ეკონომიკის რეალურად განვითარებასა და მისი საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაზე. კრიზისმა გვიჩვენა, თუ რა შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს მრეწველობის და აგრარული სექტორის, უკანა პლანზე გადაწევამ რადგან იგი მთელი ეკონომიკის ხერხემალია.

როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდამდე ქვეყნის მშპ-ის ყოველწლიურ მატებას თან სდევს მისი სტრუქტურის გაუარესება, უმთავრესად მეურნეობის ორი ძირითადი შემოსავალტევადი დარგის – მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის შემცირების მიმართულებით (მრეწველობა 9,5%-დან გაიზარდა 12,7%, ხოლო სოფლის მეურნეობა 41,7-დან 18,3%-მდე შემცირდა). მრეწველობა და სოფლის მეურნეობის დარგი არ უნდა მივიჩნიოთ დაბალკონკურენტუნარიან დარგებად და მათ მიმართ უნდა გატარდეს სათანადო სარეაბილიტაციო, მასტიმულირებელი ზომები.

უპირველეს ყოვლისა, არ უნდა გაგვიტაცოს ზედმეტად ლიბერალურმა სავაჭრო პოლიტიკამ. როგორც უკვე აღინიშნა, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი მომგებიანია ძლიერი, ლიდერი ქვეყნისათვის. იგი ანგრევს განვითარებადი ქვეყნების სუსტ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახლად ფეხადგმულ დარგებს. ეს უკანასკნელნი აუცილებლად საჭიროებენ თავდა-პირველი "სათბურის პირობების" შექმნას, აქტიური პროტექციონის-ტული პოლიტიკის გატარებას სახელმწიფოს მხრიდან.

ღია ეკონომიკის ჩამოყალიბება არ უნდა გავაიგივოთ სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური კავშირების უკონტროლო-ბასთან, საზღვრების გამჭვირვალობასთან. პირიქით, ღია ეკონომიკა, მით უმეტეს მსოფლიო საბაზრო მეურნეობაში ინტეგრირების პროცესში, მოითხოვს სახელმწიფოს გონივრულ ჩარევას საგარეო ეკონომიკური კავშირების განხორციელების მექანიზმში. სტიქიურობა, აქ არათუ ხელს არ უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად უთხრის ძირს ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ეკონომიკის კომპლექსურად განვითარებისა და ეფექტიანი შიდა ბაზრის ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა საგადასახადო-საბაჟო რეგულირებას ენიჭება.

საბაჟო გადასახადისადმი მხოლოდ ფისკალური ფუნქციების დაკისრებამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყოს მისი ძირითადი ფუნქცია – საშინაო ბაზრის და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელე-ბულმა ტექნიკური დახმარების პროექტებმა უნდა მოგვცეს აგროინდუსტრიის განვითარებისათვის სიცოცხლისუნარიანი გარემოს შექმნის საშუალება, რაც მოითხოვს შესაბამისი იურიდიული და საკანონმდებლო ბაზის ფორმირებას. პროექტებმა გამოავლინა სოფლის მეურნეობის სხვადსხვა დარგების ორგანიზაციის აუცილებლობა, რაც განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები (ათასი აშშ დოლარი)

ცხრილი №3

ქვეყნები	2003 წ.	2004 წ.	2005 წ	2006 წ.	%
სულ	343070	499107	449785	428066	124,7
ევროკავ-შირი	95823	195622	243710	133522	139,3
ავსტრია	18108	23157	14732	5614	0,31
ჩეხეთი	250	277	1280	13267	53,0
დანია	0	0	319	175	0,54
დიდი ბრი-ტანეთი	37670	87875	132952	61883	164,2
გერმანია	4145	5141	5032	2221	0,53
ირლანდია	37	41	592	421	11,36
იტალია	15896	32480	22838	18859	118,6
კვიპროსი	676	21333	47537	25339	37,4
ლუქსემ-ბურგი	250	277	553	189	0,75
ნიდერ-ლანდები	0	0	492	797	161,9
პოლონეთი	0	0	294	285	0,96
საბერძნეთი	1967	2178	2217	816	0,41
საფრან-გეთი	16709	22863	14383	3207	0,19
შვედეთი	81	0	160	173	2,13
უნგრეთი	34	0	327	285	8,38
ევროკავ-შირის წილი %	28	39	54	31	110,7

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი

(მაგალითად, FAO-ს მიერ განხორციელებული „მეთესლეობის ეროვნული პროგრამის მომზადების“ პროექტმა ცხადყო, რომ აუცილებელია ამ სექტორის რეორგანიზება და მისი ნაწილობრივი პრივატიზება. ამისათვის მან მოამზადა რეორგანიზაციის გეგმა და შესაბამისი კანონპროექტები, რომლებიც განსახილველად წარედგინა პარლამენტს).

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ურთიერთობების გაფართოება და გაღრმავება განვითარებულ ქვეყნებთან. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთვის მონიჭებულ სავაჭრო პრეფერენციების ეფექტიანად გამოყენებას.

საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირთან ვითარდება, მათ შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების ბაზაზე, რომლის სავაჭრო-ეკონომიკური ბლოკი მოქმედებაში შევიდა 1997 წლიდან.

2006 წლისათვის საქართველოში სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან, მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 31%-ს შეადგენდა და 15 ქვეყანას მოიცავდა, აღსანიშნავია, რომ ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 60,4%-ით გაიზარდა, იმპორტის მატება კი 50% შეადგინა. მიუხედავად ამისა, მინიმალურ გამოსახულებაში იმპორტის ზრდა გაცილებით უფრო მაშტაბური იყო, ვიდრე ექსპორტისა.

საანალიზო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციები 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ამ სფეროში კვლავ დიდი ბრიტანეთი ლიდერობდა, რაც სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობაში ბრითიშ პეტროლიუმის ინვესტიციებთან იყო დაკავშირებული. ამ ქვეყნის წილად მოდიოდა ევროკავშირის ინვესტიციების 46,3 პროცენტი, ხოლო მთლიანი ინვესტიციების 14,5 პროცენტი. ამავე პროექტში იტალიის მონაწილეობა კი მის მიერ უმსხვილეს ინვესტორთა შორის მეორე ადგილის დაკავებას გამაპირობებდა. წამყვან ინვესტორთა სიაში კვლავ მოხვდა კვიპროსი, საიდანაც განხორციელდა 16,8 მლნ აშშ დოლარის კაპიტალდაბანდება ყულევის ტერმინალში. ამავე სიაში ჩეხეთის გამოჩენა ამ ქვეყნის რეზიდენტების მიერ ენერგოკომპანიების პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობას უკავშირდება. აღნიშნული ქვეყნების ოთხეული უქჩრუნველყოფდა საქართველოში ევროკავშირის ინვესტიციების 79,4 პროცენტს.

3.3. ძალთა თანაფარდობის ცვლილება მსოფლიო ბაზარზე.

ცალკეული ქვეყნების ვაჭრობის დინამიკის არათანაბარზომიერი განვითარება იწვევს, მათ შორის ძალთა თანაფარდობის მუდმივ ცვლილებას.

ომის შემდგომი პერიოდის უმეტეს ნაწილზე, საერთო ექსპორტში ამერიკული ექსპორტის წილი ეცემოდა. თუ პირველ ომისშემდგომ წლებში აშშ-ზე მოდიოდა საერთო ექსპორტის 1/3, ამჟამად ეს წილი შემცირებულია 1/8-მდე. გერმანიის ექსპორტი მჭიდროდ მიუახლოვდა ამერიკის დონეს, ამასთან, მთელი რიგი წლების განმავლობაში აჭარბებდა კიდეც მას.

რით აიხსნება ამერიკული პოზიციების შესუსტების გრძელვადიანი ტენდენცია? 60-70-ან წლებში, ამერიკული საქონლების კონკურენტუნარიანობის კლება დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ევროპასა და იაპონიაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები გაცილებით მაღალი იყო ვიდრე აშშ-ში. თუ მაგალითად აშშ-ს დონესთან მიმართებაში შრომის ნაყოფიერება გერმანიაში შეადგენდა 38%, საფრანგეთში-42%, ხოლო იაპონიაში მხოლოდ 15%, გასული საუკუნის 80-ანი წლებში, შრომის ნაყოფიერეის დონე გერმანიაში გაუთანაბრდა ამერიკულს, საფრანგეთსა და იაპონიაში შესაბამისად გაიზარდა 88% და 66%-მდე (ამერიკულთან მიმართებაში). 80-ანი წლებიდან ამერიკული კომპანიები, სხვა ქვეყნების კომპანიებთან კონკურენციული ბრძოლის ინტენსივობის ზრდის პირობებში, შრომის ნაყოფიერების დონის ამაღლებისათვის, ანხორციელებენ განსკუთრებულ ძალისხმევას. უნდა აღინიშნოს რომ მათ შესძლეს მიეღწიათ საკმარისად პოზიტიური შედეგებისათვის. 1990-ანი წლებიდან შრომისნაყოფიერების საშუალო წლიური ზრდის ტემპები აშშ-ი შეადგენს 4,0%, იაპონიაში – 3,6%, გერმანიაში (გაერთიანებული) – 2,4%. მაგრამ, რამდენადაც სამუშაო ძალის ღირებულება იაპონიაში ამერიკულზე მნიშვნელოვნად ნაკლებია, იაპონია ახერხებს აწარმოოს გადამამუშავებელი მრეწველობის მრავალი პროდუქტი აშშ-ზე იაფად. ფასები იაპონურ საქონელზე, განსაკუთრებით ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, ამერიკულ ბაზარზე 20-30% ნაკლებია.

იაპონური და დასავლეთევროპული კომპანიები ლიდერობენ კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებითაც. კერძოდ პროდუქციის ხარისხსა და მის სამეცნიერო-ტექნიკურ დონეში, განსაკუთრებით უახლეს დარგებში. კონკურენციულ ბრძოლაში აქტიურად იჭრება ჩინეთიც. მიუხედავად შრომის დაბალი ნაყოფიერების დონისა, ქვეყნის უდიდესი პოტენციალისა და განსაკუთრებით იაფი მასიური მუშახელის წყალობით, ჩინური ექსპორტი, მსუბუქი და ელექტრონული მრეწველობის ზოგიერთი პოზიციის მიხედვით, ადგილობრივ წარმოებას პრაქტიკულად დევნის როგორც ევროპის, ასევე ამერიკის ბაზრებიდან.

1983 წელს იაპონია მანქანებისა და მოწყობილობების ექსპორტით, პირველად გავიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე.

ის მნიშვნელოვნად უსწრებს სხვა ქვეყნებს, მ.შ. აშშ-სა და გერმანიას მსუბუქი, და განსაკუთრებით სატვირთო ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის და სხვა საქონლების ექსპორტის მოცულობით. იაპონური ექსპორტის 1/3 აშშ-ზე მოდის. ნიშანდობლივია, რომ იაპონიის აშს-სთან ვაჭრობის აქტიური სალდოს დაახლოებით 40% მოდის ელექტრონიკაზე დაფუძვნებულ საქონლებზე. თუმცა აშშ მსოფლიო ლიდერია ნახევარგამტერების სფეროში, ამ პროდუუქციის მსოფლიო ბაზარზე იაპონიის წილი განუხრელად იზრდება. იაპონია წარმატებით ახერხებს კონკურენციულ ბრძოლას სხვა ქვეყნებთან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის ბაზრებზეც.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, სხვა დასავლეთ ევროპული ქვეყნების ექსპორტი. დღეს დასავლეთ ევროპა, საერთაშორისო ვაჭრობის მთავარი ცენტრია. ევროკავშირის ექსპორტი აშშ-ს ექსპორტს აღემატება 4-ჯერ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების როლის ზრდა იწვევს უთანხმოებათა ზრდას აშშ-თან სავაჭრო ურთიერთობეში. ევროკავშირის ქვეყნები ცდილობენ შექმნან სავაჭრო ბარიერები, რათა შეზღუდონ ევროპულ ბაზარზე ამერიკული საქონლის შეღწევის შესაძლებლობანი. და უნდა ითქვას, რომ ამერიკული საქონლისათვის, ევროკავშირის ერთიანი საბაჟო ტარიფები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე საკომპენსაციო მოსაკრებლები და სხვა შეზღუდვები, სერიოზულ ბარიერად იქცა.

სულ უფრო ხშირად მოდის წინააღმდეგობაში დასავლეთევროპისა და იაპონიის კომერციული ინტერესები. იაპონური კომპანიები სულ უფრო აქტიურად იჭრებიან

დასავლეთევროპულ ბაზარზე, აფართოვებენ საბაზრო სეგმენტს ისეთ ევროპულ ბაზრეზე, როგორიცაა საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, საოფისე მოწყობილობანი, ვიდეოტექნიკა, ფოტო-კინოაპარატურა. იაპონიას მნიშვნელოვანი სავაჭრო პროფიციტი აქვს ევროპულ ქვეყნებთან, მ.შ. ევროკავშირთან (90-ან წლებში პროფიციტი შეადგენდა 31,2 მილიარდ დოლარს). იაპონური საგარეო-სავაჭრო ექსპანსიის მასშტაბები მთელ მსოფლიოში, მეტნაკლები ინტენსივობით, განუხრელად იზრდება. ამ ფრონტზე უკანასკნელ წლებში ძალზედ გააქტიურდა ჩინეთიც.

დამოუკიდებლობის მოპოვებამ განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობა შეუქმნა გამოეყენებინათ საგარეოეკონომიკური კავშირურთიერთობანი ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისათვის. მაგრამ, საგარეო ეკონომიკური მდგომარეობა მათთვის არახელსაყრელად ვითარდება, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მათი საგარეო ვაჭრობის სტრუქტურასთან.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა რჩება მსოფლიო ბაზარზე ნედლეულისა და სურსათის მიმწოდებლებად. სამეცნიერო ტექნიკურმა პროგრესმა კი განაპირობა მსოფლიოში მინერალურ და მცენარეულ ნედლეულზე მოთხოვნის ფარდობითი შემცირება. ამავე მიმართულებით მოქმედებს განვითარებული ქვეყნების მცდელობა, შიდა რესურსების უკეთ გამოყენების ხარჯზე, მიაღწიოს სანედლეულო და სასურსათო საქონლით თვითუზრუნველყოფის სულ უფრო მეტ ხარისხს.

მსოფლიო ბაზარზე ნედლეულსა და სურსათზე მოთხოვნის ფარდობითი შემცირება, განვითარებადი ქვეყნებისათვის ნიშნავდა, ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობათა შემცირებას. შემდეგი ფაქტორი, რომელმაც გავლენა იქონია მათი ექსპორტის სიდიდეზე, იყო სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების წილის ზრდა სანედლეულო (ნავთობის გარდა) და სასურსათო საქონლების მსოფლიო ექსპორტში. განვითარებადი ქვეყნების წილი ამ საქონლების ექსპორტში (ნავთობის გარდა) 40,3%-დან შემცირდა 28,1%-მდე. რაც ძალზედ უარყოფითად აისახა განვითარებადი ქვეყნების უმეტესობისათვის მათ საგარეოეკონომიკურ მდგომარეობაზე. ახალგაზრდა ქვეყნების ექსპორტის მოცულობების ზრდა შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო მათი ახალგაზრდა მრეწველობის ხარჯზე, მაგრამ განვითარებული ქვეყნები, მიუხედავად იმისა რომ, სამრეწველო პროდუქციის იმპორტი განვითარებადი ქვეყნებიდან მათ შიდა ბაზარზე არ აღემატება 1,5-2%, მზა პროდუქციაზე საიმპორტო კონტინგენტების, შედარებით მაღალი საბაჟო მოსაკრებლებისა და სხვა მექანიზმების გამოყენების მეშვეობით, მაქსიმალურად აფერხებენ ამ ქვეყნებიდან ამ პროდუქციის ექსპორტს.

შედეგად, განვითარებადი ქვეყნების ექსპორტი 60-70-ან წლებში იზრდებოდა ძალზედ დაბალი ტემპებით. მისი მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნებოდა (ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე, ნაწილობრივ ნედლეულის სხვა სახეობებზე ფასების ზრდის გავლენით) 1974-1975 წლწბში ე.წ. ენერგეტიკული კრიზისის პირველი ეტაპზე; შემდგომ 1979-1980 წლებში (მეორე ეტაპი), და 2000 წლიდან დღემდე. 1980 წელს განვითარებადი ქვეყნების მთლიანი ექსპორტის 55% მოდიოდა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკ) წევრ ქვეყნებზე. განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში 1948 წლის 30%-დან, 1970 წლისათვის შემცირდა 18%-მდე. 70-80-ან წლწბში იგი გაიზარდა 29%-მდე. მაგრამ, ნავთობზე მოთხოვნის შემცირებამ და შედეგად ნავთობზე ფასების მნიშვნელოვანი ვარდნამ განაპირობა ოპეკი-ს ქვეყნების ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება. ნავთობზე ფასების სტაბილიზაციის ან მაღალ დონეზე შენარჩუნების ოპეკის პოლიტიკამ, გამოიწვია განვიარებადი ქვეყნების საერთო ჯგუფში ექსპორტის კატასტროფული ვარდნა. მიუხედავად იმისა რომ ნავთობზე ფასები ჯერ-ჯერობით მაღალია და კვლავ იზრდება, მსოფლიო ექსპორტში განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი არ აღემატება 26%.

აღსანიშნავი მოვლენაა ახალი ინდუსტრიული ქვეყნების, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ე.წ. დიდი დრაკონის ქვეყნების ექსპორტის სწრაფი ზრდა. სამხრეთ კორეის, სინგაპურის, ჰონკონგის ექსპორტი 4,9 მილიარდი დოლარიდან (1970წ), გაიზარდა 320 მილიარდ დოლარამდე. სამხრეთ კორეის, სინგაპურისა და ჰონკონგის წილმა მსოფლიო ექსპორტში 7,5%-ს მიაღწია.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთაკავშირის ქვეყნებს, მათი ექსპორტის ვარდნამ 80-ან, და განსაკუთრებით 90-ან წლებში, განაპირობა მათი როლის მნიშვნელოვანი დაკნინება მსოფლიო ექსპორტში და სამწუხაროდ ეს მაჩვენებელი დღესაც უმნიშვნელოა.

3.4. სამეცნიერო -ტექნიკური პროგრესი და მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურა

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენით მიმდინარე ძვრებმა მსოფლიო ეკონომიკასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის არსებითი ცვლილებები.

ყველაზე დინამიურ და ინტენსიურ სექტორს წარმოადგენს გადამამუშავებელი მრეწველობა.

შეფასებებით, მეცნიერება ტევადი პროდუქციის ექსპორტი შეადგენს 500 მილიარდ დოლარზე მეტს. ამასთან, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების საერთო ექსპორტში, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ხვედრითი წილი 31,2%-დან 37,9%-მდე გაიზარდა. მეცნიერება ტევადი დარგები ყველაზე მეტადაა ჩართული შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ასე მაგალითად, თუ მთლიანობაში გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის საექსპორტო ქვოტა, გასული საუკუნის 80-ან წლებში გერმანიაში, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და იტალიაში შეადგენდა 25-30%, ანალოგიური მაჩვენებელი მაღალტექნოლოგიური დარგებისათვის 30-50%-ს ფარგლებში მერყეობდა. იაპონიასა და აშშ-ში, გადამამუშავებელ მრეწველობის საექსპორტო ქვოტა შეადგენს შესაბამისად 14% და 8%, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მიხედვით ეს მაჩვენებელი თითქმის 2-ჯერ მაღალია და შეადგენს შესაბამისად 25% და 15%.

შიდადარგობრივი სპეციალიზაციის დონის, უპირველეს ყოვლისა მანქანათმშენებლობაში, ზრდის შედეგად, მნიშვნელოვნად ამაღლდა მანქანა-დანადგარების როლი მსოფლიო ვაჭრობაში, გაფართოვდა სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნებს შორის მანაქანათმშენებლობის პროდუქციის გაცვლა (ლაპარაკია არამხოლოდ მზა ნაწარმზე, არამედ დეტალებს და ცალკეულ კვანძებზე). გასული საუკუნის 80-ან წლწბთან შედარებით, დეტალების, კავნძების, აგრეგატების ხვედრითი წილი მანქანათმშენებლობის პროდუქციის ექსპორტში 22.5-დან 47% გაიზარდა. არსებით მნიშვნელობას იძენს მაკომპლექტებელი მოწყობილობების მიწოდება მშენებარე ობიექტებისათვის, განსაკუთრებით წარმოების უახლეს დარგებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, უშუალოდ და მეცნიერებატევად დარგებს შორის გაცვლების მეშვეობით, სტიმულს აძლევს ქვეყნებს შორის მომსახურების (როგორც საწარმოო, ასევე კომერციული და საფინანსო-საკრედიტო ხასიათის) გაცვლის პროცესის გაძლიერებას. თავის მხრივ მომსახურების ექსპორტ-იმპორტი (განსაკუთრებით ინჟინერინგი, ლიზინგი, კონსალტინგი, საინფორმაციო-გამოთვლითი მომსახურება) ასტიმულირებს საწარმოო დანიშნულების საქონლებით საერთაშორისო ვაჭრობას. უკვე გასული საუკუნის ბოლოს, კომპლექსური მოწყობილობების საგარეო შესყიდვების 80%-ზე მეტი, უშუალოდ იყო დაკავშირებული საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურეობის გაწევასთან, ხოლო ლიზინგური მიწოდებების წილად მოდიოდა სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნებიდან ექსპორტირებული მსუბუქი მანქანებისა და კომპიუტერული ტექნიკის 20-30%.

ნავთობზე ფასების სწრაფმა ზრდამ განაპირობა მსოფლიო ვაჭრობაში მინერალური საწვავის ხვედრითი წილის მკვეთრი ზრდა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონის გარკვეულწილად შემცირება. მაგრამ ნავთობზე ფასების შემცირების კვალობაზე პროცესის დინამიკა კვლავ უბრუნდება საწყისი წონასწორობის მდგომარეობას.

მანქანებითა და მოწყობილობებით ვაჭრობა 90-ანი წლებიდან ძალზედ მაღალი ტემპებით იზრდება. ამ პროდუქციის ექსპორტი სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნებიდან გაზრდილია 2,5-ჯერ. მათ შორის იაპონიიდან 2,9-ჯერ, გერმანიიდან 2,3-ჯერ, აშშ-დან 2,2-ჯერ და ა.შ. ამასთან ერთად ამ ჯგუფის ქვეყნებში იზრდება მანქანა-დანადგარების იმპორტიც. მოცემული საქონლებით ისეთი უმსხვილესი მანქანათმშენებელი ქვეყნების, როგორებიც არიან აშშ და დიდი ბრიტანეთი, იმპორტი, ამ პროდუქციის ექსპორტსაც კი აჭარბებს. მხოლოდ იაპონიისა და გერმანიის მანქანათმშენებლობის ექსპორტი აღემატება იმპორტს.

მანქანა – მოწყობილობებით ვაჭრობის ზრდის ტენდენცია ასახავს მანქანათმშენებლობის სფეროში შრომის საერთაშორისო დანაწილების დონის ზრდის დინამიურ პროცესს, აგრეთვე კონკურენციული ბრძოლის გამძაფრების ტენდენციას, კერძოდ კი ბრიტანული და ამერიკული მონოპოლიების პოზიციათა გარკვეულ შესუსტებას.

განსაკუთრბულად მაღალი ტემპებით იზრდება ელექტრო-ტექნიკური და ელექტრო მოწყობილობების ექსპორტი, რომლებზეც უკვე მოდის მანქანათმშენებლობის პროდუქციის 80%-ზე მეტი. გასული საუკუნის 80-ანი წლების კრიზისის პირობებშიც კი ელოქტრონული მოწყობილობების ექსპორტი სწრაფად იზრდებოდა, რომლის მოცულობაც 2-ჯერ აჭარბებდა სხვა ელექტროტექნიკური მოწყობილობების ექსპორტს.

საერთაშორისო სპეციალიზაციის გაღრმავების პროცესი მნიშვნელოვნად აისახა ქიმიურ მრეწველობაზეც. ამ სფეროში უმსხვილესი ექსპორტიორები, ამავდროულად უმსხვილეს იმპორტიორებადაც გვევლინებიან. მაგალითად გერმანია ახორციელებს 44 მილიარდი დოლარის ღირებულების ქიმიური პროდუქციის ექსპორტს, პარალელურად კი იმპორტის ხაზით ღებულობს 24 მილიარდის ღირებულების მარტო ქიმიკატებს. აშშ შესაბამისად 33,1 და 20,0 მილიარდი დოლარის და აშ.

მსოფლიო მეურნეობაში სამრეწველო წარმოების ზრდა განაპირობებს ნედლეულის მოხმარების ზრდას, და შესაბამისად ამ საქონლით ვაჭრობის აბსოლუტურ განზომილებაში ზრდას. მაგრამ ამ სახის საქონლით ვაჭრობის ტემპები მნიშვნელოვნად ნაკლები აღმოჩნდა მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპებთან შედარებით, რაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მომქმედი ფაქტორების გავლენის შედეგია (მაგალითად რესურს დამზოგავი ტექნოლოგიები, ნატურალური ნედლეულის სინთეტიკურით ჩანაცვლება და ა.შ). გავლენა იქონია გარკვეულმა ძვრებმა მსოფლიო წარმოების გაადგილებაში. კერძოდ ნედლეულის მიმწოდებელ ზოგიერთ ქვეყნებში გაჩნდა ნედლეულის პირველადი გადამუშავების მრეწველობა და მის ბაზაზე მზა პროდუქციის წარმოება (საფეიქრო მრეწველობის გაჩენა ბამბის ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებში, მაგალითად ჩინეთი).

განვითარებულ სამრეწველო ქვეყნების სოფლის მეურნეობაში, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, განაპირობა ამ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სასურსათო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონის მნიშვნელოვანი ზრდა. ამან კი განაპირობა მსოფლიო ბაზარზე სურსათზე მოთხოვნილების ფარდობითი შემცირება. მეორეს მხრივ, იზრდება მასზე განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილება, რამდენადაც ბევრ მათგანში იგრძნობა სურსათის მნიშვნელოვანი უკმარისობა. მაგრამ საფინანსო შესაძლებლობების შეზღუდულობა ხელს უშლის მათ, მნიშვნელოვნად გაზარდონ მსოფლიო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვები. ამ ფაქტორების ზეგავლენით, სურსათით მსოფლიო ვაჭრობა დაბალი ტემპებით იზრდება, ხოლო მისი წილი მსოფლიო ვაჭრობის მთლიან ბრუნვაში კი ეცემა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ენერგეტიკული რესურსების უფრო ეკონომიკურ და ეფექტურ ხარჯვას უწყობს ხელს. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში, ნავთობს უკავია. რამდენადაც მათ უმრავლესობას (აშშ-ს გარდა) საკუთარი ნავთობი არ გააჩნიათ, ისინი ძირითადად მის ნავთობმომპოვებელი ქვეყნებიდან იმპორტს ახდენენ, რომლებმაც საკუთარი მიწოდების მოცულობა 50-ანი წლებიდან 70-ანი წლების შუა პერიოდამდე, 12-ჯერ გაზარდეს. 70-ანი წლების ბოლოს და 80-ან წლებში ნავთობზე მსოფლიო ფასების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა ამ სასაქონლო ჯგუფის ხვედრითი წლის მნიშვნელოვანი ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში, თუმცა ნავთობის ექსპორტი ამ პერიოდში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა (ზოგიერთ წლებში შემცირდა კიდეც). ბოლო პერიოდში ნავთობზე ფასები კვლავ იზრდება, და შედეგად მოცემული საქონლის ხვედრითი წილი მსოფლიო ვაჭრობაში კვლავ მაღალია.

თუ კი შევადარებთ ომის წინა პერიოდის მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურას დღევანდელთან, განსხვავებანი თვალში საცემია. ომამდე საქონელბრუნვის 2/3 მოდიოდა სურსათზე, ნედლეულსა და საწვავზე. გადამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი 1/3-დან 3/4-მდე გაიზარდა. თანამედროვე ვაჭრობის 1/3-ზე მეტი მოდის მანქანა-მოწყობილობებით ვაჭრობაზე. ბუნებრივია, რომ მსოფლიო ვაჭრობის ამგვარ ძირეულ ცვლილებებს შეუძლებელია არ გამოეწვია საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციული ცვლილებები და არ ასახულიყო კონკურენციული ბრძოლის ფორმებზე.

3.5. განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა

60-ან წლებში გამოიკვეთა განვითარებადი ქვეყნების ექსპორტში მანქანათმშენებელი დარგების პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდის ტენდენცია. 70-ან წლებში, ნავთობზე მსოფლიო ფასების მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ის რომ, ამ ქვეყნების ჯგუფის მთლიან ექსპორტში 1/2ზე მეტი დაიკავა საწვავმა, ძირითადად ნავთობმა. მაგრამ ნავთობის ექსპორტიორია ოპეკი-ს წევრი ქვეყნების მცირე ჯგუფი, სადაც 70-ან წლებში მთელი ექსპორტის 95% მოდის მხოლოდ ნავთობზე.

სხვა განვითარებადი ქვეყნების ექსპორტში იზრდებოდა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც ინდუსტრიალზაციისა და ექსპორტის დივერსიფიკაციის პროცესის გარკვეულ წარმატებებზე მიუთითებს ამ ქვეყნებში.

განვითარებადი ქვეყნების ექსპორტში, გარკვეული როლის თამაშს იწყებენ მანქანა-მოწყობილობანი, ქიმიკატები, შავი და ფერადი მეტალურგიის პროდუქცია. მაგრამ გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტში არსებით როლს თამაშობს მსუბუქი მრეწველობის დარგები, რომელთა წილადაც მოდის განვითარებადი ქვეყნების (ოპეკის ქვეყნების გარეშე), მთლიანი ექსპორტის 16%.

ვახასიათებთ რა პოზიტიურ ძვრებს განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვაჭრობაში, რომელიც მოწმობს სამრეწველო პროდუქციის წილის ზრდას მთლიან ექსპორტში, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ამ ქვეყნების დიფერენციაციის პროცესი, ანუ ქვეყნების განსაზღვრული ჯგუფის გამოყოფა, სადაც სწრაფად იზრდება ექსპორტზე ორიენტირებული მრეწველობა.

განვითარებადი ქვეყნების გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიანი ექსპორტის 70%-ზე მეტი მოდის ქვეყნების ამ დიდი ჯგუფის მხოლოდ 17 ქვეყანაზე, მ.შ. ხუთ უმსხვილეს ექსპორტიორზე – 40%. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადამამუშავებელი დარგების ექსპორტი სამხრეთ კორეიდან, ჰონკონგიდან, სინგაპურიდან. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება ჩინეთი. რომელიც ეკონომიკის ზრდის ტემპებითა და სამრეწველო ზრდის აბსოლუტური მაჩვენებლებით, პირველ ადგილზე გავიდა მსოფლიოში. ეს ქვეყნები შედიან ე.წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფში. აქ მრეწველობის განვითარებაში აქტიურ როლს თამაშობს უცხოური კაპიტალი. მაგალითად სინგაპურის ექსპორტის 90% მოდის უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალთა პროდუქციაზე, სამხრეთ კორეაში კი 27%.

გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნებიდან, მხოლოდ ინდოეთში თამაშობენ ნაციონალური მწარმოებლები გადამწყვეტ როლს. ლათინურ ამერიკაში მსხვილ ექსპორტიორებს წარმოადგენენ ძირითადად უცხოური ტნკ ფილიალები. მათი წილი ექსპორტში არგენტინასა და კოლუმბიაში შეადგენს 30%, მექსიკაში 34%, ბრაზილიაში 43%-ზე მეტს. ცდილობენ რა მიუსადაგონ ახალ პირობებს, რომელიც სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით გამოიწვია ცვლილებები მსოფლიო წარმოებაში, აგრეთვე მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების მცდელობამ მოახდინონ საკუთარი ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია, ტნკ-მა გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების, ხშირად კი უახლესი დარგების შექმნაში მონაწილეობის მიღების კურსი აიღეს. ცხადია ისინი ეფექტურად იყენებენ ამ ქვეყნებში სამუშაო ძალის დაბალი ღირებულების ფაქტორს.

გადამამუშავებელ მრეწველობაში, როგორც წესი იქმნება ვიწროდ სპეციალიზირებული საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ცალკეულ დეტალებს. პროდუქციის საბოლოო დამუშავება ხდება სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში. ასე მაგალითად, ელექტრონულ მრეწველობაში მომქმედმა ამერიკულმა ტნკ-ბმა, მექსიკაში, ტაივანში, სინგაპურში შექმნეს ცალკეული ნახევარგამტარული მოწყობილობებისა და ინტეგრალური სქემების მწარმოებელი საწარმოები, რომლებიც საკუთარ პროდუქციას ძირითადში აწვდიან აშშ-ს. ზოგი ტნკ ანაწევრებს საწარმოო პროცეს ცალკეულ შემადგენლებად, ამარტივებს რთულ ტექნოლოგიას საშუალო ტექნოლოგიის დონემდე, და ქმნიან შესაბამის საწარმოებს განვითარებად ქვეყნებში. შედეგად, განვითარებადი მრავალი ქვეყნების, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტში, მნიშვნელოვანი წილით არის წარმოდგენილი ტნკ-ს შიდა საფირმო ვაჭრობა.

3.6. ვაჭრობის გეოგრაფია

შრომის საერთაშორისო დანაწილების დონის გაღრმავებამ, განაპირობა განვითარებული ქვეყნების საგარეო ვაჭრობაში, ამ უკანასკნელთა ურთიერთვაჭრობის მოცულობის ხვედრითი წილის ზრდა, და განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობის ხვედრითი წილის ფარდობითი შემცირება. მიუხედავათ ნავთობზე მაღალი ფასებისა, განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობის წილი მაინც მცირდება.

ამ თვალსაზრისით ძალზედ ნიშანდობლივია დასავლეთევროპული ქვეყნების ურთიერთ ვაჭრობის მოცულობათა სწრაფი ზრდა, რაც ამ ქვეყნებს შორის სპეციალიზაციისა და კოოპერირების მაღალი დონით არის განპირობებული. ეს პროცესი ძლიერდება ინტეგრაციული ჯგუფების, უპირველეს ყოვლისა ევროკავშირის, აგრეთვე ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ფუნქციონირების შედეგად. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ურთიერთ ვაჭრობის ზრდა მოწმობს, დასავლეთევროპული ეკონომიკური მექანიზმის ინტენსიური ფორმირების პროცესის გააქტიურებაზე.

საინტერესოა ის ფაქტიც რომ, სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობას, გადამწყვეტი როლი აკისრია იაპონიის ექსპორტში. იაპონური საქონლის გასაღების ძირითადი ბაზარია აშშ. იზრდება ექსპორტი დასავლეთევროპის ქვეყნებშიც. იაპონური საქონლის მაღალკონკურენტუნარიანობა მათ საშუალებას აძლევს, მიუხედავად იმისა რომ, ევროკავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია, ექსპორტს ამ გაერთიანებებში არამონაწილე ქვეყნებიდან საკმაოდ დისკრიმინაციულ რეჟიმში აქცევს, შეაღწიონ ევროპულ ბაზრებზე.

აშშ-ს ექსპორტში სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების, მათ შორის დასავლეთევროპული წილი შემცირდა. ევროკავშირის სავაჭრო რეჟიმი მთლად ხელსაყრელი ვერ გამოდგა აშშ-სათვის. კერძოდ, აშშ აწყდება დიდ სიძნელლებს ამ ბაზრებზე სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მიწოდებისას. გაიზარდა ამერიკული ექსპორტი იაპონიასა და ლათინოამერიკულ ქვეყნებში, აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

მთლიანობაში, განვითარებადი ქვეყნები, როგორც გასაღების ბაზრები, განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთა ექსპორტშიც რთული, თანამედროვე ტექნიკის ხვედრითი წილი განუხრელად იზრდება, ნაკლებად საინტერესოა. ცხადია იმ ფაქტის გამო, რომ განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნა ამ სახის პროდუქციაზე ჯერ-ჯერობით უმნიშვნელოა.

კოლონიალური რეჟიმის პირობებში, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის უმეტესი ქვეყნების საგარეო ვაჭრობა მხოლოდ ცალმხრივ ხასიათს ატარებდა და მეტროპოლიაზე იყო ორიენტირებული. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ახალგაზრდა ქვეყნებმა მიიღეს შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზრებზე დასამკვიდრებლად, კომპანიებს შორის გაჩაღებული კონკურენციული ბრძოლის ფაქტორის ეფექტურად გამოყენებით, თავად შეერჩიათ მათთვის მომგებიანი პარტნიორები და მიეღწიათ საკუთარი პროდუქციის გასაღებისა და წარმოების საშუალებების შეძენის უკეთესი პირობებისათვის.

ამჟამად, განვითარებადი ქვეყნების საგარეო სავაჭრო ბრუნვის უდიდესი ნაწილი განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობაზე მოდის, თუმცა ამ უკანასკნელთა ექსპორტში განვითარებად ქვეყნებთან ვაჭრობის წილი მცირედება. ყოფილ კოლონიებში, მეურნეობისა და ვაჭრობის ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურა ისეთია, რომ სამრეწველოდ განვთარებული ქვეყნები წარმოადგენენ მათი ტრადიციული საქონლების ძირითად მომხმარებლებს, და ამავდროულად აწვდიან მათ აუცილებელ პროდუქტებს, მათ შორის მანქანა-დანადგარებს.

ძლიერდება განვითარებად ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ტენდენცია. კერძოდ, ყალიბდება ერთობლივი ბაზრები და რეგიონალური ორგანიზაციები, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მათში ურთიერთვაჭრობის ტემპების ზრდას. ამგვარი თანამშრომლობის განსავითარებლად უკვე არსებობს მთელი რიგი ხელშემწყობი პირობები. თუმც არსებობს გარკვეული სიძნელეებიც, რომელიც უადაოა რომ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვლავ იარსებებს. განვითარებადი ქვეყნების საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ურთიერთვაჭრობის მოცულობის ხვედრითი წილი 70-ანი წლების 20,9% -დან, ამჟამად 40%-მდე გაიზარდა.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1.დაახასიათეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსი;
2. ჩამოთვალეთ საქართველოს ძირითადი პარტნიორი ქვეყნები;

3. ევროკავშირის რომელმა წევრმა ქვეყნებმა განახორციელეს საქართველოში ინვესტიციები;
4. მსოფლიო ვაჭრობის ტენდენციების დინამიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში;
5. ძალთათანაფარდობის ცვლილებები მსოფლიო ბაზარზე;
6. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურაზე;
7. ჩამოთვალეთ ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებანი.

თავი IV. სათბობ-სანედლეულო და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში

4.1. ნედლეულითა და სათბობით ვაჭრობის ზოგადი ტენდენციები

საზოგადოების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ბუნებრივი სიმდიდრის სულ უფრო ფართო და მრავალმხრივი გამოყენება.

ყველაზე ხშირად ნედლეულის ქვეშ გულისხმობენ მხოლოდ მომპოვებელი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, ხოლო ძირითადი მასალების ქვეშ კი გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციას.

ნედლეულის მრავალფეროვანი სახეობები, რომელსაც მოიხმარს თანამედროვე მრეწველობა, როგორც წესი ორ ჯგუფად ჰყოფენ: სამრეწველო ნედლეული და სასოფლო-სამეურნრო ნედლეული. საერთაშორისო პრაქტიკაში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს ხშირად განაკუთვნებენ სასურსათო რესურსებს, სასურსათო კულტურებს, მეცხოველეობის პროდუქტებს, მეთევზეობის პროდუქტებს, კვების მრეწველობის ნედლეულს და ა.შ.

სამრეწველო ნედლეული იყოფა მინერალური წარმოშობის (მადანი, ქვანახშირი, ნავთობი და ა.შ) ნედლეულად და ხელოვნური გზით მიღებულ ნედლეულად (სინთეტიკური კაუჩუკი, ხელოვნური ბოჭკოები, პლასტმასები და ა.შ.) თანამედროვე პირობებში მოხმარებული ნედლეულის საერთო ბალანსის სტრუქტურაში მინერალური წარმოშობის სათბობ-სანედლეულო რესურსების წილი შეფასებულია 80%-თ.

საერთაშორისო ვაჭრობის ფორმებიდან გამომდინარე, სანედლეულო საქონლები იყოფა საბირჟო (მარცვლეული, შაქარი, ნატურალური კაუჩუკი, ბამბა, ფერადი ლითონების ცალკეული სახეობები) და არასაბირჟო (ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ქვანახშირი, ფერადი და არაფერადი მეტალების მადანი, შავი მეტალი, სატყეო, ცელულოზა-ქაღალდის და სხვა საქონლები) ნედლეულად. გარიგებები პირველი ჯგუფის საქონლებზე იდება შესაბამის სასაქონლო ბირჟებზე, ხოლო მეორე ჯგუფის საქონლების რეალიზაცია კი ხორციელდება მოკლე და გრძელვადიანი კონტრაქტების შესაბამისად.

აღდგენად რესურსებს როგორც წესი მიაკუთვნებენ სასურსათო და სასოფლო-სამეურნრო სანედლეულო რესურსებს, ჰაერს, წყალს, ენერგიის შემდეგ სახეობებს: მზის, ქარის, ოკეანის, გეოთერმულს. სასარგებლო წიაღისეულიდან კი ტორფი, მარილი და ყველაფერ იმას რაც ილექება ტბების და ოკეანეების ლაგუნებში და ა.შ.

თუ კი მინერალური რესურსების დიდი ნაწილი მოხმარების პროცესში მთლიანად ნადგურდება, მერე ნაწილი გარკვეული გადამუშავების შემდეგ კვლავ ვარგისია როგორც წარმოების ნედლეული. ეს ეგრეთწოდებული მეორადი ნედლეულია.

მომპოვებელი დარგები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფია მრეწველობის სამყაროს უმეტეს ქვეყნებში. მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში, მომპოვებელი მრეწველობის ხვედრითი წილი შეფასებულია 10-12%. ხოლო ენერგო და წყალმომარაგების ჩათვლით იგი დაახლოებით 20%-ს ფარგლებშია. მსოფლიო მასშტაბში ერთობლივ შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 8%-ს უტოლდება.

მინერალური ნედლეულის ცალკეული სახეობების წარმოებისა და მოხმარების დინამიკა მიუთითებს, რომ განსაკუთრებული ტემპებით იზრდება ეგრეთ წოდებული "ახალი სახეობის ნედლეულის"-ა და სათბობის წარმოება და მოხმარება. ასე მაგალითად, უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, პლასტმასების წარმოება გაიზარდა თითქმის 60-ჯერ, ალუმინის 10-ჯერ, გაზის მოპოვება 6-ჯერ, ნავთობის თითქმის 5-ჯერ. და ეს მაშინ, როდესაც ფოლადის წარმოება გაიზარდა მხოლოდ 3-ჯერ,

ქვანახშირის მოპოვება მხოლოდ 1,5-ჯერ, თუთიის წარმოება თითქმის არ გაზრდილა. ამავე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება გაიზარდა დაახლოებით 2-ჯერ (მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ანალოგიური პროპორციის პირობებში).

ნედლეულისა და სათბობის წარმოება-მოხმარების აბსოლუტურ ზრდას, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზრდის კვალობაზე უპირისპირდება, მზა პროდუქციის ნედლეულ და სათბობტევადობის მაჩვენებელთა შემცირების ტენდენცია მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში, აგრეთვე ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო წარმოების ერთეულზე ნედლეულისა და სათბობის ხარჯის ფარდობითი შემცირება.

საზოგადოებრივ წარმოებაში მატერიალური დანახარჯების წილის შემცირების ისტორიული ტენდენცია თვალნათლივ ილუსტრირდება ნებისმიერი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის ეროვული პროდუქტის დინამიკით. მაგალითად, უცვლელ ფასებში, ერთობლივი საერთო პროდუქტი აშშ-ი 1900-1970 წ.წ. პერიოდში გაიზარდა თითქმის 9-ჯერ, ხოლო მცენარეული და მინერალური წარმოშობის სანედლეულო პროდუქტების მოხმარება კი მხოლოდ 4-ჯერ. ეს კი ნიშნავს რომ აშშ-ს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ერთეულის წარმოებაზე აშშ-ს 1970 წელს 2-ჯერ ნაკლები სანედლეულო პროდუქტი იხარჯებოდა, ვიდრე 70 წლის წინ.

70-90 წლებში, სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში მიღებულ იქნს სპეციალური პროგრამები, რომლებიც მიმართული იყო ენერგიისა და მასალების მოხმარების მიზნობრივი შემცირებისაკენ. ეს პროგრამები ეფუძვნება იმას, რომ 2-4 ჯერ უფრო მომგებიანია განხორციელდეს კაპიტალის ინვესტიცია რესურსების ეკონომიაში, ვიდრე ახალი საბადოებისა ან არსებულზე მოპოვების ზრდის ორგანიზაციაში.

80-ან წლებში მთელმა რიგმა ქვეყნებმა მიაღწიეს წარმატებებს რესურსდაზოგვის სფეროში. ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ენერგო-ტევადობა აშშ—1900 წელთან შედარებით შემცირდა 40%. ანალოგიური მაჩვენებელი იაპონიასა და საფრანგეთში შემცირდა 30%-თ. საზოგადოებრივი წარმოების მასალა და ენერგო-ტევადობის შემცირება არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს სათბობ-სანედლეულო საქონლების ფასების ცვლილებაში და პირიქით. ასე მაგალითად, 1970-2000 წწ ეროვნული შემოსავლის ენერგო-ტევადობის შემცირების 70 %მოდის 1975-1990 წ.წ. პერიოდზე, როდესაც ნავთობსა და სხვა ენერგო მატარებლებზე ფასებმა მაქსიმალურ დონეს მიაღწია.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელმაც განაპირობა ნედლეულის ეკონომია, განეკუთვნება მეორადი ნედლეულის გამოყენების ზრდა.

ტრადიციული ნედლეულის ცალკეული სახეობების მოპოვებისა და მოხმარების შემცირებას უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში, სულ უფრო განაპირობებს შემცვლელების წარმოების ზრდა.

მასალა და ენერგო ტევადობის შემცირება სრულიადაც არ ნიშნავს ნედლეულსა და სათბობზე მოთხოვნის აბსოლუტურ შემცირებას.

ქვეყნებისდა მიხედვით ბუნებრივი სიმდიდრის არათანაბარ-ზომიერი განაწილება, მრავალ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში საკუთარი სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გამო-ფიტვა და სათბობ-სანედლეულო საქონელზე მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ, სასიცოცხლო აუცილებლობად აქცია სათბობ-სანედლეულო და სასურსათო საქონლის ფართომასშტაბიანი გაცვლა. ამ გარემოების გამო, საერთაშორისო ვაჭრობაში სათბობ-სანედლეულო და სასურსათო საქონლების ხვედრითი წილი მაღალ დონეზე რჩება. ამ საქონლის ექსპორტი უკანასკნელ წლებში მიაღწევს მთელი მსოფლიო ექსპორტის 1\3, ხოლო ნახევარფაბრი-კატების ვაჭრობის (შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის) ჩათვლით კი დაახლოებით 1/2-ს.

მაღალია ცალკეული მინერალური რესურსის ხვედრითი წილი, რომელიც ექცევა საერთაშორისო ვაჭრობის არხებში. 90-ან წლებში ექსპორტის მეშვეობით რეალიზირდებოდა (რუსეთისა და დსთ-ს ქვეყნების გარეშე) თუთიის 97%, რკინის მადნის დაახლოებით 70%, მარგანეცის მადნის 60%,, ნავთობის 50%, ალუმინის 50%, და აშ.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში სათბობ-სანედლეულო და სასურსათო საქონლებით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში აშკარად იკვეთება მთელი რიგი ტენდენციებისა, რომლებმაც განაპირობეს მსოფლიო ექსპორტის სტრუქტურის არსებითი ცვლილებები. უპირველეს ყოვლისა იკვეთება მინერალურ და მცენარეულ ბაზაზე წარმოებული ნახევარფაბრიკატებით ვაჭრობის უპირატესი ზრდა, რაც საერთაშორისო ვაჭრობაზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გავლენის პირდაპირი შედეგია. მაგალითად, 1963-2000 წლებში მსოფლიო ექსპორტის 23-ჯერ გაზრდის პირობებში, მზა პროდუქციის, მანქანების, მოწყობილობების ექსპორტი გაიზარდა 32 ჯერ, ნახევარფაბრი-

კატების – 27ჯერ, საწვავის, ნედლეულისა და სურსათის კი 13ჯერ. მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტის უპირატესი განვითარება, მსოფლიო ექსპორტში სანედლეულო საქონლების ხვედრითი წილის მკვეთრი შემცირების მიზეზი გახდა. აღნიშნულ პერიოდში მათი წილი 42%-დან 24%-მდე შემცირდა.

ვამახვილებთ რა ყურადღებას მსოფლიო ვაჭრობაში სანედლეულო საქონლის ხვედრითი წილის შემცირებაზე, უნდა აღინიშნოს რომ, ლაპარაკია ამ საქონლების ექსპორტის არა აბსოლუტურ, არამედ ფარდობით კლებაზე. მოცემულ პერიოდში, მსოფლიო ექსპორტში ნედლეულის, სათბობისა და სურსათის ხვედრითი წილი შემცირდა თითქმის 1/2-თ, მაშინ როდესაც ფაქტიური ექსპორტი გაზრდილია მრავალჯერ: ნავთობი, ბუნებრივი გაზი და ქვანახშირი 20-ჯერ და მეტად, სურსათი – 10-ჯერ.

ნედლეულითა და სათბობით ვაჭრობაში განუხრელად იზრდება ღრმა გადამუშავების ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების როლი. ამ სასაქონლო ჯგუფის მთლიან ექსპორტში გაკეთილშობილებული ექსპორტის წილი 30%-დან 50%-მდე გაიზარდა.

ნედლეულის დამუშავების ხარისხის ამაღლება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ერთი და იმავე სახეობის ნედლეულით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები. მაგალითად ხეტყის გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებგანვითარებულობის გამო რუსეთი 1 კუბ.მ. ექსპორტირებულ საქონელში 2 ჯერ და მეტად ნაკლებს იღებს, ვიდრე შვეცია ან ფინეთი. საქართველოზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. უფრო მაღალი დამუშავების ნედლეულზე მზარდი მოთხოვნის ფორმირებას ხელს უწყობს იმპორტიორთა მხრიდან ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე მაღალი სტანდარტების დაწესება. ამ მიზეზით სავაჭრო ბრუნვაში სულ უფრო ფართოდ ერთვება ნავთობგოგირდის დაბალი შემცველობით, ბენზინი ტეტროეთილტყვიის შემცველობის გარეშე, პლასტმასების თვითხრწნადი სახეობები, კერამიკული მასალები, რომლებიც აზბესტოცემენტს ცვლიან და ა.შ.

მსოფლიო ექსპორტის განვითარების თავისებურებას მიეკუთვნება სათბობთან და მინერალური წარმოშობის ნედლეულთან შედარებით სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ვაჭრობის ზრდის ნაკლები ტემპები.

სურსათის ექსპორტის შემცირება აიხსნება მარცვლეულისა და მეცხოველეობის საკვების იმპორტიორ ქვეყნებში, ამ პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დონის ზრდა, რაც თავის მხრივ ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მაღალტექნოლოგიურ დარგად ქცევის შედეგია.

საერთაშორისო სანედლეულო ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგანაც სწორედ ეს სასაქონლო ჯგუფი უზრუნველყოფს ამ ქვეყნებისათვის საექსპორტო შემოსავლების 50-100%. უკანასკნელ წლებში შეინიშნება სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტში განვითარებადი ქვეყნების წილის შემცირება, თუმცა ეს ქვეყნები ინარჩუნებენ სათბობ-ენერგეტიკული საქონლის ჯგუფში ტრადიციულად მაღალ წილს. მთლიანობაში, განვითარებადი ქვეყნები ანხორციელებენ სურსათის, ნედლეულისა და სათბობის მსოფლიო ექსპორტის 45%, და ნახევარფაბრიკატების 13-15%.

არსებითი მნიშვნელობა აქვს სანედლეულო ვაჭრობას ქვეყნების სხვა ჯგუფებისათვისაც. მაგალითად 2000-ანი წლების დასაწყისში აშშ იმპორტის მეშვეობით ფარავდა საკუთარი მოთხოვნის 1/5-ს საწვავსა და ნედლეულზე, ევროკავშირის ქვეყნები – 1/3 და იაპონია კი დაახლოებით ნახევარს.

სანედლეულო საქონლების წარმოება, მოხმარება და ვაჭრობა ექვემდებარება ციკლისებური ფაქტორების ზეგავლენას, რაც სათბობ-სანედლეულო საქონლების წარმოებისა და მოხმარების პროცესების სპეციფიკიდან გამომდინარე, მომპოვებელ მრეწველობის განვითარებასა და მის პროდუქციაზე გადამამუშავებელი მრეწველობის მხრიდან მოთხოვნას შორის იწვევს მკვეთრ ასინქრონიზაციას. ეს კი ასახვას ჰპოვებს ნედლეულზე ფასების ხანგრძლივვადიან და მკვეთრ მერყეობაზე, აგრეთვე ნედლეულისა და საწვავის არარეალიზირებული მარაგების მოცულობის დინამიურ ცვლაზე. ეკონომიკური ზრდის პერიოდებში, ნედლეულისა და სათბობის დაჩქარებული მოპოვება იწყება გარკვეული დაგვიანებით, ვიდრე გადამამუშავებელ მრეწველობაში წარმოების ზრდა. ვარდნის პერიოდში, გადამამუშავებელი მრეწველობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინერციით აგრძელებს მუშაობას სრული სიმძლავრით, შემდეგ მოდის ბაზრის გადაჯერება, მარაგების ზრდა, ფასების ვარდნა და მოპოვების შემცირება.

ნედლეულისა და სათბობის მსოფლიო ბაზრის კონიუქტურაზე გავლენა აქვს ენერგეტიკულ და სანედლეულო კრიზისებს, რომლებიც წარმოადგენენ სტრუქტურულ, არა ციკლისებურ კრიზისებს. ამ კრიზისების წარმოქმნის ფორმას წარმოადგენს პერიოდულად წარმოქმნილი სიძნელეები მაგალითად, ენერგორესურსებითა და ნედლეულით უზრუნველყოფაში, მათზე

ფასების ზრდა, პოლიტი-კური წინააღმდეგობების განვითარება, ნავთობ და სანედლეულო მონოპოლიების სპეკულაციური ქმედებების მასშტაბების ზრდა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კრიზისულ მოვლენებს.

ენერგეტიკული და სანედლეულო კრიზისების წარმოშობა ასევე დაკავშირებულია განვითარებად – ნედლეულისა და ენერგორესურსების მიმწოდებელ ქვეყნებსა და სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებსა და ტნკ-ბს შორის წინააღმდეგობების გამწვავებით.

უნდა ითქვას, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა ბოლომდე მაინც ვერ მოახერხეს ნავთობისა და ნედლეულის სფეროში ბაზრის რეგულირების ხაზით საკუთარი მიღწევების შენარჩუნება და განმტკიცება. 70-ანი წლებიდან სამრეწველოდ განვითარებულმა ქვეყნებმა გააძლიერეს ერთობლივი ძალისხმევა, რაც სერიოზულად აისახა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. მასიურ მასშტაბებში დაიწყო იაფი შემცვლელებისა და რესურსდამზოგავი ტექნოლო-გიების დანერგვა, საყოველთაოდ გავრცელდა საწვავისა და სათბობის მარაგების შექმნა.

ნედლეულისა და სათბობის ბაზრის კონიუქტურაზე გავლენა აქვს არაციკლური ხასიათის სხვა ფაქტორებსაც, რომლებიც იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: მუდმივად მომქმედი (სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ბაზრების მონოპოლიური რეგულირება, სახელმწიფო-მონოპოლისტური ღონისძიებანი, ინფლაცია, საქონლის მოხმარების სეზონურობა) და დროებითი (სოციალური კონფლიქტები, სტიქიური უბედურება, პოლიტიკური მიზეზები, სპეკულაციური გააქტიურება)

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს ნედლეულისა და საწვავის წარმოების, მოხმარებისა და სავაჭრო გაცვლის სიღრმისეულ ცვლილებებს. ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მისი მატერიალური მიმართულებას წარმოადგენს ენერგიის ახალი სახეობებისა და წყაროების გამოყენება, შრომის ენერგოშეიარაღების ზრდა, ნედლეულის დაზვერვის, მოპოვების, გადამუშავების უახლესი ტექნოლოგიები, ეკონომიკურ ბრუნვაში სანედლეულო მასალების ახალი სახეობების მოქცევა, მათ შორის წინასწარ დაპროგრამებული ნიშანთვისებების მქონე მასალების დანერგვა, ბიოტექნოლოგიების ინტენსიური დანერგვა, მეურნეობის ფართო ქიმიზაცია, დიდ მანძილებზე მასიური ტვირთების ტრანსპორტირების გაიაფება.

წარმოების ორგანიზაციის სფეროში აშკარად გამოიკვეთა წარმოების გამსხვილების, მსხვილმასშტაბიანი კომპლექსების შექმნის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ინდუსტრიულ საფუძვლებზე გადაყვანის, წარმოების სპეციალიზაციის ზრდისა და მასიური რესურსებისა და უნივერსალური მოწყობილობების გამოყენებიდან, თვისობრივად ახალ, სპეციალურად მომზადებულ ნედლეულსა და მისი სპეციალიზირებულ, ავტომატიზირებულ რეჟიმში მომუშავე მოწყობილობებით გადამუშავებაზე პერეორიენტაციის ტენდენციაზე გადავა.

მოხმარების სფეროში ფართო გამოყენება ჰპოვა სხვადასხვა ტიპის ენერგო და მასალადამზოგავმა მოწყობილობებმა და ტექნოლოგიურმა სქემებმა, რომლებიც ორიენტირებულია ენერგიისა და მასალის ხარჯვის ეკონომიაზე.

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა მთელ რიგ შემთხვევებში განაპირობა ტექნიკური პრობლემების გადაჭრისადმი ახალი მიდგომების წარმოშობა. მაგალითად, ხელოვნური თანამგზავრების გამოჩენამ არასაჭიროდ აქცია ტრანსნაციონალური კაბელების წარმოებისათვის მილიონობით ტონა ტყვიის გამოყენება. და ა.შ.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ, შესაძლებელი გახადა სამეურნეო ბრუნვაში ჩართულლიყო ნედლეულის მოპოვების ახალი რეგიონები, რომლებიც პლანეტის რესურსულ პოტენციალს ზრდიან.

4.2. სათბობ-ენერგეტიკული საქონლის ძირითადი სახეობებით ვაჭრობა

საერთაშორისო ვაჭრობაში ბრუნვადი სანედლეულო და სათბობი რესურსების მრავალფეროვან სახეობებს შორის, წამყვანი ადგილი უჭირავს სათბობ-ენერგეტიკულ საქონლებს – ნავთობს, ნავთობპროდუქტებს, ბუნებრივ გაზსა და ქვანახშირს. 2000 წელს სათბობ-ენერგეტიკულ საქონლებს საერთაშორისო ვაჭრობაში მეორე ადგილი ეკავათ და მსოფლიო ექსპორტის 10,5 %-ს უზრუნველყოფდენ. ეს სასაქონლო ჯგუფი მოცემულ პოზიციაზე უსწრებს ისეთ მსხვილ სასაქონლო ჯგუფებს, როგორიცაა სურსათი, ქიმიკატები, მადანი, და სხვა. ჩამორჩება მხოლოდ მანქანებისა და მოწყობილობების სასაქონლო ჯგუფი.

ლიდერის პოზიცია სათბობ-სანედლეულო საქონლების ჯგუფში ნავთობს უკავია. ეს საქონელი თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ენერგეტიკული რესურსის უნიკალურ სახეს, რომლის

ჩანაცვლება მასიური მასშტაბით უახლოეს მომავალში შეუძლებელია. გადამუშავებული ნავთობის 1/2 -ზე მეტი გამოიყენება სამატორო საწვავისა და შიგა წვის ძრავების საპოხი მასალების სახით. საკმარისია აღინიშნოს რომ სწორედ ნავთობი უზრუნველყოფს 400 მილიონი ავტომობილისა და 70 ათასი საზღვაო ხომალდის მუშაობას. თანამედროვე სოფლის მეურნეობის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოვლა-მოყვანა უზარმაზარი ენერგიის ხარჯზე ხდება, რომელიც თხევადი საწვავის გამოყენებით მიიღება, 1 ტონა მარცვლეულის წარმოებაზე ნავთობის ხარჯი შეფასებულია 0,15 ტონით.

ნავთობის 1/10-მდე, გამოყენებას პოულობს ნავთობქიმიურ წარმოებაში. სწორედ აქ იწარმოება საქონლის ფართო სპექტრი სინთეტიკური ნაჭრიდან და პლასტმასებიდან დაწყებული დამთავრებული სინთეტიკური კაუჩუკითა და სასუქებით. საქვაბე სათბობის სახით გამოყენებული ნავთობის მხოლოდ 40%-ა შესაძლებელი ჩანაცვლდეს ენერგორესურსების სხვა სახეობებით, კერძოდ, ქვანახშირით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქვაბე საწვავი წარმოადგენს თანმდევ ნარჩენ პროდუქტს, რომელიც გარდაუვლად ჩნდება მსუბუქი ფრაქციის ნავთობის მოპოვებისას, რომელიც გამოიყენება ბენზინის, ნავთისა და დიზელის საწვავის წარმოებისას.

ომის შემდგომი პერიოდიდან მოთხოვნა ნავთობზე სწრაფი ტემპით იზრდება. მარტო 1950-1980 წლების პერიოდში ამ საქონლის მსოფლიო მოხმარება 450 მილიონი ტონიდან 2600 მილიონ ტონამდე გაიზარდა წელიწადში. ნავთობის მოხმარების სწრაფი განვითარების ძირითად სტიმულს წარმოადგენდა არა მხოლოდ ამ პროდუქტის უნიკალური სამომხმარებლო ღირებულება, არამედ ისიც, რომ მასზე ფასები მონოპოლიათა ძალისხმევით, მონოპოლიურად დაბალ დონეზე იყო შენარჩუნებული გასული საუკუნის 70-ან წლებამდე. მსოფლიო ბაზარს იაფი ნავთობის 95 % განვითარებადი ქვეყნებიდან მიეწოდებოდა. რამაც სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებს საშუალება მისცა 50-60-ან წლებში გარდაექმნათ საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული ბალანსები, და აქცენტი აეღოთ უპირატესად თხევად საწვავზე.

1970 წლის ენერგეტიკულმა კრიზისმა ნავთობის ბაზარზე სიტუაცია შესცვალა. მონოპოლიური კონტროლი შესუსტდა, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა თავად დაიწყეს ნავთობის მოპოვებისა და ფასების რეგულირება. ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო ის რომ, ფასები ნავთობსა და სხვა ენერგო მატარებლებზე გაიზარდა. 70-ანი წლების განმავლობაში, ფასები ნავთობზე გაიზარდა 17-ჯერ, ბუნებრივ გაზზე 6 ჯერ, ქვანახშირზე 3,4 ჯერ. ფასები ნავთობზე და სხვა ენერგო მატარებლებზე შენარჩუნდა 80-ანი წლების შუა პერიოდამდე, შემდეგ კი მკვეთრად დაეცა.

ჩვენ უკვე ავღნიშნეთ მიზეზები, რამაც ენერგომატარებლებზე ფასების კლება განაპირობა: ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნები, ნავთობზე ფასების მაღალ დონეზე შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ყოველივე ამის ზეგავლენით, 70-ანი წლების ბოლოდან იწყება ნავთობის გამოდევნის პროცესი სათბობ-ენერგეტიკული ბალანსებიდან, მისი ჩანაცვლება უფრო იაფი ბუნებრივი გაზითა და ელექტროენერგიით. 1975-2000 წლების პერიოდში, ყველა ტიპის ენერგო მატარებლების მსოფლიო მოხმარებაში ნავთობის ხვედრითი წილი 45%-დან 38,5%-მდე შემცირ-და. ამავე პერიოდში ქვანახშირის წილი უცვლელი დარჩა (32%), ბუნებრივი გაზის წილი გაიზარდა 20%-დან 24%-მდე, ხოლო ელექტროენერგიის, რომელიც წარმოებულია ჰიდრო და ატომურ ელექტრო სადგურებზე, გაიზარდა 35-დან 45%-მდე. დაიწყო ტრანსპორტზე საწვავის იაფი ჩამნაცვლებლების აქტიური ძიება, უპირველეს ყოვლისა იაფი გაზის, ეთილისა და მეთილის სპირტების გამოყენება.

ნავთობის მოხმარების შემცირება მიმდინარეობდა მისი მოპოვებისა და ფასების, ოპეკის როგორც მსოფლიო ბაზარზე მიწოდებისა და ფასების მარეგულირებელი როლის შემცირების ფონზე. ასე მაგალითად ოპეკის წევრი ქვეყნების წილი ნავთობის მსოფლიო მოპოვებაში 1975 წლის 59%-დან 2000 წელს 39%-მდე შემცირდა. შესაბამისად, ამ ქვეყნების წილი მსოფლიო ექსპორტში 85%-დან 70%-მდე შემცირდა. ოპეკის ქვეყნები ფლობენ მსოფლიოში დაზვერილი ნავთობის 78%.

ოპეკი ნავთობის ფასების რეგულირებას ახდენს მონაწილე ქვეყნებისათვის ნავთობმოპოვების ქვოტების დადგენით. მაგრამ ნავთობის მოპოვების ქვოტირება ყოველთვის არ იძლევა ფასების სასურველ დონეზე შენარჩუნების შესაძლებლობას.. ამის მიზეზია ან არასაკმარისი ქვოტების დაწესება, ან ორგანიზაციის წევრების მიერ მიღწეული შეთანხმებების დარღვევა.

ბაზარზე იზრდება ნავთობის ახალი ექსპორტიორი ქვეყნების - მექსიკის, დიდი ბრიტანეთის, ნორვეგიის, ეგვიპტის – რომლებიც არ არიან ოპეკის წევრები, როლი. ამჟამად განვითარებადი ქვეყნები უზრუნველყოფენ სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების ნავთობზე, გაზზე და ქვანახშირზე მოთხოვნილების დაახლოებით 70%-ს.

სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულების ხარისხი ნავთობის იმპორტზე, მათ შორის ოპეკის ქვეყნებიდან კვალავაც მაღალია: იაპონია-100%, საფრანგეთი და გერმანია – 95%, აშშ-40%.

უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება ბუნებრივი გაზით ვაჭრობა. გაზის გამოყენების ზრდა უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ გაზი ეკოლოგიურად უფრო სუფთა საწვავია და ამავდროულად მაზუთთან და ქვანახშირთან შედარებით უფრო კონკურენტუნარიანია.

ნავთობისა და სხვა ენერგომატარებლების ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების მომავლის პროგნოზები ეფუძვნება იმ ვარაუდს, რომ ერთობლივი შიდა პროდუქტის მოსალოდნელი საშუალო წლიური 2,7% ზრდის პირობებში, პირველადი ენერგიის მსოფლიო მოხმარება 2000-2001 წლებში გაიზრდა წელიწადში 1,3%-თ, ამასთან ენერგორესურსების მოხმარების ზრდა განვითარებად ქვეყნებში უფრო მაღალი იყო. მოსალოდნელია რომ ამ პერიოდში სათბობ-ენერგეტიკული ბალანსების ფორმირების უკვე გამოკვეთილი ტენდენცია შენარჩუნდება. ნავთობის წილი მსოფლიო მოხმარებაში შემცირდება 33%-მდე, ნახშირის 27%-მდე, ბუნებრივი გაზის მოხმარება გაიზრდება 24%-მდე, ჰიდრო ენერგიის, ატომური ენერგიისა და ბიომასის გამოყენებული ენერგიის მოხმარება გაიზრდება 16%-მდე.

აღნიშნულ პერიოდში, განვითარებული ქვეყნების წილი ნავთობის მოხმარებაში 50%-დან 43%-მდე შემცირდება. ამავე პერიოდში მოსალოდნელია, რომ ამ ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-ს დამოკიდებულების ხარისხი ნავთობის იმპორტზე, უპირველეს ყოვლისა ოპეკის ქვეყნებიდან, გაიზრდება.

ქვანახშირის გამოყენება შეიზღუდება უპირველეს ყოვლისა ეკოლოგიური მიზეზებით. ნავთობსა და გაზზე ფასებს ზრდის ტენდენცია ექნებათ.

4.3.სურსათით ვაჭრობა.

მანქანა-ტექნიკის საქონლებისა და სათბობ ენერგეტიკული საქონლების შემდეგ, მსოფლიო ექსპორტის უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფს წარმოადგენს სასურსათო საქონლის ჯგუფი.

2000-ანი წლების დასაწყისიდან ყველაზე დინამიურად ვითარდებოდა ხილის, ბოსტნეულის, თევზისა და ზღვის პროდუქტების ექსპორტი. ზომიერი ტემპებით იზრდებოდა რძის პროდუქტებით, ზეთოვანი კულტურების თესლით, ცხიმებითა და ხორცით ვაჭრობა. მარცვლეულის, შაქრის, ყავის,, კაკაოს, ჩაის ვაჭრობას ახასიათებდა მნიშვნელოვანი რყევები, მაგრამ მთლიანობაში არ გაზრდილა. თუმცა მარცვლოვანები რჩებიან სურსათის საერთაშორისო გაცვლის უმსხვილეს პოზიციად, მათი წილი 90-ანი წლების ბოლოს, 90-ანი წლების დასაწყისთან შედარებით დაეცა14%-დან 10%-მდე. ხილისა და ბოსტნეულის წილი პირიქით გაიზარდა12%-დან 14%-მდე, ხოლო თევზისა და ზღვის პროდუქტების წილი კი 7-დან 8,5%-მდე. სხვა სასაქონლო ჯგუფების ხვედრითი წილი კი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა: ზეთოვანი კულტურების თესლზე,ცხიმებზე, მცენარეულ ზეთსა და შროტებზე მოდის 12%, ხოლო რძის პროდუქტებზე ექსპორტის 6,5%. შეინიშნება მასიურ სასურსათო ნედლეულთან შედარებით იმ სახის სურსათით ვაჭრობის სწრაფი ზრდა, რომელიც მზადაა საბოლოო მოხმარებისათვის და გამოირჩევა დამუშავების უფრო მაღალი ხარისხით.

სურსათის ძირითადი ექსპორტიორი და იმპორტიორები არიან სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნები, თუმცა ცალკეული საქონლების ბაზარზე წამყვანი ადგილი უკავიათ ყოფილ სოციალისტურ და განვითარებად ქვეყნებს. სურსათის ყველა სახეობის მსოფლიო ვაჭრობაში, თევზისა და ზღვის პროდუქტების გამოკლებით, სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების წილს ზრდის ტენდენცია აქვს. რძის პროდუქტებში იგი აღემატება 95%-ს, მარცვლეულის, ხორცისა და სასმელების მიხედვით შეადგენს 80-90%-ს, ხილის, ბოსტნეულის, თევზის მიხედვით კი შეადგენს 60%-ს.

ყველაზე ძლიერი პოზიცია განვითარებად ქვეყნებს უკავიათ: ტროპიკული პროდუქტების ექსპორტში – მსოფლიო ექსპორტის 90%, შაქრის –50%-ზე მეტი, თევზის, ზეთოვანი კულტურების, ხილისა და ბოსტნეულის 30-35%, მარცვლეულისა და ხორცის 10%.

სურსათის უმეტესი სახეობების იმპორტში, უკანასკნელ წლებში, განვითარებული ქვეყნების წილი შემცირდა, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისა კი გაიზარდა. თევზის, ყავის, კაკაოს, ჩაის, სასმელების იმპორტში, განვითარებული ქვეყნების წილი შეადგენს 80-90%-ს, ხილის, ბოსტნეულის, ხორცის იმპორტში 75-80%-ს, ზეთოვანი კულტურებისა და რძის პროდუქტების იმპორტში 60-65%-ს, მარცვლეულის იმპორტში-43%-ს, შაქრის იმპორტში-25%-ს. განვითარებადი ქვეყნების იმპორტში ძირითადი პოზიციები ეკუთვნით: მარცვლეული- მსოფლიო იმპორტის 40%-ზე მეტი,

შაქარი, ზეთოვანი კულტურები, რძის პროდუქტები, ხორცი-მსოფლიო იმპორტის 20-30%.

თუ 80-ანი წლების დასაწყისისათვის განვითარებული ქვეყნები სურსათის ნეტო-ექსპორტიორები იყვნენ, 1985 წლიდან მათი იმპორტი უკვე აღემატება ექსპორტს. განვითარებადი ქვეყნები ტრადიციულად წარმოადგენენ სურსათის მსხვილ ნეტო-ექსპორტიორებს.

სურსათის უმსხვილეს ექსპორტიორებს წარმოადგენენ აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, კანადა, ავსტრალია, ბრაზილია, ჩინეთი,. იმპორტიორებს კი იაპონია, აშშ და ევროკავშირი.

გასული საუკუნის ბოლოს აშშ-ზე მოდიოდა სურსათის მსოფლიო ექსპორტის 13%, საფრანგეთზე -10%, ნიდერლანდებზე – 8%, გერმანიაზე –6%. მსოფლიო იმპორტში ლიდერობდნენ: გერმანია, იაპონია, აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია.

სურსათის ყველა წამყვანი იმპორტიორი, რუსეთისა და იაპონიის გამოკლებით, პარალელურად სურსათის უმსხვილესი ექსპორტიორიცაა.

აფასებენ რა სასურსათო კულტურების ბაზრის პერსპექტივას, როგორც წესი მიუთითებენ, რომ უკანსკნელ წლებში მრავალ ქვეყანაში, რომლებიც სასურსათო პროდუქციის მსხვილი მწარმოებლები არიან, მკვეთრად გაუარესდა მეურნეობრიობის ეკოლოგიური პირობები, რაც იწვევს ნიადაგების ეროზიის ფართოდ გავრცელებას, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოფიტვას, რომელიც ვეღარ აღდგება სასუქების დამატებითი შეტანით, ადრე ნაყოფიერი ნიადაგების დამარილება და ა.შ. პრობლემას ამძაფრებს სასოფლო სამეუფნეო ბრუნვიდან ნიადაგების ამოღება და მათი გადასვლა ქალაქებისა და სამრეწველო წარმოების ქვეშ.

4.4. სანედლეულო სათბობით და სხვა საქონლეებით ვაჭრობა

ქიმიური საქონლები წარმოადგენს მესამე უმსხვილეს პოზიციას მსოფლიო ექსპორტში. მათზე მოდის მსოფლიო ექსპორტის 9,5%. ქიმიური საქონლებიდან მსოფლიო ექსპორტში ლიდერობს ნავთობქიმიის პროდუქტები (ეთილენი, პროპილენი, პლასტმასები და სხვა) და მედიკამენტები. ნაკლები მნშვნელობისაა არაორგანული ქიმიის პროდუქტები, ეთერზეთები და საღებავები.

ქიმიური პროდუქტებით ვაჭრობის 60%-ზე მეტი მოდის განვითარებული ქვეყნების ამ საქონლებით ურთიერთ ვაჭრობაზე. ამ საქონლების წამყვან ექსპორტიორებს წარმოადგენენ: გერმანია, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. უმსხვილეს იმპორტიორებს განეკუთვნებიან: გერმანია, საფრანგეთი, აშშ, იტალია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია.

უკანასკნელ წლებში სავარაუდოდ გაგრძელდება მსოფლიო ქიმიური მრეწველობის უმსხვილესი საწარმოების სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნებიდან, იმ ქვეყნებში გატანის ტენდენცია, სადაც ეკოლოგიური მოთხოვნის სტანდარტები დაბალია და ნაკლებად მკაცრი. განვითარებულ ქვეყნებში მოხდება მეცნიერებად ტევადი ქიმური დარგებისა და მედიკამენტების წარმოების კონცენტრირება.

ვითვალისწინებთ რა იმ ფაქტს, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარების მდგომარეობაზე ამა თუ იმ დონით დამოკიდებული იქნება მსოფლიო მრეწველობის უმეტესი დარგების განვითარების პერსპექტივები, ქიმიკატების წარმოებისა და მათით ვაჭრობის ზრდის ტემპები, მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მთლიანობაში სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებს. შეფასებების თანახმად, პლასტმასების ტრადიციული სახეობების წარმოება გაიზრდება 60%-თ, კონსტრუქციული პლასმასებისა პრაქტიკულად გაორმაგდება. შესაბამისად გაიზრდება სხვადასხვა სახეობის პლასტმსებისა და სხვა ქიმიკატებით ვაჭრობაც.

ნედლეულით მსოფლიო ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფერადი მეტალების ექსპორტი.. ამ საქონლის საერთაშორისო ვაჭრობა საკმარისად დინამიურად ვითარდება. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ალუმინის, ცინკის, ნიკელის ექსპორტი. ფერადი მეტალების, მადნეულისა და მინერალების უმსხვილესი ექსპორტიორები არიან კანადა, ავსტრალია, აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ხოლო იმპორტიორები კი იაპონია, კორეის რესპუბლიკა, ბელგია, და ლუქსემბურგი, იტალია.

შავი მეტალების უმსხვილესი ექსპორტიორები არიან იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი. იმპორტიორები კი ჩინეთი, კორეა, იტალია, გერმანია.

შავ მეტალურგიაში მოელიან რომ უფრო სწრაფი ტემპებით გაიზრდება მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოება, რაც როგორც ჩანს ლეგირებულ მეტალებზე მოთხოვნას გაზრდის. შავი მეტალების წარმოება განვითარებულ ქვეყნებში შემცირდება, ხოლო განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი შავ მეტალურგიაში გაიზრდება. განვითარებულ ქვეყნებში შავი მეტალების მოხმარებას

შემცირების ტენდენცია ექნება. ეს განპირობებულია სხვადასხვა შემცვლელების გამოყენების ზრდის ტენდენციით (პლასტმასები, კერამიკა, ალუმინი, მინაპლასტიკები, კომპოზიტური მასალები და ა.შ.)

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

1. სასოფლო-სამეურნეო საქონლის ადგილი საერთაშორისო ვაჭრობაში;
2. სათბობ-ენერგეტიკული საქონლის ძირითადი სახეობები.

თავი V. მომსახურეობის მსოფლიო ბაზრის ფორმირების თავისებურებანი და პირობები

5.1. თანამედროვე მსოფლიო ბაზრის თავისებურებანი

საერთაშორისო ვაჭრობა ძველ სამყაროშიც არსებობდა, მაგრამ მსოფლიო ბაზარი, რომელმაც მოიცვა სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი, ყალიბდება მხოლოდ ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პროცესში. მსოფლიო ბაზრის შესახებ შესაძლებელია ლაპარაკი უკვე მე-16 საუკუნიდან.

აუცილებელია განვასხვავოთ ცალკეული ქვეყნების ნაციონალური ბაზრები და მსოფლიო ბაზარი. ამ უკანასკნელს მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს.

ეროვნულ ბაზრებზე საქონელმოძრაობა განპირობებულია მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით (საწარმოო კავშირები ქვეყნის საწარმოებსა და რეგიონებს შორის), მსოფლიო სასაქონლო ბაზარებზე არსებითი გავლენა აქვს სახელმწიფოთაშორისი საზღვრების არსებობას, ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფო საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკას. საქონელმოძრაობა ეროვნულ მეურნეობებს შორის შეზღუდულია, და ზოგიერთი საქონელი, რომელიც ცალკეულ ქვეყნებში იწარმოება შესაძლოა საერთოდაც არ მოექცეს მსოფლიო სასაქონლო ბრუნვაში.

მსოფლიო ბაზრის კიდევ ერთ ნიშანდობლივ მახასიათებელს წარმოადგენს ფასების განსაკუთრებული სისტემის, მსოფლიო ფასების არსებობა.

მსოფლიო მეურნეობაში ყალიბდება არა მხოლოდ მზა პროდუქტების სახით მატერიალიზირებული სასაქონლო ბაზარი, არამედ მომსახურეობის მსოფლიო ბაზარიც. კერძოდ შრომის დანაწილების განვითარებამ სამეცნიერო კვლევების სფეროში განაპირობა ლიცენზიებით ვაჭრობის ზრდა.

მსოფლიო ბაზარი ვითარდება ქვეყნებს შორის კონკურენციის პირობებში. ცალკეული ქვეყნების ვაჭრობის სტრუქტურა და მიმართულებები ყალიბდება მსოფლიო ბაზრებზე მათი საქონლების კონკურენტუნარიანობის ცვლილების გავლენით. მსოფლიო ვაჭრობისათვის ნიშანდობლივია როგორც ცალკეული ქვეყნების ვაჭრობის, ასევე მთლიანად მსოფლიო სასაქონლო ბრუნვის უწყვეტი ზრდა.

განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში, მსოფლიო ბაზარი სულ უფრო იქცევა მსხვილი კომპანიების მოქმედების არეალად. უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ფიქსირდება მცდელობა ამ კომპანიებისა, ურთიერთგარიგებების მეშვეობით, გადაინაწილონ გარკვეული საქონლის ბაზრები და დაამყარონ ფასებზე დიქტატი. შემდგომში, ქვეყნების უმეტესობაში მიღებულ იქნა ე.წ. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომლებიც კრძალავდა კარტელების შექმნას. ამიტომაც, ამჟამად მხოლოდ რამოდენიმე საერთაშორისო კარტელი არსებობს, თუმცა გამორიცხული არ არის სხვადასხვა ქვეყნის კომპანიებს შორის ფარული გარიგებების არსებობა მსოფლიო ბაზრების გადანაწილების თაობაზე. თანამედროვე სამყაროში ძლიერდება ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) პოზიციები. მათ რიცხვს განეკუთვნება აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების ტნკ-ბი.

უნდა აღინიშნოს რომ, მსოფლიო ბაზრის მონოპოლიზირების შესაძლებლობები ნაკლებია, ვიდრე ეროვნული ბაზრებისა. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლაში მონაწილეობს ბევრად მეტი კომპანია, მათ შორის მსხვილი ეროვნული კომპანია, რომლებიც საკუთარი ქვეყნების მხარდაჭერით სარგებლობენ. თუმცა ისიც სიმართლეა რომ, მსოფლიო მასშტაბით, მეტწილად მონოპოლიზირებული

აღმოჩნდეს მსოფლიო წარმოების მაღალსპეციალიზირებული დარგები.

მთლიანობაში, ამჟამად შესაძლოა ვილაპარაკოთ მსოფლიო ბაზრის ოლიგოპოლიურ სტრუქტურაზე, როდესაც ცალკეული საქონლის წარმოება სხვადასხვა ქვეყნის კომპანიათა არცთუ დიდი ჯგუფის ხელშია. ოლიგოპოლიური სტრუქტურა, განსაკუთრებით სამეცნიერო ტექნიკურ სფეროს საბაზრო სტრატეგიის ზოგიერთი მიმართულებით, წარმოშობს თანამშრომლობის განვითარების მძლავრ სტიმულებს. მსხვილ კომპანიათა შორის თანამშრომლობის თანამედროვე ფორმად იქცა ე.წ. სტრატეგიული ალიანსების ფორმირება. ისინი განსაკუთრებით აქტიურად ყალიბდება საინფორმაციო-ტექნოლოგიურ კომპლექსში. კომპანიები, როგორც წესი აერთიანებენ ძალისხმევას, მსოფლიო ბაზარზე სხვა კომპანიებთან კონკურენციულ ბრძოლაში გაიმყარონ პოზიციები. მაგალითად ცნობილმა ამერიკულმა კომპანია IBM მსოფლიო მასშტაბით ჩამოაყალიბა ალიანსები, რომლებშიც 40-ზე მეტი პარტნიორი მონაწილეობს. მის საპირწონედ იაპონურმა კომპიუტერულმა კომპანია "ფუძისუ"-მ შექმნა ალიანსი, ისეთ კომპანიებთან როგორებიც არიან "ტექსას ინსტრუმენტს", "სიმენს", "ჰიტაჩი". ამ ალიანსების მიზანია პროდუქციის ახალი თაობის შექმნა და დარგობრივი სტანდარტების ჩამოყალიბება.

მსოფლიო ბაზარზე კონკურენციულ ბრძოლაში აქტიურ როლს თამაშობენ ქვეყნები, რომლებიც ატარებენ არა მხოლოდ ნაციონალური ბაზრების დაცვის აქტიურ ღონისძიებებს, არამედ ანხორციელებენ საკუთარი საქონლის ექსპორტის სტიმულირების ფორსირებულ პოლიტიკას.

თანამედროვე სიტუაციის თავისებურებას წარმოადგენს მსოფლიო ბაზრის საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი რეგულირების ფორმების განვითარეაბა. მაგალითად ГААТ, (ამჟამად გარდაიქმნა WTO-დ), ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობა (ამჟამად ევროკავშირი), თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია, ინტეგრაციის ლათინოამერიკული ასოციაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია და ა.შ. ამ ორგანიზაციათა საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და ახდენს მსოფლიო ვაჭრობაზე.

5.2. მომსახურების მსოფლიო ბაზრის ფორმირების პირობები

საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ბაზრის მსოფლიო ბაზრებთან ერთად არსებობს და მათთან ურთიერთქმედებს მომსახურების მსოფლიო ბაზარიც. ამ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი მომსახურეობის სახეობები მრავალფეროვანი და მრავალსახოვანია და თავის მხრივ იშლება ცალკეულ უფრო ვიწრო ბაზრებად. კერძოდ: ლიცენზიებისა და "ნოუ-ჰაუ"-ს ბაზარი, საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების ბაზარი, კაპიტალური მშენებლობის ობიექტთა მომსახურების ბაზარი, სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი და ასე შემდეგ.

მომსახურების მსოფლიო ბაზრის საფუძველში ძევს მსოფლიო მეურნეობის გიგანტური და სწრაფად მზარდი ნაწილი – მომსახურების სფერო. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-ანი წლების ბოლოს მომსახურების ყველა სახეობის წილი დასავლეთის ქვეყნების ერთობლივ შიდა პროდუქტში 55%-ს შეადგენდა. საუკუნის ბოლასათვის კი ამ მაჩვენებელმა 70%-ს მიაღწია. განვითარებად ქვეყნებში იმავე პერიოდში ანალოგიური მაჩვენებელი 45%-დან 55%-ან დონემდე გაიზარდა. ამავდროულად იზრდება მოსახურების სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილიც. მაგალითად აშშ დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 80% მომსახურების სფეროზე მოდის.

რა აერთიანებს შრომითი საქმიანობის სხვადასხვა სახეობებს მომსახურების სფეროში?. უპირველეს ყოვლისა ის რომ, შრომის ეს სახეობა აწარმოებს სამომხამარებლო ღირებულებას, რომელიც როგორც წესი განივთებულ ფორმას არ იღებს (თუმცა მთელი რიგი მომსახურეობები იღებს ნივთობრივ ფორმას მაგალითად კომპიუტერული პროგრამების, კინოლენტების, სხვადასხვა დოკუმენტაციის სახით).

მომსახურეობის სფეროს სწრაფი ზრდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ხორციელდება უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მრავალ ქვეყანაში მიღწეულია ეკონომიკური განვითარების სიმწიფისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე. ხოლო, როგორც ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, საწარმოო პროცესის გართულებისა და სრულყოფის, ბაზრების სასაქონლო მასით გაჯერების პირობებში, მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა მომსახურეობაზე იზრდება. არა ნაკლებ-მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში შრომის დანაწილების პროცესის

ინტენსიფიცირება, რაც იწვევს საქმიანობის ახალი სახეობების წარმოქმნას, უპირველეს ყოვლისა მომსახურეობის სფეროში.

მატერიალური წარმოების სფეროდან მომსახურეობის სულ უფრო ახალი სახეობების გამოყოფა და მომსახურების ტრადიციული სახეობების ზრდა ხელს უწყობს ამ დარგში სპეციალიზირებული კომპანიებისა და ორგანიზაციების რიცხვის ზრდას. ამას ხელს უწყობს ინფორმატიკა, რომელიც მომსახურების მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს, დაეყრდნონ რა კავშირის თანამედროვე საშუალებები გამოთვლით ტექნიკას, გააფართოვონ საკუთარი საქმიანობის გეოგრაფია. მომსახურებით (მათი რეალიზაციის მიზნით) სულ უფრო ფართოდ არიან დაკავებულნი აგრეთვე მატერიალური წარმოების კომპანიებიც. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ეგმ-ს მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც ყიდიან არა მხოლოდ საკუთარი წარმოების კომპიუტერულ ტექნიკას, არამედ პროგრამულ უზრუნველყოფასაც და გამოთვლით მომსახურეობასაც. შედეგად მომსახურეობა სულ უფრო მზარდი ინტენსიურობით ხვდება ბაზარზე, მათ შორის საგარეო ბაზრებზეც.

თუმცა მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობა საქონლით ვაჭრობაზე ბევრად ახალგაზრდაა, მასაც საკმარისად სოლიდური სტაჟი აქვს. მომსახურეობის პირველი მსხვილი ექსპორტიორები იყვნენ ძველი ფინიკიელები: ჯერ კიდევ 3500 წლის წინათ ისინი რეგულარულად ახორციელებდნენ საქონლის ფრახტს სხვა ქვეყნების ვაჭრებისათვის. საერთაშორისო ტურიზმის დამფუძვნებლები იყვნენ ძველი ბერძნები: 2500 წლის წინ ფილოსოფოსი პითაგორა და ისტორიკოსი ჰერადოტე შემეცნებითი მიზნებისათვის მოგზაურობ-დნენ სხვა ქვეყნებში.

5.3. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სპეციფიკური მახასიათებლები.

მომსახურეობით ვაჭრობას ტრადიციული სასაქონლო ვაჭრობისაგან განსხვავებით ახასიათებს რიგი თავისებურებებისა.

პირველ რიგში, მომსახურება საქონლისაგან განსხვავებით ძირითადში იწარმოება და მოიხმარება ერთდროულად და არ ექვემდებარება შენახვას. ამიტომაც მომსახურეობის უმეტესი სახეობები ეფუძვნება მათ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირ კონტაქტებს. ეს გამოჰყოფს მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობას საქონლით ჩვეულებრივი ვაჭრობისაგან, როდესაც მრავალი ოპერაცია დაფუძვნებულია სავაჭრო შუამავლობასა და საქონლის შენახვის შესაძლებლობაზე. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა მოითხოვს უშუალოდ მომსახურეობის მწარმოებელთა მეტ ყოფნას საზღვარგარეთ ან მომსახურების უცხოელ მყიდველთა მეტ ყოფნას მომსახურების წარმოების ქვეყანაში. თუმცა თანამედროვე ინფორმატიკა სულ უფრო შესაძლებელს ხდის განხორციელდეს მომსახურებით ვაჭრობის ოპერაციები მანძილზე.

მეორე, მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობა მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული საქონლებით ვაჭრობასათან და მასზე სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენს. საქონლის საზღვარგარეთ მიწოდებისათვის მოიზიდება მომსახურების სულ უფრო მზარდი მოცულობა, დაწყებული ბაზრების ანალიზიდან დამთავრებული საქონლის ტრანსპორტირებით. განსაკუთებით არსებითია მომსახურეობის ზეგავლენა მეცნიერებატევად საქონლებით ვაჭრობაზე, რომელიც ითხოვს ტექნიკური მომსახურეობის, საინფორმაციო და სხვადახვა საკონსულტაციო მომსახურების დიდ მოულობას. საგარეო ბაზარზე საქონლის წარმატება დიდადაა დამოკიდებული მომსახურების მოცულობასა და ხარისხზე, რომელსაც საჭიროებს საქონლის წარმოება და გაყიდვები (ბევრ შემთხვევაში არსებითი როლი ეკისრება გაყიდვათა შემდგომი მომსახურების ხარისხსა და მოცულობას).

ამავდროულად, მომსახურეობითი საერთაშორისო ვაჭრობა, მჭიდროდ ურთიერთქმედებს კაპიტალების საერთაშორისო მოძრაობასა და სამუშაო ძალის გადაადგილებასთან, რაც საერთოდ შეუძლებელია საბანკო, ინფორმაციული, სატრანსპორტო და სხვა მომსახურეობის გარეშე. ამსთან, საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრების ზრდა ახდენს მომსახურეობის მსოფლიო ბაზრის სტიმულირებას.

მესამე, მომსახურების სფერო, სახელმწიფოს მიერ როგორც წესი მეტადაა დაცული უცხოური კონკურენციისაგან, ვიდრე მატერიალური წარმოების სფერო. უფრო მეტიც, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საფინანსო და სადაზღვევო მომსახურება, მეცნიერება, განათლება, ჯანდაცვა ბევრ ქვეყანაში იმყოფება სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში ან მკაცრად კონტროლდება ამ უკანასკნელის მიერ. მომსახურების იმპორტი მნიშვნელოვანი მაშტაბებით, როგორც ბევრ ქვეყანაში მიიჩნევს საზოგადოება და სახელმწიფო, შესაძლოა შეიცავდეს მათი სუვერენიტეტის, უსაფრთხოების ან კეთლდღეობისათვის საფრთხეს. შედეგად, მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობის წინაშე

უდავოდ მეტი ბარიერია, ვიდრე ადგილი აქვს საქონლებით ვაჭრობისას.

მეოთხე, მომსახურეობის არა ყველა სახეობა, ტრადიციული საქონლისაგან განსხვავებით, გამოსადეგია საერთაშორისო სამეურნეო ბრუნვაში ფართო მასშტაბით ჩასართავად. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება მომსახურეობის ზოგიერთ სახეობებს, რომელიც უპირატესად პირად მოხმარებაში ექცევა. საეჭვოა მოველოდეთ საერთაშორისო ვაჭრობის შესამჩნევ ზრდას მომსხურეობის ისეთ სახეობებში, როგორიცაა კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება, თუმცა სამომხმარებლო მომსახურების სხვა სახეობებს ამ კუთხით უკეთესი პერსპექტივები აქვთ. ასე მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის ჯანდაცვისა და განათლების სიტემის წარმატებები სულ უფრო იზიდავს უცხოელებს სამკურნალოდ და განათლების მისაღებად, ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების განვითარების მაღალი დონე ზრდის ამ ქვეყნის შემოსავლებს საზღვარგარეთ გასტროლებიდან და კინოგაქირავებიდან, ხოლო ტურიზმის სწრაფი განვითარება სულ უფრო ფართოდ ითრევს უცხოელთა მომსახურეობაში საცალო ვაჭრობას, საზოგადოებრივ კვებას, სასტუმროების მეურნეობას, მუზეუმებსა და ქვეყნის სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

მაგრამ, ამჟამად და პერსპექტივაშიც, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში დომინანტური მდგომარეობა უკავია და ექნება მომავალში მომსახურებას, რომელიც ძირითადში დაკავშირებულია შრომით საქმიანობასთან.

5.4. მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა, სტრუქტურა და გეოგრაფია

მომსახურბის გატანის ზრდის პროცესი იყო უწყვეტი: გასული საუკუნის 70-ან წლები სწრაფი, 80-ან წლებში კი - შედარებით შენელებული. მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპები 80-ან წლებში დაეცა, რაც გარდაუვლად აისახა და გავლენა იქონია მომსახურეობის საერთაშორისო გაცვლის დინამიკაზე.

თანაფარდობა მომსახურების ექსპორტსა და საქონლების ექსპორტს შორის, რომელიც განხილულ პერიოდში დაახლოებით შეადგენდა 1:4, უნდა ჩაითვალოს დადებლებულად. მომსახურეობის მრავალი სახეობა, რომელიც ექცევა საერთაშორისო ბრუნვაში, მომსახურეობით ვაჭრობის სტატისტიკაში ასახულია ან არა სრულად, ან უშუალოდაა ჩათვლილი საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაში. ექსპერტთა აზრით, ეს შეეხება უპირველეს ყოვლისა საინფორმაციო მომსახურეობას ან ექსპორტირებული მეცნიერებატევადი საქონლების გაყიდვების შემდგომ მომსახურეობას. არასაკმარისადაა გათვალისწინებული ტურისტების, ბიზნესმენთა, სტუდენტებისა და დიპლომატების ხარჯები მათი სხვა ქვეყნებში ყოფნის პერიოდში. ყოველთვის არ არის გამოყოფილი მანქანა-დანადგარების მიწოდების ხარჯებიდან საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურეობა. შედეგად კი მომსახურეობის ექსპორტის ფაქტიური მოცულობა, მაგალითად აშშ-დან, ზოგიერთი შეფასებით თითქმის ორჯერ მეტია ვიდრე ოფიციალური მაჩვენებელი.

მომსახურეობის კლასიფიკაცია და მათი წარმოებისა და ვაჭრობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ჩამოყალიბება შეადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. საერთაშორისო სტატისტიკა იძლევა მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურის შესახებ საკმაოდ შეზღუდულ ინფორმაციას. მსოფლიო სავალუტო ფონდი ვაჭრობის ამ სახეობას მხოლოდ ოთხ სახეობად ჰყოფს: ფრახტი, სხვა სატრანსპორტო მომსახურება, ტურიზმი, სხვა მომსახურეობანი.

სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ მომსახურეობათა ექსპორტში შემცირდა ტრანსპორტის ხვედრითი წილი (ფრახტს პლიუს სხვა სატრანსპორტო მომსახურება), ძირითადად ფრახტის ხარჯზე. სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების გადასვლამ განვითარების ენერგო და მასალადამზოგველ მოდელებზე განაპირობა ის რომ, ვაჭრობა და შესაბამისად ნავთობისა და სხვა სანედლეულო საქონლების გადაზიდვები ამჟამად იზრდება უფრო ნაკლები ტემპით, ვიდრე ადრე. ამასთან შემცირდა გადასაზიდი ტვირთების ღირებულებაში სატრანსპორტო ხარჯების წილიც.

მაღალია და უკანასკნელ პერიოდში იზრდება ტურიზმის წილი. ასევე მატულობს სხვა მომსახურეობათა წილიც. ამ ჯგუფში ტრადიციულ მომსახურეობებთან ერთად (საბანკო, სადაზღვევო, საბირჟო, საშუამავლო და სხვა), შედის თანამედროვეობისათვის ნიშანდობლივი მრავალი მომსახურეობის სახეობა, რომლებიც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ტექნოლოგიების, ცოდნისა და გამოცდილების ექსპორტთან. მომსახურეობის ეს სახეობები წარმოადგენენ ყველაზე დინამიურად განვითარებად სახეობებს არა მხოლოდ “ სხვა მომსახურეობის” სტატისტიკურ ჯგუფში, არამედ მომსახურეობის მთლიან ექსპორტშიც. მაგალითად მომსახურეობის

თანამედროვე სახეობების ხვედრითი წილი საფრანგეთიდან მომსახურების მთლიან ექსპორტში, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში გაიზარდა 1/12-დან 1/5-მდე, დიდი ბრიტანეთში 1/7-დან 1/4-მდე.

თუმცა საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებული ქვეყნების წილი მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობაში ეცემა, ესენი მაინც რჩებიან მომსახურეობის ყველა სახეობის ძირითად ექსპორტიორ-იმპორტიორ ქვეყნებად. დასავლეთის 6 წამყვან ქვეყანაზე მოდის მომსახურეობის მსოფლიო ბრუნვის, ანუ დაახლოებით იმდენი რამდენიც საქონლებით მსოფლიო ვაჭრობაში. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ტნკ-ათა უცხოურ ფილიალებში მომსახურეობის საკითხები. ამ მომსახურეობათა მოცულობა რამოდენიმეჯერ აღემატება მომსახურეობის ექსპორტს წამყვანი ქვეყნებიდან, რომელიც თავისმხრივ მნიშვნელოვან წილად უზრუნველყოფილია იმავე ტნკ-ბიდან ექსპორტით. მაგალითად მათზე მოდის აშშ-დან მომსახურების ექსპორტის 40-50%.

მომსახურეობის უმეტესი სახეობების ხასიათი (არ ექვემდებარება შენახვას, წარმოება და მოხმარება დროში ემთხვევა), ასტიმულირებს დასავლური კომპანიების მზარდ დაინტერესებას აწარმოონ მომსახურება საზღვარგარეთ, როგორც მათი საზღვარგარეთ მიწოდების ძირითადი საშუალება. ამისაკენ მათ უბიძგებს სულ უფრო მჭიდრო კავშირი საქონლებსა და მომსახურეობას შორის, რის შედეგადაც საქონლის ექსპორტი მოითხოვს სულ უფრო სრულყოფილი საქონელგამტარი ქსელის განვითარებას, რომელიც თავის მხრივ ძირითადში შესდგება მომსახურეობისაგან. შედეგად მსოფლიოში განთავსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 40%-ზე მეტი დაბანდებულია მომსახურების სფეროში, ძირითადში საცალო და საბითუმო ვაჭრობაში, საბანკო მომსახურებასა და დაზღვევაში. ხშირ შემთხვევაში მომსახურების ექსპორტი და მათი წარმოება საზღვარგარეთულ ფილიალებში იმდენადაა ურთიერთ გადახლართული, რომ მათი გამიჯვნა ძალზედ გართულებულია. ეს შეეხება უპირველეს ყოვლისა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და ა.შ. საზღვარგარეთულ წარმომადგენლობებს.

მომსახურეობის მსოფლო ბაზარზე აქტიურად მოქმედებენ როგორც კომპანიები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან მომსახურეობის წარმოებაზე, ასევე სამრეწველო ფირმებიც. ისინი ბაზარს სთავაზობენ მომსახურების სულ უფრო ფართო პაკეტს. რის შედეგადაც განსხვავებანი მატერიალური წარმოებისა და მომსახურეობის მწარმოებელ კომპანიებს შორის განსხვავებანი თანდათანობით იშლება.

რა არის მომსახურეობის მზარდი დივერსიფიცირების ძირითადი მიზეზი?. კავშირგაბმულობის გამოთვლითი ტეხნიკის თანამედროვე საშუალებანი (ხშირად ისენი გაერთიანებულია გლობალურ საინფორმაციო ქსელებში და ეკუთვნის მსხვილ კორპორაციებს) შესაძლებელს ხდიან ერთდროულად აღმოჩნდე მომსახურეობის მრავალი სახეობების ბაზრებზე. სთავაზობენ რა მომსახურების სულ უფრო ტევად და მრავალფეროვან პაკეტებს, კომპანიებს შესაძ-ლებლობა ეძლევათ გააძლიერონ საკუთარი კონკურენტუნარიანობა, მომსახურეობის დივერსიფიცირების შედეგად შეასუსტონ განხორ-ციელებული ოპერაციების კომერციული რისკები. მაგალითად საბანკო, სადაზღვევო, საბირჟო და საშუამავლო ოპერაციები სინთეზირედება საფინანსო მომსახურების ერთიან კომპლექსში. შეთავაზებული მომსახურების დივერსიფიცირება ასევე დამახასიათებელია სამრეწველო კომპანიებისათვისაც, რომლებიც საკუთარი საზღვარგარეთული ფილიალების მოთხოვნას აკმაყოფილებენ საკუთარი ძალებით ან მომსახურეობის სფეროს კომპანიების მეშვეობით. ეს კომპამპანიები ახდენენ მომსახურების ნაწილის ექსპორტირებას.

მომსახურების მსოფლიო ბაზარზე არსებობს მრავალ-რიცხოვანი შეზღუდვები უცხოელი ინვესტორებისა მომსახურების ექსპორტიორთათვის. ტნკ, რომლებიც დომინირებენ ამ ბაზრებზე, იბრძვიან მომსახურების სფეროს ლიბერალიზაციისათვის, მათ შორის მათ საზღვარგარეთულ ფილიალებთან მიმართებაში პოლიტიკის ლიბერალიზაციისათვის. რამდენადაც ფილიალების კონკურენტუნარიანობა დიდწილად დამოკიდებულია მათ შესაძლებლობაზე მიიღონ დამუშავებული ინფორმაცია ქვეყნებიდან, სადაც განთავსებულია კომპანიის შტაბ-ბინა.. ინფორმაციის ტრანსასაზღვრო ნაკადის ლიბერალიზაციის საკითხი იქცა ტნკ-თა პრინციპულ მოთხოვნად.

განვითარებადი ქვეყნების წილი მომსახურეობის საერთა-შორისო ვაჭრობაში თანდათანობით იზრდება. ზოგიერთი მათგანი იქცა არა მხოლოდ მომსახურების მსხვილ იმპორტიორად, არამედ ექსპორტიორადაც. მაგალითად სამხრეთ კორეის რესპუბლიკა საინჟინრო-საკონსულტაციო და საამშენებლო მომსახურების სფეროში, მექსიკა-ტურისტულ, სინგაპური - საფინანსო მომსახურე-ბის სფეროში და ა.შ. ზოგირთი განვითარებადი ქვეყნისათვის

(მაგალითად მცირე კუნძულოვანი ქვეყნები) მომსახურეობა შეადგენს საექსპორტო შემოსავლების ძირითად ნაწილს.

მთლიანობაში კი განვითარებადი ქვეყნების პოზიცია მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობაში სტაბილურია. მსოფლიო ეკონომიკაში ამ ქვეყნების მცირე წილი სუსტად განვითარებულ მომსახურეობის სფეროსთან ერთად, ხელს უშლის მომსახურების, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის თანამედროვე სახეობების ექსპორტის ზრდას. განვითარებადი ქვეყნების უმეტესობას მომსახურეობით ვაჭრობის უარყოფითი სალდო აქვთ.

განვითარებადი ქვეყნების, განსაკუთრებით ე.წ. ახალი ინდუსტრიული ქვეყნების მისწრაფება საკუთარი უპირატესობების ბაზაზე (იაფი სამუშაო ძალა, უნიკალური ბუნებრივი და კულტურული სიმდიდრეები, ხელსაყრელი გეოგრაფიული გაადგილება) გაზარდონ მომსახურების სფეროს ექსპორტი, ტრადიციულად წააწყდება სერიოზულ პრობლემებს, მათ შორის კონკურენციას ტნკ-ბის მხრიდან, რომლებმაც შეჰქმნეს მომსახურების რეალიზაციის განვითარებული ქსელი არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ თავად დაიწყო კაპიტალის დაბანდება მომსახურეობის სფეროში საზღვარგარეთ, ძირითადად საცალო და საბითუმო ვაჭრობაში, საფინანსო მომსახურების სფეროში. თუმცა მათ თავშეკავებული პოზიცია უჭირავთ ვაჭრობის, საინვესტიციო და საინფორმაციო მომსახურების სფეროში გლობალური ლიბერალიზაციის ინიციატივებთან მიმართებაში.

მომსახურეობით საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა, განსაკუთ-რებით თანამედროვე სახეობების, აძლიერებს ამ ვაჭრობის საერთაშორისო რეგულაციების საჭიროებას.

ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორმხრივი შეთანხმებანი, როგორც დარგობრივი (უმეტესწილად ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში) ასევე სავაჭრო-ეკონომიური, რომლებშიც ასახულია მომსახურებით ვაჭრობისა და ამ სფეროში კაპიტალდაბანდებათა ცალკეული ასპექტები.

რეგულაციის მეორე ფორმაა რეგულირება ინტეგრაციულ გაერთიანებებს შიგნით. მაგალითად ევროგაერთიანებაში მოხსნილია შეზღუდვები საქონლითა და მომსახურეობით ურთიერთ ვაჭრობაში.

მომსახურეობით ვაჭრობის რეგულირების მნიშვნელოვანი ფორმაა რეგულირება საერთაშორისო ორგანიზაციის ჩარჩოებში. ამ საკითხებში შეთანხმებათა მოსამზადებელ სამუშაოებს ასრულებენ სამთავრობათაშორისი ორგანიზაციები (მაგალითად საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია და სხვა), აგრეთვე ფართო პროფილის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ორგანიზაციები (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა)

ამა თუ იმ ფორმით მომსახურებით საერთაშორისო ვაჭობის პრობლემატიკით დაკავებულია 40-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია. მრავალ მათგანში უკვე გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მომსახურეობით ვაჭრობის ფუნდამენტური, საბაზისო პრინციპების შესამუშავებლად. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, რომელშიც ტრადიციულად წამყვანი პოზიციები განვითარებულ ქვეყნებს უპყრიათ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში 1986 წლიდან მიმდინარე მოლაპარაკებები საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის თაობაზე (ე.წ. "ურუგვაის რაუნდი") მოიცავს სხვა დანარჩენთან ერთად მომსახურეობის სფეროს პრობლემატიკასაც, უპირველეს ყოვლისა მომსახურეობის ისეთ სფეროებს, რომელსაც განეკუთვნება საბანკო საქმიანობა, სადაზღვევო, სატრანსპორტო კავშირგაბმულობის მომსახურეობა. არის მცდელობა მიღებულ იქნას მომსახურების ეროვნული და უცხოური მომწოდებლების იდენტური რეგულირების პრინციპი, აგრეთვე გატარდეს განვითარებადი ქვეყნებისათვის განვითარებული ქვეყნების ბაზარზე შეღწევის გამარტივების და ხელმისაწვდომობის პრინციპი.

5.5. ტურიზმი, როგორც მომსახურეობის სფეროს ერთ-ერთი დარგი

როგორც მსოფლიო გამოცდილებიდან ჩანს ტურისტულ ქვეყნებში ტურიზმის მეშვეობით მნიშვნელოვნად ვითარდება ვაჭრობისა და მომსახურების სფერო, რაც იწვევს სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის მსოფლიო ასპარეზზე გატანას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომაც ტურიზმი აღმოჩნდა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებს შორის.

როგორც ცნობილია სპეციალისტები ტურიზმს მიაკუთვნებენ არამწარმოებლურ სფეროს. ე.ი. მომსახურეობის სფეროს. უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურეობის ბაზარი მსოფლიო ბაზრის დიდ ადგილს იკავებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით საერთო მოხმარების მოცულობა შეადგენს დაახლოებით მსოფლიო ექსპორტის 25%-ს.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მიერ შესწავლილი იქნა მსოფლიო ტურიზმი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. მათ ხარისხობრივ საყრდენად აღებული ჰქონდათ სამი პერიოდი:

- 1950 წელი, რომელიც მოიცავდა ომის შემდგომ პერიოდს;
- 1970 წელი, პერიოდი მოძველებული ტენდენციებისა, მსოფლიო სტაბილურობისა და ძიება ახალი ეკონომიკურ - პოლიტიკური ურთიერთობისა განსხვავებულ მსოფლიოში;
- 1990 წელი, პერიოდი ტურიზმის ინდუსტრიის უმაღლესი ტექნოლოგიების და სტუმართმოყვარეობისა, ასევე პერიოდი მსხვილმასშტაბიანი გაცვლებისა, სოციალური იმედგაცრუებისა და ცვლილებები მსოფლიო რუკაზე.

ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან და დინამიურ დარგს წარმოადგენს. განვითარების სწრაფი ტემპის და ფართო მასშტაბის გამო იგი XX საუკუნის ფენომენადაა აღიარებული. ტურიზმს მსოფლიო ეკონომიკასა და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას და ადამიანთა სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ურთიერთობის ყველაზე მასობრივ და ცივილიზებულ ფორმას წარმოადგენს. ტურიზმი დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა აღმსარებლობისა და და კულტურების ადამიანების ურთიერთობათა გაღრმავებაში. მისი საქმიანობა მიმართულია მსოფლიო ხალხთა ურთიერთგაგებისა და მშვიდობის დამყარებისაკენ.

ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ მისწრაფება დასვენებისა და მოგზაურობისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნილება დასვენებაზე და მოგზაურობაზე გაჩნდა მაშინ, როდესაც ადამიანმა დაიწყო შრომა.

დასვენების ფორმები იყო – დოღი, ნადირობა, თევზაობა, ჭიდაობა, კრივი, მშვილდოსნობა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო ორგანიზებული ხდებოდა. ამ საქმიანობისათვის შენდებოდა სპეციალური ობიექტები. მათ შორის, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი სემირამიდას დაკიდული ბაღები. იგივე ითქმის მოგზაურობაზეც. – მოგზაურობა დასვენებისა და გართობის მიზნით პირველად პოპულარული გახდა რომაელებისათვის, რომლებიც ძირითადად პირამიდის დასათვალიერებლად მიდიოდნენ. მოგზაურობდენენ თავგადასავლებისა და ბედის მაძიებელები, შუასაუკუნეების რაინდები, მომლოცველები, მისიონერები, მსახიობები, ვაჭრები და მოხეტიალე ხელოსნები აღარას ვამბობთ მწერლებზე.

გავიხსენოთ დიდი მწერალი ალ. დიუმა, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1852-54 წლებში და მას ეკუთვნის მემუარები და მოგზაურობის ჩანაწერები, რომელთა შორისაა კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები.

ფრანგი მოგზაური, იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე. ჟ. შარდენი, რომელმაც 1672-73 წლებში მოიარა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო და რომელმაც თავისი შთაბეჭდილებები საქართველოზე და ქართულ ღვინოზე ასევე აღწერა თავის ნაწერებში. ერთგან ასე იხსენებს: „თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი, მჭიდროდ დასახლებული ქალაქია. თბილისში უფრო მეტ უცხოელს შეხვდებით, ვიდრე სხვაგან სადმე“.....

ცნებამ - „ტურიზმი“ განვითარების გრძელი გზა გაიარა, შეივსო ახალი ელემენტებით, რის შედეგადაც გავრცელება ჰპოვა ტურიზმის არსის მრავალმა განმარტებამ. ტრადიციულად ტურიზმი გაიგივებულია მოგზაურობასთან დასვენებისა და ახალი შთაბეჭდილებების მიზნით, ე.ი. უპირატესობა ენიჭება ტურიზმის რეკრეაციულ მნიშვნელობას.

საქართველო კურორტების ქვეყანაა. აქ დღეისათვის 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილია. ქვეყნის საკურორტო რესურსები მრავალფეროვანია. აღრიცხულია შემდეგი სახის სამედიცინო პროფილის კურორტები: კარდიოლოგიური, პულმონოლოგიური, ფტიზიატრიული, ალერგოლოგიური, ნევროლოგიური, გასტროენტეროლოგიური, ართროლოგიური, გინეკოლოგიური, ნეფროლოგიური, უროლოგიური, დერმატოლოგიური.

ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე განლაგებულია ბალნეოლოგიური კურორტები – წყალტუბო, ნაბეღლავი, ზვარე, ნუნისა და სხვა. ზღვის დონიდან 700-1000 მეტრ სიმაღლეზე – ასევე ბალნეოლოგიური კურორტები – ბორჯომი, საირმე, უწერა, სურამი, 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე კი სამთო კლიმატური – აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, ფაფა, მანგლისი, მაღალმთიანი ზონის კურორტები 1500 მეტრს ზევით – ბაკურიანი, გუდაური, შოვი, ბახმარო, ლებარდე და სხვა, სადაც წარმატებით მკურნალობენ ფილტვის ტუბერკულიოზს, ბრონქიალურ ასთმას, სისხლნაკლებობას, გულსისხლძარღვთა დაავადებებსა და ნევროზს.

ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარებისათვის, საქართველოს აქვს საინტერესო: კულტურული, არქეოლოგიური, არქიტექტურული პოტენციალი, ხელუხლებელი ლანდშაფტები, მრავალფეროვანი ბუნება და ევროპაში უმაღლესი მთები. ქვეყნის ტერიტორიის 85%-ზე მეტი მთებშია გაბნეული. რეგიონები მდიდარია მჟავე და მინერალური წყლებით. კავკასიაში 6000-ზე მეტი სახეობის ფოთლოვანი მცენარე, 8300 სახეობის გვიმრა, 1200 სახეობის ლიქენი და ხავსი იქნა დაფიქსირებული. მთლიანად კავკასიისათვის 1000-ზე მეტი სახეობის მცენარე უნიკალურია, ხოლო 380 სახეობა თვით საქართველოსთვისაც კი ენდემურია.

ქართული ტურისტული და სამოგზაურო კომპანიები ტურისტებს სთავაზობენ ისეთ შემეცნებით ტურებს, როგორიცაა ისტორიული ძეგლების და არქეოლოგიური მხარეების მონახულება, 5000 მ. სიმაღლის პიკებზე ასვლა, თევზაობა მთის მდინარეებში, კარსტული მღვიმეების და უძველესი საცხოვრებელი ადგილების დათვალიერება დასავლეთ საქართველოში, ღვინის სადეგუსტაციო ექსკურსიების ორგანიზება კახეთის და თუშეთის სოფლებში ტრადიციულ სამთო დღესასწაულებზე დასწრება და ა. შ..

მთიან რეგიონებში ტურისტთა უმრავლესობის განთავსება ხდება მცირე და საშუალო ზომის საოჯახო სასტუმრო სახლებში-საბაზრო მომსახურებით. ეს სტუმარს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას ახლოს გაეცნოს ადგილობრივ მაცხოვრებლებს, მათ კულტურასა და ტარადიციებს. ეს ტერიტორიები საჭიროებენ დაცვას. დაცული ტერიტორიების მართვა, სამთო ტურიზმის განვითარების უპირველესი ამოცანაა. შესაძლებელია ტურისტულმა ორგანიზა-ციებმა გამოჰყონ განსაზღვრული თანხები დაცულ ტერიტორიებზე ტურისტული ობიექტების ასაშენებლად. დაცული ტერიტორიის დირექციამ თავის მხრივ უნდა განუმარტოს ტურისტულ ორგანიზაციებს თუ რა შესაძლებლობები გააჩნია ამ ტერიტორიებს ტურისტების მიღების თვალსაზრისით, რომ ამ პრობლემის გაუთვალისწინებლობისა და უკონტროლობის შემთხვევაში შესაძლებელია განადგურდეს სწორედ ის რესურსები, რომლებზედაც დამოკიდებულია ამ რეგიონებში ტურიზმის განვითარება.

ტურიზმი უდიდეს გავლენას ახდენს ისეთ დარგებზე, როგორიცაა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვა; თავის მხრივ მის განვითარებაზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: დემოგრაფიული, ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული, რელიგიური და პოლიტიკურ-საკანონმდებლო და სხვა.

ტურიზმის პირდაპირი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება შეფასებული იქნეს თუ განვსაზღვრავთ მის წილს მთლიანად შიდა პროდუქტში.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მარტო ზოგიერთ კუნძულოვან ქვეყანაში მისი წილი აღემატება 30%-ს (ანტიგუა -58%, ბაჰამის კუნძულები – 52%, ბერმუნდის კუნძულები -35%). ყველა ისინი აშშ-ს „რეკრეაციული ზონებია“, რომელთა მთელი ეკონომიკა ორიენტირებულია მდიდარი ტურისტების მიღებაზე, მაგრამ იმ პატარა კუნძულოვან ქვეყნებში, როგორიცაა იამაიკა, კვიპროსი, მალტა, ფიჯი ტურიზმიდან შემოსავლის წილი მთლიან შიდა პროდუქტში – 20%-ს არ აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ ტურიზმთან ერთად მათში ვითარდება სხვა ეკონომიკური კომპლექსებიც, თუმცა ტურიზმი რჩება მთავარ შემოსავლის წყაროდ (ცხ.4). ტურიზმი მნიშვნელოვანი კატალიზატორია მრავალი სწრაფად განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის, რამდენადაც იგი გამოდის ეროვნული ერთობლივი პროდუქტის განაწილებით იმ ქვეყნებს შორის რომელთა პროდუქტი, მომსახურება არ გაიტანება (იმპორტი) ქვეყნის გარეთ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ თუ იაპონელები მიდიან დასასვენებლად ფილიპინებზე, ან რუსები თურქეთში მათ არა მარტო გააქვთ სხვა წარმოებებში გამომუ-შავებული საშუალებების ნაწილი, არამედ ქმნიან იქ ახალ სამუშაო ადგილებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ტურიზმი მაღალ შემოსავლიანი დარგია, რომელსაც მესამე ადგილი უკავია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში, ნავთობითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს თურქეთის ფენომენს, რომელმაც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან 30 წლის განმავლობაში გადაიქცა მაღალგანვითარებულ ტურისტულ ქვეყნად.

ნებისმიერი ქვეყნის გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა: კერძოდ, საქართველოსი ხასიათდება ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტით. ამ კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზაა ეკონომიკაში ხდებოდეს ეფექტიანი, მაღალმომგებიანი დარგების დანერგვა. ამ შემთხვევაში განხილულ უნდა იქნას აგროტურიზმი, როგორც აგროსამრეწველო სტრუქტურის თავისებური საკვანძო ელემენტი.

კუნძულებზე განლაგებულ განვითარებად სახელმწიფოებში ტურისტული მომსახურეობის ეკონომიკური მახასიათებლები

ცხრილი №4

ქვეყნები	შემოსავალი (ვალუტის მოცულობა) მდნ აშშ დოლარი	მთლიანი ეროვნული პროდუქტი მდნ აშშ დოლარი	ტურისტთა სიმჭიდროვე (ტურისტები, ადგილობრივი მოსახლეობა)	ტურიზმის მნიშვნელობა (შემოსავალი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი 100%)
შრილანკა	75	6448	0,02	1,2
იამაიკა	407	2090	0,35	19,5
დომინიკის რესპუბ.	9	90	0,56	10,0
კვიპროსი	497	2821	2,22	17,6
ბერმუდის კუნძულ.	357	1030	7,11	34,7
სეიშელის კუნძულ.	40	146	1,55	27,4
მალტა	149	1190	2,46	12,5
მავრიკია	89	1188	0,27	7,5
ანტიგუა	114	195	2,59	58,5
ჰონკონგი	2211	36664	7,02	6,0
ფილიპინები	647	30800	0,02	2,1
ბაჰამი	870	1670	6,17	52,1
ფიჯი	169	1190	0,37	14,2
დასავლეთ სამოა	7	110	0,29	6,4

აგრარულ ტურიზმს, განსხვავებით ტურისტული სფეროს სხვა მიმართულებებისაგან აქვს თავისი სპეციფიკა, რომელიც გამოიხატება დანახარჯების მინიმიზაციაში, პირველ ყოვლისა კვებისა და ცხოვრებისათვის, ბუნებრივია, რომ კვება სოფლად 2-2,5-ჯერ იაფია (შუამავლების გარეშე) ვიდრე ქალაქში. ცხოვრება აქაც იაფია, განსაკუთრებით ზაფხულში, რაც მინიმუმ ორჯერ ამცირებს საგზურების ღირებულებას.

აგროტურიზმის განვითარება უშუალო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი დარგების განვითარებასა და აღდგენაზე. ამის გარდა სოფლად ტურიზმის განვითარება გულისხმობს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ან ე. წ. ხელსაყრელი რეკრეაციული გარემოს გაუმჯობესებას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

თანამედროვე ტურიზმი როგორც, ეკონომიკური მოვლენა: - გამოდის, როგორც ტურისტული პროდუქტის, მომსახურების სახით, რომელიც არ გროვდება და არც ტრანსპორტირდება; იგი ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და გამოდის ახალი რაიონების ათვისების პიონერად; სპეციალისტები ტურიზმს მიაკუთვნებენ არამწარმოებლურ სფეროს, ე.ი. მომსახურეობის სფეროს. მას აქვს ინდუსტრიული ფორმა; მართლაც ტურიზმის ეკონომიკური ანალიზისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ეკონომიკაში მისი როლის გამოკვეთა და მისი ეფექტიანობის განსაზღვრა. ამასთან ერთად ანალიზის ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს ტურიზმი არა ვიწრო გაგებით, არამედ ტურიზმით განსაზღვრული ეკონომიკური აქტიურობის მთელი კომპლექსი ე. ი. ტურისტული ინდუსტრია.

დღეს ტურისტული ინდუსტრია დამკვიდრდა არა მარტო ტრადიციულ ტურისტულ ცენტრში, ევროპაში, არამედ ავსტრალიაში, აფრიკაში, ამერიკისა და აზიის კონტინენტების ბევრ ქვეყანაში.

ტურინდუსტრიის სექტორების სტრუქტურული შემადგენლობა გვიჩვენებს, რომ ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია მის მრავალმხრივ განვითარებაზე და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის სხვა დარგებთან მჭიდრო კავშირზე. ტურისტული ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი ტურისტული მომსახურებაა, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია: განთავსება, კვება, ტრანსპორტი და მიზნობრივი მომსახურება. ტურისტული ინდუსტრიის სტრუქტურების ეფექტურობა შეიძლება განისაზღვროს დასაქმებულთა ხვედრითი წილით, საერთო მაჩვენებელთან მიმართებაში. დასაქმებულების დიდი წილი მოდის განთავსების საშუალებებსა და რესტორნებზე, ტურისტთა მომსახურებაზე. დიდ ბრიტანეთში მთლიანად ტურინდუსტრიის ყველა სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 60%, გერმანიაში-55%. მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებლები მაღალია.

ტურისტულ სფეროში ფუნქციონირებენ სხვადასხვა ტურისტული საწარმოები. მათი ერთი ნაწილი კლიენტებს აწვდის მხოლოდ ტურისტულ მომსახურებას, სხვებისათვის ტურიზმი მათი კომერციული საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. არსებობს პირველადი და მეორადი მომსახურების სფეროს ტურისტული საწარმოები. პირველადია მაგალითად – სასტუმროები და ტურბიუროები, ხოლო – რესტორნები ან კაფეები სანატორიუმებში ან დასასვენებელ სახლებში – პირველადი მომსახურების საწარმოებია. მაგრამ ასეთი რესტორნები და კაფეები ქალაქში უკვე არ არიან უშუალოდ ტურისტული საწარმოები, რამდენადაც ასრულებენ მეორად ტურისტულ ფუნქციებს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოგზაურობის დროს ტურისტების 71%-ამჯობინებს სასტუმროებში განთავსებას, 12 % - საშვებულებო სახლებში, 9% - კემპინგებში, 8% - კერძო ბინებში. ამასთან მაღალი კლასის სასტუმროებით სარგებლობს დაახლოებით 34%, საშუალო კლასით - 45% და 21% უპირატესობას აძლევს ეკონომკლასის სასტუმროებში გაჩერებას. ცხრილი №5 შედგენილია: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის 2006 წლის მიხედვით.

სასტუმროს საქმიანობის ეფექტიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს სასტუმროს დატვირთვა. იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$O = \frac{T \times 100}{N \times 365}$$

სადაც O - სასტუმროს წლიური დატვირთულობის დონეა %-ში;

T - სტუმართა რაოდენობაა წლის განმავლობაში;

N - საწოლ-ადგილთა ან ნომერთა რაოდენობაა სასტუმროში.

სასტუმროების 100% - ით დატვირთვა ნიშნავს, რომ მთელი წლის განმავ-ლობაში სასტუმროს ყველა ადგილი (ყოველ დღე) მთლიანად დატვირთულია, რაც პრაქტიკულად არ ხორციელდება, უკეთეს შემთხვევაში სასტუმროს წლიური დატვირთვა 65-70% - ს შეადგენს.

როგორც ცხრილი №5-დან ჩანს საქართველოში სტუმართა რიცხვმა სასტუმროებში 2003 წელს შეადგინა 82,6 ათასი, ხოლო ადგილების საერთო რაოდენობამ კი - 19152. ე.ი. სასტუმროების დატვირთვა წლის განმავლობაში შეადგენდა 4,3%-ს, რაც დაბალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, ხოლო 2007 წლისათვის მართალია იგი გაიზარდა 16,9%-მდე, მაგრამ ეს ზრდა ჯერ კიდევ მიზერულია. ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ ქვეყნის პოლიტიკურ არასტაბილურობაში.

მართალია საქართველო თავის მდებარეობით მიეკუთვნება ბუნებრივი ლანდშაფტებითა და რეკრეაციულ – სამკურნალო თვისებების მქონე ქვეყანას, მაგრამ სანამ არ მოხდება პოლიტიკური სტაბილურობა, მანამდის ყოველთვის შეიკავებს თავს უცხოელი ტურისტი ჩვენთან ჩემოსვლაზე.

საქართველოში რეგიონების მიხედვით რესტორნების მომსახურეობის მოცულობა 2007 წლისათვის, 2003 წელთან შედარებით თითქმის ყველა რეგიონში მეტ-ნაკლებად იზრდება, კერძოდ: სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარის არ-ის, იმერეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის მაჩვენებლები, შესაბამისად იზრდება: 11-ჯერ; 2,7-ჯერ; 2,6-ჯერ; 2,4-ჯერ; 1,4-ჯერ და ა.შ. სწორედ ამ რეგიონებში რესტორნების მომსახუ-რეობის ზრდას ხელი შეუწყო ტურიზმის განვითარებამ (იხ. ცხრილი 6).

სასტუმროების საქმიანობის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები ცხრილი №5.

№	მაჩვენებლები	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.	2007წ.	%-2007-2003წ.წ.
1.	სასტუმროების რიცხვი სულ	226	335	250	374	339	1,5
მ.შ. საკუთრების მიხედვით:							
	ა) სახელმწიფო	42	43	36	35	29	0,69
	ბ) კერძო	184	192	214	339	310	168,4
2.	მათი საერთო ფართობი (ათ. $მ^2$)	451,3	512,5	480,3	626,5	494,9	109,6
3.	ნომრების საერთო რიცხვი მ. შ.	9606	9680	9146	10022	8311	0,86
	ა) ლუქსი	783	825	732	776	691	0,88
	ბ) ერთ ადგილიანი	1450	1371	1691	1442	1436	0,99
	გ) ორ ადგილიანი	6657	6591	5743	5934	4629	0,69
	დ) სამი და მეტი ადგილი	716	893	980	1870	7555	105,5
4.	ადგილების საერთო რაოდენობა	19152	19316	18162	20448	16704	0,87
5.	სტუმართა რიცხვი წლის გან-ში, ათ. კაცი	82,6	116,5	152,3	217,1	282,4	3,4
6.	სასტუმროებში მომუშავეთა რიცხოვნება	2647	3044	3434	4732	3955	149,4

ცხრილი შედგენილია: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის 2008 წლის მიხედვით.

რესტორნების (კვების საწარმოების) მომსახურეობის მოცულობა რეგიონების მიხედვით. (ათ. ლარი)

ცხრილი № 6

№	რეგიონები	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.	2007წ.
	საქართველო სულ	33256	35766	63453	97441	100686
1	მ.შ. ქ. თბილისი	23177	23250	40718	72754	70268
2	აფხაზეთის არ	-	-	-	-	-
3	აჭარის არ	2134	1913	4854	6467	5838
4	გურია	363	316	588	936	396
5	იმერეთი	2268	2979	4630	5115	4645
6	კახეთი	340	416	957	975	649
7	მცხეთა-მთიანეთი	1777	2189	2915	3789	2537
8	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	74	112	196	138	82
9	სამეგრელო-ზემო სვანეთი	887	1384	2226	2312	9781
10	სამცხე-ჯავახეთი	170	356	970	841	1126
11	შიდა ქართლი	917	1374	1980	1840	2212
12	ქვემო ქართლი	1149	1478	3419	2275	3102

ცხრილი შედგენილია: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის 2008 წლის მიხედვით.

სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურეობის მოცულობა საანგარიშო 2007 წელს, საბაზისო 2003 წელთან შედარებით როგორც მე-7 ცხრილიდან ჩანს. სასტუმროებში ნომრების სარგებლობიდან შემოსავალი 2003 წელთან შედარებით 2007 წლისათვის გაიზარდა 2,7% - ით, ხოლო ძირითადი საქმიანობის მიხედვით რესტორნებიდან შემოსავალი კი – 3%-ით. კერძოდ, 2003 წელს სასტუმროებიდან შემოსავლები თუ იყო 24,9 მლნ. ლარი, 2007 წლისათვის 68,6 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო რესტორნებიდან შესაბამისად შეადგინა 33,3 მლნ-ლარი და 100,6 მლნ. ლარი.

სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურეობის მოცულობა.

(მლნ. ლარი ფაქტობრივად მოქმედ ფასებში).

ცხრილი №7

№	მაჩვენებლები	2003 წ.	2004 წ.	2005 წ.	2006 წ.	2007წ.-	%-2007-2003 წ.წ. შდგ-ი.
1.	შემოსავლები ნომრებით სარგებლობიდან						
2.	სასტუმროში (2 მლნ. ლარ.)	24,9	30,3	41,1	57,7	68,6	2,7
	ძირითადი საქმიანობის მიხედვით. რესტორნები (მლნ. ლარი)	33,3	35,8	63,4	97,4	100,6	3,0
3.	მთელი მოცულობიდან არასახელმწიფო სექტორი:						
	მ.შ. ა) სასტუმროები	16,2	21,6	30,9	46,3	68,2	4,2
	ბ) რესტორნები	29,7	35,4	63,0	97,4	100,6	3,4

ცხრილი შედგენილია: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის 2008 წლის მიხედვით.

საქართველოს კონკურენტი ქვეყნების ტურისტული კომპანიების ტურპაკეტების საშუალო დღიური ღირებულება გვიჩვენებს ჩვენი ტურპროდუქტის არასაკმარის კონკურენტუნარიანობას. თურქული და რუმინული ტურპროდუქტის კონკურენტუნარიანობა აშკარაა. ამასთან, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მნიშვნელოვანწილად ეს, ავიაბილეთების შედარებით დაბალი ფასებითაა მიღწეული, რაც ზრდის ამ ქვეყნების ტურპროდუქტების კონკურენტუნარიანობას ქართულთან შედარებით.

კავკასიის რეგიონში, საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, საქმიანი შეხვედრებისა და საკონფერენციო ტურიზმის წარმატებით განვითარებისათვის საუკეთესო პირობები აქვს. არსებული დიდი სასტუმრო ცენტრები („შერატონი“ და „მარიოტი“) ასეთი ტიპის სერვისზეა ორიენტირებული, რაც მომავალში თბილისის საერთაშორისო საკონფერენციო ცენტრად ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს (უპირველეს ყოვლისა კავკასიის რეგიონის ფარგლებში). ასევე მნიშვნელოვანი მოვლენაა ღვინის სახლი, რომელიც აგერ უკვე 5 წელია არსებობს ქალაქის ცენტრში და შექმნილია ევროპული სტრუქტურის მიხედვით. აქ თავმოყრილია მაღაზია-სალონი, რესტორანი და წარმოება. კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს კლასიკური ფრანგული მეთოდით შამპანურის წარმოება, რაც იქვე ასწლოვან სარდაფში ხდება. ყველაფერი ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ ამავე დროს ძალზე საინტერსოც. წარმოება ხშირად დათვალიერების ობიექტიცაა, სტუმრები გარკვეული ტექნოლოგიური პროცესის მონაწილეებიც ხდებიან. აქვე არის სადეგუსტაციო კუთხეც, სადაც პროფესიონალი მეღვინეები ნებისმიერ მსურველს უფასო დეგუსტაციას უტარებენ ე.ი. ტურიზმის სფეროში რეკლამირება ხდება.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. ჩამოთვალეთ მომსახურეობის საერთაშორისო ვაჭრობის სპეციფიკური მახასიათებლები;
2. დაახასიათეთ საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკა, სტრუქტურა და გეოგრაფიული მიმართულებანი;
3. დაახასიათეთ ტურიზმი, როგორც მომსახურეობის ერთ-ერთი დარგი;

4. სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდიკა.

თავი VI. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია. თანამედროვე ტენდენციები.

6.1. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია

თანამედროვე მსოფლიოში წარმოების ინტერნაციონალიზაციის აქტიურად მიმდინარე პროცესს, მუდმივად თან სდევს სამუშაო ძალის ინტერნაციონალიზაციის აქტიური პროცესი. შრომითი მიგრაცია იქცა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ნაწილად. საიმიგრაციო ნაკადები მიემართება ერთი ქვეყნიდან, რეგიონიდან სხვა ქვეყნებისა და რეგიონებისაკენ. წარმოშობს რა გარკვეულ პრობლემებს, შრომითი მიგრაცია უზრუნველყოფს იმ ქვეყნებისათვის უდავო უპირატესობებს, რომლებიც ღებულობს ან აწვდის სამუშაო ძალას.

უკანასკნელ ათწლეულებში, მიგრაციის ინტენსიურობის ზრდის პროცესი აისახება როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მაჩვენებლებში; იცვლება შრომითი ნაკადის მოძრაობის როგორც ფორმები, ასევე მიმართულებები.

XIX საუკუნის ბოლოსა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, დომინირებდა ე.წ "დაუბრუნებადი" მიგრაცია. აშშ-ს, ავსტრალიასა და კანადაში, სამუდამო საცხოვრებლად გდასახლდა ემიგრანტთა დიდი რაოდენობა ევროპის ქვეყნებიდან. XX საუკუნის დასაწყისიდან პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდში, ევროპიდან ოკეანის გაღმა გადასახლდა 19 მილიონ ადამიანზე მეტი. ამ პერიოდში უპირატესად ვითარდებოდა საკონტინეტთაშორისი, ცალმხრივი მიმართულების მიგრაციული პროცესები. რეემიგრაციის პროცესი პრაქტიკულად არ არსებობდა. მაგრამ, სწორედ ამ პერიოდში ვლინდება რაღაც ახალი საემიგრაციო პროცესის მოძრაობაში – შიგაკონტინენტალური მიგრაცია ერთი ევროპული ქვეყნიდან მეორეში. მაგრამ ამგვარი გადაადგილება არსებითი გახდა საკმაოდ გვიან. შეიძლება ითქვას, რომ 1959-60 წწ-ში, ფართოდ გავრცელდა შიგაკონტინენტალური შრომითი მიგრაცია, რომელსაც დროებითი ხასიათი ჰქონდა. ამასთან ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდება ევროპის გაერთიანების მიმდინარე პროცესის ფონზე. არსებითი ზეგავლენა ამ პროცესსზე იქონია როტაციის მკაცრმა სისტემამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებამ.

მიგრაცია არის ადამიანების გადაადგილება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ.

მიგრაცია არსებობს განვითარების განსხვავებული დონის ქვეყნებში: საბერძნეთში, პორტუგალიაში, ფინეთში, იუგოსლავიის ქვეყნებში, იორდანიაში, იემენში, ალჟირში, ფილიპინებზე, ინდონეზიაში, მექსიკასა და აშ. სამუშაო ძალით გაცვლა შეზღუდული მოცულობით, მაგრამ მაინც არსებობს განვითარებულ ქვეყნებს შორისაც, როგორც ევროპაში, ასევე აშშ-ში (მაგრამ არ განიხილება ამ ქვეყნების მიერ როგორც ვალუტის შემოდინების წყარო).

ინდუსტრიული ქვეყნების უმეტესობისათვის აქტიური ემიგრაცია დამახასიათებელი იყო მათი განვითარების რთული პერიოდებისათვის. მაგრამ პრობლემათა მოგვარების შესაბამისად ეს პროცესი დასტაბილურდა. მაგალითის სახით შესაძლოა იტალიის განხილვა, რომელიც ევროპის ეკონომიკურ კავშირში შესვლის ძირითად წინაპირობად თავის დროზე სამუშაო ძალის თავისუფალი გადადგილების აღიარებას იყენებდა. ამჟამად, იქცა რა ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად ქვეყანად, იტალიამ შეამცირა ემიგრაცია და დღეს სამუშაო ძალის იმპორტიორ-ექსპორტიორია. ამავე გზით მიდის ხმელთაშუა ზღვის სხვა ქვეყნებიც.

უცხოური სამუშაო ძალის გამოყენება დღეს კვლავწარმოების ნორმალური პროცესის აუცილებელი პირობაა. ქვეყნებში, რომლებიც აქტიურად იყენებს უცხოურ სამუშაო ძალას, ეკონომიკის მთელი რიგი დარგები დამოკიდებულია სამუშაო ძალის იმპორტზე. გამოკვლევები, რომელიც ჩატარდა დუსელდორფში უცხოელების შესაძლო უკან დაბრუნების თაობაზე, მოწმობს რომ ამ შემთხვევაში გერმანიაში შემცირდება საამშენებლო სამუშაოთა მოცულობები, დაიხურება მრავალი სკოლა და ბაგა-ბაღი, შეწყდება ნაგვის გატანის სატრანსპორტო მომსახურება. უფრო ნათლად ამ ფაქტს ადასტურებს შემდეგი ციფრები: საფრანგეთში ემიგრანტები შეადგენენ მშენებლობაზე დასაქმებულთა 1/4 , საავტომობილო მშენებლობაში – 1\3-ს, მეშახტეთა 1/2-ს ბელგიაში, შვეიცარიის საამშენებლო ინდუსტრიის 2/5-ს და ა.შ.

ამსთან ერთად, განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს ნიშნავდა უმუშევრობის ისედაც მაღალი დონის უკიდურესად გაზრდას, უცხოური ვალიუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროს

დაკარგვას. მაგალითად, ეგვიპტეს სუეცის არხის ექსპლუატაცია შემოსავლის სახით აძლევს 970 მილიონ დოლარს, ტურიზმი – 600 მილიონ დოლარს, ხოლო შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები კი 3,1 მილიარდ დოლარს. ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა იემენი, ფულადი გზავნილებით მიღებული შემოსავალი ქვეყნის საექსპორტო შემოსავლებს აღემატება 100 ჯერ.

სამუშაო ძალის მიგრაცია რთული, არაცალსახა მოვლენაა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

სამუშაო ძალის იმპორტი მრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს მიგრანტთა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. მათზე დანახარჯების უფრო დაბალი დონე ზრდის კონკურენტუნარიანობის საერთო დონეს. ქმნიან რა ღირებულებას მიმღებ ქვეყანაში, მიგრანტები თავად მოიხმარენ საქონელსა და მომსახურებას, რითაც განაპირობებენ მულტიპიკაციურ ეფექტს, შესაბამისად წარმოჰქმნიან დასაქმების დამატებით წყაროს. მაღალი ხარისხის სამუშაო ძალის იმპორტი ქვეყანაში ამცირებს განათლების ხარჯებს. მაგალითად უკვე 1976 წელს კანადამ, დიდმა ბრიტანეთმა განათლების ხარჯებში მოცემული გზით 46 მილიონი დოლარის ეკონომია მიიღო. ძალზედ მნიშვნელოვანი მომენტია უცხოური სამუშაო ძალის გამოყენების შედეგად, შრომის ბაზრის ელასტიურობის მატება. უმეტეს ქვეყნებში უცხოელები განიხილება როგორც ერთგვარი ამორტიზატორი კრიზისისა და უმუშევრობის პრობლემის გააქტიურებისა. და ბოლოს, ინდუსტრიულ ქვეყნებში შობადობის დონის კლებისა და დასაქმებულთა რიცხოვნების შემცირების კვალობაზე, ემიგრანტთა მეშვეობით იმედოვნებენ პენსიებისა და სოციალური პროგრამების ღირსეულ დონეზე შენარჩუნების ამოცანის გადაჭრას.

ამავდროულად ცალსახაა ის სარგებელი, რომელსაც იღებს სამუშაო ძალის მომწოდებელი ქვეყნები:

პირველი: ჩამოყალიბდა ტრადიციულ პარტნიორებზე მსხვილი კრედიტების გაცემისა და მათ ეკონომიკაში სერიოზული ინვესტირების პრაქტიკა. გარდა ამისა, სამუშაო ძალის ძირითად ექსპორტიორებს უჩნდებათ ვალიუტის მიღების სერიოზული დამატებითი წყარო. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა თურქეთი, ყოფილი იუგოსლავია, პაკისტანი, ფულადი გზავნილები მილიარდობით დოლარს აღწევს, რაც საშუალებას იძლევა გადაიჭრას ამ ქვეყნების წინაშე მდგარი მრავალი პრობლემა.

მეორე, არახელსაყრელი ეკონომიკური კონიუქტურის, უმუშევრობის ზრდის პირობებში, შრომითი მიგრაცია წარმოადგენს იმ სარქველს, რომელიც საშუალებას იძლევა გამოშვებულ იქნეს ზედმეტი წნევა, და შესუსტდეს საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემები.

მესამე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევის თანახმად, რომელიც ჩატარდა სამუშაო ძალის ექსპორტიორ მრავალ ქვეყანაში, სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტები უფრო მომზადებულია საქმიანობის ახალი სფეროებისათვის და როგორც წესი აქტიურად მონაწილეობენ ეკონომიკის ახალი ფორმების განვითარებაში.

დიდი ხნის განმავლობაში სამუშაო ძალის ექსპორტს ჩვენ განვიხილავდით როგორც ნეგატიურ მოვლენას. მართლაც, რეალობა ისეთია, რომ ემიგრაციას ახლავს "გონის გადინების" პროცესი. ეს იყო სამუშაო ძალის ყველა ექსპორტიორ ქვეყანაში. ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, რომლებმაც ჩვენზე ადრე დაიწყეს ემიგრაციისა და მოქალაქეთა გადაადგილების პროცესის ლიბერალიზაცია. ხშირად აღნიშნავდნენ იმ ფაქტს, რომ ამ ქვეყნებში, პროცესის ლიბერალიზაციამ არია "სოციალური კარტები". ქვეყნიდან გამსვლელთა უმეტსობა წარმოადგენს ახალი თაობა, რომლებზეც დაფუძვნებული იყო თავად მათი სამშობლოს იმედები. სწორედ ეს სოციალური ჯგუფია შემძლე აქტიურად მიიღოს მონაწილეობა საბაზრო სტრუქტურების ფორმირებაში, გამოირჩევიან მაღალი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური აქტიურობით, პრაქტიკულად წარმოადგენენ ახალი აზროვნების მატარებლებს. არ არის დასამალი რომ ემიგრაცია მიმზიდველია ყველაზე განათლებული და კვალიფიცირებული კადრებისათვის, რომლებიც ესოდენ საჭირო საკუთარი ქვეყნისათვის. მაგალითად მარტო 1983-1987წწ-ში, პოლონეთი დატოვა 400 ათასმა ადამიანმა. აქედან 15 %-ს ჰქონდა დასრულებული უმაღლესი განათლება, რაც ამ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების საშუალო წლიური გამოშვების ტოლფასია.

მაგრამ მაინც, ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობანი, რომელსაც ღებულობს სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყანა, ასტიმულირებს ქვეყნის გასვლას სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრებზე. შრომითი მიგრაციის მიმართ ნეგატიურმა დამოკიდებულებამ, რომელიც არსებობდა საბჭოთა კავშირში, და რომელიც აყვანილი იყო სახელმწიფო პოლიტიკის რანგში სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ყალიბდებოდა სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზარი, გამოიწვია ის რომ, საბჭოთა ყოფილი რესპუბლიკები თვითგანერიდა ამ პროცესს და არ დაიკავა ის თავისუფალი

საბაზრო ნიშები, რომელში შეღწევა დღეს ძალზედ პრობლემატური გახდა.

50-60-ან წლებში შრომითი მიგრანტების რიცხვი განუხრელად იზრდებოდა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სამუშაო ძალის ძირითადი მიმწოდებლები, რომელთა საზღვარგრეთული გზავნილები მილარდობით დოლარებში აღირიცხება. მაგრამ უკვე 70-ანი წლებიდან პროცესმა უკუსვლა იწყო. ეკონომიკური კონიუქტურის გაუარესებამ მიმღებ ქვეყნებში შეამცირა მოთხოვნა საზღვარგრეთულ სამუშაო ძალაზე.

გარდა ამისა, განვიხილავთ რა მიგრაციას მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კონტექსტში, უნდა გვახსოვდეს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მრავალი ქვეყნის მიერ განიხილება როგორც შრომითი მიგრაციის ალტერნატივა. უპირატესობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ენიჭება რამოდენიმე მოსაზრების გამო. კერძოდ, გზავნილები რომელსაც ემიგრანტები სამშობლოში აგზავნიან, ძირითადში იხარჯება სამომხმარებლო საქონელში, ამასთან უმეტესწილად უცხოური წარმოების საქონელ-ში, ეს კი აძლიერებს ქვეყნის დამოკიდებულებას სამომხმარებლო საქონლის იმპორტზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კი, საწყის ეტაპებზე გამიზნულია ინფრასტრუქტურის ობიექტებსა და მშენებლობაში დაბანდებებისათვის, ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას პროდუქციის გამოშვებამდე ბევრად ადრე. შემდგომ ფაზაზე, ანუ საქონლის უშუალო წარმოების ფაზაზე, რომელიც უპირატესად ექსპორტზეა ორიენტირებული, ერთის მხრივ უშუალოდ იქმნება სამუშაო ადგილები, ხოლო მეორეს მხრივ მოსახლეობის დასაქმების ირიბი სტიმულირება ხდება როგორც სხვა წარმოებისა და მომსახურების დარგების განვითარების, ასევე იმ დარგების განვითარების ხარჯზე, რომლებიც ქმნიან სამომხმარებლი პროდუქციას უცხოურ საწარმოში დასაქმებული პერსონალისათვის.

მაგრამ ქვეყნებმა, რომლებიც არჩევანს აკეთებენ სამუშაო ძალის იმპორტსა და კაპიტალის ექსპორტს შორის, უნდა გაითვალისწინონ ობიექტიური მომენტები. ერთ-ერთი მომენტია ბევრ დარგში, რომლებშიც შეინიშნება სამუშაო ძალის მწვავე უკმარისობა, კაპიტალის ნაკლებად მობილურობა. მაგალითად მშენებლობა. გასაგებია რომ სახლების, ხიდების, გზების, ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტების მშენებლობა ვერ განხორ-ციელდება საზღვარგარეთ. უფრო მეტიც, საამშენებლო მასალა უფრო იაფია ადგილზე იქნას წარმოებული (დიდი სატრანსპორტო ხარჯების გამო). მომსახურების სექტორის გამართული მუშაობა უდიდეს წილად ემიგრანტთა დიდი მასის გამოყენებითაა უზრუნველყოფილი. ამ სფეროში დასაქმებულთა შრომის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მოთხოვნის ადგილზე.

არსებითი მომენტია ისიც, რომ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი იწარმოება მცირე და საშუალო საწარმოებში, რომლებიც არა მხოლოდ ვერ განკარგავენ კაპიტალს იმ მოცულობით, რომ უაზრუნველყონ მისი ექსპორტი მესამე ქვეყნებში, არამედ იძულებულნიც არიან დაიქირაონ იაფი უცხოელი მუშები. ეროვნული სამუშაო ძალა, სიძვირის გამო ხშირად მათთვის მიუწვდომელია. ამავდროულად ეს საწარმოები ხშირად აწარმოებენ შუალედურ პროდუქციას სამრეწველო გიგანტებისათვის, რომელთათვისაც უფრო მომგებიანია ამ პროდუქციის შეძენა, ვიდრე მისი წარმოების ათვისება. ამგვარად, ემიგრანტთა შრომაზე უარის თქმა გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებდა მცირე და საშუალო საწარმოებს, არამედ შესაძლოა ასახულიყო მსხვილ საწარმოებზეც. ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს ნეგატიური სოციალური შედეგებიც, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებობს.

6.2. შრომითი მიგრაციის ძირითადი მსოფლიო ცენტრები

განვიხილოთ უცხოელი მუშაკების დასაქმების მდგომარეობა და ძვრები ძირითად საერთაშორისო ცენტრებში. მოვიყვანოთ მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ხალხების გადასახლების თანამედროვე ტენდენციებს.

არსებობის წყაროს ძებნაში სულ ემიგრირებულია ევროპიდან (გასულ საუკუნეში) – 60-70 მილიონი ადამიანი, სამუშაოს საძებნელად ყოველწლიურად მიგრირებს (გასული საუკუნის 90-ანი წლებში) დაახლოებით 19,7-21,7 მილიონი ადამიანი. უცხოელ მუშაკთა რიცხვი დასავლეთ ევროპაში შეადგენს 4,1 – 6,5 მილიონ ადამიანს, აშშ-ში – 5-6,5 მილიონ ადამიანს, ლათინურ ამერიკაში –3,5-4 მილიონს, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში – 1,8 მილიონს.

დავახასიათოთ სამუშაო ძალის ჩამოყალიბებული მსოფლიო ბაზრები (ცენტრები).

პირველი ცენტრი ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადც მხოლოდ ევროკავშირში აღრიცხულია 13 მილიონი მიგრანტი და მათი ოჯახის წევრი (მ.შ. 8 მილიონი, ანუ 61% არის არა ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან მიგრანტები). ბოლო პერიოდში, გერმანიაში დასაქმებულთა 8%-ს უცხოელები შეადგენენ, საფრანგეთში – 7%, შვეიცარიასა და ლუქსემბურგში – 30%.

მაგრამ განსაკუთრებული როლი უცხოელებისა, როგორც დამატებითი სამუშაო ძალისა, მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოთა შორის გადაადგილებაში ძირითადად მონაწილეობდა ახალგაზრდობა, როგორც წესი 25 წლამდე ასაკის, რომელიც ვარგისია ყველაზე მძიმე ფიზიკური შრომისათვის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით. მაგრამ ახალგაზრდო-ბის ხვედრითი წილი უცხოელ სამუშაო ძალაში აღწევდა ძალზე დიდ ხვედრით წილს. ასე მაგალითად იგი შეადგენდა გერმანიაში 37,9%, შვეიცარიაში – 38,9%, საფრანგეთში 40,2%, ნიდერლანდებში 40,5%, ლუქსემბურგში 43,5 %, შვეციაში – 45%, ბელგიაში 49,8%.

უკანასკნელ დრომდე უცხოელი სამუშაო ძალა გამოიყენებოდა იმ სფეროებში, სადაც მაღალია ხელით შრომის ხვედრითი წილი (მშენებლობა, მომსახურების სფერო), და იმ სფეროში სადაც მუშაობა სახიფათოა, ჭუჭყიანია ან ითვლება არა პრესტიჟულად ადგილობრივ მუშახელს შორის. აქ უცხოელთა ხვედრითი წილი მაღალია და 70%-საც კი აღწევს. რაც იმის მაუწყებელია რომ, ამ სფეროს საწარმოები უკვე ორიენტშეუცვლელნი არიან ჩამოსულ სამუშაო ძალაზე.

უკანასკნელ დროს, დასავლეთ ევროპაში, შეინიშნება გარკვეული ძვრები უცხოელ მუშაკთა დასაქმების ტრადიციულ სტრუქტურაში. მაგალითად მიგრანტთა ხვედრითი წილი მრეწველობაში შემცირდა 45%-დან 36%-მდე., მშენებლობაში 35%-დან 26%-მდე. არსებითად დაეცა უცხოელთა დასაქმების დონე ფოლადსამსხმელო მრეწველობაში, საავტომობილო მშენებლობაში. პარალელურად გაიზარდა უცხოელთა წილი მომსახურების სფეროში (20-დან 37,5%-მდე), აგრეთვე იმ დარგებში, რომლებშიც ეს მოვლენა უკიდურესად იშვიათი იყო. მაგალითად საფინანსო დაწესებულებებში 62%-თ, უძრავი ქონების ვაჭრობაში 15,8%-თ. უკანასკნელ 10 წელიწადში, იმიგრანტთა რიცხვი, რომლებიც მუშაობენ ვაჭრობაში, გაიზარდა 50%-თ, საწარმოო მომსახურების სფეროში კი 70%-თ. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით უნდა ველოდოთ უცხოელ მუშაკთა დასაქმების შემცირებას.

ქვეყნებს, რომლებიც ღებულობენ შრომოთ მიგრანტთა ძირითად მასას წარმოადგენს გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი. აგრეთვე შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია და შვეცია. გერმანიაში მიგრანტთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 6-7 მილიონია (ძირითადად თურქები, ყოფილი იუგოსლავიის ხალხები, იტალიელები). საფრანგეთში დაახლოებით 4 მილიონი (ძირითადად ლიბერიელები და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებიდან), დიდ ბრიტანეთში 1 მილიონ 730 ათასი (ძირითადად თანამეგობრობის ქვეყნებიდან), შვეიცარიაში დაახლოებით 1 მილიონი (ძირითადად იტალიელები, ესპანელები, თურქები), ბელგიაში დაახლოებით 1 მილიონი (იტალიელები, ესპანელები), შვეცია 1 მილიონი (ძირითადად ფინელები).

ეს ტენდენცია შენარჩუნებულია ბოლო დრომდე. გერმანიის დასაქმების ფედერალური ფონდის პროგნოზით, ევროკავშირის ქვეყნებში დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, მაგრამ არ გამოიწვევს 60-ანი წლების მსგავს საიმიგრაციო ტენდენციებს. ევროკავშირის ქვეყნები ნაკლებ ხალისით მიიწვევენ უცხოელ სამუშაო ძალას. როგორც ვარაუდობენ ძირითად უპირატესობას მოიპოვებენ გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ბენელუქსის ქვეყნები. ახალი სამუშაო ადგილების 40% შეიქმნება გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში, აქედან 25 % შეიქმნება მრეწველობაში, 50% კი- საცალო და საბითუმო ვაჭრობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში. ევროპელი ექსპერტების ერთიანი აზრით, ეს ქვეყნები ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატების არ არსებობის პირობებში ალბათ ამჯობინებენ შრმის დამზოგავი ტექნოლოგიების ინტენსიური დანერგვის პოლიტიკასა და ქალის შრომის აქტიურ გამოყენებას, ვიდრე წავლენ საზღვარგარეთიდან სამუშაო ძალის იმპორტზე, რადგანაც “პოლიტიკური მოსაზრებით” შეუძლებელია უცხოელების მოწვევა იმ პირობებში, როდესაც ევროპის ქვეყნებში უმუშევრობის დონე 7-10%-ა. არაფერს ვამბობთ სხვა პრობლემებზე, რომელიც მუდმივად თან ახლავს ქვეყნებში მიგრანტთა დიდი რაოდენობით კონცენტრირების პროცესს.

ევროპელ ექსპერტთა აზრით, უმაღლესი კვალიფიკაციის მუშაკები იქცევიან სამუშაო ძალის ყველაზე მობილურ შემადგენელ ნაწილად. კომერციული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და გაზრდილი სასიცოცხლო სივრცე, მოახდენს მცირე და საშუალო

კომპანიების მობილურობის დონის ზრდის სტიმულირებას საზოგადოების შიგნით. ამ პირობებში მოთხოვნა უმაღლესი კვალიფიკაციის სამუშაო ძალაზე იქნება იმდენად მაღალი, რომ აქეთკენ გადმოინაცვლებს მესამე ქვეყნებიდან საიმიგრაციო ნაკადიც.

უახლოესი 5-7 წლის განმავლობაში, ალბათ რაიმე ძირეული ცვლილება მიგრაციის ჩამოყალიბებულ სტრუქტურაში არ მოხდება. მაგრამ საჭიროა დანახულ იქნეს პერსპექტივა, თუ რა მიმართულებით განვითარდება პროცესი. მასიური, ცუდად ორგანიზებული მიგრაცია დაბალი კვალიფიკაციის მუშახელისა, ადგილს დაუთმობს კოლექტიურ ხელშეკრულებებს მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით (სამუშაო ძალის შიდა ბაზრის მდგრადობის დაურღვევლად). თუმცა დომინანტ ჯგუფად რჩება დაბალი და ნახევრად კვალიფიციური შრომა, პრიორიტეტულ უფლებას მოიპოვებს მაღალკვალიფიცირებული პროფესიონალები. მათი რაოდენობა პერსპექტივაში გაიზრდება. გადანაწილების პროცესი საწარმოო და მომსახურეობის სფეროებში განვითარდება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

ეს ცვლილებები გამოიწვევს გარკვეულ დემოგრაფიულ ცვლილებებს, კერძოდ გარკვეულ ფემინიზციასა და მიგრანტის საშუალო ასაკის ზრდას. ევროკავშირის პოლიტიკის შედეგად მოსალოდნელია ვივარაუდოთ არალეგალთა რიცხოვნების ზრდაც.

მეორე ცენტრი. თუ პირველ საწყისად შრომითი მიგრაციის ცენტრებს წარმოადგენდენ ძირითადად ინდუსტრიულად განვითარებული დასავლეთ ევროპული ქვეყნები, 70-ან წლებში ძალზედ სწრაფი ფორმირება იწყო მსოფლიო სამუშაო ძალის ბაზრის ფორმირებამ ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელი ქვეყნების რეგიონში. უკვე 1970 წლისათვის აქ თავი მოიყარა 4,5 მილიონმა უცხოელმა მომუშავემ. მაშინ როდესაც ადგილობრივი სამუშაო ძალის რიცხოვნება არ აღემატება 2 მილიონს.

მაგალითად გაერთიანებულ არაბთა ემირატებში, უცხოელი მუშაკების ხვედრითი წილი შეადგენს 97%, კუვეიტში – 86,5%. ანუ პრაქტიკულად მთელ ინდუსტრიულ სამუშაო ძალას. დიდია უცხოური სამუშაო ძალის ხვედრითი წილი საუდის არაბეთასა და ბახრეინში (დაახლოებით 40%), ომანში – 34%. რეგიონში სამუშაო ძალის მთავარი ექსპორტიორია ეგვიპტე. ახლო აღმოსავლეთში შრომობენ ერაყული, ლივანური, სირიული, იორდანიული, პაკისტანური, ბანგლადეშური, ინდური, ფილიპინური წარმოშობის მუშები. უკანასკნელ პერიოდში მიმდინარეობს ორიენტაციის შეცვლა აზიის, უპირველეს ყოვლისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან შრომითი მიგრანტებისაკენ. ეს აიხსნება იმით რომ, მიმღები ქვეყნისათვის უფრო ადვილია მათი ქვეყანაში ყოფნისა და როტაციის პროცესის კონტროლი. მარტო 1977-1981 წლებში მიგრანტთა ნაკადი აზიის ამ ქვეყნებიდან გაიზარდა 7-ჯერ. შედეგად რეგიონში არაბი მიგრანტების ხვედრითი წილი დაეცა 77%-დან 50%-მდე.

წარმოადგენენ რა იმ ძირითად ძალას, რომლებიც ავითარებენ მიმღებ ქვეყანას, ისინი ამავდროულად გვევლინებიან საკუთარ ქვეყნებში ეკონომიკის სტიმულირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. როგორც აღინიშნა, კერძო გზავნილები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ეგვიპტე, იორდანია, იემენი, ხშირ შემთხვევაში უფრო მეტია, ვიდრე ამქვეყნების საექსპორტო შემოსავლები. დიდია იმ სავალუტო სახსრების გადაგზავნის მნიშვნელობაც, რომელიც არაოფიციალური არხების გვერდის ავლით ხორციელდება, რამდენადაც ეს უდიდეს გავლენას ახდენს პარალელურად ეკონომიკაზე.

მაგრამ რეგიონალური დაქვეითება, რომელიც დაიწყო ნავთობზე ფასების კლებით (1980 წლიდან), არ შეიძლება არ ასახულიყო სამუშაო ძალის მოთხოვნაზე. დასავლეთელი ექსპერტების შეფასებით, 1990-ან წლებში, სპარსეთის ყურის ქვეყნებში, 74 ათასი ადგილობრივი მოსახლე უმუშევარი იყო.

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს უცხოელი მუშახელის ბაზრის განვითარებაზე ამ რეგიონში, იქნება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ზრდის ძალზე მაღალი ტემპი. იმ დროს, როდესაც ინდუსტრიული განვითარების ტემპები ეკონომიკურ კონიუქტურულ მომენტზეა დამოკიდებული, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზების თანახმად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყოველწლიური მატების ტემპმა, 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში შესაძლოა 2,94%-ს მიაღწიოს. უეჭველია რომ, ყოველივე ეს აისახება ამ რეგიონში სამუშაო ძალის მიმწოდებელ ქვეყნებზეც. მძიმე შედეგები ბევრ მათგანში უკვე იგრძნობა. ეს თვალნათელი გახდა კუვეიტში ომის შემდეგ. ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყნის მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ ამჯობინებდა ქვეყნის აღდგენითი სამუშაოებისათვის სამუშაო ძალა შემოეყვანა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, ძირითადად ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, პოლონეთიდან, და არა მუსულმანური ქვეყნებიდან.

არაბული სამყაროს ზოგიერთი ქვეყანა სამუშაო ძალის ექსპორტიორ და იმავდროულად იმპორტიორ ქვეყანასაც

წარმოადგენს. მაგალითად იორდანია, რომელიც დაბალკვალიფიციური შრომის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია, თავად ანხორციელებს კვალიფიციური და მაღალკვალიფიციური შრომის იმპორტს. იემენი, რომელიც შედის საგადამხდელო ბალანსში კერძო ფულადი გზავნილებიდან შემოსული თანხების მიხედვით მილიარდერი ქვეყნების რიცხვში, ამავდროულად საჭიროებს შრომითი მიგრანტების დიდ რაოდენობას. იგივე სიტუაცია იყო ერაყშიც. თუმცა ომმა კარდინალურად შეცვალა სიტუაცია არა მარტო ამ ქვეყანაში, არამედ მის მიმართ ლოიალურად განწყობილ იემენსა და ლიბიაშიც.

ამგვარად, სამუშაო ძალის ამ საერთაშორისო ცენტრში, მიგრანტთა ნაკადების მოძრაობაში გარდაუვალია თვისობრივი ცვლილებებისა და სამუშაო ძალის ახალი ბაზრების ფორმირება.

მესამე ცენტრი ტრადიციულად ეკუთვნის აშშ-ს, რომლის შრომითი რესურსები ისტორიულად ემიგრანტებისაგან ჩამოყალიბდა. ამჟამად ჩამოსული სამუშაო ძალა სტაბილურად შეადგენს დაახლოებით 5%-ს, თუმცა სანაპირო ზონაში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია. ემიგრანტთა მიღების ყოველწლიური ქვოტა ბოლო 150 წლის განმავლობაში შეადგენდა 100-500 ათას ადამიანს. 2000 წლიდან ეს მაჩვენებელი 775 ათას კაცამდე გაიზარდა.

ომისშემდგომი მიგრაცია აშშ-ში შესდგებოდა ორი ეტაპისაგან: პირველი: მძლავრი მიგრაცია ევროპიდან. ამ წლებში დასავლეთ ევროპიდან აშშ-ში გადავიდა 6,6 მილიონზე მეტი ადამიანი. და მეორე ეტაპი: 1965 წლიდან, საიმიგრაციო კანონმდებლობის შეცვლამ ხელსაყრელი პირობები შექმნა აზიური და ლათინოამერიკული წარმოშობის ადამიანთა აშშ-ში ემიგრაციისათვის. აშკარაა რომ იწყება მესამე ეტაპი, რომელიც უპირატესობას მიანიჭებს მიგრანტებს ევროპის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ემიგრაციას ირლანდიიდან, დიდი ბრიტანეთიდან (ჩრდილო ირლანდიის ჩათვლით), აგრეთვე იტალიიდან, პოლონეთიდან და არგენტინიდან. ამგვარი ორიენტაციის შეცვლა აიხსნება იმით რომ, შემდგომი ათწლეულისათვის აშშ შეიძლება იქცეს ქვეყნად, რომელშიც ფერადკანიანი მოსახლეობის მაღალი შობადობის წყალობით, თეორკანიანი მოსახლეობა უმცირესობაში აღმოჩნდეს. ხადსონის ინსტიტუტის მონაცემებით, 1985-2000 წლებში, დასაქმებულთა საერთო მასაში თეორკანიანთა წილი 83%-დან 57% მდე შემცირდა, ფერადკანიანისა კი პირიქით 10%-დან 20%-მდე გაიზარდა. მოელიან რომ მიგრანტების ხვედრითი წილი უნდა გაიზარდოს 22%-მდე. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, აშშ ემიგრანტთა ასიმილაციის პოლიტიკას ეწევა.

50-ან წლებში დაწყებული უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის პოლიტიკა დღემდე გრძელდება. კონგრესის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ემიგრაციისას უპირატესობა მიენიჭება მაღალკვალიფიციურ მუშებს, ინჟინრებს, მენეჯერებს, მედიცინის მუშაკებს, ფუნდმენტური მეცნიერების კადრებს.

უკანასკნელ დრომდე აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მაღალკვალიფიციური კადრების ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ ინდოეთი და ეგვიპტე. 80-ან წლებში ინდოეთიდან სამუშაოდ გავიდა 20-ათასი მაღალკვალიფიციური მუშაკი. ეგვიპტეზე მოდის არაბული აღმოსავლეთიდან წასული სპეციალისტების 2/3. მაღალკვალიფიციური კადრების მიწოდების ძალზედ ავტორიტეტულ ქვეყნად ითვლება პაკისტანიც: ამ ქვეყნიდან ემიგრანტთა 84% კონცენტრირდება დასვლეთის ქვეყნებში (აქედან 47% მაღალი კვალიფიკაციის კადრია).

ტენდენცია შესაძლოა არსებითად შეიცვალოს ახალი კანონმდებლობის მიღების გამო, რომელიც საიმიგრაციო პოლიტიკის ევროპული ქვეყნებისაკენ ორიენტაციას გულისხმობს. ზემოთ თქმული ასევე ეხება განსაკუთრებული პროფესიის ადამიანებსაც (სპორტსმენები, მუსიკოსები, მსახიობები და ა.შ.).

მრავალი ამერიკული და ევროპული პროგნოზი უახლოეს ათწლეულში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საქმეში, უპირატესობას ანიჭებს მომსახურების სფეროს წვრილ საწარმოებს. მოვიყვანოთ მაგალითები: 1978 წლიდან სამუშაო ადგილების ნახევარზე მეტი შექმნეს წვრილმა საწარმოებმა (100-მდე დასაქმებულ პერსონალით). ყველაზე წვრილი ფირმები (20 კაცზე ნაკლები პერსონალი), რომელიც საერთო რაოდენობის 1/5-ს შეადგენს, ქმნიდა სამუშაო ადგილების 2/5-ზე მეტს. ამ სექტორში კონცენტრირებულია დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა. უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში აქ იქმნებოდა ყველაზე დაბალპროდუქტიული და დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები. სწორედ აქეთკენ მოიზიდება დაბალი და ნახევრად კვალიფიცირებული მუშაკები, რომლებიც ახლაც ამერიკაში ემეგრირებულთა ძირითად ჯგუფს ქმნის. მაგრამ, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ემიგრაციას ამ ქვეყანაში ასიმილაციური ხასიათი აქვს, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ცენტრი ნაკლებად მიმზიდველია შრომითი მიგრაციისათვის.

მეოთხე ცენტრი ავსტრალიაა. ქვეყანა იყენებს 200 ათასზე მეტ უცხოელ სამუშაო ძალას. ისევე როგორც აშშ ავსტრალიაც ემიგრანტთა ასიმილაციაზეა ორიენტირებული.

50-60-ანი წლების საიმიგრაციო პოლიტიკა მოწოდებული იყო ემიგრანტთა მოზიდვაზე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან, განსაკუთრებით იტალია, საბერძნეთი და იუგოსლავიიდან. 70-ანი წლებიდან ავსტრალიამ ორიენტაცია ემიგრაციაზე მიმართა აზიისკენ და მას დაუკავშირა საკუთარი ეკონომიკური განვითარება. უკვე 70-ანი წლების შუა პერიოდიდან, მიგრანტთა რაოდენობა აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიიდან გაიზარდა 30% -ზე მეტად, ხოლო აღმოსავლეთ ევროპიდან ჩანომოსულთა რიცხვი ამავე პერიოდში პირიქით, შემცირდა 25 %-ზე მეტად. 1982 წლიდან ავსტრალიამ ახალი საიმიგრაციო პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ბიზნესის სტიმულირება. ამ პოლიტიკის შესაბამისად ქვეყანა უპირატესად ღებულობდა მიგრანტებს, რომლებიც ანხორციელებდენ ინვესტირებას ქვეყნის ეკონომიკაში. მაგალითად მარტო 1988/89 წლებში ამ გზით ავსტრალიამ დამატებით მიიღო 1,2 მილიარდის ინვესტიცია., 9 ათასმა ინვესტორმა და მათი ოჯახის წევრებმა მიიღეს ვიზები. ემიგრაციის საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა შემდეგი მონაცემები: ამ ტიპის მიგრანტთაგან 47% ერთი წლის განმავლობაში დაკავდა ბიზნესით, მათ შორის 51%-მა აწარმოა აბსოლუტურად ახალი პროდუქცია, ხოლო 19% ეწეოდა მის ექსპორტს.

შემდგომ ცენტრს შრომითი იმიგრაციისას წარმოადგენს აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნები. სამუშაო ძალის ძირითადი იმპორტიორები იყვნენ: ბრუნეი, იაპონია, ჰონკონგი, მალაიზია, პაკისტანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი.

ამ რეგიონისათვის ნიშანდობლივია შრომითი მიგრაციის სხვადასხვა ფორმები. პირველი, რეგულირებადი მიგრაცია დამახასიათებელია მალაიზიის, სინგაპურის, ბრუნეისა და ჰონკონგისათვის. მეორე, ფარული ანუ არალეგალური მიგრაცია ტიპიურია დასავლეთ და აღმოსავლეთ მალაიზიისათვის, ჰონკონგის, იაპონიის, პაკისტანისა და ტაივანისათვის. და მესამე მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მიგრაცია, რომელიც თან ახლავს პირდაპირ საზღვარგერეთულ ინვესტიციებს, რომლებსაც ახორციელებს იაპონია, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური, ავსტარალია. მიგრაციის ამ ტიპმა მიიღო "ტრანზიტული პროფესიული მიგრაციის" სახელწოდება.

ლათინურ ამერიკაში, სადაც მეზობელი ქვეყნებიდან მუშახელს ძირითადად ღებულობს არგენტინა და ვენესუელა, მიგრანტთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 3 მილიონ ადამიანს, ძირითადად (ლათინო ამერიკელები). მიგრაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სასოფლო სეზონური მიგრაცია, რასაც ძველი ტრადიცია აქვს. თუმცა დროში უფრო ხანგრძლივი მიგრაციაც არსებობს. იგი დამახასიათებელია მრეწველობისა და მომსახურების სფეროს მუშაკებისათვის.

ქვეყნებს შორის მიგრაციას ადგილი აქვს აგრეთვე აფრიკაშიც. მიახლოებითი შეფასებებით, შიდა მიგრაცია შეადგენს 2 მილიონს. ძირითადად უფრო შეძლებულები სამუშაოდ იყვანენ დაბალკვალიფიციურ მუშახელს მეზობელი ქვეყნებიდან, ხოლო კვალიფიციური მუშები, სპეციალისტები რომლებიც რეგიონში შემოდიან სხვა ქვეყნებიდან (არა აფრიკა), შეადგენს დაახლოებით 500 ათასს.

6.3 შრომითი მიგრაციის სახელმწიფო რეგულირება

ქვეყნებში, რომლებიც სამუშაო ძალის იმპორტირებას ეწევიან, ჩამოყალიბდა მიგრაციის რეგულირების სახელმწიფო სისტემა. იგი მოიცავს კანონმდებლობას იურიდიული, პოლიტიკური და პროფესიული სტატუსის შესახებ, ემიგრაციის ეროვნულ სამსახურებს, აგრეთვე სახელმწიფოთაშორის შეთანხმებებს მოცემულ საკითხზე. იმიგრაციული პოლიტიკა ეროვნული საიმიგრაციო სამსახურების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც როგორც წესი შრომის, იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროებთან იქმნება.

ქვეყნის საიმიგრაციო სამსახურები ანხორციელებენ იმიგრანტთა ქვეყანაში შესვლის კონტროლის ფუნქციას, დამქირავებელთა განაცხადების საფუძველზე გასცემენ ქვეყანაში შესვლის, მუშაობის ყოფნის ვადების შესახებ უფლებას. ხაზს ვუსვამთ იმას რომ, ქვეყანაში ყოფნის ვადების რეგულირება ქვეყნების და მიხედვით განსხვავებულად ხორციელდება. მაგალითად, გერმანიისათვის ნიშანდობლივია როტაცია 3-5 წელიწადში, საფრანგეთის, ბელგიისა და დიდი ბრიტანეთისათვის დამახასიათებელია "საოჯახო მიგრაცია", რომელიც ქვეყნის შიდა ბაზრის ტევადობის გაფართოების ფაქტორიცაა.

და ბოლოს აშშ, კანადა, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიისათვის ყველაზე მისაღებია "ასიმილირებული მიგრაცია", რომელიც ქვეყანაში ყოფნის გარკვეული უწყვეტი ვადის შემდგომ, მოქალაქეთ ცნობას ითვალისწინებს.

მიგრაციული პროცესების რეგულირება უცხოელი მუშაკების შერჩევის პროცედურით იწყება, რომელიც ხორციელდება სამთავრობათაშორისი შეთანხმებების საფუძველზე. შეთანხმება განსაზღვრავს მრავალ პარამეტრს, მაგალითად პოტენციური კანდიდატების რაოდენობა, ასაკი, სქესი, პროფესია, ჯამრთელობის მდგომარეობა და ა.შ. რაც შეეხება დაქირავების სისტემის ორგანიზაციას, მაგალითის სახით შეიძლება მოყვანილი იქნეს ყოფილი გფრ-ს მაგალითი, სადაც სისტემაში შედიოდა შერჩევის ცენტრალური პუნქტი, 10 სამხარეო, 210 ადგილობრივი შრომის ბირჟა და მათი 500 ფილიალი.

უნდა ითქვას, რომ როგორც ნებისმიერი სახელმწიფო აპარატი, "დავერბოვკების" აპარატი დიდი და ნაკლებად მოქნილია, ამიტომაც იმპორტიორი ქვეყნების მეწარმეებს ამ პროცესის დამოუკიდებლად განხორციელების საშუალება მისცეს. ამან კი კერძო შუამავლების ინსტიტუტის ჩამოყალიბება განაპირობა.

აღსანისნავია, რომ საკმაოდ მძლავრი საშუამავლო ინსტიტუტი ჩამოყალიბდა არაბულ აღმოსავლეთში. ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ამ სფეროში არის "მალტინეშნლ რეკრუტმენტ გრუპ", რომლის ცენტრიც ჯიდაში მდებარეობს (საუდის არაბეთი). სააგენტოს ზოგიერთი ფილიალი მსოფლიოს 14 ქვეყანაში უკვე 20 წელია არსებობს და წელიწადში 20 ათას ადამიანს ატარებს.

ამგვარი ინსტიტუტები არსებობს ექსპორტიორ ქვეყნებშიც. მაგალითად ინდოეთის მთავრობამ მოცემულ საქმიანობაზე 50-ზე მეტი ლიცენზია გასცა.

მაგრამ ეფექტური კონტროლის მექანიზმის არარსებობის შემთხვევაში, კერძო მობილიზცია ხელს უწყობს არალეგალურ იმიგრაციასა და ტრეფიკინგს. აღნიშნულთან დაკავშირებით კუვეიტი წავიდა ამგვარი ორგანიზაციების საქმიანობის მკაცრი კონტროლის გზით. ამ ქვეყნებში შემოღებულია მოცემულ სფეროში საქმიანობის მკაცრი ლიცენზირება, რომელიც პერიოდულ სახელმწიფო შემოწმებას ითვალისწინებს. ტაივანური კანონებით, შუამავალი რომელიც არალეგალების შეგროვებას ეწევა, შესაძლოა დაისაჯოს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთითა და 55 ათასი დოლარის ჯარიმით., ღონისძიებანი, რომელსაც იღებს იმპორტიორი ქვეყანა არალეგალებთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ პერიოდულად გადასინჯვადია და როგორც წესი სულ უფრო მკაცრდება. მაგალითად იაპონიაში მოცემულ საქმიანობაში მხილებული პირი ისჯება თავისუფლების 3 წლამდე ვადით აღკვეთითა და 300 ათასი იენის ოდენობის ჯარიმით.

ბევრ ქვეყანაში, საიმიგრაციო ნაკადების რეგულირება ხდება სამთავრობათაშორისი შეთანხმებების საფუძველზე. მაგალითად ხელმოწერილია შეთანხმებები არგენტინასა და ჩილეს შორის, გერმანიასა და იუგოსლავიის ყოფილ ქვეყნებს, გერმანიასა და თურქეთს შორის და ა.შ.

მაგრამ ყველა ქვეყანაში პროცესების რეგულირება არ ხორციელდება სახემწიფოთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ორმხრივ შეთანხმებების აუცილებლობას ვერ ხედავს. მიგრანტების მასიური ნაკადი გამორიცხულია. მინისტრთა კაბინეტს შეუძლია გასცეს თანხმობა უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვაზე მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. ქვეყანაში ამ კუთხით შესვლა ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე დასაქმების საკითხთა სამინისტროს მეშვეობით. მუშაობის უფლება გაიცემა მხოლოდ რეალური ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, იმ პირობით რომ დამქირავებელმა ყველა ღონე იხმარა ამ ვაკანსიაზე დიდი ბრიტანეთის ან ევროკავშირის მოქალაქის დასასაქმებლად (წარდგნილ უნდა იქნეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

გერმანიამ, საფრანგეთმა და ბენელუქსის ქვეყნებმა მოახდინეს შენგენის შეთანხმებათა რატიფიცირება 1985 წელს. მოგვიანებით ამ შეთანხმებას რამოდენიმე ევროპული ქვეყანაც შეუერთდა.

ჩრდილოეთ ევროპის რეგიონში, ჯერაც მოქმედებს 1954 წლის შეთანხმება შრომის ჩრდილოეთ ევროპული ბაზრის შექმნის შესახებ. შეთანხმებებს ხელი მოაწერა დანიამ, ისლანდიამ, ნორვეგიამ, ფინეთმა, შვეციამ. 1982 წლის 6 მაისიდან ძალაშია ამ შეთანხმებათა დამატებები და გაეროს კონვენცია ლტოლვილების შესახებ. ჩრდილოეთის საბჭოს ქვეყნებისათვის ნებადართულია უვიზო გადაადგილება ყველა სოციალურ-ეკონომიკური უფლებით, ხოლო მესამე ქვეყნებიდან მიგრანტთათვის მოქმედებს შიდა კანონმდებლობა

ფინეთმა, შვეციამ, და ნორვეგიამ დაიწყეს "კრიზისული გეგმის" მომზადება. ფინეთი ამაგრებს საზღვრებს, შვეციაში შენდება სპეციალური ბანაკები იმიგრანტთათვის, ნორვეგია ამზადებს სურსათის დამატებით მარაგებს ქვეყნის ჩრდილოეთით.

ევროკავშირის ქვეყნების მიერ 1991 წლის ბოლოს შემუშავებული იქნა, მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი მოქმედების სტრატეგიები და ინსტრუქციები, რომელმაც უნდა შეაკავოს არალეგალურ მიგრანტთა ნაკადი. ამავე მიზნით ძლიერდება ბრძოლა დამნაშავეობის იმ ფორმებთან, რომელიც უკავშირდება ემიგრანტთა უკანონო შეყვანას ქვეყანაში.

სამიგრაციო ნაკადების რეგულირების დამახასიათებელი ნიშანია ის რომ, ამ სფეროში პრიორიტეტი ენიჭება ეროვნულ სახელმწიფოებს. ევროკავშირშიც კი ქვეყნების პოლიტიკის კოორდინირება მოცემულ სფეროში გათვალისწინებულია შორეული მომავლისათვის (დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგობის გამო). ამ პრობლემის გამო, საერთაშორისო დონეზე შექმნილია რამოდენიმე ორგანიზაცია (გაეროს ეგიდით).

მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციას აქვს სპეციალური ქვედანაყოფები ან სამსახურები, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულები. მაგალითად ევროკავშირში – ევროპარლამენტის სამოქალაქო თავისუფლებათა და შინაგან საქმეთა კომიტეტი.

საერთაშორისო მიგრაციის სფეროში მანდატი აქვთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს. ამასთან, თითოეული ამ ორგანიზაციათაგან მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – სოციალური განვითარების, დასაქმების ხელშეწყობის, დასაქმებული მიგრანტების უფლებათა დაცვის სფეროებში, ხოლო ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, დევნილთა დაცვის, გრძელვადიანი გადაწყვეტილებების რეალიზაციის, პირველ რიგში რეპატრიაციის სფეროებში. ამ ორ ორგანიზაციას შორის ტრადიციულად მჭიდრო თანამშრომლობაა.

ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების შრომის ბაზრები კიდევ უფრო ურთიერთ დამოკიდებული გახდა. ფაქტიურად ყალიბდება ერთიანი შრომის ბაზარი. ამ ბაზარზე, სულ რამოდენიმე წლის განმავალობაში, სტრუქტურული გარდაქმნების შედეგად, სამუშაო ძალის მიმწოდებლები, მათი მიმღებები ხდებიან.

6.4. ემიგრაციის გავლენა სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკაზე.

სამუშაო ძალის ექსპორტი ხასიათდება ემიგრანტთა ფულადი გზავნილებით, რომელიც ქვეყნისათვის, მოცემული საქონლის ექსპორტის თავისებური ანაზღაურების ფორმას იღებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, კერძო გადარიცხვები მოიცავს: გარდა ემიგრანტთა მიერ პირდაპირი გადარიცხვისა, აგრეთვე დაბრუნებულ გადასახადებს, რომელიც გადახდილი იყო მოცემული ქვეყნის მოქალაქეების მიერ, სხვა გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომელიც არ იყო შეთანხმებული ხელშეკრულებებით, სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებების სუბსიდირებას, პენსიებს, საოჯახო დახმარებებს და ა.შ. სამუშაო ძალის მსოფლიო ექსპორტიორთათვის კერძო გადარიცხვები შესაძლოა ძალზედ სერიოზულ თანხებს აღწევდნენ და მილიარდობით დოლარებში გამოისახება. ამასთან, სამუშაო ძალის ექსპორტიდან მიღებულ სავალუტო შემოსავლებს პარალელურად არ ახლავს საწარმოო ხარჯები წარმომავლობის ქვეყნისათვის, ისე როგორც ეს სასაქონლო ვაჭრობისათვის არის დამახასიათებელი. ცხადია, სავალუტო ეფექტი ამ შემთხვევაში უფრო მაღალია, ვიდრე სასაქონლო წარმოებისას. იმ სახელმწიფოებში, რომლებიც "დასპეციალიზირდნენ" ძირითადში სამუშაო ძალის ექსპორტზე, ეს წილი შენარჩუნებულია მაღალ დონეზე და გაიზარდა კიდეც.

სამუშაო ძალის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ოთხი პირდაპირი წყარო არსებობს:

1) შუამავალი ფირმებიდან მოგების გადასახადის სახით შემოსული შემოსავლები;
2) მიგრანტთა სამშობლოში (ოჯახის მხარდასაჭერად) გადმორიცხული თანხებიდან გადასახადი;
3) სამშობლოში მიგრანტის პირდაპირი ინვესტიცია (სამშობლოში წარმოების საშუალებებისა და ხანგრძლივი მოხმარების საქონლის ჩამოტანა, მიწების, უძრავი ქონების შეძენა, ფასიანი ქაღალდების შეძენა);

4) სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნებიდან კაპიტალი, (ხშირად მოდის სამუშაო ძალის კვლავწარმოებისა და სოციალური მიზნებისათვის).

გარდა ამისა შესაძლებელია მოხდეს სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნებიდან რეპატრიანტი ქვეყნებისათვის კადრების გადინების გამო მიმღები ქვეყნის მხრიდან გარკვეული კომპენსაციის გადახდაც (ეს საკითხი იხილებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში).

გამოკვლევები გვაჩვენებს, რომ მიგრანტებს სამშობლოში ჩამოაქვთ ფასეულობანი, რომელიც ღირებულებითი თვალსაზრისით დაახლოებით მათ მიერ განხორციელებული გადარიცხვების ტოლფასია. ამგვარად, მიგრანტთა პირდაპირი კერძო ფულადი გზავნილების მოცულობა შეიძლება გამრავლდეს 2-ჯერ, რათა მივიღოთ ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში მოცემული წყაროდან მიღებული შემოსავლის რეალური ოდენობა.

მაგალითად, ყოფილი იუგოსლავია, რომელიც სამუშაო ძალის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიაში, საკუთარი წარმოების საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან შემოსავლის სახით იღებდა დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის შემოსავალს, მაგრამ პრაქტიკული მოგება ამ შემოსავლიდან შეადგენდა დაახლოებით 3 მილიარდს. სამუშაო ძალის ექსპორტიდან, მხოლოდ პირდაპირი ფულადი გზავნილების სახით, ქვეყანაში შემოდიოდა 3,5 მილიარდი, ხოლო მიგრანტის საბოლოოდ დაბრუნების შემდეგ დამატებით ერთი იმდენი. ამდენად, მოცემული ხაზით, ფაქტიური შემოსავლები შეადგენდა 7 მილიარდ დოლარს.

ამგვარად, გათვლები ადასტურებენ, რომ სავალუტო ეფექტი სამუშაო ძალის ექსპორტიდან, მინიმუმ ხუთჯერ აღემატება სასაქონლო ექსპორტის სავალუტო ეფექტს.

ღებულობენ რა ყოველწლიურად მილიარდობით დოლარს, სამუშაო ძალის მრავალმა ექსპორტიორმა ქვეყანამ შეიქმნა შრომითი მომსახურების საექსპორტო სპეციალიზაცია, რომელიც ხშირ შემთხვევაში ერთად-ერთი საიმედო სავალუტო შემოსავლის წყაროა ქვეყნისათვის. გარდა ამისა ეს წყარო მკვეთრად აუმჯობესებს ეროვნული ვალუტის მდგომარეობას. ხოლო თურქეთმა და ყოფილმა იუგოსლავიამ საკუთარი ვალუტის კონვერტირებად ვალუტად ქცევა შეძლეს იმის წყალობით, რომ მათი საგადამხდელო ბალანსი მუდმივად იყო ორიენტირებული შრომით ფულად გზავნილებზე. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი.

სამუშაო ძალის ექსპორტს ეწევიან არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები, არამედ ისეთი ქვეყნებიც, როგორიცაა კანადა, ავსტრალია, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი. აქ, პროცესის მამოძრავებელი ძალაა განსხვავებანი შრომის ანაზღაურების ან ტექნიკური უზრუნველყოფის დონეებში.

რამდენადაც ემიგრანტი მუშაკები სამშობლოში აგზავნიან საკუთარი პირადი შემოსავლების მხოლოდ ნაწილს, ძირითადი ნაწილი მათ სამშობლოში ჩამოაქვთ სავალუტო სახსრების ან ფასიანი ქაღალდების სახით. უკანასკნელ წლებში რეიმიგრანტებმა სამშობლოში დაიწყეს საწარმოო დანიშნულების საქონლების (მანქანა-დანადგარების ჩათვლით) სულ უფრო მეტი ოდენობით ჩატანა. მიზანი ერთია, განავითარონ საკუთარი ბიზნესი უკვე სამშობლოში. ქვეყნების უმეტესობაში, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ამგვარი ტენდენციის მაქსიმალურად სტიმულირებისაკენ: ამცირებენ ან საერთოდ აუქმებენ საბაჟო გადასახადებს ამგვარ საქონელზე. რამდენადაც მსოფლიოში ფასები მანქანა-მოწყობილობებზე საკმაოდ სწრაფად იზრდება, ხშირად ემიგრანტები, რომლებიც ჯერ კიდევ საზღვარგარეთ მუშაობენ, უკვე იწყებენ კოოპერატივების ფორმირებას, რათა საფუძველი ჩაუყარონ მომავალში საკუთარ ბიზნესს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამგვარი კოოპერატივები სარგებლობენ ბანკების მხარდაჭერით, რომლებიც დიდი პრობლემების გარეშე გასცემენ კრედიტებს იმ შემთხვევისათვის, თუ სახსრები მანქანა-მოწყობილობების შესაძენად ბოლომდე საკმარისი არ არის. ამგვრად, შესაძლებელია არა მხოლდ ემიგრაციის, არამედ რეემიგრაციის პროცესების მართვაც, ესე იგი ემიგრანტთა დაბრუ-ნებისა და მათი ეროვნულ ეკონომიკაში, უკვე ახალ თვისობრივ დონეზე ჩართვა. და აქ საქმე არა მხოლოდ იმაშია, რომ იმ ქვეყნებს საიდანაც მიდიან გააჩნიათ მუშახელის სიჭარბე, არამედ იმაშიც, რომ ადამიანი, რომელიც უცხოეთიდან ბრუნდება, საკუთარ შრომას, შემოსავლებს, პროფესიულ შესაძლებლობებს, უკვე სხვაგვარად უყურებს. ეს უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ მას ვინც შესძლო სამუშაოს პოვნა და შრომის წყალობით დაგროვების საზღვარგრეთ გამომუშავება (როგორც წესი ინტენსიური შრომით), სამშობლოში დაბრუნებისას უფრო პრეტენზიულად აფასებს საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს როგორც მუშაკი, გამოთქვამს მზადყოფნას იქცეს შრომითი პროცესის ორგანიზატორად, შეუძლია შეძენილი პროფესიული ჩვევები გადასცეს სხვებს. უმეტეს წილად სამშობლოში დაბრუნების

პროცესი ქვეყნებს უბრუნებს "გამდიდრებულ" შრომით რესურსებს, როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი გაგებით. საჭიროა ქვეყანამ შესძლოს ჭკვიანურად გამოიყენოს ეს "ფასდაუდებელი კაპიტალი", შეუქმნას მათ ხელსაყრელი ეკონომიკური, სოციალური, მორალური და თუნდაც პოლიტიკური გარემო.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ის სარგებელი, რომელსაც იღებს მთლიანობაში არა მხოლოდ ეკონომიკა, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიც სამუშაო ძალის ექსპორტიდან.

მრავალ ქვეყანაში ემიგრანტები იხდიან პირდაპირ გადასახადებს ბიუჯეტში, თუ ამგვარი რამ მითითებულია კანონში ან სახელმწიფოთა შორის შეთანხმებებში. მაგალითად თურქეთში ახალგაზრდა ემიგრანტები (ემიგრაცია კი როგორც წესი "ახალგაზრდაა") სახელმწიფო ბიუჯეტს უხდიან სპეციალურ გადასახადს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადებისათვის.

რიგ ქვეყნებში ემიგრაცია საშუალებას იძლევა გასწორდეს სამუშაო ძალის კვლავწარმოების პროცესის ხარვეზები. სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოების კუთხით ეს საშუალებას იძლევა გაიზარდოს მათი როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი მახასიათებლები.

გასაგებია, რომ საერთაშორისო მიგრაცია, ბუნებრივი ეკონომიკური მიზეზების გამო, ყოველთვის მიმართულია შრომის დაბალი ანაზღაურების მქონე ქვეყნებიდან უფრო მაღალი ანაზღაურების მქონე ქვეყნებისაკენ.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის.

1. დაახასიათეთ რა მიზეზები უწყობს ხელს სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციას;
2. ჩამოთვალეთ შრომითი მიგრაციის ძირითადი მსოფლიო ცენტრები;
3. ჩამოთვალეთ სამუშაო ძალის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების რა წყაროები არსებობს.

თავი VII. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია, როგორც საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმა.

7.1. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია აძლიერებს ქვეყნებს შორის არა მხოლოდ საქონლისა და სამუშაო ძალის გადაადგილებას, არამედ ასტიმულირებს კაპიტალის მიგრაციასაც.

კაპიტალისა და საქონლის მოძრაობა სახელმწიფო ეროვნულ საზღვრებზე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საზღვარგარეთ საქონლის რეალიზაციისას ხდება მხოლოდ ღირებულების ფორმის ცვლა. საგარეო ვაჭრობა თავისი ბუნებით დაიყვანება საქონლის როგორც სამომხმარებლო ღირებულებების გაცვლაზე. რაც შეეხება კაპიტალის გატანას, იგი წარმოადგენს ღირებულების ფულად ან სასაქონლო ფორმაში საზღვარგარეთ ცალმხრივ გადაადგილებას ერთადერთი მიზნით: მიღებულ იქნას სამეწარმეო მოგება ან პროცენტები. შესაბამისად განასხვავებენ სამეწარმეო და სასესხო კაპიტალების ექსპორტის ცნებებს. სამეწარმეო კაპიტალის გატანა წარმოადგენს გრძელვადიან საზღვარგარეთულ ინვესტიციებს, რომელიც იწვევს საზღვარგარეთ ფილიალების, შვილობილი ან ერთობლივი საწარმოების შექმნას. კაპიტალ დაბანდება, განხორციელებული საზღვარგარეთ, რომელიც უზრუნველყოფს მასზე ინვესტორის კონტროლს, იწოდება პირდაპირ საზღვარგრეთულ ინვესტიციად. საერთაშორისო სტატისტიკაში მათ როგორც წესი მიაკუთვნებენ ისეთ ინვესტიციებს, როდესაც უცხოელ ინვესტორს ეკუთვნის სააქციო კაპიტალის არა ნაკლები 25 %.

საგარეო ეკონომიკური კავშირების სფეროში, სასესხო კაპიტალის მოძრაობა, საერთაშორისო კრედიტის სახით გვევლინება. ანუ წარმოადგენს სასაქონლო ან ფულადი ფორმის სესხს, რომელსაც გადასცემს კრედიტორი ერთი ქვეყნიდან მსესხებელზე მეორე სახელმწიფოში ვადიანობის, დაბრუნებადობის და პროცენტის გადახდის პირობით. ფართო გაგებით ეს მცნება ასევე მოიცავს საზღვარგარეთულ საპორტფელო ინვესტიციებს, ანუ

კაპიტალის დაბანდებას უცხოურ ობლიგაციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში შემოსავლის მიღების მიზნით, და არა მსესხებლის სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის მიზნით.

საგარეო ვაჭრობისაგან განსხვავებით, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდე, კაპიტალის გატანა საგარეო ეკონომიკური კავშირების უმნიშვნელოვანესი ფორმა გახდა მხოლოდ განვითარების იმ სტადიაზე, როცა სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის დაგროვებამ გიგანტურ მასშტაბებს მიაღწია და წარმოშვა მისი ფარდობითი სიჭარბე.

პირველსაწყისად კაპიტალის ექსპორტი ხორციელდებოდა მეტროპოლიიდან მსოფლიო მეურნეობის პერიფერიებისაკენ უპირატესად სასესხო ფორმით, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე არსებითი მხარდაჭერის გარეშე.

ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ზრდამ, კოლონიალიზმის სისტემის მსხვრევამ, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და მსოფლიო ეკონომიკის ღრმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა, განაპირობა კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციის ხასიათის, ფორმებისა და მიმართულებების სერიოზული ცვლილებები. თანამედროვე პირობებში მას შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები აქვს:

სახელმწიფოს როლის ზრდა კაპიტალის გატანაში. სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო არა თუ ხელს უწყობს კაპიტალის გატანის პროცესს არამედ თავად არის ფინანსური რესურსების ექსპორტიორი. მაგალითად აშშ-ში სახელმწიფოს წილი კაპიტალის ექსპორტის საერთო მოცულობაში, 1%-ზე ნაკლები იყო მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ამჟამად კი მისი წილი 26%-ს აღემატება. სახელმწიფო კაპიტალის გატანა ძირითადში განვითარებად ქვეყნებში ხორციელდება და შეღავათიანი კრედიტის ან გრანტის სახე აქვს და რაც "განვითარებაში ოფიციალური დახმარების" სახელით იწოდება. მისი ძირითადი მიზანი მდგომარეობს არ მაქსიმალური მოგების მიღებაში, არამედ განვითარებად სამყაროში ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნების გრძელვადიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფაში. სახელმწიფო სახსრები ამ ქვეყანებში არა მხოლოდ ორმხრივ, არამედ მრავალმხრივ საფუძველზეც (საერთაშორისო და რეგიონალური ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით) გადადის.

კერძო კაპიტალის მიგრაციის პროცესის გაძლიერება განვითარებულ ქვეყნებს შორის._ ამჟამად ამ ქვეყნებზე მოდის კერძო კაპიტალის მთლიანი ექსპორტის 3/4. განვითარებადი ქვეყნების წილი საერთაშორისო ინვესტიციებსა და კრედიტებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს აიხსნება არა მხოლოდ ბევრი მათგანის მძიმე ეკომომიკური და ფინანსური მდგომარეობით. კერძო კაპიტალის გატანის მიმართულებების ცვლილება უპირველეს ყოვლისა უკავშირდება იმ ღრმა სტრუქტურულ ძვრებს, რომელიც განაპირობა სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა (სამეცნიერო და კაპიტალტევადი ტექნოლოგიების დანერგვა, ნედლეულის როლის ფარდობითი დაკნინება, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების ზრდა). გარდა ამისა აშშ და ზოგიერთი სხვა სამრეწველოდ განვითარებული ქვეყანა საჭიროებდა მნიშვნელოვან კრედიტებს სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის ფინანსირებისათვის.

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების წილის ზრდა. თუ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის პირდაპირ საზღვარგარეთულ ინვესტიციებს მიეკუთვნებოდა უცხოური კაპიტალდაბანდებების მხოლოდ 1/10, 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის აშშ-ში მათზე მოდიოდა კერძო საზღვარგარეთული ინვესტიციების 1/3. პირდაპირი ინვესტიციების ნაკადის გაფართოება დაკავშირებულია წარმოების ინტერნაციონალიზაციის მზარდ დონესთან, ინტეგრაციული პროცესებისა და ტნკ-ბის განვითარებასთან.

ამგვარი კაპიტალდაბანდებების განხორციელების მოტივაციის საფუძველს წარმოადგენს უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომად ქცევისაკენ მისწრაფება, გასაღების ბაზრებთან წარმოების მიახლოება, პროტექციონისტული ბარიერების გვერდის ავლის სურვილი, ეკონომია გადასახადებში, გარემოს დაცვაზე ხარჯების შემცირებისაკენ ლტოლვა და ა.შ.

7.2. სასესხო კაპიტალის მსოფლიო ბაზარი

ქვეყნებს შორის ფულადი კაპიტალის მიგრაცია უმეტეს წილად ხორციელდება სასესხო კაპიტალის ბაზრის გადამანაწილებელი მექანიზმების მეშვეობით.

სასესხო კაპიტალის ბაზრის ფორმირება მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბების პალარელურად მიმდინარეობდა. ეს პროცესი თავს ამჟღავნებდა ყველა ქვეყნის საერთაშორისო

საკრედიტო ურთიერთობებში ჩართვასა და ფარდობითად დამოუკიდებელი ნაციონალური საკრედიტო ბაზრების მრავალრიცხოვანი არხებით ურთიერთ დაკავშირებაში. მათი ურთიერთ “ “ჩახლართვა” გამოხატავს სწორედ “სასესხო კაპიტალების მსოფლიო ბაზრის” მცნებას.

სასესხო კაპიტალების მსოფლიო ბაზარი, უშუალოდ გვევლინება, როგორც სხვადასხვა ქვეყნის ყველა მსესხებლისა და გამსესხებლის მოთხოვნა-მიწოდების ერთობლიობა. ფუნქციონალური დანიშნულებით, ის წარმოადგენს, მსოფლიო მასშტაბით ფინანსური რესურსების აკუმულირებისა და გადანაწილების მექანიზმს. ფულადი სახსრების გიგანტური მასის გარდაქმნა სასესხო კაპიტალად და მათი გადანაწილება ქვეყნებს შორის საბაზრო მექანიზმებით, აჩქარებს მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურულ ძვრებს, აძლიერებს წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სასესხო კაპიტალების მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ოპერაციების ეკონომიკური არსიდან გამომდინარე, იგი შეიძლება გავმიჯნოთ ორ ძირითად სექტორად: **მსოფლიო ფულადი ბაზარი და კაპიტალების მსოფლიო ბაზარი.**

პირველი მათგანი განსაზღვრავს სასესხო კაპიტალის, რომელიც ფუნქციონირებს როგორც ყიდვისა და გადახდის საერთაშორისო საშუალება, (უპირატესად დეპოზიტების სახით) მოთხოვნა მიწოდებას (მიწოდებული სესხები მოკლევადიან სახეს ატარებს). ისინი გათვალისწინებულია მომსახურების სფეროს მომსახურებაზე, უმეტეს წილად საერთაშორისო ვაჭრობაში.

მეორე სექტორში სასესხო კაპიტალი გვევლინება არა როგორც ფული, არამედ როგორც თვითმზარდი ღირებულება. სესხება აქ ხორციელდება ხანგრძლივი ვადით და გამოიყენება კაპიტალდაბანდებათა ფინანსირებისათვის. კაპიტალების მსოფლიო ბაზარი ამგვარი სახით ემსახურება გაფართოებული კვლავწარმოების პროცესს მსოფლიო მასშტაბით. სესხების ფორმების და მიხედვით კაპიტალთა მსოფლიო ბაზარი, თავის მხრივ იყოფა **საკრედიტო ბაზრად და ფასიანი ქაღალდების ბაზრებად.**

სასესხო კაპიტალების მსოფლიო ბაზრის ზემოთ მოყვანილი დაყოფა, გარკვეულწილად პირობითია. პრაქტიკაში, ნასესხები საშუალებების დანიშნულების და საბოლოო გამოყენების ზუსტი დადგენა, ყოველთვის არაა შესაძლებელი. მსოფლიო ფულადი ბაზარი და კაპიტალების მსოფლიო ბაზარი ორგანულადაა ურთიერთ დაკავშირებული. მათი ურთიერთქმედება განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოკლევადიანი რესურსების საშუალოვადიან ან გრძელვადიან და საპორტფელო ინვესტიციებში ტრანსფორმაციისას.

სასესხო კაპიტალების მსოფლიო ბაზარს განსაკუთრებული ინსტიტუციონალური სტრუქტურა აქვს. მის ხერხემალს ბაზრის პროფესიონალი მონაწილენი ქმნიან, რომლებიც ასრულებენ შუამავლის როლს საბოლოო მსესხებლებსა და მსოფლიოს ყველა კრედიტორს შორის. მათ მიეკუთვნებიან უმსხვილესი ტრანსნაციონალური ბანკები, საფინანსო კომპანიები, საფონდო ბირჯები და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებანი.

საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების ძირითად კლიენტებს, რომლებიც მსესხებლებად გვევლინებიან წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კომპანიები, სახელმწიფო ორგანოები, საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები.

კაპიტალების მსოფლიო ბაზარს განსაზღვრული გეოგრაფიული ლოკალიზაციაც ახასიათებს. ის თავის თავში მოიცავს მრავალ საერთაშორისო ფინანსური ცენტრს, რომლებიც სასესხო კაპიტალების უდიდესი მასის აკუმილირებასა და განაწილებას ახდენენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სწორედ აქ ხორციელდება მსოფლიოში მიმდინარე ყველა საერთაშორისო სავალუტო, სადეპოზიტო, საკრედიტო, საემისიო და სადაზღვევო ოპერაციების ლომის წილი.

საერთაშორისო ფინანსური ცენტრის ნორმალური ფუნქციონერებისათვის აუცილებელია გარკვეული წინაპირობების არსებობა: მოცემული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე; მისი აქტიური მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში: კაპიტალის ქმედითუნარიანი ეროვნული ბაზრისა და განვითარებული საბანკო სისტემის არსებობა; ლიბერალური სავალუტო და შედავათიანი საგადასახადო სისტემა; ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; ფარდობითი პოლიტიკური სტაბილურობა და ა.შ.

დასავლური სამყაროს წამყვან ფინანსურ ცენტრად სამართლიანად ითვლება ნიუ-იორკი, რომელიც ეფუძვნება აშშ-ს მძლავრ ეკონომიკას და კაპიტალის ძალზედ ტევად ბაზარს. განსაკუთრებით დიდია მისი როლი აქციებისა და ობლიგაციების ემისიაში, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟას ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში.

მთავარ ევროპულ საფინანსო ცენტრს წარმოადგენს ლონდონი. მას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სავალუტო, სადეპოზიტო და საკრედიტო

ოპერაციების მოცულობით. ტრადიციული გრძელვადიანი სესხების სფეროში დასავლეთ ევროპაში გამოირჩევა ციურიხი და მაინის-ფრანქფურტი. ლუქსემბურგი სპეციალიზირდება მოკლე და საშუალო ვადიან საკრედიტო ოპერაციებზე.

უკანასკნელ პერიოდში განუხრელად მატულობს ტოკიოს, როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრის როლი და მნიშვნელობა. ამას ხელს უწყობს იაპონიის გადაქცევა დასავლეთის სამყაროს უდიდეს კრედიტორად და იაპონიის კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაცია.

შედარებით ახლახანს შეიქმნა ახალი ფინანსური ცენტრები მსოფლიო მეურნეობის პერიფერიებში. მათ რიცხვს განეკუთვნება სინგაპური, ჰონკონგი, ბახრეინი, პანამა, აგრეთვე ბაჰამის, სეიშელისა და ნიდერლანდების ანტილიის კუნძულები. მათ მიიღეს "ოფშორის" სახელწოდება. ეს ნიშნავს, რომ აქ ფინანსური ოპერაციები არ ექცევა ნაციონალური რეგულირების ქვეშ. უმეტეს მათგანს აგრეთვე შეღავათიანი სავალუტო რეჟიმი ახასიათებს, რაც ტრანსნაციონალურ ბანკებსა და კორპორაციებს იზიდავს. ამგვარ საგადასახადო თავშესაფრებში ხშირად მხოლოდ რეგისტრირდება გარიგება, რომელიც რეალურად სამყაროს სრულიად სხვა ნაწილში ხორციელდება.

კაპიტალების მსოფლიო ბაზრის განვითარება ხასითდებოდა შინაგანი წინააღმდეგობებითა და არა თანაბარზომიერებით. ერთის მხრივ, წარმოების მზარდი ინტერნაციონალიზაცია ეროვნული კაპიტალების ურთიერთ გადახლართვას უწყობს ხელს, ხოლო მეორეს მხრივ, გარკვეულ ეტაპებზე სახელმწიფოს ჩარევა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, ასუსტებდა ქვეყნებს შორის ფინანსური რესურსების გადანაწილების საბაზრო მექანიზმს, ზღუდავდა და აჩერებდა კიდეც კერძო სასესხო კაპიტალის სხვა ქვეყნებში გატანას. ამას ადგილი ჰქონდა მსოფლიო ომების დროს, პოლიტიკური კატაკლიზმებისა და სერიოზული ეკონომიკური კრიზისების პერიოდებში (მაგალითად "დიდი დეპრესია" აშშ-ში 1929-1933 წლებში)

უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში, აშკარად დომინირებდა პირველი ტენდენცია. ამ პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესი გააქტიურების, საერთაშორისო ვაჭრობის ელვისებური განვითარების და სხვა ფაქტორთა გავლენით, შეინიშნება კაპიტალების მსოფლიო ბაზრის გრიგალისებრი განვითარება. ბევრი სამრეწველოდ განვითარებული ქვეყანა კაპიტალების მოძრაობისა და ფინანსური ბაზრების თანდათანობითი ლიბერალიზაციის პოლიტიკას ატარებდა. მაგრამ მათი შეზღუდული შესაძლებლობები სულ უფრო წინააღმდეგობრივი ხდებოდა მსოფლიო მეურნეობის ობიექტიურ მოთხოვნებთან მიმართებაში. ეს წინააღმდეგობა სტიქიურად გადაიჭრა XX საუკუნის 50-60 წლებში საერთაშორისო სასესხო კაპიტალების რეალური ბაზრის, ეგრეთწოდებული ევრობაზრის წარმოქმნით.

ევრობაზარი წარმოადგენს ფულადი სახსრების ერთობლიობას აშშ დოლარსა და სხვა ვალუტაში, რომელიც ფუნქციონირებს სასესხო კაპიტალის სახით ეროვნულ საზღვრებს გარეთ და არ ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოების კონტროლს. ევრობაზარი იქცა კაპიტალების მსოფლიო ბაზრის ბირთვად.

წარმოქმნის მომენტიდან ევრობაზარი ვითარდება განსაკუთრებულად მაღალ ტემპებში. 1979 წელს მისი საერთო მოცულობა უდრიდა 1 ტრილიონ დოლარს. უკვე 1988 წლისათვის გადალახული იქნა 5 ტრილიონიანი ზღვარი. ბანკებს შორის განმეორებადი დეპოზიტური ოპერაციების გამოკლებით, ევრობაზრის სუფთა მოცულობამ შეადგინა 2,5 ტრილიონი დოლარი. კაპიტალების მსოფლიო ბაზრის ერთობლივმა მოცულობამ, კაპიტალის ეროვნულ ბაზარზე მიმდინარე საერთაშორისო სასესხო ოპერაციების ჩათვლით, უკვე 1988 წლისათვის შეადგინა 3,2 ტრილიონი დოლარი (განმეორებადი აღრიცხვის გარეშე).

ევრობაზრის განვითარების კვალობაზე, ეროვნული ბაზრების მნიშვნელობა სასესხო კაპიტალების საერთაშორისო მიგრაციის პროცესში, შესუსტდა. მაგალითად უკვე 1988 წლისათვის, ახალი საობლიგაციო სესხების მოცულობა ევრობაზარზე 3,7 ჯერ აღემატებოდა ახალი უცხოური ემისიური ობლიგაციების მოცულობას კაპიტალების ეროვნულ ბაზარზე. საბანკო დაკრედიტების სფეროში, ევრობაზრის უპირატესობა კიდევ უფრო აშკარაა (დაახლოებით 12,4 ჯერ).

80-ანი წლებიდან, კაპიტალების მსოფლიო ბაზარზე გამოიკვეთა სასესხო ოპერაციების გაფართოების აშკარა ტენდენცია, რომელიც განხორციელებულია ფასიანი ქაღალდების გამოშვებით (ე.წ. სეკიურიტიზაცია). თუ 1979 წელს ევრობაზარეზე გაცემული კრედიტების მოცულობა 4,4 ჯერ აღემატებოდა ამავე ბაზარზე ევროობლიგაციების ემისიას, უკვე 1983 წლიდან საერთაშორისო ობლიგაციური სესხების გამოშვება მუდმივად აღემატება საკრედიტო ოპერაციების მოცულობას.

კაპიტალების ეროვნულ ბაზრებზე, უცხოური სესხების ემისია კიდევ უფრო აღემატება უცხოურ მსესხებლებზე გაცემულ კრედიტებს (საშუალოდ 5 ჯერ).

არსებითი ცვლილებებია სესხების პროცესის გეოგრაფიულ სტრუქტურაშიც. განვითარებადი ქვეყნების საგარეო დავალიანებების კრიზისის პირობებში, გაუარესდა მათ მიერ კაპიტალების მსოფლიო ბაზრიდან რესურსების მოზიდვის შესაძლებლობანი. მათი წილი განხორციელებული ახალი სესხების საერთო მოცულობაში 80 წლების შუა პერიოდის 23%-დან, საუკუნის ბოლოს 5%-მდე დაეცა. შესაბამისად გაიზარდა სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების ხვედრითი წილი (71%-დან 91%-მდე). აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წილი პრაქტიკულად არ შეცვლილა და დარჩა 1%-ს დონეზე, ხოლო საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და სხვა მსესხებლების წილი კი უმნიშვნელოდ შემცირდა (5%-დან 3%-მდე). განსაკუთრებულად გართულდა არა პირველი კლასის მსესხებლებისათვის საერთაშორისო საობლიგაციო ბაზრებზე შეღწევის შესაძლებლობა. მაგალითად 2000 წელს, ახალი ობლიგაციური სესხების საერთო მოცულობის 3,6 % მოდიოდა განვითარებად ქვეყნებზე, მაშინ როდესაც სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებმა მიიღეს 89,5%, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მხოლოდ 0,8%, ხოლო საერთაშორისო და რეგიონალურმა ორგანიზაციებმა კი 6,1%.

სასესხო ოპერაციების სავალუტო სტრუქტურაში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცირდება აშშ-ს დოლარის, მსოფლიოს წამყვანი ვალიუტის წილი. თუ 70-ან წლბში ამ ვალუტაზე მოდიოდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული საზღვარგარეთული საბანკო აქტივების 3/4, საუკუნის ბოლოსათვის ეს მაჩვენებელი 59%-მდე დაეცა. შესაბამისად ამაღლდა სხვა ვალუტების წილი: 1990 წლისათვის გერმანული მარკა 13%, იაპონური იენა 7%, შვეიცარული ფრანკი 5%-ით და ა.შ. ამერიკულ ვალუტის როლი კიდევ უფრო დაკნინდა ევროვალუტის მიმოქცევაში შემოსვლის მერე. უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით შესუსტდა საერთაშორისო საობლიგაციო ბაზარზე ამერიკული ვალუტის პოზიციები.

7.3. საერთაშორისო კრედიტი და მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში

საერთაშორისო კრედიტი ჯერ კიდევ ფეოდალური ეპოქის ხრწნის პერიოდში ჩაისახა. პირველ საწყისად იგი წარმოადგენდა სავახშო კრედიტის განსაკუთრებულ ნაირსახეობას და ძირითადად გამოიყენებოდა ომებისა და ევროპელი მონარქების სასახლის კარის შენახვის დასაფინანსებლად. საერთაშორისო კრედიტმა განვითარება ჰპოვა წარმოების მზარდი ინტერნაციონალიზაციის საფუძველზე. მან დაიწყო კვლავწარმოების პროცესის მომსახურება მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო კრედიტი, როგორც ეკონომიკური კატეგორია ასახავს ურთიერთობებს რომელიც ყალიბდება სხვადასვა ქვეყნის კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის, სესხის მიღების, გამოყენებისა და პროცენტით დაფარვის პროცესში. ამ ურთიერთობათა სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებანი, არასაფინანსო კომპანიები, აგრეთვე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები. საერთაშორისო კრედიტი, როგორც საწარმოო ურთიერთობების ელემენტი, მჭიდროდაა დაკავშირებული სასაქონლო წარმოების სხვა კატეგორიებთან (პროცენტი, მოგება, სავალუტო კურსი, საგადამხდელო ბალანსი და ა.შ)

სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში, საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობათა სუბიექტებად, ძირითადში კერძო საწარმოები და ორგანიზაციები გვევლინებიან. მათში წამყვანი როლი საერთაშორისო ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს ეკუთვნით. კრედიტორთა და მსესხებელთა ძირითად მიზანს წარმოადგენს პროცენტის ან სამეწარმეო მოგების სახით მაქსიმალური შემოსავლის მიღება. სასესხო პროცენტის წარმოშობის წყაროა ზედმეტი ღირებულება, რომელიც მოვალე ქვეყანაში იქმნება.

საერთაშორისო კრედიტი, საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ასრულებს. პირველი, იგი უზრუნველყოფს ფინანსური და მატერიალური რესურსების გადანაწილებას ქვეყნებს შორის, საშუალებას აძლევს მათ გამოიყენენონ ისინი მეტი ეფექტურობით ან დაიკმაყოფილონ

ყველაზე მწვავე მოთხოვნა სასესხო საშუალებებზე. მეორე, საერთაშორისო კრედიტი, მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით აძლიერებს დაგროვების პროცესს, წარმართავს დროებით თავისუფალ სახსრებს ერთი ქვეყნიდან კაპიტალდაბანდებათა დასაფინანსებლად მეორე ქვეყანაში. და მესამე, საერთაშორისო კრედიტი აძლიერებს რეალიზაციის პროცესს მსოფლიო მასშტაბით, და ამით აფართოებს გაფართოებული კვლავწარმოების საზღვრებს. საერთაშორისო კრედიტის ფუნქციიდან გამომდინარეობს მისი მნიშვნელოვანი როლი მსოფლიო მეურნეობის განვითარებაში, რომელსაც როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური შედეგები აქვს.

ერთის მხრივ, საერთაშორისო კრედიტი ხელს უწყობს საწარმოო ძალების, წარმოების ინტერნაციონალიზაციისა და გაცვლის პროცესების განვითარებას. ის წარმოადგენს მსოფლიო ვაჭრობის გაფართოების მძლავრ ფაქტორს წარმოშობს რა მსესხებელ ქვეყნის ბაზარზე დამატებით მოთხოვნას. განსაკუთრებით დიდია საერთაშორისო კრედიტის როლი საზღვარგარეთ მანქანებისა და მოწყობილობების რეალიზაციის საქმეში. ამგვარი პროდუქციის ექსპორტის დაკრედიტება წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციული ბრძოლის მძლავრ იარაღს. საერთაშორისო კრედიტი ასევე წარმოშობს მოვალე ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ხელშემწყობ წინაპირობებს და უშუალოდ გამოიყენება ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ცალკეული პროექტებისა და მთლიანი პროგრამების ფინანსირებისათვის.

მეორეს მხრივ, საერთაშორისო კრედიტს შეუძლია ხელოვნურად გააფართოოს კრედიტორ ქვეყნებში საქონლების წარმოებისა და რეალიზაციის საზღვრები, რითაც გააღრმავებს მათი ეკონომიკის დისპროპორციებს და ამძაფრებს სავაჭრო ბალანსების გაუწონასწორებლობას. კიდევ უფრო უსიამოვნო შედეგები შეიძლება მოყვეს მსესხებელი ქვეყნისათვის ზედმეტად დიდი უცხოური კრედიტების მოზიდვასა და მათი გამოყენების დაბალ ეფექტურობას. მოვალე ქვეყნებიდან პროცენტებისა და დივიდენდების სახით ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი წილის ამოქაჩვას შეუძლია სერიოზულად დაარტყას ამ ქვეყნების გადახდის უნარიანობას და სერიოზულად დაარღვიოს კვლავწარმოების პროცესი. სწორედ ამაზე მიუთითებს განვითარებადი ქვეყნების დავალიანებათა კრიზისი. 1970 წლიდან განვითარებადი ქვეყნების საგარეო დავალიანება გაიზარდი 10- ჯერ და თითქმის ტრილიონ დოლარს აღწევდა. მაგრამ ფინანსური ნაკადების მძლავრმა შემოდინებამ, განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილისათვის, ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მოლოდინი ვერ გაუმართლა. უცხოური კრედიტები ხშირად გამოიყენებოდა არა მწარმოებლური მიზნებისათვის – ძალზედ ხარჯიანი პრესტიჟული პროექტებისათვის, იარაღის შესაძენად, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დასაფარად და ა.შ. პარალელურად განუხრელად იზრდებოდა საგარეო ვალების მომსახურების ხარჯები, რასაც 80-ან წლებში საპროცენტო განაკვეთების ზრდამაც შეუწყო ხელი. საგარეო ვალი ბევრი ქვეყნისათვის აუტანელ ტვირთად იქცა. მაგალითად მექსიკა 1982 წელს, შემდგომ არგენტინა 2000 წელს აღმოჩნდენ გადახდის უუნარონი და დეფოლტი რეალობად იქცა. ძველი ვალებისა და მათზე რიცხული პროცენტების დასაფარად ისინი ითხოვენ ვალების რესტრუქტურიზაციასა და ახალი კრედიტების გამოყოფას. მიუხედავად საგარეო დავალიანების შემდგომი ზრდისა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, განვითარებადმა ქვეყნებმა არა თუ ვერ მიიღეს საჭირო რესურსები, არამედ იძულებულნი არიან გიგანტური თანხები დაუბრუნონ თავიანთ კრედიტორებს. თუ კი ფინანსური რესურსების წმინდა ნაკადი განვითარებად ქვეყნებში 1982 წლისათვის შეადგენდა 140 მილიარდ დოლარს, შემდგომ წლებში იგი ტრანსფორმირდა წმინდა გადინებად ქვეყანაში (85 მილიარდი დოლარი საშუალოდ წელიწადში). შედეგად, განვითარებად ქვეყნებში პრაქტიკულად შეწყდა ეკონომიკური ზრდა, შემცირდა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შემოსავლები და მოხმარება, ხოლო ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებანი უმსხვილესი დავალიანების მქონე ქვეყნებში დაეცა 1970 წლის დონეზე.

7.4. კაპიტალების მსოფლიო ბაზარზე საკრედიტო ოპერაციათა ძირითადი სახეები

მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება საერთაშორისო კრედიტის მრავალფეროვანი ფორმები, რომლებიც შეიძლება რამოდენიმე ძირითადი ნიშნის მიხედვით დაკვალიფიცირდეს.

თავისი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით, საერთაშორისო კრედიტი იყოფა დაკავშირებულ და საფინანსო კრედიტად. **დაკავშირებულ კრედიტებს** მკაცრი მიზნობრივი დანიშნულება აქვთ, რომელიც დაფიქსირებულია საკრედიტო ხელშეკრულებაში. მათ რიცხვს განეკუთვნება კომერციული

კრედიტები, რომელიც გაიცემა განსაზღვრული საქონლის შესაძენად ან მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად; **საინვესტიციო კრედიტები,** რომელიც გათვალისწინებულია კონკრეტული ობიექტების შესაქმნელად და ა.შ. მათგან განსხვავებით, **საფინანსო კრედიტებს** არ ახასიათებთ მკაცრად განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულება. მათი გამოყენება შესაძლებელია მსესხებლის შეხედულებებისამებრ ნებისმიერი მიზნისათვის (საქონლის შესყიდვა, ინვესტიციები, საფინანსო ოპერაციების განხორციელება, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დაფარვა, საგარეო დავალიანების დაფარვა და ა.შ) დაკავშირებული და ფინანსური კრედიტები შესაძლოა ერთმანეთს ავსებდნენ, მაგალითად საშემსრულებლო (Подрядный) სამუშაოების ფინანსირებისას, კომპლექსური მოწყობილობების მიწოდებისას (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფინანსური კრედიტი მოიზიდება საავანსო გადახდების განხორციელებისას).

გაცემის ფორმის მიხედვით, ანსხვავებენ სასაქონლო და სავალუტო კრედიტებს. საქონლური ფორმით უმეტესწილად გვევლინება კომერციული (საფირმო) კრედიტები, ხოლო ფულადი ფორმით, საფინანსო კრედიტები. სავალუტო კრედიტები გაიცემა კრედიტორი ან მოვალე ქვეყნის ვალიუტაში, ან სხვა ვალუტაში (რომელიმე საერთაშორისო საანგარიშსწორებო ერთეულში).

ვადიანობის მიხედვით საერთაშორისო კრედიტები იყოფა მოკლევადიან (ერთ წლამდე), საშუალო ვადიან (1-დან 5-7-წლამდე) და გრძელვავადიან (5-7 წელზე მეტი) კრედიტებად. მოკლევადიანი კრედიტი, როგორც წესი გამოიყენება სგარეო სავაჭრო ოპერაციების დროს (განსაკუთრებით სანედლეულო საქონლებით ვაჭრობისას). მანქანა მოწყობილობების ექსპორტი ჩვეულებრივ საშუალო ვადიანი კრედიტებით ფინანსირდება. გრძელვადიანი კრედიტები ძირითადად გამოიყენება ინფრასტრუქტურასა და საწარმოო სფეროში ინვესტ-ტიციათა ფინანსირებისათვის, მათ შორის მსხვილმასშტაბიან პროექტებში.

საერთაშორისო კრედიტის განსაკუთრებული ნაირსახეობაა კაპიტალის საერთაშორისო და საზღვარგარეთულ ბაზრებზე ობლიგაციების,, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების ემისია. ძირითადი თავისებურება სესხების ამ ფორმისა მდგონარეობს იმაში, რომ ბანკები აქ გვევლინებიან შუამავლებად მსესხებლებსა და უშუალო კრედიტორებს, ანუ ინვესტორებს (რომლებიც ახორ-ციელებენ საკუთარი სახსრების ფასიან ქაღალდებში დაბანდებას) შორის.

კაპიტალების მსოფლიო ბაზარი, ფართო გაგებით მთლიანობაში მოიცავს საერთაშორისო საკრედიტო ოპერაციების მთელ ერთობლიობას. თუმცა პრაქტიკაში ეს სიტყვა ვიწრო გაგებით გამოიყენება და ვრცელდება მხოლოდ ქვეყნებს შორის თავისუფალი სასესხო კაპიტალის მოძრაობაზე. მასში არ ჩაირთვება მაგალითად სახელმწიფოთაშორისი კრედიტები, საგარეო ვაჭრობის პირდაპირი დაკრედიტება და სხვა დაკავშირებული საკრედიტო ოპერაციები. კაპიტალების საერთაშორისო და საზღვარგარეთული ბაზრების რეგულარულად ქვეყნებადი სტატისტიკა, შეიცავს მხოლოდ მონაცემებს საფინანსო კრედიტებზე, ობლიგაციურ სესხებსა და ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

ამჟამად საფინანსო კრედიტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **სინდიცირებული ევროკრედიტები, რომლის წყაროა ევროსავალუტო ბაზრის რესურსი.** როგორც წესი ამგვარი კრედიტების ორგანიზირებას ახდენენ მსხვილი კომერციული ბანკები, რომლებიც სათავეში უდგანან კონსორციუმებს და ათანხმებენ მსესხებლებთან სასესხო პირობებს. სესხის ვადა უმეტესწილად შეადგენს 5-10 წელიწადს. ევრო კრედიტები როგორც წესი გაიცემა "როლლ ოვერ"-ის პირობით. რაც ნიშნავს, რომ საპროცენტო განაკვეთი არ ფიქსირდება სესხის მთელ პერიოდზე, და რეგულარულად გადაისინჯება (ყოველ 3 ან 6 თვეში) იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება სასესხო რესურსის ღირებულება საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე. საპროცენტო განაკვეთი როლოვერული კრედიტებისათვის შესდგება ორი ნაწილისაგან: საბაზისო განაკვეთი და მარჟი. ბაზად მიიღება შესაბამის ბაზარზე სამ ან ექვსთვიანი ბანკთაშორისი სადეპოზიტო პროცენტული განაკვეთი (მაგალითად "ლიბორი" ლონდონში). მარჟა დამოკიდებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობასა და საბაზრო კონიუქტურაზე. ის შეიძლება მერყეობდეს 0,25-დან 2 %-მდე. კრედიტის ღირებულება მოიცავს აგრეთვე სხვადასხვა სახის საკომისიოებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება როლევერული კრედიტის შესახებ შეთანხმების სხვადასხვა ფორმა და პირობა. ის შესაძლოა ითვალისწინებდეს მაგალითად ვალიუტისა და კრედიტის მოცულობის ცვლილებას მისი გამოყენების რომელიღაც შუალედური პერიოდის დადგომისას. კრედიტის დაფარვას ნაწილ-ნაწილ ან ერთიანად, ვადამდელი დაფარვის შესაძლებლობას და ა.შ.

საფინანსო კრედიტები უცხოელ მსესხებლებზე გაიცემა ეროვნულ ბაზრებზეც, მაგრამ ის არ თამაშობს ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორსაც სინდიცირებული ევროკრედიტები.

80-ანი წლებიდან გაიზარდა ობლიგაციური კრედიტების, როგორც კაპიტალის საერთაშორისო და ნაციონალური ბაზრებიდან გრძელვადიანი საშუალებების მოზიდვის ფორმის, როლი. ობლიგაციური სესხის ემისიასა და განთავსების ორგანიზაციას ანხორციელებს საბანკო სინდიკატის ხელმძღვანელი ჯგუფი, ე.წ. მენეჯერები. ამ ჯგუფის სათავეში დგას წამყვანი მენეჯერი, რომელიც მსესხებლი კონტრაგენტის როლში გამოდის და პასუხისმგებელია ინვესტორებთან სესხის ხელმოწერისა და განთავსების ორგანიზაციაზე. სინდიკატის მონაწილენი (ანდერრაიტერები) მენეჯერებთან ერთად გასცემენ შეთანხმებული კურსით სესხის მთელი მოცულობის განთავსების გარანტიას. ისინი ვალდებულნი არიან ობლიგაციის ბაზარზე გაუვრცელებელი ფასიანი ქაღალდი აიღონ საკუთარ პორტფელში.

საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება ობლიგაციური კრედიტის სხვადასხვა ფორმები. ამ ტიპის სესხის გაცემის კლასიკური ვარიანტია, ფასიანი ქაღალდების ნაციონალურ ბაზარზე, ადგილობრივი ბანკების სინდიკატის მიერ, შესაბამის ვალუტაში, მოცემული ქვეყნის საფონდო ბირჟაზე კოტირებული უცხოური ობლიგაციების საჯარო ემისია.. ამჟამად დომინირებს საერთაშორისო საობლიგაციო სესხები, რომელიც ევრობაზარზე ემიტირებულია მესამე ქვეყნის ვალუტაში ინტერნაციონალური შემადგენლობის მონაწილეთა სინდიკატის მიერ.

საობლიგაციო სესხის პირობები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ფიქსირებული სესხი მთელი პერიოდის განმავლობაში, ან გადაისინჯებოდეს საერთაშორისო ფულადი ბაზრის კონიუქტურის შესაბამისად. უკანასაკნელ შემთხვევაში იგი დგინდება ბანკთაშორისი დეპოზიტების განაკვეთების ბაზაზე, რომელსაც ემატება გარკვეული მარჟა. ამასთან ხშირად დგინდება ის მინიმალური ზღვარიც, რომელზე დაბლაც საპროცენტო განაკვეთი არ უნდა ჩამოვიდეს. იშვიათად, მაგრამ არსებობს ნულოვანი კუპონით ემიტირებული ობლიგაციებიც, რომლის პროცენტი გაითვალისწინება ემისიური კურსის დადგენისას. ნებისმიერ შემთხვევაში, სესხის ღირებულებაში ჩართულია მენეჯერებისა და სინდიკატის სხვა მონაწილეთა საკომისიო ჯილდოს ღირებულება.

საობლიგაციო სესხები, როგორც წესი გამოიცემა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივ 3-15 წლით). თუმცა ცნობილია პირველხარისხოვანი მსესხებლების უვადო ობლიგაციათა ემისიის შემთხვევებიც.

საერთაშორისო პრაქტიკაში ასევე გამოიყენება კონვერტირებადი ობლიგაციები, რომლებიც გარკვეულ პირობებში, შესაძლოა გაიცვალოს მოვალე კომპანიის აქციებზე წინასწარ დადგენილი კურსით. უკანასკნელ წლებში დიდ ინვესტორებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ობლიგაციები ვარიანტით – ცალკე დოკუმენტით, რომელიც მფლობელს ანიჭებს უფლებას შეიძინოს აქციები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფიქსირებული კურსით. ამგვარი ფასიანი ქაღალდების განსაკუთრებული სახეა ობლეგაციები ოქროს ვარიანტით, რომელიც აძლევს უფლებას ინვესტორს შეიძინოს ოქრო მყარ ფასებში, ბაზრის კონიუქტურისაგან დამოუკიდებლად.

80-ან წლებში სასესხო კაპიტალების ბაზარზე ფართო გავრცელება ჰპოვა სხვადასხვა **ახალმა ფინანსურმა ინსტრუმენტმა.** მათ რიცხვს განეკუთვნება ე.წ. ევრონოტები, ანუ მოკლე და საშუალო ვადიანი ვალდებულებანი, მცურავი საპროცენტო განაკვეთით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების განთავსების რეგულარულად განახლებადი გარანტიები. მოკლევადიან ფინანსურ დოკუმენტებში, თვალსაჩინო ადგილი უკავია ევროკომერციულ ქაღალდებს–კერძო კომპანიათა ვალდებულებებს, რომელიც გამოიცემა 3–6 თვის ვადით, რომელსაც შესაბამისი საერთაშორისო ფულადი ბაზრის საბაზისო განაკვეთზე დარიცხული აქვს მცირე მარჟა.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

1. დაახასიათეთ რა როლი უკავია სახელმწიფოს კაპიტალის გატანაში;
2. დაახასიათეთ მსოფლიო ფულადი ბაზარი და კაპიტალების მსოფლიო ბაზარი;
3. დაახასიათეთ საერთაშორისო კრედიტის როლი მსოფლიო ეკონომიკაში;
4. დაახასიათეთ საკრედიტო ოპერაციათა ძირითადი სახეები.

თავი VIII. წარმოების ინტერნაციონალური ფასი და მისი ფორმირების თავისებურებანი

8.1. წარმოების ინტერნაციონალური ფასი

წარმოების ეკონომიკური პირობები, ყოველ ცალკეულ ნაციონალურ მეურნეობაში განსხვავებულია. განსხვავებანი მეურნეობის ტექნიკური უზრუნველყოფის, მუშაკების კვალიფიკაციის დონეებსა და წარმოების ბუნებრივ პირობებში, განაპირობებენ შრომის ნაყოფიერების საშუალო დონეებში მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობას. ეს ნიშნავს, რომ შრომის დანახარჯები, გაწეული ერთგვაროვანი პროდუქციის ყოველი ერთეულის წარმოებაზე თითეული ქვეყნის მიხედვით განსხვავებული იქნება. ცხადია ყოველ ქვეყანაში ასევე ყალიბდება შრომის ინტენსივობის საკუთარი დონე. ამიტომ, სამუშაო დროის ერთი და იმავე მონაკვეთში, შრომის რეალური დანახარჯები, ქვეყნების მიხედვით რეალურად სხვადასხვაა. თუ კი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს შრომის ნაყოფიერებაც განსხვავებულია, აშკარა ხდება ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე დროში, ცალკეულ ქვეყნებში ღირებულების სხვადასხვა სიდიდე და პროდუქციის ერთეული იქმნება. ცხადია არ დაემთხვევა არც პროდუქციის ერთეულის ღირებულება. ყოველ ქვეყანაში არსებობს საქონლის წარმოების საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯის სიდიდე, რაც განსაზღვრავს კიდეც მის ღირებულებას.

საქონლის საერთაშორისო ბრუნვის, წარმოების ინტერნაციონალიზაციის დონის ზრდის კვალობაზე, რაც შრომის საერთაშორისო დონეზე განსაზოგადოების ნიშანია, ღირებულება იქცევა ინტერნაციონალურ კატეგორიად. ცალკეული ქვეყნების ეროვნული შრომა საზოგადოებრივ აღიარებას ჰპოვებს როგორც მსოფლი ერთობლივი შრომის რაღაც ნაწილი.

შრომის დანახარჯები ცალკეულ ქვეყნებში გამოდის როგორც ინდივიდუალური დანახარჯები. ამასთან ერთად ღირებულების კანონი მოითხოვს განსხვავებული ინდივიდუალური დანახარჯების შეწონასწორებას საზოგადოებრივ დანახარჯებთან. ამიტომ, საქონლის გაცვლა მსოფლიო ბაზარზე უნდა განხორციელდეს არა ეროვნულ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის დანახარჯების ბაზაზე, არამედ, საშუალოდ მსოფლიო აუცილებელი საზოგადოებრივი შრომითი დანახარჯების საფუძველზე. ცხადია საერთაშორისო გაცვლების საფუძველში ძევს არა ნაციონალური, არამედ ინტერნაციონალური ღირებულება.

საქონლის ინტერნაციონალური ღირებულება განისაზღვრება საზოგადოებრივად აუცილებელი დროით, რომელიც საჭიროა მის საწარმოებლად საზოგადოებრივად ნორმალურ საშუალო მსოფლიო პირობებში. პროდუქციის ერთეულზე, საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დრო, დახარჯული იქნება საშუალო მსოფლიო ინტესივობისა და მწარმოებლურობის შრომის მიერ.

განვითარებული სასაქონლო წარმოების პირობებში, ფასის საფუძველში ძევს არა ღირებულება, არამედ წარმოების ფასი, რომელიც უდრის წარმოების ხარჯებს პლიუს საშუალო მოგება. წარმოების დანახარჯები განისაზღვრება როგორც ცოცხალი, ასევე წარსული შრომის დანახარჯებით. რამდენადაც ნედლეულის, ენერგიის, საწარმოო მოწყობილობების გამოყენების ეფექტურობა ქვეყნების და მიხედვით განსხვავებულია, ცხადია ნაციონალური წარმოების ხარჯები დაკავშირებული ამგვარ ხარჯებთან, ბუნებრივია ასევე განსხვავებული აღმოჩნდება. ამასთან ერთად, ქვეყნები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან არა მხოლოდ ცოცხალი შრომის დანახარჯებით, არამედ მისი ანაზღაურების დონითაც.

რაც შეეხება კაპიტალზე მოგების საშუალო ნორმას თითეულ ქვეყანაში, იგი ყალიბდება დარგებს შორის კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადადინებით. ეროვნული საშუალო მოგების დონეები განსხვავებულია, მაგრამ ეს სხვაობა არცთუ მაღალია. მოგების ნორმის ნაციონალურ დონეზე გავლენას ახდენს წარმოების საერთაშორისო პირობები, ამასთან, რაც მეტადაა ქვეყანა ჩართული საერთაშორისო სამეურნეო ბრუნვაში, მით ძლიერია ამგვარი გავლენა. ლაპარაკია არა მხოლოდ სამუშაო ძალის, ან განსაკუთრებით კაპიტალის გადადინების გავლენაზე. თუმცა ცნობილია რომ, სამუშაო ძალისა და კაპიტალის გადადინებას ადგილი აქვს მსოფლიო მეურნეობაშიც (ერთი ქვეყნიდან მეორეში), მაგრამ ამ პროცესს აბრკოლებს მთელი რიგი წინაღობები როგორც ობიექტური ხასიათის, ასევე ნაციონალური სახელმწიფოების მთელი რიგი ქმედებებისა, რითაც გარკვეულ წილად იზღუდება როგორც კაპიტალის, ასევე სამუშაო ძალის მიგრაცია.

მოგების ნორმაზე გავლენას ახდენს ასევე საქონლის მოძრაობაც, ანუ ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში. თუ წარმოების რომელიმე დარგში, რომელიც მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია მსოფლიო ბაზარზე (და ასეთი დარგები სულ

უფრო მეტია), მოგების ნორმა აღმოჩნდება ბევრად მაღალი ვიდრე მოგების საშუალო ნორმა ქვეყანაში, ამ დარგისკენ წამოვა კაპიტალები წარმოების სხვა დარგებიდან. რამდენადაც ანალოგიურად განვითარდება მოვლენები ხვა ქვეყნებშიც, მალე აღმოჩნდება რომ მსოფლიო ბაზარი გადაჯერებული იქნება ამ პროდუქციით. ცხადია დაიწყება მასზე ფასების ვარდნა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ნაციონალურ კომპანიებს შორის კონკურენციაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მსოფლიო ბაზრებზე რეალიზაციის პირობებიც, რაც თავის მხრივ იწვევს სხვადასხვა ქვეყნებში მოგების ნორმის დონის დაახლოებას.

ამგვარად, ყოველ ქვეყანაში ყალიბდება წარმოების ეროვნული დანახარჯების გარკვეული დონე, რომელიც მოგების ეროვნულ საშუალო დონესთან ერთად აყალიბებს წაროების ნაციონალურ ფასს, რაც თავისმხრივ განსაზღვრავს საქონლის ნაციონალურ ფასებს.

მსოფლიო ბაზარზე ხორციელდება განსხვავებული ფასების შედარება და მსოფლიო ფასი ყალიბდება იმ ნაციონალური ფასების გავლენით, რომელთა საფუძველში წარმოების მსოფლიო მასშტაბით საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები ძევს, ანუ წარმოების ინტერნაციონალური ფასი. ის არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეროვნული წარმოების ფასების რაღაც საშუალო არითმეტიკული სიდიდე. ინტერნაციონალურ მასშტაბში წარმოების საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები ყალიბდება უმეტესწილად საქონლის წარმოების პირობებით იმ ქვეყანაში, რომელიც წამყვანია მოცემული საქონლის მსოფლიო ბაზარზე მიწოდებაში. ამავდროულად, ნაციონალური ბაზრისაგან განსხვავებით, რომელშიც საქონლის უმსხვილესი მწარმოებელი, უმსხვილესი მიმწოდებელიცაა, მსოფლიო ბაზარზე ხშირად საქონლის მეტი წილის რეალიზაციას ახდენენ ქვეყნები, რომელთა წილიც მსოფლიო წარმოებაში მნიშვნელოვნად დაბალია.

8.2. მსოფლიო ფასებზე მოთხოვნისა და მიწოდების გავლენა.

წარმოების ინტერნაციონალური ფასი, წარმოადგენს ინტერნაციონალური ღირებულების სახეშეცვლილ ფორმას და წარმოადგენს მოწოდების მხრიდან ფასის საფუძველს. მაგრამ საბაზრო მეურნეობაში ფასი ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების ერთდროული გავლენით. გამყიდველი ყოველთვის დაინტერესებულია ფასის აწევით, მაშინ როდესაც მყიდველი ცდილობს შეიძინოს საქონელი უფრო დაბალ ფასში. როდესაც მოთხოვნა და მიწოდება აწონასწორებს ერთმანეთს, ყალიბდება წონასწორული ფასი, რომელიც მისაღებია, როგორც მყიდველის, ასევე გამყიდველისათვისაც. გრაფიკულად, წონასწორობის ფასი, შეესაბამება მოთხოვნისა და მიწოდების მრუდების გადაკვეთის წერტილს. ამ წერტილს ხშირად, ინგლისელი ეკონომისტის – მარშალის საპატივცემოდ მოიხსენიებენ "მარშალის ჯვარი"-ს სახელით.

მარშალის ჯვარი შედგება (გრაფიკი.1) ორი მრუდისაგან: მოთხოვნის მრუდი, რომელიც ეცემა ფასის ზრდის კვალობაზე და საქონლის მიწოდების მრუდისაგან, რომელიც იზრდება ფასის ზრდასთან ერთად. ამ ორი მრუდის გადაკვეთა განსაზღვრავს საქონლის წონასწორობის ფასს.

მარშალის ჯვარს აქვს ნეოკლასიკური თეორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა. მრავალი ასეთი ჯვარი ამშვენებს ეკონომიკის ყველა თანამედროვე სახელმძღვანელოს. სწორედ ამგვარი გრაფიკული გამოსახულების საშუალებით ყველაზე ადვილად აიხსნება მრავალი ეკონომიკური მოვლენები.



გრაფიკი №1. მარშალის ჯვარი

ეკონომიკურ თეორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სხვადსხვა ეფექტები და პარადოქსები, რომლებიც გვიჩვენებს ეკონომიკურ კანონთა უცნაურ გამოვლენებს, ხშირად მათ დაზუსტებას, რომ საჭიროებს და გადახედვასაც კი. როგორც წესი, ისინი გამოიყენება ეკონომისტთა მიერ სხვადსხვა თეორიის, ასევე ჰიპოთეზათა და იდეათა საილუსტრაციოდ, ამიტომ მათი ცოდნა სასარგებლოა.

მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე რომელი დანახარჯების რა დონეზე იქნება ორიენტირებული ფასი?. თუ მოთხოვნა ძალზედ მნიშვნელოვანია, მაშინ მსოფლიო ფასი შესაძლებელია აღმოჩნდეს წარმოების უარესი პირობების (თუნდაც მათი წილი მსოფლიო ბაზარზე იყოს უმნიშვნელო) შესაბამის წარმოების ფასის დონეზე, რაც საშუალებას მისცემს მწარმოებლებს ამ ქვეყნებიდან გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე და მიიღონ მოგება. წარმოების საშუალო და განსაკუთრებით საუკეთესო პირობების მქონე ქვეყნებში, მწარმოებლის მოგება იქნება საკმარისად მაღალი, რაც მოცემულ ბიზნესში კაპიტალდაბანდებების ზრდის სტიმული გახდება. წარმოების შესაბამისი ზრდა ამ ქვეყნებში გაზრდის ბაზარზე მიწოდებას. შესაბამისად ფასი დაიწყებს კლებას და იგი ჩამოყალიბდება დონეზე, რომელიც დაახლოებს საქონლის ფასს წარმოების მსოფლიო საშუალო პირობებში საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების დონესთან.

თუ კი სასაქონლო მასა მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად აჭარბებს ამ საქონელზე მოთხოვნას, მაშინ მსოფლიო ფასს განსაზღვრავენ საქონლები, რომლებიც დამზადებულია მსოფლიოში საუკეთესო წარმოების პირობებში. წარმოების ცუდი, და თუნდაც საშუალო პირობების მქონე ქვეყნების მწარმოებელები იძულებულნი იქნებიან დატოვონ ბაზარი. მიწოდების შემცირება თანდათან შეამცირებს მოცემულ საქონელზე ფასების ვარდნას და განაპირობებს საქონელზე მსოფლიო ფასის კვლავ წარმოების საშუალო პირობებში ჩამოყალიბებული წარმოების ფასისკენ მოძრაობას.

მოცემულ საქონელზე მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაზე გავლენას ახდენს სხვა ბაზრებზე იმ საქონლების მიწოდებაც, რომელთაც ანალოგიური სამომხმარებლო თვისებები აქვთ. მაგალითად სინთეტიკური კაუჩუკით ვაჭრობის ზრდა ამცირებს ნატურალური კაუჩუკით ვაჭრობას, რაც ასევ გავლენას იქონიებს მასზე მსოფლიო ფასის ფორმირებაზე და ა.შ.

რამდენადაც მსოფლიო ბაზარზე სამუშაო ძალისა და კაპიტალების თავისუფალი გადადინების შესაძლებლობანი ფარდობითად შეზღუდულია, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნის მიწოდებაზე მეტობის (ან პირიქით) პერიოდები შესაძლოა უფრო ხანგრძლივი იქნეს, ვიდრე ეროვნულ მეურნეობაში. ამა თუ იმ საქონელზე საკმაოდ სტაბილური და მდგრადი მოთხოვნის პირობებში, ქვეყანა რომელიც შესძლებს ეროვნული შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და შესაბამისად პროდუქციის ერთეულზე ეროვნული დანახარჯების შემცირებას, მოახერხებს გაყიდოს ეს საქონელი მსოფლიო ბაზარზე ფასით, რომელიც შეესაბამება ადრე ჩამოყალიბებულ მსოფლიო ფასს, რომელიც რეგულირდებოდა წარმოების მსოფლიო საშუალო, ან თუნდაც უარეს პირობებში წარმოების ფასით, და შესაბამისად მიიღოს გარკვეული დროის განმავლობაში უფრო მაღალი მოგება (ზემოგება).

მსოფლიო ბაზრის განსაკუთრებულობა მოთხოვნა - მიწოდების კუთხით მდგომარეობს იმაში რომ, იმ ცალკეულ ქვეყნებს, რომლებიც მოცემულ საქონლებს აწარმოებენ მსოფლიო მასშტაბით მაღალი დანახარჯებით შეუძლიათ (და ეს ხშირად ხდება) სატარიფო ან არასატარიფო ბარიერების შექმნით შეზღუდონ ან საერთოდ არ შემოუშვან საკუთარ ბაზრებზე საქონელი, რომელიც წარმოებულია უფრო ნაკლები დანახარჯების პირობებში. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო მოთხოვნა უკეთეს პირობებში წარმოებულ საქონლებზე მცირდება, რაც თავისთავად აისახება საქონლის მსოფლიო ფასზე. ამიტომ ქვეყნები რომლებიც აწარმოებენ საქონელს უფრო ნაკლები დანახარჯებით, ვეღარ შესძლებენ სრულფასოვნად ისარგებლონ საკუთარი უპირატესობებით მსოფლიო ბაზარზე. მიუხედავად, ცალკეულ საქონლებზე მოთხოვნა-მიწოდების გავლენით ცალკეულ საქონლებზე მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი გადახრისა წარმოების ეროვნული ფასიდან (მსოფლიო მასშტაბით საზოგადოებრივად აუცილებელი საშუალო დანახარჯებიდან), მოთხოვნა მიწოდების მოქმედების იგივე მექანიზმი, როგორც ჩანს ხელს უწყობს ფასის მიდრეკილებას დაუახლოვდეს საშუალო დანახარჯების დონეს.

მსოფლიო ფასი, რომლის საფუძველშიც, როგორც წესი წარმოების ინტერნაციონალური ფასი დევს, წარმოადგენს

წარმოების საერთაშორისო მასშტაბში სტიმულირების და შრომის ეკონომიის ფაქტორს. ყველა ქვეყანა იძულებულია მოახერხოს წარმოების ინტერნაციონალურ ფასზე ორიენტაცია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებზე. ამიტომაც, შრომის უფრო დაბალი ნაყოფიერების მქონე ქვეყნები მიისწრაფიან მისი ამაღლებისაკენ იმ ანგარიშით, რომ მათი დანახარჯები მიუახლოვდეს საზოგადოებრივად აუცილებელ დონეს. თავის მხრივ, ქვეყნები რომლებმსაც უკვე აქვთ შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონე, დაინტერესებულნი არიან მის შემდგომ ზრდაში, რამდენადაც, ყიდიან რა საკუთარ საქონელს მსოფლიო ფასებში, ისინი იღებენ დამატებით მოგებას. მაგრამ, წარმოების ინტერნაციონალური ფასი, წარმოადგენს რა სასაქონლო წარმოების კანონთა იარაღს, ამავდროულად განაპირობებს მკაცრ საკონკურენციო ბრძოლას სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებელთა შორის და იწვევს ბევრი მათგანის გაკოტრებასაც.

8.3. ფასწარმოქმნაში სამომხმარებლო ღირებულების როლი

იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ბაზარზე ფასწარმოქმნის საფუძველს წარმოადგენს წარმოების ინტერნაციონალური ფასი, ეს არ ნიშნავს რომ, საქონლის სამომხმარებლო ღირებულება არ აისახება მის ფასზე. საქონლის შემძენს უპირველეს ყოვლისა აინტერესებს მისი სამომხმარებლო ღირებულება, და სხვა თანაბარ პირობებში ის უკეთესი სამომხმარებლო თვისებების საქონელს ანიჭებს უპირატესობას.

მსოფლიო ბაზარზე, კონკურენციული ბრძოლის პროცესში, მსოფლიო მასშტაბით ყალიბდება არა მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები, არამედ საქონლის საზოგადოებრივად აუცილებელი სამომხმარებლო ღირებულება. ის წარმოადგენს, საქონლის თვისებას, დააკმაყოფილოს წარმოების მოცემულ პირობებში ნორმალურად მიჩნეული ადამიანის საწარმოო ან პირადი მოთხოვნილება.

მაგალითად, თუ ლაპარაკია სასურსათო საქონელზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გემურ თვისებებს, შენახვის უნარს, იერსახეს და აშ. ნედლეულის მრავალი სახეობისათვის არსებითია გარკვეული ნივთიერებების შემცველობა. ძალზედ მრავალფეროვანია მოთხოვნები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მანქანა-დანადგარები. მანქანები, რომელთაც ახასიათებთ მსგავსი კონსტრუქცია და თუნდაც მწარმოებლურობა, შესაძლოა განსხვავდებოდნენ საიმედოობით, ექსპლუატაციის ვადიანობით, წონით, ხარიხით და აშ. წარმოების მოცემულ პირობებში მსოფლიო ტექნიკური დონე, ანუ ხარისხის მსოფლიო სტანდარტი, ყალიბდება ყოველ ცალკეულ მანქანასა და დანადგარზე.

რამდენადაც მომხმარებელი ბაზარზე ირჩევს უკეთესი სამომხმარებლო თვისების საქონელს, მწარმოებელიც ცხადია აქეთკენ იქნება ორიენტირებული. მაგრამ წარმოების დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება საქონლის ხარისხის ზრდას, შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ, რაც დამოკიდებულია წარმოების ტექნოლოგიაზე, ბუნებრივ პირობებსა და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, საბადოს თავისებურებებიდან გამომდინარე, შრომის ერთგვაროვანი დანახარჯებით შესაძლოა მიღებულ იქნეს სრულიად განსხვავებული ხარისხის მადანი. მაგრამ, მომხმარებელს მწარმოებლის ხარჯები ნაკლებად აინტერესებს. ის მზადაა გადაიხადოს უფრო მაღალი ფასი უკეთესი ხარისხის პროდუქციაში. შესაბამისად, საქონლის სამომხმარებლო ღირებულება არსებით გავლენას ახდენს მსოფლიო ფასების ფორმირებაზე. კონკურენციული ბრძოლა იწვევს საზოგადოებრივად აუცილებელ სასარგებლო ეფექტზე გაანგარიშებით, საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების ფორმირებას. თუ ცალკეული მწარმოებელი იძულებულია ამ ეფექტის მისაღწევად გაზარდოს საკუთარი საწარმოო ხარჯები, საზოგადოება ამ ხარჯებს არ დაუფარავს. მსოფლიო ბაზარზე წარმოების ეროვნული დანახარჯების რედუქცია იწვევს წარმოების ინტერნაციონალური ფასის ფორმირებას, ხოლო სამომხმარებლო ღირებულებათა რედუქცია ცალკეულ ქვეყნებში კი სამომხმარებლო ღირებულების ფორმირებას მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიო ფასი გამოხატავს საზოგადოებრივად აუცილებელი ხარისხის საქონლის წარმოების ინტერნაციონალურ ფასს ფულად გამოხატულებაში.

ფასწარმოქმნის პრაქტიკაში ფასები იმ საქონელზე, რომელიც ვერ პასუხობს მსოფლიო ბაზარზე საზოგადოებრივად აუცილებელ ხარისხს (თანამედროვე ტექნიკურ დონეს), დგინდება უფრო დაბალ დონეზე. ფირმები, რომლებიც იწყებენ საქონლის გამოშვებას ხარისხით, რომელიც აღემატება მსოფლიო საშუალო ტექნიკურ დონეს, ყიდიან მათ უფრო მაღალი ფასით, და შესაბამისად იღებენ დამატებით შემოსავლებს.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ტექნიკის დონე განუხრელად რთულდება, მათი მომხმარებლისთვის არსებითი ხდება

არა მხოლოდ თავად ტექნიკის ხარისხი, არამედ იმ მომსახურების ხარისხიც, რომელსაც უწევს მწარმოებელი მომხმარებელს როგორც რეალიზაციის ასევე პროდუქციის ექსპლუატაციის პროცესში. მსოფლიო ბაზარზე ყალიბდება საყოველთაოდ მიღებული (საზოგადოებრივად აუცილებელი) საქონლის მიწოდების, ტექნიკური მომსახურების, საგარანტიო რემონტისა და ა.შ. პირობები. მწარმოებლის დანახარჯები, გაწეული ამ სამუშაოებზე, გაითვალისწინება საქონლის მსოფლიო ფასში. თუ მწარმოებელს არ ძალუძს საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტით, მას ვერ ექნება პრეტენზია საქონელში მსოფლიო ფასის მიღებაზე.

8.4. მსოფლიო ფასის ინტერნაციონალური ღირებულებიდან გადახრის ფაქტორები

მსოფლიო ფასი ყალიბდება არა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებისა და წარმოების ინტერნაციონალური ფასის საფუძველზე. არამედ, ფასწარმოქმნაზე მოქმედებს მთელი რიგი სხვა ფაქტორებიც.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა კარტელის ორგანიზაციული ფორმის საერთაშორისო მონოპოლიები, რომლებიც წარმოადგენენ სხვადახვა ქვეყნის მსხვილი კომპანიების გარიგებას მსოფლიო ბაზრის განაწილებისა და მონოპოლიური ფასების ჩამოყალიბების თაობაზე. ეს ფასები შეიძლება იყოს მონოპოლიურად მაღალი, თუ კარტელის მონაწილენი გვევლინებიან საქონლის მომწოდებლებად, და მონოპოლიურად დაბალიც, თუ კი ისინი საქონლის უპირველეს ყოვლისა ნედლეულის მყიდველები არიან. ფაქტია რომ, მონოპოლიები მუდმივად აგდებდნენ მსოფლიო ფასებს იმ ნედლეულზე, რომელიც მოეწოდებოდა განვითარებული ქვეყნებიდან, და წარმოებული იყო საწარმოებში, რომელიც მონოპოლიებს არ ეკუთვნოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ზოგიერთ მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე ფარულ მოქმედებას აგრძელებდნენ საერთაშორისო კარტელები, თუმცა ბევრ სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყანაში, საზოგადოების ძალისხმევით მიღებული იყო კანონები, რომელიც ზღუდავდა მათ საქმიანობას.

მსოფლიო მეურნეობაში სულ უფრო მზარდი როლის თამაში დაიწყეს ტრანსნაციონალურმა კონცერნებმა, რომლებსაც აქვთ საკუთარი საწარმოები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, და მიისწრაფიან მთელი რიგი პროდუქტის წარმოების მონოპოლი-ზაციისაკენ. მაღალსპეციალიზირებული წარმოების პირობებში, ზოგიერთმა ნაციონალურმა კომპანიამაც შესძლო პროდუქციის ცალკეული სახეობების ბაზრის მონოპოლიზირება. ფასების ასაგდებად, უმსხვილესი კომპანიები იყენებენ ხარისხის მონოპოლიას. ყოველივე ეს კი ქმნის პროდუქციის ცალკეულ სახეობებზე მონოპოლიურად მაღალი მსოფლიო ფასების ჩამოყალიბების პირობებს, რომელიც გადახრილია წარმოების ინტერნაციონალური ფასიდან.

პარალელურად, თანამედროვე პირობებში მთელი რიგი ფაქტორები ასუსტებს საერთაშორისო ბაზარზე მონოპოლიური ფასების როლს. შამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში, მუდმივად ჩნდება პროდუქციის ახალი სახეობები, რომელთაც ხშირად იგივე თვისებები აქვთ, როგორც უკვე ადრე წარმოებულს. ეს ამძაფრებს სხვადასხვა დარგის კომპანიებს შორის კონკურენციულ ბრძოლას.

სხვადასხვა დარგის კომპანიებს შორის მიდის ბრძოლა მსოფლიო ბაზრის ერთობლივი მოთხოვნის განსაზღვრული წილის დაპყრობისათვის (აშშ-იამას ეძახიან მომხმარებლის დოლარისათვის ბრძოლას). კომპანიათა სხვადასხვა ჯგუფებს შორის ბრძოლა ავიწროებს მონოპოლიური ფასების გავრცელების არეალს.

აქეთკენაა მიმართული ახალგაზრდა ქვეყნების პოლიტიკაც, რაც ეწინააღმდეგება სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში საქონლის შეძენისას მონოპოლიურად მაღალი ფასების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა ქვეყნების ბრძოლას მათ მიერ მსოფლიო ბაზარზე მიწოდებულ ნედლეულსა და სურსათზე მონოპოლიურად დაბალი ფასების ჩამოყალიბების წინააღმდეგ.

მსოფლიო ფასებზე არსებითი ზეგავლენა აქვს სახელმწიფო რეგულირების ზრდასაც, აგრეთვე საგარეო ვაჭრობაში პროტექ-ციონისტული ღონისძიებების გატარებას, სხვადასხვა სახის რაოდე-ნობრივ შეზღუდვებსა და კვოტირებას, საბაჟო-სატარიფო პოლიტიკას და ა.შ. ანუ ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებზე ფასების გათანაბრებას. ამვე მიმართულებით მოქმედებს მთელი რიგი შიდა გადასახადების, განსაკუთრებით ირიბი გადასახადების არსებობა, რაც

მნიშვნელოვნად ზრდის შიდა ფასებს მსოფლიო ფასებთან შედარებით. ამავდროულად სახელმწიფო, ექსპორტის გაზრდის მიზნით ბევრგან გარკვეულ პრემიებსაც იხდის ან ექსპორტის აშკარა სუბსიდირებას ეწევა, რაც იწვევს ცალკეულ საქონელზე საგარეო-სავაჭრო ფასის ხელოვნურ დაწევას. ომის შემდგომ პერიოდიდან ფართოდ გავრცელებული სახელმწიფო კრედიტები და სუბსიდიები ასევე სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ საგარეო-სავაჭრო ფასებზე, რამდენადც კრედიტის ანგარიშში საქონლის მიწოდებისას, კრედიტორი ქვეყნები, როგორც წესი ფასებს ხელოვნურად ბერავენ.

ფაქტორად, რომელიც მსოფლიო ბაზრის ფასებზე ახდენს გავლენას, იქცა სახელმწიფოთაშორისი სახელმწიფო რეგულირება, განსკუთრებით რომელიც დაკავშირებულია დასავლეთევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებასთან. ევროკავშირში არის მცდელობა განხორციელდეს მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობის ზენაციონალური რეგულირება. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ფასებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

8.5. არაექვივალენტური გაცვლის არსის შესახებ

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში, შრომის ნაყოფიერების დონეებში არსებული განასხვავებანი იწვევს არაექვივალენტური გაცვლის პრობლემის წარმოშობას.

რამდენადაც საქონლის ინტერნაციონალური ღირებულება (წარმოების ფასი) განვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ფასი, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი პირიქით, ინტერნაციონალური ღირებულების საფუძველზე განხორციელებული გაცვლის პირობებში, განვითარებული ქვეყანა მიიღებს გარკვეულ ნამატს საკუთარი ნაციონალური ღირებულების ზევით, მაშინ როდესაც, განვითრებად ქვეყანაში დადგება ნაციონალური ღირებულების სრულად ამოგების პრობლემა. ამგვარად, ეკონომიკის განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნები, განვითარებად ქვეყნებთან განხორციელებული საგარეო ეკონონიკური ურთიერთობებიდან ამოიგებენ განივთებული შრომის მეტ ოდენობას, ვიდრე სანაცვლოდ გასცემენ. ამაშია სწორედ, ამ თვალთახედვის მომხრეების აზრით, არაექვივალენტური გაცვლის არსი, რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყანას, განახორციელოს ნაკლებად განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური ექსპლუატაცია.

ამგვარი თვალთახედვა, სერიოზულ წინააღმდეგობაშია უპირველეს ყოვლისა თანამედროვე თეორიულ კონცეფციებთან. საქონლის ღირებულებით (წარმოების ფასი) გაცვლა, ყოველთვის გულისხმობს, რომ საქონლის მწარმოებელი, რომლის ინდივიდუალური დანახარჯები უფრო მაღალია ვიდრე საზოგადოებრივად აუცილებელი, გაცვლის პროცესში ვერ ინაზღაურებს სკუთარი შრომის სრულ დანახარჯებს, და მიიღებს მათ მხოლოდ ნაწილს, ანუ მხოლოდ იმას, რაც შეესაბამება საზოგადაებრივად აუცილებელი დანახარჯების დონეს. მაგრამ, გაცვლა ამ პირობებში არ შეიძლება ჩაითვალოს არაექვივალენ-ტურად. პირიქით, ის რომ გაცვლის პროცესში სრულად იღებდეს იმ ღირებულებას, რომელიც ტოლია საკუთარი ინდივიდუალური დანახარჯებისა, საზოგადოება მას ფაქტიურად გადაუხდიდა დროის მოცემულ მომენტში საშუალოდ ჩამოყალიბებულ დონესთან შედარებით ზედმეტს, და სწორედ ამგვარი გაცვლა იქნებოდა არაექვივალენტური.

თუმცა, გაცვლისას, რომელიც ეფუძვნება ინტერნაციონალურ ღირებულებას (წარმოების ფასს), ნაკლები შრომის ნაყოფიერების დონის მქონე ქვეყანა გასცემს მეტ განივთებულ შრომას, ვიდრე სანაცვლოდ ღებულობს, მაგრამ ამ დროს იგი მაინც მოგებული რჩება.

მართლაც, იმ საქონლის მსოფლიო ფასი, რომელსაც ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყანა ყიდის, უფრო დაბალია, ვიდრე მათი ნაციონალური ღირებულება, მაშინ მსოფლიო ფასი საქონლებისა, რომელსაც ეს ქვეყანა შეიძენს მსოფლიო ბაზარზე ასევე დაბალია, და ხშირად ბევრად დაბალი, ვიდრე მათი წარმოების ღირებულება ამგვარ ქვეყნებში. მოცემული ქვეყნები, შეიძენენ რა საქონელს მსოფლიო ბაზარზე, მოახდენენ ნაციონალური შრომის ნაწილის ეკონომიას. ამასთან, პროდუქციის მრავალი სახეობა, რომლის შეძენაც შეუძლია მსოფლიო ბაზარზე ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებულ ქვეყანას, საკუთარი ეროვნული მეურნეობის მიერ საერთოდ არ იწარმოება, ხოლო მათი წარმოების ორგანიზაცია მოითხოვდა ნაციონალური შრომის უაზროდ ბევრ დანახარჯს. ამგვარად, წარმოების ინტერნციონალურ ფასზე ორიენტირებული ფასების პირობებში საქონელგაცვლისას, შრომის ნაყოფიერების ნაკლები დონის მქონე ქვეყანა დაკარგავს ღირებულების ნაწილს როგორც გამყიდველი,

მაგრამ მოიგებს როგორც მყიდველი. ინტრნაციონალური ღირებულებით გაცვლის პროცესში, როდესაც პროცესში ჩართულია შრომის ნაყოფიერების განსხვავებული დონის მქონე ქვეყნები, პრინციპალურ სარგებელს ნახავს პროცესის როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე.

სამრეწველოდ განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის არაექვივალენტური გაცვლის მიზეზები მდგომარეობს არა იმაში, რომ აშკარაა შრომის ნაყოფიერების დონეებში მნიშვნელოვანი სხვაობა, არამედ თვით ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის არსებულ მექანიზმში. ვაჭრობა ამ ჯგუფის ქვეყნებს შორის საქონლის წარმოების ფასებთან მიმართებაში არაექვივალენტურად მიმდინარეობს მნიშვნელოვანწილად იმ გარემოების გამო, რომ ფასები მნიშვნელოვნად გადაიხარა წარმოების ინტერნაციონალური ღირებულებიდან (წარმოების ინტერნაციონალური ფასიდან).

ამგვარი სახის გადახრები შესაძლოა იყოს ორი სახის: პრველი: გარკვეულ საქონლებზე ფასები სხვადსხვა მექანიზმებით შენარჩუნებულია ინტერნაციონალურ ღირებულებაზე (წარმოების ფასზე) მაღალ ან დაბალ დონეზე; და მეორე: ზოგიერთ ქვეყნებს შორის ვაჭრობისას ფასები, მნიშვნელოვნად გადაიხარა მსოფლიო საშუალო ინტერნაციონალურ ღირებულებაზე (წარმოების ფასზე) ორიენტირებული დონიდან. მსოფლიო სამეურნეო მექანიზმი იძლეოდა ამგვარი გადახრების შესაძლებლობას ყოფილ კოლონიურ სახელმწიფოებსა და სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის მიმდინარე სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას.

ინტერნაციონალური ღირებულებიდან (წარმოების ფასიდან) ფასის გადახრის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიების გაბატონებული მდგომარეობა მრავალი საქონლის მსოფლიო ბაზრებზე. მათი ბატონობის ერთ-ერთი შედეგია ის რომ, თანამედროვე პერიოდისათვის დამახასიათებელი გახდა ერთი და აიმავე საქონელზე მრავალი ფასის არსებობა. ამასთან, კონკრეტულ გარიგებათა ფასები ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავებულია საშუალო დონისაგან. საერთაშორისო კომპანიების პოლიტიკა იწვევს, მთელ რიგ საქონლებზე, ფასების საშუალო დონის წარმოების ინტერნაციონალურ ფასებთან მიმართებაში ხელოვნურ ამაღლებას ან დაწევას. განვითარებადი ქვეყნების პროდუქციაზე ფასების დასაგდებად, განვითარებული ქვეყნის კომპანიები, წარმატებით იყენებენ ამ ქვეყნების ეკონომიკის მონოკულტურული სტრუქტურის ფაქტორით განპირობებულ, ამ უკანასკნელთა არახელსაყრელ პოზიციას მსოფლიო ბაზარზე.

განვითარებადი ქვეყანა სპეციალიზირდება რა ერთი-ორი სახეობის პროდუქციის წარმოებაზე, იძულებულია მოახდინოს არსებული საქონლის ექსპორტი ნებისმიერი პირობით, ვინაიდან მას სხვა რესურსი, მიიღოს სასიცოცხლოდ აუცილებელი სხვა საქონელი, მათ შორის სასურსათო, უბრალოდ არ გააჩნია.

განსაზღვრული მნიშვნელობა ფასების ვარდნისას აქვს იმ ფაქტსაც, რომ მრავალი განვითარებადი ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ კავშირებს ერთსახოვანი ხასიათი აქვს, და როგორც წესი საგარეო ვაჭრობაში ყოფილ მეტროპოლიებზე მიბმულნი რჩებიან.

განვითარებადი ქვეყნების საქონელზე ფასების შემცირების ფაქტორი არის ისიც, რომ მსხვილ საერთაშორისო კომპანიებს ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება განვითარებადი ქვეყნების წვრილი, დაქსაქსული კომპანიები. ფასების დაგდებისათვის მსხვილი კომპანიები ხშირად იყენებენ ერთიდაიგივე საქონლის მწარმოებელ განვითარებად ქვეყნებს შორის არსებულ კონკურენციასაც.

განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის არაექვივალენტური გაცვლის მნიშვნელოვანი ელემენტია განვითარებადი ქვეყნების მიერ იმპორტირებად საქონელზე ფასების გაბერვა. ლაპარაკია იმაზე, რომ არსებობს ფასთა სხვაობა ერთგვაროვან საქონელზე, რომლის ექსპორტიც ხდება ქვეყნების ორივე ჯგუფში.. განვითარებული ქვეყნის ბაზარზე საკუთარი საქონლის რეალიზაციისას, საერთაშორისო კომპანია ეჯახება მძაფრ კონკურენციას ადგილობრივი მსხვილი კომპანიების მხრიდან, რაც ხშირად მას აიძულებს დაწიოს ფასი. გაყიდის რა ამავე პროდუქტს განვითარებად ქვეყანაში, საერთაშორისო კომპანია არ აწყდება ადგილობრივი კომპანიის მხრიდან ამგვარ კონკურენციას, ამიტომაც გაყიდის საქონელს უფრო მაღალ ფასში. ამიტომაც, მაგალითად „მსოფლიო ბაზრებზე“ ფასი მანქანა-დანადგარების განვითარებად ქვეყნებში რეალიზაციისას უფრო მაღალია, ვიდრე ამავე საქონლის ფასი განვითარებული ქვეყნის ბაზარზე.

თანამედროვე პირობებში არაექვივალენტური გაცვლის გაძლიერების პირობას, წარმოადგენს ის რომ, საქონლის გარკვეულ ნაწილს განვითარებადი ქვეყნები დახმარებების ანგარიშში იძენენ. გასცემენ რა განვითარებად ქვეყნებზე კრედიტებსა და სესხებს, განვითარებული ქვეყნები აიძულებენ მათ, ამ სახსრებით შეიძინონ

საქონელი ფასებით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო ბაზრის ფასებს.

ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ არაექვივალენტური გაცვლა საერთაშორისო ურთიერთობებში ჯერ კიდევ არსებობს. მაგრამ განვითარებადი ქვეყნების აქტიური ბრძოლა ნეოკოლონიალისტური გადმონაშთების წინააღმდეგ, არის ფაქტორი, რომელიც ამ მოვლენას გაუწევს წინააღმდეგობას. არაექვივალენტურობის შესასუსტებლად არსებითია, ბევრ განვითარებად ქვეყანაში ექსპორტის დივერსიფიკაციის მიმდინარე პოლიტიკა, ანუ სავაჭრო პარტნიორების წრის გაფართოება, თანამშრომლობის გარღმავება ნედლეულის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის. დღეს განვითარებად ქვეყნებს აქვთ საშუალება აირჩიონ ყველაზე მომგებიანი პარტნიორობა, უარი თქვან არადივერსიფიცირებულ ვაჭრობაზე ყოფილ მეტროპოლიასთან, საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ მსხვილ კომპანიებს შორის არსებული კონკურენცია. ცხადია ამისთვის საჭიროა ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, გამჭირვალობისა და დემოკრატიზაციის საკმარისი დონე, რაც კორუმპირებულობის ფაქტორს, როგორც არაექვივალენტური გაცვლების ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას მინიმუმამდე დაიყვანს.

8.6. სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის გავლენა მსოფლიო ფასებზე

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც ახდენს გავლენას მსოფლიო ფასებზე, წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. ეს ზეგავლენა ვლინდება ორი მიმართულებით. ერთის მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში იზრდება შრომის ნაყოფიერების დონე და წარმოების ეფექტიანობა, რაც იწვევს ხვედრითი დანახარჯებისა და შესაბამისად ღირებულების შემცირებას. მეორეს მხრივ კი, უმჯობესდება საქონლის სამომხმარებლო თვისებები. სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება, დაკავშირებულია უფრო მეტ სამეცნიერო და ტექნიკურ კვლევებთან, ხშირად განაპირობებს მათი ღირებულების ზრდას აბსოლუტური გამოსახულებით, მაგრამ ძალზედ არსებითად იზრდება მათი სასარგებლო ეფექტიც. მაგალითად , თუ ლაპარაკია მანქანაზე, იზრდება მისი მწარმოებლურობა და მცირდება მათი საექსპლუატაციო ხარჯები, ამიტომაც მიუხედავად ფასის აბსოლუტური ზრდისა, მანქანა ფარდობითად იაფი ხდება.

ამგვარი ფარდობითი გაიაფების მაგალითია თანამედროვე თვითფრინავები. იმის მიუხედავად, რომ ფასები საფრენ აპარატებზე ომის შემდგომ პერიოდში გაიზარდა რამოდენიმე ათეულჯერ, მათი ფარდობითი ღირებულება მომხმარებლისათვის შემცირდა

შესაბამისად, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა სამრეწველო პროდუქციის ფარდობითი გაიაფება სასარგებლო ეფექტის ერთეულზე გათვლით, მიუხედავად მისი ღირებულების შესაძლო აბსოლუტური ზრდისა. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეს თავისებურება ყოველთვის არ არის გათვალისწინებული, როცა ლაპარაკია მსოფლიო ფასების დინამიკაზე, განსაკუთრებით ეს შეეხება სამრეწველო პროდუქციას. ხშირად ფასების ინდექსის ზრდა სამრეწველო პროდუქციაზე არ ითვალისწინებს მისი სასარგებლო ეფექტის ზრდის მომენტს.

8.7. საქონელზე ფასების მრავალდონიანობის პირობებში მსოფლიო ფასის განსაზღვრის პრობლემა

თანამედროვე მსოფლიო ბაზრისათვის დამახასიათებელია მრავალდონიანი ფასების არსებობა, რომელიც გამოწვეულია კომპანიათა საფასო პოლიტიკით, სახელმწიფოს საგარეო-სავაჭრო ოპერაციებით (დახმარების ანგარიშში საქონლის მიწოდება), სავაჭრო-პოლიტიკური და სავალუტო ფაქტორებით.

ფასების მრავალდონიანობა ნიშნავს, ერთი და იმავე ან მსგავსი ხარისხის საქონელზე, მიმოქცევის ერთი და იმავე სფეროში, მსგავს სატრანსპორტო ან საფრახტო ბაზაზე, მრავალი სხვადასხვა ფასის არსებობას (საიმპორტო, საბითუმო ან საცალო). თანამედროვე პირობებში არსებობს ფასების შემდეგი დონეები:

1) ჩვეულებრივი კომერციული გარიგებების ფასები ანგარიშსწორებით თავისუფლად კონვერტირებად, არაკონვერტირებად ან შეზღუდულ კონვერტირებად ვალუტაში;
2) საკლირინგო ხელშეკრულების ფასები;
3) ფასები დახმარების პროგრამათა მიხედვით.

იმისათვის, რომ ფასების მრავალდონიანობის პირობებში გამოვყოთ მსოფლიო ფასი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ პირობებს. პირველი, მსოფლიო ფასად შეიძლება ჩაითვალოს ფასი, თუ კი მის ფარგლებში ხორციელდება უმსხვილესი კომერციული

გარიგებები, რომელიც ითვალიწინებს განცალკევებულ, ერთმანეთთან არადაკავშირებულ საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციებს, რადგანაც ურთიერთ შემხვედრი ან ბარტერული გარიგებებისას, პარტნიორები შესაძლოა შეთანხმდნ ჩვეულებრივი, ნორმალურად მიჩნეული ფასებიდან მნიშვნელოვან გადახრაზე. მეორე, ანგარიშსწორება უნდა ხორციელდებოდეს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში, რადგანაც ვაჭრობა არაკონვერტირებადი ვალუტით, ხშირად იწვევს ფასების ხელოვნურ გაბერვას, და მესამე, მსოფლიოდ შეიძლება ჩაითვალოს იმ გარიგებათა ფასი, რომლებიც განხორციელდა საერთაშორისო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებში, სადაც რეგულარულად ხდება მსხვილი საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები.

რაც შეეხება კონკრეტულ საქონლებზე ფასებს, მაგალითად ნედლეულისათვის მსოფლიო ფასებთან ყველაზე მიახლოებულად შეიძლება ჩაითვალოს მისი ძირითადი მწარმოებლების ფასები, აგრეთვე დასავლეთევროპულ ბაზრებზე საიმპორტო ფასები და ფასები უმსხვილეს ბირჟებზე. მაგალითად ალუმინზე, ეს არის კანადის საექსპორტო ფასები, კაუჩუკზე – სინგაპურის ბირჟის ფასი, ბეწვეულზე – ნიუ-იორკისა და ლონდონის აუქციონის ფასები და ა.შ.

განსაკუთრებული პრობლემაა მანქანებსა და დანადგარებზე მსოფლიო ფასის განსაზღვრა, რადგანაც ამ სახის პროდუქცია ძალზედ მრავალფეროვანია. გარკვეული მნიშვნელობა ორიენტაციისათვის შესაძლოა მიეკუთვნოს ეგრეთ წოდებულ ხვედრით ფასებს, ანუ ფასებს, რომელიც გათვლილია მწარმოებლურობის ერთეულზე, სიმძლავრეზე და ა.შ.

8.8. გაცხადებული (გამოქვეყნებადი) ფასების ძირითადი სახეები

მსოფლიო ფასების დინამიკისა და დონეების შესასწავლად საჭიროა ამ ფასებზე ინფორმაციის ძირითადი წყაროების ცოდნა. ამჟამად არსებობს ფასების შემდეგი სახეობები:

1) საცნობარო ფასები. მათ მიეკუთვნება საბითუმო ან საცალო ფასები, რომლებიც გამოქვეყნებულია ჟურნალ-გაზეთებში, სპეციალურ ბიულეტინებში, საექსპორტო პრეისკურანტებში. ეს არ არის კონკრეტულ გარიგებათა ფასები. ხშირად ეს არის ფასი, რომელსაც ითხოვს გამყიდველი. გარიგებათა დადების პროცესში, რეალური ფასები ხშირად უფრო დაბალია ხოლმე. და მაინც, საცნობარო ფასების შესწავლა მნიშვნელოვანია ამა თუ იმ საქონელზე მსოფლიო ფასების დინამიკის შესასწავლად და ანალიზის პროცესისათვის;
2) საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ფასები. ისინი ასახავენ საერთაშორისო ვაჭრობის რეალურ გარიგებათა ფასებს. გამოითვლება ცალკეული საქონლის ექსპორტის ან იმპორტის ღირებულების გაყოფით მათ რაოდენობაზე. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ფასების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ვერ აჩვენებენ კონკრეტული საქონლის ფასებს, რადგანაც სტატისტიკურად ერთ სასაქონლო პოზიციაში მოქცეულია ერთგვაროვანი, მაგრამ ხარისხითა და ტექნიკური მახასიათებლებით მნიშვნელოვნად განსხვავებული პროდუქცია (მაგალითად სხვადასხვა მარკის მსუბუქი ავტომობილები, სხვადასხვა ნავთობპროდუქტები და ა.შ) საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ფასები საკმაოდ ზუსტად ასახავს მსოფლიო ფასებისა და ცალკეული ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ფასების დინამიკას. სწორედ მათ ბაზაზეა გათვლილი ნაციონალური სტატისტიკისა და გაერო-ს სტატისტიკის მიერ გამოქვეყნებული საშუალო ფაქტიური ან ეგრეთწოდებული ხვედრითი ფასების ინდექსები.
3) საბირჟო კოტირებები ასახავენ ბირჟაზე დადებულ გარიგებათა რეალურ ფასებს. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ ბირჟაზე ფართოდაა გავრცელებული სპეკულაციური ოპერაციები, ცვლილებანი საბირჟო კოტირებებში, ყოველ მოცემულ მომენტში არც კი ასახავდეს ფასების მოძრაობის ჭეშმარიტ ტენდენციებს;
4) აუქციონის ფასები ასახავს რეალურ ფასებს, რომლებიც ფიქსირდება აუქციონზე დადებულ გარიგეებში;
5) ფაქტიურ გარიგებათა და კონტრაქტების ფასები ქვეყნდება ძალზედ იშვიათად, და ამიტომ ისენი ვერ იქნებიან მსოფლიო ფასებზე ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო.

8.9. ფასების დინამიკა ძირითად საქონელზე

მსოფლიო ბაზრისათვის ნიშანდობლივია ფასების მუდმივი რყევა. ყველაზე არსებითი გავლენა ამ პროცესზე ჭარბწარმოების ციკლურ კრიზისებს აქვთ. არსებობს ფასების მოკლევადიანი რხევაც, მაგალითად სეზონური, ბირჟაზე, აუქციონზე ფასების

მოკლევადიანი (ხშირად რამოდენიმე საათიანი და უფრო ნაკლებიც) რყევა და აშ.,

ამასთან ერთად მსოფლიო ფასების დინამიკაზე გავლენას ახდენს ფაქტორებიც, რომლებიც იწვევენ ფასთა ცვლილების გრძელვადიან ტენდენციებს. ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნება საქონლის ღირებულების ცვლილება, საინფლაციო პროცესები, საგარეო ვაჭრობის სფეროში სახელმწიფო პრაქტიკა, რომელიც მაგალითად, დაკავშირებულია ექსპორტის სუბსიდირების პრაქტიკასთან.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული რხევებით ხასიათდებოდა განვითარებადი ქვეყნებიდან სანედლეულო და სასურსათო საქონლის ფასები.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საქონლის, განსაკუთრებით სურსათისა და ნედლეულის უკმარისობისა და ინფლაციური პროცესების გამო, ფასები მსოფლიო ბაზარზე 2-ჯერ გაიზარდა. 1948-1949 წ.წ. კრიზის დასაწყისში, გარკვეულ საქონლებზე ფასებმა დაიწყო კლება. განსაკუთრებით მკვეთრად დაეცა ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, პირველ რიგში მარცვლეულზე და ყოველივე ეს მძაფრი აგრარული კრიზის ფონზე.

სამრეწველო წარმოების აღორძინების პირობებში, 1957 წლამდე, საქონელზე ფასებს უმეტეს პროდუქციაზე ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. მაგრამ 1957-1958 წ.წ. კრიზისმა განაპირობა მათი სერიოზული ვარდნა, უპირველეს ყოვლისა დაეცა განვითარებადი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები. ფასები ეცემოდა 1959-1960 წ.წ. პერიოდშიც, ხოლო ზოგიერთი სახის პროდუქციაზე ფასების ვარდნა 1961 წელსაც გრძელდებოდა. მთლიანობაში, 1960 წლისათვის ფასები 1950 წელთან შედარებით სანედლეულო საქონელზე თითქმის 10% შემცირდა.

1960 წლიდან დაიწყო ფასების თანდათანობითი ზრდა და უკვე 1970 წლისათვის, ფასების ინდექსი 1960 წელთან შედარებით სანედლეულო საქონელზე გაიზარდა 9,1%, ხოლო მზა პროდუქციაზე კი 19,4 %-თ.

1970 წლიდნ სანედლეულო საქონელზე ფასების მოძრაობის ტენდენცია არსებითად შეიცვალა. დაიწყო ფასების ზრდა ნედლეულის ძირითად სახეობებზე, რის შედეგადაც უკვე 1973 წელს ნედლეულზე ფასების საერთო ინდექსი 1970 წელთან შედარებით 103,7%, სასურსათო საქონელზე 98,2%, არასასურსათო სასოფლო სამეურნეო ნედლეულზე 104%, ხოლო მინერალურ ნედლეულზე კი 116%-თ გაიზარდა.

მსოფლიო ფასებზე არ შეიძლება არ ასახულიყო სავალუტო სისტემის მსოფლიო კრიზისი, რასაც მოყვა წამყვან ვალუტათა გაუფასურება, განსაკუთრებით აშშ-ს დოლარის დევალვაცია 1971 და 1973 წლებში, და ოქროზე საინფლაციო ფასის ზრდა. სასოფლო სამეურნეო საქონლის ფასების ზრდა ნაწილობრივ განაპირობა ამ პერიოდის არამოსავლიანმა წლებმაც. მსოფლიოში იფეთქა სანედლეულო და სასურსათო კრიზისმა.

1974 წელს მკვეთრად გაიზარდა ნავთობის მსოფლიო ფასი. ამ მომენტამდე, წლების განმავლობაში, ნავთობმომპოვებელი ქვეყნები – ოპეკის წევრი ქვეყნები ითხოვდნენ ანგლო-ამერიკული კომპანიებისაგან, რომლებიც ანხორციელებდნენ ამ ქვეყნებში ნავთობის მოპოვება რეალიზაციის უდიდეს ნაწილს, გაზრდილიყო ნავთობის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებში თავად ამ ქვეყნების წილი. დოლარის გაუფასურებამ, მსოფლიო ბაზარზე ფასების ზრდამ იმ საქონელზე, რომლის იმპორტსაც ეს ქვეყნები ანხორციელებდნენ, აიძულა ისენი უფრო მკვეთრად მოეთხოვათ ნავთობ კომპანიებისაგან საცნობარო ფასების ზრდა. სწორედ ამ ფასთან მიმართებაში პროცენტულად განისაზღვრებოდა ნავთობმომპოვებელი ქვეყნების წილი ნავთობის ბიზნესიდან მიღებულ შემოსავლებში. ნავთობის ფასების ზრდაზე გავლენა იქონია ახლო აღმოსავლეთში მუდმივად არსებული პოლიტიკური კრიზისის გამძაფრებამაც. სწორედ ეს რეგიონია ნავთობმოპოვების მთავარი რეგიონი მსოფლიოში. არაბული ქვეყნების ემბარგო ნავთობის მიწოდებაზე იმ ქვეყნებზე, რომლებიც მხარს ისრაელს უჭერდენ, ანგლო-ამერიკული ნავთობ კომპანიების მიერ გამოყენებულ იქნა იმისთვის რომ, მომხდარიყო ენერგეტიკული რესურსების მკვეთრი უკმარისობის პროვოცირება, და მიეღწიათ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდისათვის. ნავთობის მონოპოლიათა მანიპულაციებმა პირველი ენერგეტიკული კრიზისის პერიოდში, შესაძლებელი გახადა ნავთობკომპანიათა მოგებების ზრდა მარტო 1973-74 წ.წ. მომხდარიყო 50-500%-თ.

უნდა აღინიშმოს, რომ საცნობარო ფასებისა და ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შემოსავლების ზრდა პრინციპში შესაძლებელი იყო საბოლოო მომხმარებელთათვის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მკვეთრი გაძვირების გარეშეც. ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შემოსავალი ნავთობიდან მიღებულ შემოსავლებში უკიდურესად დაბალია. ზოგიერთი გათვლებით ის შეადგენდა ნავთობიდან მიღებული საბოლოო შემოსავლის მხოლოდ 6-7%, მაშინ, როდესაც ანგლო-ამერიკული ნავთობკომპანიები

ღებულობდნენ შეიძლება ითქვას საარაკო შემოსავლებს. ამიტომ, ნავთობმომპოვებელი ქვეყნების შემოსავლების ზრდა შესაძლებელი იყო ნავთობიდან შემოსავლების გადანაწილებით. მაგრამ ნავთობის მონოპოლიები წავიდნენ ნავთობზე მსოფლიო ფასების მკვეთრი ზრდისაკენ, რამაც საბოლოო ჯამში მოახდინა ენერგეტიკული კრიზისის პროვოცირება.

1974-1975 წ.წ.-ში ფასები ნავთობზე დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა. დაიწყო ფასების ზრდა საწვავის სხვა სახეობებზეც. ასევე გრძელდებოდა ფასების მატება სურსათსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. ნავთობზე და ნედლეულზე ფასების კატასტროფული ზრდა 1974-75 წ.წ.-ს ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ნახტომისებურმა ზრდამ, განვითარებული ქვეყნები აიძულა პრინციპიალურად გადაესინჯათ ენერგეტიკული პოლიტიკა, შეემუშავებინათ ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების ახლებური მიდგომები. მათი ახალი ენერგეტიკული პოლიტიკა მიმართული იყო იქეთკენ, რომ ენერგოდამზოგველი ღონისძიებების კომპლექსის ბაზაზე შეეზღუდათ ნავთობის იმპორტი, გაეზარდათ ენერგორესურსების საკუთარი წარმოება და ჩაენაცვლებინათ ნავთობი სხვა ენერგეტიკული ნედლეულით. ამ მიზნისათვის გატარდა შესაბამისი საფასო და დაბეგვრის პოლიტიკა. სამრეწველოდ განვითარებულმა ქვეყნებმა აიღეს ქვანახშირის მოპოვების ზრდის, ატომური ენერგეტიკის განვითარების კურსი, გააქტიურდა სამეცნიერო კვლევები, რომელთა მიზანი იყო ენერგოდამზოგავი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შექმნა, ენერგიის ახალი წყაროების მოძიება.

ახლო და შუა აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარების დაძაბვამ, ირან-ერაყის ომმა, რამაც ნავთობის მოპოვების შემცირება განაპირობა, შექმნა წინა პირობა ახალი ენერგეტიკული კრიზისის განვითარებისათვის. 1979-1980 წლებში ნავთობზე ფასი კვლავ მკვეთრად გაიზარდა – დაახლოებით 2-ჯერ (სულ 1972-1981 წწ-ს პერიოდში ნავთობის ფასი 16-ჯერ გაიზარდა.

80-ანი წლების შუა პერიოდისათვის გამოიკვეთა განვითარებული ქვეყნების ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგები. თბოელექტრო სადგურების მყარ საწვავზე გადაყვანამ, ატომური ენერგეტიკის განვითარებამ, მცირეგაბარიტიანი, ეკონომიური ავტომობილების წარმოებამ, ენერგოდამზოგავი მანქანა-დანადგარების დანერგვამ, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებამ განაპირობა ნავთობზე მოთხოვნის შემცირება. 1986 წლისათვის ნავთობზე დანახარჯი ერთობლივი შიდა პროდუქტის ერთეულზე გაანგარიშებით 1971 წელთან შედარებით მსოფლიოში შემცირდა 25 %-თ. მათ შორის აშშ-ი – 1,5 ჯერ, იაპონიაში – 2-ჯერ.

ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის განთავსება რეგიონების მიხედვით

ცხრილი № 8

№	რეგიონები	ნავთობ გადამამუშავებელი ქარხნების რაოდენობა	სიმძლავრე (ნედლეულის მიხედვით) მლნ. ტ.	ქარხნის საშუალო სიმძლავრე მლნ. ტ.
1.	ჩრდ. ამერიკა	198	936	4.8
2.	დასავლეთ ევროპა	113	708	6.3
3.	აზია-წყნარი	138	740	5.4
4.	ოკიანის რ-ნი	95	637	6.8
5.	აღმ. ევროპა დსთ	74	295	4.0
6.	ლათინური ამერიკა	42	266	6.3
7.	ახლო და შუა აღმოსავლეთი აფრიკა	45	1413	3.43
	სულ მსოფლიოში	705	3723	5.3

წყარო: ა.გ. მოვსესიანი, ს.ბ. ოგნევცევი - „მსოფლიო ეკონომიკა“

ნავთობზე შეზღუდული მოთხოვნის პირობებში, ოპეკის ქვეყნებმა ფასების მაღალ დონეზე შესანარჩუნებლად დაიწყეს ნავთობმოპოვების შემცირება. თუ ნავთობის მოპოვება ამ ქვეყნებში

1971 წელს შეადგნდა 31,5 მილიონ ბარელს დღეში, ანალოგიური მაჩვენებელი 1985 წელს დაეცა 16 მილიონ ბარელამდე. ამან კი გამოიწვია მსოფლიო ნავთობმოპოვებაში (რუსეთის გარეშე) ოპეკის წილის 3/5-დან 2/5-თედამდე შემცირება. ცხადია შემცირდა ოპეკის პოლიტიკის გავლენა ნავთობის მსოფლიო ფასზე.

ამ სიტუაციაში ოპეკის ქვეყნებმა 1985 წლიდან შეწყვიტეს ნავთობმოპოვების მოცულობის შეზღუდვისა და ლიმიტირების პოლიტიკა და მკვეთრად გაზარდეს ნავთობმოპოვება. შედეგად ნავთობის ფასებმა დაიწყო ვარდნა და 1986 წელს ფასი 2-ჯერ დაეცა 1981 წელთან შედარებით.

ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში ფასების დინამიკა ბევრად იქნება დამოკიდებული ნავთობის მარაგებსა და მის ამოწურვაზე. ნავთობის უტყუარი მარაგი შეფასებულია 140 მლრდ ტონად, ამასთან მარაგის თიქმის 80% არის ნექოს-ს ქვეყნების წიაღში.

1990 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლამ და ახლოაღმოსავლეთის კრიზისის გააქტიურებამ, კვლავ განაპირობა ნავთობმოპოვების მოცულობათა შემცირება მსოფლიოში. შედეგად ნავთობზე მსოფლიო ფასებმა კვლავ დაიწყო ზრდა. რეგიონში პოლიტიკური კრიზისის ძალზე გაღრმავება, რომელიც ბოლო წლებში ძალზე აქტუალურია და თავის ასახვას ჰპოვებს ნავთობზე მსოფლიო ფასის მიმდინარე ზრდის ტენდენციაზე.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები ნავთობის ფასებისათვის. ნექო (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) ცდილობს მოპოვების და მიწოდების გაკონტროლებას, ხოლო განვითარებული ქვეყნების ფასებზე მოთხოვნით საკუთარი მარაგებით და თავისი საგარეო ფულადი პოლიტიკით ახდენენ გავლენას.

ნავთობის საერთო ყოველწლიური მოპოვება მსოფლიოში შეადგენს დაახლოებით 3,4 მლრდ ტონას და 1,5 მლრდ ტონა ნავთობის ნედლეული მიდის მსოფლიო ბაზარზე. ნექო-ს ქვეყნებში ახლა მოიპოვებენ დაახლოებით 1,5 მლრდ ტონას.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებში განლაგებულია ნავთობის გადამუშავების ძირითადი სიმძლავრეები.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

1. დაახასიათეთ, როგორ განისაზღვრება ინტერნაციონალური ფასი;
2. დაახასიათეთ მარშალის ჯვარი;
3. დაახასიათეთ ფასწარმოქმნაში სამომხმარებლო ღირებულების როლი;
4. დაახასიათეთ მსოფლიო ფასის ინტერნაციონალური ღირებულების გადახრის ფაქტორები;
5. დაახასიათეთ გაცხადებული (გამოქვეყნებადი) ფასების ძირითადი სახეები.

თავი IX. საგარეო ეკონომიკური კავშირების სატრანსპორტო მომსახურეობა.

9.1. საგარეო გადაზიდვები.

საგარეო ეკონომიკური კავშირების მომსახურების პროცესში, ტრანსპორტი უზრუნველყოფს საქონლის (ტვირთების) და მგზავრების გადაადგილებას ორ და მეტ ქვეყნებს შორის.

ტრანსპორტის კონკრეტული სახეობებიდან გამომდინარე, განასხვავებენ საზღვაო, სამდინარო, საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო გადაზიდვებს. ეს არის ეგრეთწოდებული პირდაპირი საერთაშორისო კომუნიკაცია, რომელსაც ემსახურება ერთ-ერთი რომელიმე სატრანსპორტო სახეობა. იმ შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო გადაზიდვები მოითხოვს ტრანსპორტის ორი ან მეტი სახეობის თანმიმდევრულ გამოყენებას, ადგილი აქვს შერეულ (კომბინირებულ) გადაზიდვებს. თუ ამგვარი გადაზიდვა გაფორმებულია ერთი (გამჭოლი) სატრანსპორტო დოკუმენტით, რომელიც ფარავს მასში მონაწილე ტრანსპორტის ყველა სახეობას, ის იწოდება პირდაპირ მიწოდებად (сообшение).

საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვები. ნებისმიერი საგარეო სავაჭრო გარიგების შემთხვევაში, საქონელი ექცევა საერთაშორისო მიმოქცევის სფეროში. ტრანსპორტის საშუალებების მეშვეობით, საქონელი გადაადგილდება მისი წარმოების ადგილიდან მოხმარების პუნქტამდე. ამასთან ტრანსპორტი ერთგვარად აგრძელებს წარმოების პროცესს მიმოქცევის სფეროს ფარგლებში, ამატებს რა მის პირველად ღირებულებას (ფასს), იმ ახალ ღირებულებას (ფასს) რომელიც წარმოიქმნება საქონლის ტრანსპორტირებისას.

მსოფლიო ვაჭრობა წარმოქმნის სასაქონლო ნაკადების კოლოსალურ მასას ქვეყნებს შორის. საერთაშორისო

ტვირთნაკადების საერთო მოცულობა გასული საუკუნის 70-ათიან წლებში შეფასებული იყო 4-4,5 მილიარდი ტონით. ამჟამად ეს მაჩვენებელი 5 მილიარდ ტონას აღემატება. თუმცა ბოლო წლებში შეიმჩნევა ერთგვარი კლება, რაც უკავშირდება მსოფლიო ვაჭრობაში ენერგომატარებლების და ნედლეულის მოცულობების შემცირებას.

საზღვაო ტრანსპორტი ითვლება ყველაზე უნივერსალურ და ეფექტურ საშუალებად ტვირთების დიდი მასის გადასაზიდად შორ მანძილებზე. ტრანსპორტის ეს სახეობა უზრუნველყოფს საგარეო სავაჭრო მოცულობის 60%-ს გადაზიდვას. ტვირთმფლობელები, განვითარებული ქვეყნების გემთმფლობელებს უხდიან ფრახტის სახით ყოველწლიურად 105-110 მილიარდ დოლარს, რაც მსოფლიო ექსპორტის ჯამური ღირებულების თითქმის 7%-ს შეადგენს.

საერთაშორისო საზღვაო ტვირთნაკადების ძირითად მასას შეადგენს მასიური თხევადი და არათხევადი ტვირთები. ეს არის ნედლი ნავთობი (დაახლოებით 1000 მილიონი ტონა წელიწადში), ნავთობპროდუქტები (300 მილიონი ტონა), რკინის მადანი (300 მილიონი ტონა), ქვანახშირი (270 მილიონი ტონა), მარცვლეული (200 მილიონი ტონა). საზღვაო ვაჭრობის სხვა ტვირთებიდან გამოიყოფა ეგრეთწოდებული გენერალური, ანუ ტარა-ცალობითი ტვირთები, ანუ მზა სამრეწველო პროდუქცია, ნახევარფაბრიკატები, სურსათი. ამ სახის ტვირთების საერთო მოცულობა შეფასებულია 700 მლნ. ტონით. ეს ტვირთების ყველაზე ძვირადღირებული ნაწილია (მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 70%).

საზღვაო ტრანსპორტს, მაღალფასიანი ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებში სერიოზულ კონკურენციას უწევს საჰაერო ტრანსპორტი. სარკინიგზო, სამდინარი, და საავტომობილო ტრანსპორტი ძირითადად გამოიყენება შიდაკონტინენტალური გადაზიდვებისას, აგრეთვე საექსპორტო და საიმპორტო ტვირთების ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე გადასაადგილებლად. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნავთობითა და გაზით საერთაშორისო ვაჭრობაში მილსადენების სისტემა.

საერთაშორისო სამგზავრო გადაზიდვები. უკანასკნელ ათწლეულში წარმოების, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, ტურისტული, სამეცნიერო, კულტურული, სოციალური და სხვა სახის ჰუმანიტარული კავშირურთიერთობების ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების პროცესმა, განაპირობა მოსახლეობის მობილურობის დონის უპრეცედენტო ამაღლება. დღეს უკვე მთლიანობაში, მსოფლიოს მასშტაბით, ყოველდღიურად რამოდენიმე მილიარდი ადამიანი ანხორციელებს ერთჯერად ან რეგულარულ საერთაშორისო მგზავრობას.

საჰაერო ტრანსპორტი, იმის გათვალისწინებით რომ, მას აქვს ტრანსპორტის სხვა სახეობებთან მიმართებაში მთელი რიგი უპირატესობანი (მაგალითად მოკლე დრო დიდ მანძილზე გადასაადგილებლად), მყარად იკავებს ლიდერის პოზიციას საერთაშორისო სამგზავრო გადაზიდვებში. მხოლოდ ბოლო ერთი ათწლეულის განმავლობაში, საჰაერო ტრანსპორტის მგზავრთა გადაზიდვის უნარიანობა გაორმაგდა ერთის მხრივ, ექსპლუატაციაში მაღალკომფორტული ფართო ფუჟელაჟიანი თვითნფრინავების ინტენსიური გაშვების მეშვეობით, ხოლო მეორეს მხრივ კი მოცემულ თვითმფრინავთა ენერგეტიკული ეფექტიანობის მაჩვენებელთა გაუმჯობესებითა და გადაზიდვის თვითღირებულების შემცირების წყალობით.

საჰაერო ტრანსპორტთან ერთად, მგზავრთა შიდა კონტინენტალურ საერთაშორისო გადაზიდვებში, ფართოდ გამოიყენება ავტოტრანსპორტი და სარკინიგზო ტრანსპორტი. საზღვაო და სამდინარო სამგზავრო გადაზიდვები დღეს ძირითადად საკრუიზო-სამოგზაურო ფუნქციას ატარებს.

ტრანსპორტი საერთაშორისო გდაზიდვებში. მსოფლიოში არ არსებობს ნაციონალური სატრანსპორტო სისტემებიდან განკერძოებული რაღაც განსაკუთრებული საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემები, რომლებიც მხოლოდ საერთაშორისო გადაზიდვებისკენაა მოწოდებული. რეალობაში, საერთაშორისო გადაზიდვებს ემსახურება სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალური გადამზიდავები, რომლებიც ამისათვის იყენებენ საკუთარ მოძრავ შემადგენლობებს და სატრანსპორტო ქსელებსა და კვანძებს, რომლებიც მოქცეულია სხვადასხვა ქვეყნების ერთიან სატრანსპორტო სისტემებში.

9.2.საქონლის მოწოდების საბაზისო პირობები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ვაჭრობაში, ურთიერთობა გამყიდველსა და მყიდველს შორის რეგულირდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით., რომლებშიც, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრანსპორტო საკითხებს. მათში რეგლამენტირებულია მხარეთა

ვალდებულებანი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქონლის ტრანსპორტირება ამ უკანასკნელის მოძრაობის სხვადასხვა ეტაპებზე (მომწოდებლის საწყობიდან მყიდველის საწყობამდე.) გათვალისწინებულია მხარეებს შორის სატრანსპორტო და სხვა თანმდევი ხარჯების გადანაწილება, განსაზღვრულია ტვირთის დაღუპვის ან დაზიანების რისკის გამყიდველიდან მყიდველზე გადასვლის მექანიზმი. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს გამყიდველსა და მყიდველს შორის და არ ეხება მათ ურთიერთობებს გადამზიდავებთან. მყიდველ-გამყიდველთა ურთიერთობების წრეს გადამზიდავებთან არეგულირებს მათთან გაფორმებული გადაზიდვის ხელშეკრულებები.

საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკამ შეიმუშავა საქონლის მიწოდების საბაზისო პირობების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც, ასე თუ ისე ითვალისწინებენ საგარეო სავაჭრო ფასში სატრანსპორტო ფაქტორს. დიდი ხნის განმავლობაში მუშაობს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა საბაზისო პირობების სისტემატიზაციაზე საერთაშორისო სავაჭრო პალატა, რომელიც პერიოდულად გამოსცემს ამ პროცესის მარეგულირებელ წესებს და მათ განმარტებებს. მოცემული წესები იწოდება "ნიკოტერმს" წესებად. "ნიკოტერმს"-ს საერთაშორისო წესები გამოიყენება ყველა ქვეყნის კომერსანტების მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებში.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. დაახასიათეთ რა სახის გადაზიდვები არსებობს;
2. დაახასიათეთ საქონლის მოწოდების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები.

თავი X. ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი

1. ტექნოლოგია, როგორც საქონელი

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პრაქტიკაში, მცნება-"ტექნოლოგია" გამოიყენება ძალზედ ფართოდ, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი შინაარსი განსხვავებულია.

ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის ობიექტს წარმოადგენს ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები როგორც განივთებული (დანადგარ-მოწყობილობანი, აგრეგატები, ინსტრუმენტები, ტექნოლოგიური ხაზები), ასევე არა განივთებული ფორმით (სხვადსხვა სახის ტექნიკური დოკუმენტაცია, ცოდნა, გამოცდილება და ა.შ.)

ტექნოლოგიების მსოფლიო ბაზრის სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, უნივერსიტეტები, ფირმები, სხვადსხვა ფონდები, ფიზიკური პირები – მეცნიერები და სპეციალისტები.

მნიშვნელოვანია მკაცრად გავაცნობიეროთ, რომ ტექნოლოგია იქცევა საქონლად, ანუ პროდუქტად, რომელიც შესაძლებელია გაიყიდოს მხოლოდ გარკვეულ პირობებში. საკმარისია ითქვას, რომ დაპატენტებული სიახლეებიც კი მთელ მსოფლიოში რეალურად გამოიყენება მხოლოდ 3%-5%-თ. ხოლო შიშველი იდეის საქონელში გარდასახვის მთელი გზის გავლის პროცესში განთესვის მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. ყოველი ახალი 100 საქონლიდან, რომლებშიც განხორციელებულია ახალი იდეები, ბაზარი არ ღებულობს 90%-ზე მეტს.

მაშასადამე, ტექნოლოგია უახლოვდება იმას, რომ იქცეს საქონლად "იდეა-ბაზარი" გზის გარკვეულ სტადიაზე. უფრო ზუსტად მაშინ, როდესაც შეიქმნება იდეის კომერციალიზაციის რეალური შესაძლებლობა, განვლილია მრავალი ექსპერტიზა, განხორციელდა ყველა საჭირო განთესვა, გარკვეულია გამოყენების შესაძლო სფეროები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი საქონელ-ტექნოლოგიას უნდა გააჩნდეს სასაქონლო სახე, ანუ აკმაყოფილებდეს საქონელზე სტანდარტულ მოთხოვნებს.

ამ სახით ტექნოლოგია-საქონელს შეიძლება ჰქონდეს პატენტის, საწარმოო გამოცდილების, "ნოუ-ჰაუ"-ს, დანადგარ-მოწყობილობის, აპარატურის ან სხვა ტექნიკის საცდელი ან სამრეწველო ნიმუშის სახე, აგრეთვე ტექნოლოგია ვიწრო გაგებით შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს საწარმოო ხერხების ან პროცესების (მათ შორის ქიმიური, ბიოტექნოლოგიური და სხვა) ტექნოლოგიების სახით.

მიიღებს რა სასაქონლო სახეს, ტექნოლოგია იქცევა საქონლად და შესაძლებელია გახდეს ტექნოლოგიის გადაცემის საგანი. ჩვენში დამკვიდრებული ცნება "დანერგვა" – მიუღებელია ტექნოლოგიური გაცვლის საბაზრო პირობებეისათვის, რადგანაც ტექნოლოგია შესაძლებელია იყოს საქონელი მისი "დანერგვის" გარეშეც. მაგალითად, პატენტზე, საცდელ ან სამრეწველო ნიმუშზე სრულიად შესაძლებელია არსებობდეს მოთხოვნა და ცხადია იყიდებოდეს კიდეც. ამიტომ, უფრო მისაღებია ინტელექტუალური შრომის პროდუქტების კომერციული გამოყენების პროცესებისათვის

გამოვიყენოთ ტერმინი "ტექნოლოგიის გადაცემა" ან "ტექნოლოგიური გაცვლა".

ტექნოლოგიური გაცვლის ხელშეკრულებათა პრაქტიკაში თითქმის შეუძლებელია ზღვრულად წმინდა სახით ტექნოლოგიური ელემენტის გამოყოფა. მაგალითად, რაიმე ტექნიკური მოწყობილობების მიწოდებას, ყოველთვის თან ახლავს თანმდე დოკუმენტაციის პაკეტის გადაცემა, ხანდახან კი ლიცენზიაც. თავად მოწყობილობა შესაძლოა ნაცნობიც კია, მაგრამ რომელიღაც კვანძი ან კომპონენტი აღმოჩნდეს პრინციპულად ახალი, რაც რადიკალურად ცვლის მთლიანად მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებს. გარდა ამისა, მომწოდებელი ფირმა ახორციელებს დანადგარის მონტაჟს, აწყობას, გაშვებას, პერსონალის სწავლებას, რითაც გადასცემს საკუთარ "ნოუ-ჰაუ"-ს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტექნოლოგიის გადაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მყიდველი მხარე მას განიხილავს როგორც სიახლეს, რომელიც უზრუნველყოფს მისი კონკურენტუნარიანობისა და პერსპექტივაში შემოსავლების ზრდას.

დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ტექნოლოგიის გადაცემის ძირითადი არხია სალიცენზიო გაცვალა. სინამდვილეში, როგორც უკვე აღინიშნა, ეს მხოლოდ ამ პროცესის ნაწილი, მისი ხილული მხარეა.

სწორედ ამიტომ სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების მაღალტექნოლოგიური ფირმები ირჩევენ და გულდასმით ანხორციელებენ ტექნოლოგიათა გადაცემის მათთვის ყველაზე მომგებიან ფორმებს, რომელმაც უკვე მიიღო ტექნოლოგიური სტრატეგიის ფორმა. სულ უფრო აქტიურ როლს ტექნოლოგიათა გადაცემის სფეროში თამაშობს მთავრობა და სახელმწიფო. მართლაც, ეგრეთწოდებული ტექნოლოგიური გარღვევა. რომელიც არსებობს აშშ-სა და დასავლეთ ევროპას, დასავლეთ ევროპასა და იაპონიას, სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებსა და განვითარებად, მათ შორის ახალ ინდუსტრულ ქვეყნებს, აგრეთვე რუსეთსა და სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სარფიანად, როგორც კომერციული ასევე პოლიტიკური მიზნებისათვის.

საქონელი-ტექნოლოგია გაივლის გარკვეულ სასიცოცხლო ციკლს.

წინა საბაზრო ფაზაზე ტექნოლოგია ჯერ კიდევ არ არის საქონელი, მას მხოლოდ საქონლად ქცევის პოტენციალი აქვს, შესაძლოა იგი არც კი იქცეს საქონლად. ბაზარზე გასვლის მომენტისათვის ხარჯები გაღებული ტექნოლოგიის შექმნაზე სწრაფად იზრდება და მოცემული სტადია – ბაზარზე შეღწევა – ყველაზე კრიტიკული მომენტია. თუკი ბაზარი არ სცნობს ახალ პროდუქტს (პროცესს), ცხადია ამ მიზნით გაღებული ყველა ხარჯი ფუჭია, რომელიც ამძიმებს საწარმოო ხარჯებს და გაზრდის კომპანიის ზედნადებ დანახარჯებს.

ბაზარზე წარმატებით დანერგვის შემთხვევაში, მოთხოვნა ტექნოლოგიაზე სწრაფად იზრდება, მიაღწევს რაღაც მაქსიმუმს და შემდგომ დაიწყებს კლებას. შესაბამისად იცვლება საფასო პარამეტრებიც, და შესაბამისად მოგებაც.

ტექნოლოგიის საბაზრო სიცოცხლის პერიოდში სწრაფად იზრდება მიწოდება, კონკურენცია და მოთხოვნა. ჩნდება იმიტატორთა სოლიდური რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიური საქონლის შეთავაზებას, მაგრამ უკვე სხვა სავაჭრო მარკით. პიროვნებისა და მწარმოებელი ფირმის ინტერესებისა და პრიორიტეტების დასაცავად მოწოდებულია პატენტი, ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლება, რომელიც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კანონმდებლობით არის დაცული. ტექნოლოგიაზე უფლების საიმედოდ დასაცავად ნებისმიერი მისი შემქმნელი ცდილობს დააპატენტოს იგი ძირითად – პოტენციურ კონკურენტ ქვეყნებში. პრაქტიკაში ახალი ტექნოლოგიების მწარმოებელი წამყვანი ფირმები აპატენტებენ საკუთარ ტექნოლოგიურ სიახლეებს ერთდროულად დაახლოებით 25 შესაძლო კონკურენტ ქვეყანაში, ანუ ძირითად სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში.

სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემა ითვალიწინებს ტექნოლოგიაზე საკუთრების დაცვის განსხვავებულ ვადებს. საშუალოდ ეს ვადა შეადგენს 10-დან 20 წლამდე, საშუალოდ 15 წელიწადი. ეს ვადა საკმარისზე მეტია რათა ტექნოლოგიამ სრულად გაიაროს "სასიცოცხლო ციკლი". უფრო მეტიც, თანამედროვე პირობებში სწრაფად ხდება როგორც შემუშავების ასევე ტექნოლოგიის საბაზრო სიცოცხლისუნარიანობის ვადების შემჭიდროვება.

სწორედ ამიტომაც, ტექნოლოგიათა ყველა შემქმნელი მაქსიმალურადაა დაინტერესებული მისი სწრაფი კომერციალიზაციით. მათგან ისეთი, რომელთაც აქვთ საშუალება საკუთარი ძალებით უზრუნველყონ აწარმოონ და გაყიდონ მატერიალიზირებული სახით ტექნოლოგია, იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

სასიცოცხლო ციკლის პირველ ეტაპზე უპირატესობა ენიჭება მზა პროდუქციის რეალიზაციას, რომელშიც მატერიალიზირებულია ახალი იდეები, პრინციპები, პროცესები და რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს მყიდველისათვის ახალი თვისობრივი დონის მიღწევა მოცემული საქონლის გამოყენების პროცესში.

მეორე ეტაპზე ტექნოლოგიურ გაცვლას თან ახლავს (ან ხორციელდება) პირდაპირი ინვესტიციები, რაც გამყიდველისთვის დებს ახალ ჰორიზონტებს – ახალ ბაზრებს, იძლევა ეკონომიას შრომის ანაზღაურების, სატრანსპორტო და სხვა მომსახურების ხარჯებში, შესაძლებელს ხდის გაიზარდოს მოგებათა მასა.

მესამე ეტაპზე უპირატესობა ენიჭება "შიშველი" ლიცენზიების გაყიდვას, ანუ საკუთრების უფლების დათმობას დაპატენტებულ ან არადაპატენტებულ (ნოუ-ჰაუ) ტექნოლოგიაზე. მასიურ ცნობიერებაში სწორედ ეს ეტაპი ასოცირდება ტექნოლოგიურ გაცვლად, მაგრამ როგორც ჩვენ ვხედავთ, ეს ნამდვილად არ არის ასე. მესამე ეტაპის ბოლო წლებს ხშირად თან ახლავს ერთობლივი საწარმოების შექმნა, მაგრამ ამ არხებით მიღებული ტექნოლოგია სამწუხაროდ უკვე აღარ განეკუთვნება მოწინავეს. ტექნოლოგიათა გადაცემის პროცესის ამ კანონზომიერების ცოდნა მნიშვნელოვანია ჩვენი მეწარმეობისათვის, რომელიც განიცდის ერთობლივი საწარმოების შექმნის ბუმს.

ყოველივე ზემოთ თქმული ეხება დასავლეთის მსხვილ კომპანიათა ტექნოლოგიურ სტრატეგიას, რომელსაც ისინი ახორციელებენ სხვა ფირმებთან და ქვეყნებთან მიმართებაში.

მაგრამ მსხვილი ტნკ-ები სრულიად სხვა სტრატეგიას იყენებენ, როდესაც ლაპარაკია საკუთარ შიდა საფირმო ურთიერთობებზე. ისინი მოიცავენ მრავალ საწარმოოს, რომელთაც გააჩნიათ იურიდიული დამოუკიდებლობა, მაგრამ არსებოს დედა კომპანიებზე შვილობილ კომპანიათა, ფილიალების და განყოფილებების მკაცრად დაცულ სუბორდინაცია. მათ შორის ტექნოლოგიური გაცვლა პრინციპულად სხვა ფორმით ხორციელდება, ვიდრე სრულიად დამოუკიდბელ კონტრაგენტებთან. პრაქტიკულად ძალზედ ძნელია გამოიყოს რეალური ტექნოლოგიური ნაკადები ტნკ-ს შიგნით, რომლებიც წარმართულია სხვადასხვა მიმართულებით და ღირებულებითი მაჩვენებლებით ყოველთვის ვერ ხერხდება მათი დაფიქსირება.

მსოფლიო ტექნოლოგიური გაცვლის არანაკლებ 1/3-სა მოდის ტნკა-ს შიდა საფირმო ტექნოლოგიურ ტრანსფერტებზე, რომელიც მათ მიერ აქტიურად გამოიყენება ახალ ბაზრებზე შესაღწევად და საკუთარი ფირმების დასაფუძნებლად. ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი მაგალითია IBM-ს, რომელიც კომპიუტერული ტექნიკის წარმოების მსოფლიო ლიდერია, ევროპული განყოფილების საქმიანობასI (IBM – საერთაშორისო მანქანების ბიზნეს წარმოება).

პრაქტიკამ უჩვენა რომ, IBM-ს მრავალრიცხოვანი ევროპული საწარმოების საქმიანობამ გამოიწვია ევროპის ტექნოლოგიური დონის გარკვეულ წილად ჩამორჩენა ამერიკულისაგან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტნკ-ს ტექნოლოგიური გაცვლა წარმოადგენს შიდასაფირმო ტრანსფერტს, და არა ტექნოლოგიურ გაცვლას მისი კლასიკური გაგებით. ის იწვევს ტექნოლოგიური განსხვავებების შენარჩუნებას ან გაღრმავებას, ხოლო ხშირ შემთხვევაში ტექნოლოგიურ უკუ გადადინებას მათ მიერ სხვა ქვეყნებში დაფუძვნებული საწარმოების მეშვეობით.

ამიტომ, ტექნოლოგიის ბევრად პერსპექტიულ წყაროდ შეუძლიათ იყვნენ უფრო მცირე საწარმოები, რომელთაც არ ჰყოფნით საკუთარი სახსრები რათა დაიყვანონ ტექნოლოგია საბაზრო სტადიამდე. საზღვარგარეთულ პრაქტიკაში ტექნოლოგიის სულ უფრო საიმედო წყაროდ იქცნენ არც თუ ისე მძლავრი ვენჩორული ტიპის საწარმოები, ტექნოპარკები,, რომლებიც იზიდავენ დაინტერესებული ფირმების, ფონდების, კორპორაციების კაპიტალს. ძირითად მიმზიდველ ფაქტორს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ შესაძლებელი ხდება ეზიარო უახლეს ტექნოლოგიას მისი გამოჩენისთანავე.

ტექნოლოგიური დონის განსხვავებანი, რომელიც არსებობს ქვეყნებს შორის, საშუალებას იძლევა განხორციელდეს ტექნოლოგიური გაცვლა "მრავალ საფეხურიანი" სცენარით.

ეგრეთწოდებული მაღალი ტექნოლოგიები მიმოიქცევა მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის. საშუალო და დაბალი ტექნოლოგია არა არის მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის იმდენად ფასეული, რომ ის განხილულ იქნას როგორც საქონელი. მაგრამ ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ბაზრებისათვის ის შეიძლება ჩაითვალოს "ახალ ტექნოლოგიად". უკანასკნელ ათწლეულებში ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ბაზარი აქტიურად მონაწილეობს სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებთან ტექნოლოგიურ გაცვლებში. ამიტომ სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლევათ დროში და სივრცეში გაწელონ ტექნოლოგიის "სასიცოცხლო ციკლი", შესაბამისად გაზარდონ მოგებების მოცულობა.

ამგვარი გაცვლის პრინციპიალური თავისებურებაა განვითარებადი ქვეყნების მიერ განვითარებულ ქვეყნებში ლიცენზიების შეძენა და დიდი კორპორაციების მიერ წარმოების შედარებით მარტივი სტადიის გადატანა მესამე ქვეყნებში არსებულ საკუთარ ფილიალებში.

როგორც ვხედავთ, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში, ტექნოლოგიის გადაცემა ხორციელდება ან ტექნოლოგიის "სასიცოცხლო ციკლის" ბოლო სტადიაზე, ან საერთოდ არ ღებულობს სასაქონლო სახეს და წარმოადგენს შიდა საფირმო ტრანსფერტს.

საქართველოს საერთაშორისო ტექნოლოგიური გაცვლის პროცესში ცივილური მონაწილეობის ძირითად წინააღმდეგობას წარმოშობს ეკონომიკურ-სამართლებლივი საფუძვლების პრაქტიკული არარსებობა, კერძოდ ქაოსი რომელიც არსებობს ინტელექტუალური საკუთრების, საზღვარგარეთ დაპატენტების უფლების სამართლებრივ რეგულაციასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში და ა.შ. აგრეთვე სამამულო პროდუქსიის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა, სერთიფიცირების სისტემის არარსბობა, რაც პრაქტიკულად მიუწვდომელს ხდის ქართული პროდუქციისათვის საერთაშორისო ბაზრებს.

10.2. ტექნოლოგიის გადაცემის ფორმები

ტექნოლოგიის გადაცემა ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა მეთოდითა და სხვადასხვა არხებით. ის შესაძლებელია გადაცემულ იქნას როგორც კომერციულ ასევე არა კომერციულ საფუძველზე, იყოს შიდასაფირმო, შიდასახელმწიფო ან საერთაშორისო.

ტექნოლოგიის არაკომერციულ საფუძველზე გადაცემის ფორმები:

სპეციალური ლიტერატურის საინფორმაციო მასივები, მონაცემთა კომპიუტერული მონაცემთა ბანკები, პატენტები, ცნობარები და ა.შ;

კონფერენციები, გამოფენები, სიმპოზიუმები, კლუბები, მათ შორის მუდმივ მომქმედი;

სწავლება, სტაჟირება, სტუდენტების, მეცნიერების, სპეციალისტების პრაქტიკა, რომელიც პარიტეტულ საწყისებზე ხორციელდება უნივერსიტეტებს, ფირმებს, ორგანიზაციებსა და ა.შ. შორის;

მეცნიერთა და სპეციალისტთა მიგრაცია (მათ შორის საერთაშორისო, ეგრეთწოდებული "ტვინების გაჟონვა") სამეცნიერო დაწესებულებიდან კომერციულ სტრუქტურებში და პირიქით, მცირე ვენჩერული ტიპის ახალი დაწესებულებების დაფუძნება უნივერსიტეტებისა და ფირმების სპეციალისტების მიერ, მსხვილი კორპორაციების მიერ მარკეტინგული და კვლევითი დაწესებულების შექმნა საზღვარგარეთ.

ტექნოლოგიის არაკომერციული გადაცემის ძირითადი ნაკადი მოდის არაპატენტუნარიან ინფორმაციაზე – ფუნდამენტალურ НИОКР- ზე, საქმიან თამაშებზე, სამეცნიერო აღმოჩენებსა და არადაპატენტებულ გამოგონებებზე.

ოფიციალურთან ერთად უკანასკნელ პერიოდში დიდი გავრცელება ჰპოვა ტექნოლოგიათა გადაცემის არალეგალურმა სისტემამ, რომელიც ღებულობს ტექნოლოგიური შპიონაჟისა და ტექნოლოგიური მეკობრეობის ფორმას. კერძოდ მასიურ მასშტაბებს მიაღწია ჩრდილოვანი სტრუქტურების მიერ იმიტაცია-ტექნოლოგიების გაყიდვის ფაქტებმა.

ზოგიერთი მონაცემით, მსხვილ კორპორაციათა მარკეტინგის საზღვარგარეთული სამსახურების (კვლევითი ცენტრების) 1/3-მდე ამა თუ იმ სახით შეხებაშია სამრეწველო შპიონაჟთან. ტექნოლოგიური მეკობრეობა ყველაზე მეტად განვითარებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ე.წ. ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში.

ინფორმაციის კომერციული გადაცემის ძირითადი ფორმებია:

ტექნოლოგიის მატერიალიზირებული ფორმით, ანუ ჩარხების, აგრეგატების, ავტომატიზირებული და ელექტრონული მოწყობილობების, ტექნოლოგიური ხაზების სახით გაყიდვა;

უცხოური ინვესტიციები და მათი თანმდე მშენებლობა, რეკონსტრუქცია, საწარმოების, ფირმების, წარმოების მოდერნიზაცია, თუკი მათ თან ახლავს საინვესტიციო საქონლების ნაკადი და ლიზინგი;

პატენტების გაყიდვა:

ლიცენზიების გაყიდვა სამრეწველო საკუთრების ყველა დაპატენტებულ სახეობაზე, გარდა სასაქონლო და მომსახურების ნიშნებისა და ა.შ.

ლიცენზიების გაყიდვა სამრეწველო საკუთრების არადაპატენ-ტებულ სახეობებზე – „ნოუ-ჰაუ", საწარმოო საიდუმლეობა, ტექნოლოგიური დოკუმენტაცია, გადაცემული ტექნიკისა და მოწყობილობის თანმდე დოკუმენტაცია, ინსტრუქციები, ნახაზები, სქემები, სპეციფიკაციები, ტექნოლოგიური რუქები, აგრეთვე

სპეციალისტთა სწავლება, საკონსულტაციო მომსახურება, ექსპერტიზა და სხვა;

НИОКРИ-ს ერთობლივი შემუშავება, სამეცნიერო-საწარმოო კონფერენცია;

ინჟინერინგი:

უნდა აღინიშნოს რომ, ტექნოლოგიის კომერციული გადაცემის პრაქტიკულად მთელი მოცულობა ფორმდება სალიზინგო ხელშეკრულებით, რომელშიც დაპატენტებულ ინფორმაციასთან ერთად შესაძლოა ფიგურირებდეს მთელი რიგი სხვა დებულებებისა და მოთხოვნებისა, რომელთა დაცვაც სავალდებულოა მხარეებისათვის. სალიზინგო ხელშეკრულების ამგვარ პუნქტებს შესაძლოა წარმოადგენდეს:

ლიცენზიანტის (ლიცენზიის მყიდველი) ვალდებულება გამოიყენოს მიღებული ტექნოლოგია განსაზღვრულ არეალში (დარგობრივი, ტერიტორიალური ასპექტით);

ლიცენზიარის (ლიცენზიის გამყიდველი) და (ან) ლიცენზიატის ვალდებულება გადასცეს სრული ინფორმაცია შეძენილი ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფის თაობაზე;

ლიცენზიანტის ვალდებულება განახორციელოს ე.წ. დაკავშირებული შესყიდვების დიდი მოცულობა (ტექნოლოგიურად მარტივი პროდუქციის – მაკომპლექტებლების, ნახევარ ფარიკატების შესყიდვა და ა.შ);

ლიცენზიანტის ვალდებულებაა განახორციელოს ერთჯერადი გადახდები, თუ კი ის იმყოფება არამდგრადი სოციალურ-ეკონომიკური რეჟიმის მქონე ქვეყანაში;

ვადის მითითება, რომლის განმავლობაშიც ლიცენზირი მიიღებს როიალიტს – გაყიდვის მოცულობიდან პროცენტის პერიოდული გადარიცხვა (დამოკიდებული არ არის საპატენტო დაცვის ვადებზე);

სალიცენზიო ხელშეკრულებაში ლიცენზიანტის უფლების ჩართვა ისარგებლოს სამარკო ნიშნით, მომსახურეობის ნიშნით, სავაჭრო დასახელებით, ამ უკანასკნელმა შესაძლოა ხელშეკრულების ღირებულების 25 % შეადგინოს.

გადახდის ღირებულება დაპატენტებული ტექნოლოგიის "შიშველ" ლიცენზიაზე შეადგენს ტექნოლოგიის გადაცემის საერთო ხარჯების მხოლოდ ნაწილს. ამიტომაც, არც ლიცენზიაზე პატენტებით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა, არც დაპატენტებული ტექნოლოგიის საფუძველზე დადებული სალიზინგო შეთანხმებების მოცულობა არ იძლევა საფუძველს განისაზღვროს ტექნოლოგიათა გადაცემის ზუსტი მოცულობები.

კიდევ უფრო რთულია განისაზღვროს ტნკ-ს, ტექნოლოგიური პროგრესის ლიდერის, რომელთა წილადაც მოდის მსოფლიოს ტექნოლოგიური ნაკადების არა ნაკლებ 1/3-სა, ტექნოლოგიური გაცვლების მოცულობა.

ტნკ-ს ერთი ტექნოლოგიური ნაკადი ეს არის საკუთარ სტრუქტურებში პირდაპირი ინვესტიციები. მეორე – ტექნოლოგიათა შიდა ტექნოლოგიური გადადინება, რომელმაც შესაძლოა მიიღოს, ან არ მიიღოს სასაქონლო სახე. გარდა ამისა, ტექნოლოგიური გაცვლის ეგიდით შესაძლებელია ხდებოდეს ჩვეულებრივი სასაქონლო გაცვლა. მესამე ტექნოლოგიური ნაკადია – ფილიალებიდან, ქალიშვილი კომპანიებიდან, კვლევითი სტრუქტურებიდან, რომლებიც გატანილია საზღვარგარეთ, მომდინარე უკუ ინფორმაციული ნაკადი, რომელიც შესაძლოა აგრეთვე არც კი ფიქსირედებოდეს და კვლავ მიეყიდოს ფილიალებსა და განყოფილებებს ნივთობრივ, ან არა ნივთობრივი ფორმით, ან პირიქით. უკანასკნელ წლებში, მაგალითად აშშ-ს ტნკ-ები აქტიურად ანხორციელებენ შიდასაფირმო ტრანსფერს აშშ-დან საზღვარგარეთულ ფილიალებში არაკომერციულ საწყისებზე, მაგრამ აშშ-ში შემოაქვთ ტექნოლოგიები უკვე კომერციულ საფუძველზე. ანუ იმპორტის განივთებული ფორმით, რითაც აუარესებენ საგარეო სავაჭრო ბალანსს. და პირიქით, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული ტექნოლოგიებისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზე მიღებული ცოდნის საფუძველზე ანხორციელებენ აშშ-დან ტექნოლოგიური ხასიათის მომსახურებისა და ინჟინერინგის ექსპორტის ფორსირებას.

10.3. ტექნოლოგიათა გადაცემის პრაქტიკა

ტექნოლოგიის არაკომერციული გადაცემის ყველა ტიპი, მათ შორის შიდასაფირმო ტრანსფერი, ხორციელდება თავისუფლად და ასე ვთქვათ, არ საჭიროებს სახელშეკრულებო-სამართლებრივ გაფორმებას და რეგლამენტაციებს.

ტექნოლოგიის გადაცემის კომერციული ფორმები, როგორც შიდა საფირმო, ასევე საერთაშორისო, საჭიროებს ხელშეკრულების სახით გაფორმებას (სალიცენზიო, სამეცნიერო-ტექნიკური

თანამშრომლობის, ერთობლივი წარმოების, ან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები).

სახელმწიფო, სახელმწიფოთაშორის და ფირმათაშორის დონეზე ტექნოლოგიის გადაცემა და ტექნოლოგიური გაცვლა, რეგულირდება ეროვნული ან საერთაშორისო ხასიათის საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე მხარეთა (ფირმები, კორპორაციები და სხვა) კონკრეტული ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით.

ხელშეკრულებათა ყველა სახეობის გაფორმება მოითხოვს დროის სერიოზულ ხარჯვას, დეტალურ ექსპერტიზასა და მრავალსაფეხურიან მოლაპარაკებებს.. ამასთან კონტრაგენტთა (მხარეების) თვალთახედვის არეალში მუდმივად უნდა იყოს მიმდინარე მოვლენების მთლიანი სპექტრი და შესაძლო გაუგებრობანი.

ქვეყანაში ნებისმიერი შეჭრა ტექნოლოგიით, ან პროდუქციით, რომელშიც გამოყენებულია ტექნოლოგია, რომელიც დაპატენტებულია მოცემულ ქვეყანაში სხვა პირის მიერ და საპატენტო დაცვის ვადა არ არის გასული, ხოლო პირი, რომელმაც განახორციელა ეს შეჭრა და ამ საქმიანობისათვის ლიცენზია არ გააჩნია, იდევნება კანონმდებლობით (ტრანზიტის გარდა).

იმისდა მიუხედავად, თუ რა სახით (ტექნიკური დოკუმენტაციის თუ განივთებული ფორმით) განხორციელდა ტექნოლოგიის გადაცემა, იგი ფორმდება ხელშეკრულების სახით. მასში უნდა მიეთითოს ძირითადი დებულებები (მათ შორის ხელშეკრულების საგანი, მხარეთა ვალდებულებანი, სანქციები, ფორს-მაჟორის პირობები, დავის გადაწყვეტის ფორმები, ანგარიშსწორების წესი და ფორმა და სხვა), რომლებიც მეტ-ნაკლებად სტანდარტულია ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებისათვის, ასევე უნდა ასახავდეს სპეციფიკურ, მხოლოდ ტექნოლოგიათა გადაცემის ხელშეკრულებათათვის დამახასიათებელ მომენტებს. მათ შორის:

გარანტია იმისა, რომ ტექნიკა და ტექნოლოგია თანმდე ინსტრუქციების, სახელმძღვანელოების, ტექნოლოგიური რუქების მოთხოვნათა დაცვის პირობებში გამოსადეგია საქმიანობის იმ სახეების შესასრულებლად, რომელიც შეთანხმებულია ხელშეკრულებით;

საპატენტო სიწმინდისა და მესამე მხარის პრეტენზიებისაგან თავისუფლების გარანტია;

ტექნიკური პარამეტრები, რომლის გარანტირებასაც უზრუნველყოფს მომწოდებელი თუ დაცულია აწყობის, დამონტაჟების, გამართვის, გაშვებისა და ექსპლუატაციის გარკვეული პირობები, აგრეთვე იმ პირობათა ჩამონათვალი, ტექნიკურ პარამეტრთა განსაზღვრის მეთოდები და დარღვევათა შედეგები, რომელიც წარმოიქმნება ინსტრუქციის დებულებათა შეუსრულებლობით;

მყიდველის გარანტიაა დაიცვას ხარისხის დონე; მოცემული მოთხოვნა მკაცრდება იმ შემთხვევისათვის, როდესაც სალიცენზიო ხელშეკრულებით მყიდველს აგრეთვე შეძენილი აქვს სავაჭრო ან მომსახურების ნიშნების ან გამყიდველის სხვა ატრიბუტების გამოყენების უფლება და ამ უკანასკნელის სტანდარტისაგან გადახვევამ შეიძლება შელახოს მომწოდებლის იმიჯი და რეპუტაცია;

მყიდველის გარანტიაა დაიცვას მთელი დაპატენტებული თუ დაუპატენტებელი ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელსაც მიიღებს ტექნოლოგიის გადაცემის სალიცენზიო ხელშეკრულებით.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტექნოლოგიათა გადაცემის ეფექტურობა ეცემა, თუ მოწოდება ხორციელდება არაკომპეტენტურად, არასრული შესაბამისი დოკუმენტაციის ან "ნოუ-ჰაუს" და მომსახურების სრული პაკეტის გარეშე.

ამიტომ სალიცენზიო ხელშეკრულებებში მიზანშეწონილია დარეზერვირებულ იქნას:

ტექნიკის, ტექნოლოგიის , თანმდე დოკუმენტაციისა და მომსახურების სრული პაკეტი;

პერსონალის მომზადების, სათადარიგო ნაწილების მოწოდებისა და რემონტის, საწარმოო და გაყიდვის შემდგომი მომსახურების, სხვა სახის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა სალიცენზიო ხელშეკრულების მთელი ვადის განმავლობაში;

მომხმარებლისათვის ტექნოლოგიათა სრულყოფისადმი ხელმისაწვდომობა, ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ბოლო დებულებების მოქცევა ხელშეკრულებაში აძვირებს ხელშეკრულების ღირებულებას, მაგრამ მოაქვს კიდეც შესაბამისი მოგება მყიდველისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც თავად მყიდველს აქვს შესაძლებლობა გააუმჯობესოს ლიცენზირებული ტექნოლოგია, მას შეუძლია ჩადოს შესაბამისი პუნქტი ხელშეკრულებაში, რითაც ის იმყარებს თავის პოზიციებს ადგილობრივ ბაზარზე მის მიმართ საზღვარგარეთელი პარტნიორის

ინტერესს გრძელვადიან პერსპექტივაში. ანუ მყიდველს შეუძლია დაიმკვიდროს სახელშეკრულებო წესით ტექნოლოგიის გამყიდველის პოტენციური უფლება თავის ლიცენზირთან მიმართებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ლიცენზიანტი ლიცენზირებული ტექნოლოგიის სრულყოფას განახორციელებს, ის შესაძლოა აღმოჩნდეს სიტუაციაში, როდესაც ყოველგვარი გაუმჯობესება ავტომატურად და უსასყიდლოდ გადაეცეს ლიცენზირს. ამიტომაც ტექნოლოგიის გადაცემის ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება დეტალურად უნდა იყოს დამუშავებული.

10.4. ტექნოლოგიის კომერციული გადაცემისას სალიცენზიო გაცვლა

სალიცინზიო გაცვლის მცნების ქვეშ იგულისხმება ლიცენზიათა ყიდვა-გაყიდვის კომერციული გარიგებების დადება-აღსრულება. საქმიან პრაქტიკაში ლიცენზიათა მრავალი სახეობები არსებობს.

წმინდა სახით ლიცენზიად იწოდება უფლება, გარკვეულ პირობებში გამოყენებულ იქნას რაიმე სახის პატენტი. ამიტომ კლასიკური ლიცენზია, ეს არის პატენტის გამოყენება, ანუ ეგრეთწოდებული"საპატენტო" ლიცენზია.

ლიცენზიის ყველაზე ცნობილი ფორმაა პატენტის როგორც ასეთზე უფლების გადაცემა. ამგვარად გამომგონებელი, ან პატენტის მფლობელი უარს ამბობს თავის უფლებაზე, და პატენტის მფლობელი ხდება მყიდველი. ურთიერთობათა ამგვარი ფორმა დამახასიათებელია იმ შემთხვევებისათვის, როდესაც პატენტის მფლობელია კერძო პირი.

ლიცენზია შესაძლოა იყოს უბრალო, განსაკუთრებული ან სრული. განსაკუთრებული ლიცენზიის შემთხვევაში, მყიდველს (ლიცენზიანტს) ენიჭება განსაკუთრებული, ანუ მონოპოლიური უფლება გამოიყენოს ლიცენზიის ობიექტი გარკვეულ ბაზრებზე, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს როგორც ერთ რომელიმე ქვეყანას, ასვე მთლიან რეგიონს ან ქვეყნების ჯგუფს. სრული ლიცენზია ნიშნავს მყიდველზე სრული უფლებების გადაცემას პატენტის გამოყენების თაობაზე და პრაქტიკულად ნიშნავს მის საბოლოოდ გაყიდვას.

უბრალო ლიცენზიის ქვეშ იგულისხმება ლიცენზიანტის უფლება გამოიყენოს ლიცენზიის ობიექტი გარკვეულ ფარგლებში, რაც უშვებს ლიზენზიარის მიერ ერთი და იგივე ლიცენზიის მეორად და მრავალჯერადი გაყიდვის შესაძლებლობას განსაზღვრულ ბაზრებზე.

უბრალო ლიცენზია ითვალისწინებს როგორც წესი მთელ რიგ შეზღუდვებს სამართლებრივი დაცვის ობიექტების გამოყენების კუთხით. ეს არის შეზღუდვები გამოყენების ტერიტორიის ან ექსპორტის ტერიტორიის (ე.წ. საექსპორტო ზონა) მიხედვით, აგრეთვე (ხანდახან) ლიცენზიების გამოყენების სფეროების მიხედვითაც.

სალიცენზიო საქმიანობის განვითარების კვალობაზე ტერმინმა "ლიცენზია"მოიცვა არა მხოლოდ სამრეწველო და ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლების გადაცემა, არამედ ტექნიკური დოკუმენტაციის, ტექნოლოგიური ცნობების, სამრეწველო საიდუმლოებების (ნოუ-ჰაუ) და ა.შ. გადაცემაც.

ტექნოლოგიათა განვითარების კვალობაზე, განსაკუთრებით ელექტრონიკაში, ქიმიაში, გამოთვლით ტექნიკაში მაღალი ტექნოლოგიების განვითარებამ, არსებითად გააძლიერა "ნოუ-ჰაუს" როლი. ამასთან, თანამედროვე ტენდენციაა, რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნეს "ნოუ-ჰაუ"-ს კონფედეციალურობა, გასაიდუმლოება. ამასთან დაკავშირებით, ინოვაციათა მფლობელები არჩევენ არ დააპატენტონ საკუთარი გამოგონებანი, რათა არ შეიქმნეს "ნოუ-ჰაუ"-ს უდროოდ გამჟღავნების ან პატენტის გვერდის ავლის გაიოლებული სქემის წარმოქმნის საშიშროება. ამასთან დაკავშირებით იზრდება არადაპატენტებული ლიცენზიებით ('ნოუ-ჰაუ") ვაჭრობის მოცულობა და ამ ტერმინმა და გადაცემის პრაქტიკამ მოიპოვა ასე ვთქვათ სრულუფლებიანი მოქალაქეობა.

ხშირად, ლიცენზიათა გადაცემას თან სდევს მოწყობილობების, საამქროების, საწარმოების მაკომპლექტებელი მოწყობილობების მიწოდება, რომელიც შეისყიდება მოცემული ლიცენზიის რეალიზაციისათვის. ამგვარი ლიცენზია იწოდება თანმდე ლიცენზიად, და "წმინდა" ლიცენზიისაგან განსხვავებით არ წარმოადგენს მოწყობილობების მოწოდების კონტრაქტის შემადგენელ ნაწილს და სალიცენზიო შეთანხმებას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს.

სალიცენზიო ვაჭრობის პრაქტიკაში გვხვდება "ჯვარედინი" ლიცენზირების ტერმინიც, როცა გამყიდველი (გამყიდვლები) ანხორციელებს მის საკუთრებაში არსებული სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე ლიცენზიების გაცვლას, რომელიც ხშირად

ავსებს ერთმანეთს, ან მათ ერთობლივ გამოყენებას მოაქვს დამატებითი მოგება.

შემთხვევაში, როდესაც პატენტის მფლობელი მზად არის გადასცეს ლიცენზია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ასეთი ლიცენზია იწოდება "ღია" ლიცენზიად.

ქვეყანაში მიღებული პატენტის გამოყენების პროცესში შესაძლებელია ჩაერიოს სახელმწიფოც საკუთარი კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით (ეროვნული საპატენტო ორგანო, საპატენტო სასამართლო, სამოქალაქო სასამართლო, საარბიტრაჟო სასამართლო), რომლებიც სპეციალურად დასაბუთებულ შემთხვევაში (მაგალითად, როდესაც ინოვაციის ობიექტის მფლობელი არ ან ვერ იყენებს მას, კონკურენციის გამძაფრების, ანტიმონოპოლიური რეგულირების ღონისძიებათა ფარგლებში), შეუძლია პატენტის მფლობელი აიძულოს გადასცეს სხვას მისი პატენტის გამოყენების უფლება. ლიცენზიის ამგვარ სახეობას "იძულებით" ლიცენზიას უწოდებენ.

ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს წარმატებულ სალიცენზიო გარიგებას, წარმოადგენს გამოგონების ან სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევის წონადობა, მისი ეფექტურობა, სამართლებრივი დაცულობის დონე (დამცავი დოკუმენტაციის არსებობა, როგორც ქვეყანაში ასევე მის ფარგლებს გარეთ) და საწარმოოს ათვისების შესაძლებლობანი.

ამიტომ, გამოგონების მომზადება ლიცენზიის გასაყიდად დაწყებულ უნდა იქნეს საავტორო უფლებების დაცვის სტადიიდან.

პირველი ეტაპი ეს არის დამცავი დოკუმენტის მოპოვება, ანუ პატენტის დაფიქსირება, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთაც. გამოგონების ძლიერი საპატენტო დაცვა პროპოციულად ახდენს გავლენას მომავალი ლიცენზიის ღირებულებაზე. როგორც წესი სამართლებრივად კარგად დაცული ლიცენზიის ობიექტი გაცილებით მაღალი ღირებულების მატარებელია, ვიდრე ანალოგიური მაგრამ იურიდიულად ნაკლებად დაცული ტექნიკისა და ტექნოლოგიის სალიცენზიო ობიექტი.

გამოგონება, რომელიც დანერგილია წარმოებაში, უფრო ადვილად პოულობს მყიდველს, და მისი ფასი უფრო მაღალია, რადგანაც ლიცენზიის პოტენციურ მყიდველს შეუძლია რეალურად შეაფასოს ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობანი რომელიც მიიღება გამოგონების ან სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევის პერსპექტივაში გამოყენებით.

მაგრამ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ შეუძლებელია ლიცენზიის გაყიდვა მხოლოდ გამოგონების "შიშველი" პატენტის სახით (ანუ მხოლოდ ცარიელი იდეის). მსოფლიოში მრავლადაა შუამავალი, დამნერგავი ფირმები („ვენჩურული"), რომლებიც ყიდულობენ ამგვარ გამოგონებებს საკუთარი რისკის ქვეშ, და ეწევიან მის შემდგომ დანერგვასა და კომერციალიზაციას.

კონკრეტული სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევის ლიცენზიის სახით გასაყიდად მოსამზადებლად, დგება სარეკლამო-ტექნიკური აღწერა ლიცენზიის ობიექტისა და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლა (დასაბუთება), რომელიც დაამტკიცებს ლიცენზიის ობიექტის გამოყენების ეფექტურობას. მაგრამ, ამ დოკუმენტების მომზადებისას აუცილებელია დაცული იქნეს კონფიდენციალურობის ბალანსი, რათა ამ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია იყოს საკმარისი პოტენციური მყიდველისათვის, რათა მას მიეცეს საშუალება გააკეთოს დასკვნა მისი შეძენის მიზანშეწონილობის თაობაზე, მაგრამ არასაკმარისი იმისათვის , რომ მყიდველმა მიღებული ინფორმაციის ბაზაზე დამოუკიდებლად შესძლოს ლიცენზირების ობიექტის გამოყენება ისე რომ არ შეიძინოს მოცემული ლიცენზია.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მყიდველის დაინტერესება ლიცენზიის ობიექტით ისე რომ, არ იქნეს გამჟღავნებული გამოგონების კონფიდენციალური მხარეები, გამოიყენება ოფიციური შეთანხმების ფორმა. ამ შეთანხმების პირობების თანახმად, მომხმარებელი წინასწარ ანაზღაურებს რა ლიცენზიის სრული ღირებულების 10-30%-ს, იღებს გამოგონების შესაძლებლობების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას სრული კონფედენციალურობის პირობით. მოცემული ინფორმაციის გაცნობის შემდგომ, ის ან იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის შეძენის შესახებ და ოპციონის ღირებულება ჩაეთვლება გადახდაში, ან უარს ამბობს ლიცენზიის შეძენაზე, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში მას აღარ დაუბრუნდება ოფციონის სახით წინასწარ გადახდილი თანხა, ამსთან მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია უნდა დარჩეს კონფიდენციალურად.

საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევის რეკლამირების დასაწყებად კონკრეტულ ბაზრებზე, აგრეთვე კონკრეტული მყიდველის არსებობისას, მიზანშეწონილია დაწყებულ იქნას ლიცენზიის ობიექტის საპატენტო სისუფთავის შემოწმება (გადამოწმება) სალიცენზიო ხელშეკრულებით შეთავაზებული არეალის ქვეყნების მიხედვით. ამგვარი შემოწმება საშუალებას

იძლევა გამოირიცხოს მესამე პირების პრეტენზიები პატენტებზე, რამდენადაც სალიცენზიო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ამგვარ პრეტენზიებს შესაძლოა სერიოზულად ნეგატიური შედეგები მოჰყვეს.

უცხოური ლიცენზიის შეძენის პროცესი ლიცენზიის გაყიდვის პროცესის მსგავსია. საჭიროა ჩატარდეს ლიცენზიის შეძენის და მისი შესაძლებლობების ანალიზი, და მიღებულ იქნეს უცხოელი გამყიდველისაგან სრულყოფილი ტექნიკურ-ეკონომიკური კომერციული წინადადება, რომელიც მომზადებული უნდა იქნეს მყიდველის მოთხოვნის (ტექნიკური დავალების) საფუძველზე.

ლიცენზიის ობიექტის გაცნობის პროცესში, შესაძლებელია წარმოიშვას მისი საწარმოო და საექსპლუატაციო პირობებში გამოცდის აუცილებლობა, შეფასდეს მისი ტექნიკური დონე ფირმაში. კომერციული წინადადების შეფასებისას, მიზანშეწონილია არსებობდეს ალტერნატიული წინადადებებიც სხვადასხვა მწარმოებელი ფირმებისაგან.

ლიცენზიების გაყიდვა საზღვარგარეთ, ბევრ ქვეყანაში საჭიროებს სახელმწიფოს ნებართვის (ლიცენზიის) მოპოვებას. სახელმწიფოს მხრიდან საზღვარგარეთ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გატანის კონტროლის სისტემა არსებობს ყველა ქვეყანაში. ამგვარი კონტროლი შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: ან უფლების გაცემა, ან დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებების რეგისტრაცია და აღსრულებაზე სახელმწიფოს შემდგომი თანხმობის (ან უარის) მიღება, ან ამ ორი მეთოდის რაღაც კომბინაცია.

სახელშეკრულებო ფორმას ლიცენზიის ყიდვა-გაყიდვის აქტისა წარმოადგენს სალიცენზიო შეთანხმება, რომელიც იდება კომერციულ საფუძველზე ან უსასყიდლოდ ლიცენზირსა და ლიცენზიანტს შორის. არსებობს რამოდენიმე ტიპიური ფორმა საექსპორტო და საიმპორტო სალიცენზიო შეთანხმებებისა, მაგრამ შეთანხმების კონკრეტული საბოლოო ვარიანტი ყალიბდება ტექნიკური და კომერციული მოლაპარაკებების შედეგების მიხედვით, როდესაც დასრულდება ყველა მუხლის ურთიერთ შეთანხმება და წინასწარი ექსპერტიზა.

10.5. ტექნოლოგიის ღირებულება და ფასი

ტექნოლოგიათა გადაცემის შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ტექნოლოგიის ღირებულებისა და ფასის განსაზღვრა, და ლიცენზიის გაყიდვის (შეძენის) ეკონომიკური შედეგების შეფასება.

სხვა საქონლებისაგან განსხვავებით ტექნოლოგიის ღირებულება და ფასი როგორც წესი, არ განისაზღვრება იმ დანახარჯებით, რომელიც დაკავშირებული იყო მის შექმნასთან. ამ თვალსაზრისით ტექნოლოგია ისეთი საქონლების ანალოგიურია როგორიცაა უძრავი ქონება და ფასიანი ქაღალდები, რომელთა ღირებულება დამოკიდებულია შემოსავლის მიღებაზე, რომელიც მათი გამოყენებით მიიღება. ზუსტად ამგვარად, ტექნოლოგიის ღირებულება დამოკიდებულია დამატებითი მოგების სიდიდეზე, რომლის მიღებაც შესაძლებელია ტექნოლოგიური სიახლის რეალიზაციის შედეგად. ამგვარ შემთხვევებში ხშირად ლაპარაკობენ ტექნოლოგიურ რენტაზე (მიწის რენტის ანალოგიურად).

ტექნოლოგიური რენტის მიღების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური მონოპოლიით, რომელსაც ფლობს მისი მესაკუთრე. ამ მონოპოლიის ბუნება ორსახოვანია. პირველი, იგი განპირობებულია ტექნოლოგიის ინტელექტუალური ბუნებით, ხოლო ტექნოლოგიის მფლობელი, ტოვებს რა საკუთარ ცოდნას გასაიდუმლოებულად, იქმნის ინფორმაციულ მონოპოლიას. მეორე, ინფორმაციული მონოპოლია გამყარებულია იურიდიულად, რომელიც პატენტის ან საავტორო უფლებების სახით უზრუნველ-ყოფილია ინტელექტუალური საკუთრების უფლებით. ტექნოლოგია, რომელიც ფართოდაა ცნობილი და არ არის დაცული იურიდიული ნორმებით, ვერ უზრუნველყოფს მისი მფლობელისათვის ტექნოლოგიურ მონოპოლიას, ვერ მოაქვს ტექნოლოგიური რენტა და შესაბამისად არც წარმოადგენს საქონელს.

ლიცენზიის გაყიდვა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ სავალუტო ეფექტის მატარებელ საგარეო სავაჭრო გარიგებას, რომელიც საშუალებას იძლევა მინიმალური მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების ხარჯზე მიღებულ იქნას მნიშვნელოვანი სიდიდის სახსრები და ის განსაკუთრებით მაღალრაციონალურია როცა სამრეწველო სიმძლავრეები შეზღუდულია და შეუძლებელია ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება მზა პროდუქციის მიწოდების გზით.

ტექნოლოგიის ფასებზე მომქმედ ფაქტორებს განეკუთვნებიან:

1) დანახარჯები "ნიოკრი"-ზე (პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება);

2) ტექნოლოგიის სიახლე – ტექნოლოგია რაც უფრო ძველია მით დაბალია მისი ფასი;
3) დანახარჯების სიდიდე რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიის გადაცემასთან (პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება);
4) მოგების დონე, რომელსაც იღებს მყიდველი. ამ მაჩვენებლის სიდიდე პირდაპირაა დაკავშირებული იმ საბაზრო წილის მოცულობასთნ, რომელიც მას ეკუთვნის. შესაბამის ბაზრებზე, სადაც სავარაუდოდ მოხდება გადაცემული ტექნოლოგიის რეალიზაცია, სოლიდური წილი, ტექნოლოგიის მყიდველს უქმნის პირობებს გაიმყაროს პოზიციები გამყიდველთან მოლაპარაკებებისას და განაპირობებს ტექნოლოგიის ფასის კლებას;
5) ტექნოლოგიის მყიდველის სტატუსი (სახელმწიფო თუ კერძო). სახელმწიფო ორგანიზაციებს, როგორც წესი უფრო ძლიერი პოზიციები აქვთ მოლაპარაკებებზე და შესაბამისად ტექნოლოგიაში ნაკლებს იხდიან;
6) ლიცენზიანტის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, რაც ასევე ახდენს გავლენას მის სასტარტო პოზიციებზე.

ტექნოლოგიის ფასის ქვედა ზღვარს განსაზღვრავს მის შექმნაზე გაწეული დანახარჯები პლიუს საშუალო მოგება. ტექნოლოგიის ფასის ზედა ზღვარი განისაზღვრება ლიცენზიის მყიდველის შემოსავლებიდან საკმაოდ მაღალი წილით. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ტექნოლოგიის ფასი შესაძლებელია ვარირებდეს ძალიან ფართო დიაპაზონში და მისი კონკრეტული სიდიდე პირდაპირაა დაკავშირებული ტექნოლოგიის გამყიდველისა და მყიდველის საბაზრო პოზიციებთან.

ლიცენზიის ფასწარმოქმნის მეთოდიკა დაფუძვნებულია მარტივ პრინციპზე – ლიცენზიის გამყიდველს გადაეხდება მყიდველის მოგების ნაწილი, რომელსაც ის შეძენილი ლიცენზიით მიიღებს. პროდუქციის სახის, მისი წარმოების მოცულობების (სერიულობა) შესაბამისად, მოგების ამ წილის სიდიდე მერყეობს მყიდველის მოგების 10-30%-ს ფარგლებში.

ლიცენზიის ღირებულება მჭიდროდაა დაკავშირებული ანგარიშსწორების ფორმასთან. ლიცენზიით წარმოებული პროდუქციის ერთეულის მიხედვით ანგარიშსწორების პირობებში (როიალიტის ფორმა), საერთო გადახდა სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდისათვის უფრო მეტია, ვიდრე პირდაპირი ანგარიშსწორების დროს, როდესაც ლიცენზიის საერთო ღირებულება გადაიხდება ნაწილ-ნაწილ, მაგალითად 20% ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში, 30% ტექნიკური დოკუმენტაციის მომენტში, 30% პროდუქციის წარმოების დაწყებისას და 20% საგარანტიო გადახდები. ეს უკანასკნელი თანაბრად გადანაწილდება სალიცენზიო ხელშეკრულების დარჩენილ ვადაზე. გამოიყენება სალიცენზიო ანგარიშსწორების კომბინირებული ფორმებიც, როცა ღირებულების ნაწილი სალიცენზიო პროდუქციის ათვისების პერიოდში ანაზღაურდება ერთი ფორმით, ხოლო პროდუქციის წარმოების დაწყების მომენტიდან კი როიალიტის ფორმით. ამ შემთხვევაში არსებითია სალიცენზიო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნას ყოველწლიური გადახდები, რომელიც უნდა განახორციელოს მყიდველმა, იმ შემთხვევაშიც კი როცა ის არ იყენებს ლიცენზიას და არ უშვებს მოცემულ პროდუქციას.

არსებობს რამოდენიმე მიდგომა ლიცენზიის ღირებულების დასადგენად. ზოგადად ლიცენზიის ღირებულების განსაზღვრის ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$C_p = \sum_i^t V_i \times Z_i \times p_i$$

სადაც:

C_p – არის ლიცენზიის ღირებულება როიალიტის ფორმის ანგარიშსწორებით;

V_i – არის წარმოების მოსალოდნელი მოცულობა i-ურ წელიწადში;

P_i – არის როიალიტის სიდიდე i-ურ წელიწადში;

Z_i – არის ერთეული პროდუქციის ფასი i-ურ წელიწადში;

t – არის სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების საანგარიშო ვადა.

სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომელიც მიღებულია ლიცენზიებით ვაჭრობის საერთაშორისო პრაქტიკაში, არ აღემატება 10 წელიწადს. ხელშეკრულების მოქმედების საანგარიშო ვადად რეკომენდირებულია: უფასო ლიცენზიებისათვის, რომელთა ათვისებაც არ მოითხოვს დიდ დროსა და კაპიტალდაბანდებებს 5-7 წელიწადი. იგივე ვადა რეკომენდირებულია

აგრეთვე ისეთ საპატენტო ლიცენზიებისათვის, რომელთა ობიექტსაც წარმოადგენს პროდუქცია მოკლევადიანი სასიცოცხლო ციკლით (მაგალითად საყოფაცხოვრებო ტექნიკა); ან 7-10 წლით საპატენტო ლიცენზიებისათვის, ლიცენზიის ხანგრძლივვადიანი სასიცოცხლო ციკლით, რომელთა ათვისებაც დაკავშირებულია მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებთან, მოწყობილობის მოწოდების დიდი ვადებით (1-1,5 წელი), და წარმოებაში დანერგვის 1-1,5 წლიანი ვადით. მსოფლიო პრაქტიკაში ანგარიშსწრების მიღებული პრაქტიკის პრინციპები ლიცენზიის ღირებულებაზე შემდეგი სახით მოქმედებენ. ლიცენზიის საერთო ჯამური ღირებულება იქნება მით ნაკლები, რაც უფრო სწრაფად და მეტის გადახდას იწყებს მყიდველი. როდესაც ანგარიშსწორება გაწელილია დროში, და მისი დიდი ნაწილი მოდის სალიცენზიო ხელშეკრულების ვადის ბოლო პერიოდებზე, ლიცენზიის ჯამური ღირებულება მატულობს.

ლიცენზიით პროდუქციის წარმოების მოცულობა განისაზღვრება ლიცენზიანტის მიერ წარმოების მოცულობის საწარმოო პროგრამის მონაცემებისა და სალიცენზიო პროდუქციის გასაღების ბაზრის მოცულობის ანალიზის მონაცემების მიხედვით.

პროდუქციის ერთეულის საანგარიშსწორებო ფასის ერთეულად მიიჩნევა მწარმოებლის ფრანკო-ქარხნის ნეტო-ფასი, რომლიდანაც გამოიქვითება ფასდაკლებები შეფუთვის, შენახვის, დაზღვევის, და სხვა არასაწარმოო დანახარჯებზე. საანგარიშსწორებო ფასები დგინდება ქვეყანაში საგარეო სავაჭრო გარიგებების კონკრეტული ფასების, ან პრეისკურანტების, და (ან), ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელი ფირმების მოწოდების ფასების მიხედვით. საანგარიშსწორებო ფასებიდან გამოიქვითება მაკომპლექტებელი ნაკეთობებისა და შესყიდული დეტალების ფასები, რომლებიც არ წარმოადგენენ სალიცენზიო შეთანხმების ობიექტებს.

ტექნოლოგიათა გადაცემისას ხშირად ხორციელდება ერთდროული ანგარიშსწორების მთელი რიგი. მაგალითად, მათ შორის გარდა როიალიტით განსაზღვრული გადახდებისა შეიძლება წარმოიქმნას წინასწარი ანგარიშსწორების სხვადასხვა სახეობები. ტექნოლოგიის ფასის კალკულაცია მოითხოვს დაფიქსირდეს განსხვავება ტექნოლოგიის უშუალო ფასსა და სხვა ყველა დანარჩენ გადასახდელს შორის. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გადარიცხული გადასახდელები ფორმირდება სხვადასხვაგვარად: უშუალოდ ტექნოლოგიაზე გადასახდელის სიდიდე განისაზღვრება მისი კომერციული რეალიზაციიდან სავარაუდოდ მისაღები მოგების სიდიდიდან გამომდინარე, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი გადასახდელი კი შესაბამის ღონისძიებაზე გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

როიალიტი წარმოადგენს ანგარიშსწორების ყველაზე მარტივ ფორმას. მთლიანობაში ანგარიშსწორებანი როიალიტის ფორმით, შეიცავს მაღალ რისკებს ტექნოლოგიის გამყიდველისათვის, რამდენადაც მისი სიდიდე დამოკიდებულია იმ კომერციულ წარმატებაზე, რომელსაც აღწევს ტექნოლოგიის მფლობელი. მისი არაწარმატებული რეალიზაციის შემთხვევაში, ტექნოლოგიის გამყიდველმა შესაძლოა განიცადოს არსებითი დანაკარგები. და პირიქით, გაყიდვების სწრაფი ზრდის პირობებში, მისმა სარგებელმა შესაძლოა გადააჭარბოს მოსალოდნელს. გამომდინარე აქედან, ტექნოლოგიის გამყიდველი ანგარიშსწორების ამგვარ ფორმას ირჩევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მიიჩნევს, რომ მყიდველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს საკმარისად მაღალი მოგება. გაყიდვების წლიური მოცულობის კლების პირობებში საკუთარი დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ტექნოლოგიის მფლობელმა შესაძლოა მოითხოვოს მინიმალურად გარანტირებული როიალიტის თანხის დადგენა, რომლის ქვემოთაც არ შეიძლება როიალიტის წლიური სიდიდის დაცემა.

მეორეს მხრივ, მყიდველისათვის ანგარიშსწორების ამგვარი ფორმა საკმაოდ ხელსაყრელია, რამდენადაც იგი გულისხმობს გადახდების გადავადებას დროში და მისი სიდიდე დამოკიდებულია ახალი საწარმოს კომერციულ წარმატებაზე. მაგრამ, თუ ახალი ტექნოლოგიის რეალიზაცია განხორციელდა წარმატებით, გადახდების სიდიდემ შესაძლოა მნიშვნელოვნად გადააჭარბოს ტექნოლოგიის პირველ საწყისად დადგენილ ფასს. ამ გარემოებამ გამოიწვია როიალიტის დარიცხვის მრავალფეროვანი სისტემების ფორმირება, რომლებიც მეტნაკლებად ჭრიან ზემოთ აღნიშნულ პრობლემას.

ასე მაგალითად, როიალიტი შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს:

ა) როგორც პროდუქციის ერთეულის რეალიზაციაზე ფიქსირებული თანხა, ან პროდუქციის ერთეულის რეალიზაციაზე რაღაც წილი;
ბ) როგორც შემოსავლიდან გარკვეული წილი, რომელიც მიიღება ახალი ტექნოლოგიის წარმოება რეალიზაციიდან;
გ) გაყიდვების მოცულობიდან წინასწარ განსაზღვრული წილი მანამ სანამ არ იქნება მიღწეული პარტნიორების მიერ დაბანდებულ კაპიტალზე მოგების დადგენილი ნორმა.

ფულის ინფლაციური გაუფასურება და საბანკო პროცენტების ზრდა იწვევს როიალიტის რეალური სიდიდის შემცირებას. ამის გამო, ტექნოლოგიათა გადაცემის ხელშეკრულებებში, როგორც წესი გათვალისწინებულია სხვადსხვა სახის დებულებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დაკარგული სახსრების ანაზღაურება.

გაყიდვის მეორე ტიპის გამოყენებისას, მისი სიდიდე დგინდება წინასწარ გარკვეული სიდიდის სახით, რომელიც გადაიხდება ერთ ან მეტ ნაწილად, როგორც წესი ტექნოლოგიის გადაცემის შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტში. ამგვარი გადასახდელის სიდიდე შესაძლებელია გაანგარიშებული იქნეს როიალიტის განაკვეთის, მათი გადახდის პერიოდის და პროდუქციის წმინდა გაყიდვების სავარაუდო მოცულობების საფუძველზე. შეთანხმების მონაწილე მხარეების ურთიერთ გარიგების შედეგად, ზოგჯერ ტექნოლოგიის ფასის განსაზღვრა ხორციელდება ტექნოლოგიის შექმნაზე გაწეული დანახარჯების შეფასებით. ანგარიშსწორების აღნიშნული ფორმა გამოიყენება როგორც წესი პატენტის გაყიდვისას, რაც თავის მხრივ წარმოადგენს სამრეწველო საკუთრების უფლების საბოლოო გადაცემას.

ტექნოლოგიაზე ანგარიშსწორების სხვა ფორმებს წარმოადგენენ:

ჯვარედინი ლიცენზირება, რაც ნიშნავს ლიცენზიებისა და პატენტების ურთიერთ გაცვლას, რომლებიც მიიჩნევა ექვივალენტურად. ანგარიშსწორების ამგვარი ფორმა, ყველაზე ხშირად გვხვდება სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების ფირმებს შორის გაფორმებულ ტექნოლოგიათა გადაცემის კონტრაქტებში. განსაკუთრებით ხშირია ეს ფარმაცევტიულ და ელექტრონულ მრეწველობაში, სადაც დანახარჯები "ნიოკრზე" როგორც წესი ძალზედ არსებითია. ამასთან, ზოგჯერ კონტრაქტები შეიცავს დებულებას იმის თაობაზე, რომ მყიდველი ვალდებულია უსასყიდლოდ მიაწოდოს ინფორმაცია ადრე შეძენილ ტექნოლოგიის ყოველგვარი მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების შესახებ;

გვხვდება აგრეთვე ფარული სალიცენზიო გადასახდელებიც ან მათი კონვერტაცია, რომლის დროსაც გადასახდელები ტექნოლოგიაზე ჩართულია სასაქონლო მიწოდების ფასებში ან ტექნოლოგიის გამყიდველის მომსახურების ფასებში. მაგალითად მოსაწოდებელი მოწყობილობების ფასებში, მასალების, სათადარიგო ნაწილების ან ნებისმიერი სხვა პერიოდული მოწოდების ფასებში.

ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს აგრეთვე ტექნოლოგიის გამყიდველზე მყიდველის აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების გადაცემის გზითაც. ტექნოლოგიის გაყიდვისას გამყიდველი ხშირად მყიდველს უწევს მთელ რიგ პარალელურ და დამხმარე მომსახურეობებსაც. ამ კატეგორიის მომსახურებას განეკუთვნებიან მომსახურეობის ისეთი სახეობები, რომლებიც დაკავშირებულია თავად ტექნოლოგიის გადაცემის პროცედურასთან. ისინი იწვევენ გარკვეული სახის დანახარჯებსა და დანაკარგებს მათ შორის ინფორმაციული ხასიათისასაც, რის გამოც აუცილებელია მათი კომპენსირება. ამგვარი გადასახდელების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ხორციელდება ჯერ კიდევ გარიგების გაფორმებამდე. რის გამოც წარმოიქმნება სპეციალური გადასახდელების მთელი რიგი:

წინასაწარი გადასახდელი:

ეს გადასახდელი გათვალისწინებულია გამყიდველის ხარჯების კომპენსირებისათვის, რომელიც მან გაიღო ჯერ კიდევ კონტრაქტის გაფორმებამდე. ეს შესაძლოა იყოს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია პროექტირებასთან, სამარკეტინგო კვლევების ჩატარებასთან, ტექნიკური სახელმძღვანელოებისა და ინსტრუქციების შექმნასთან, სხვა ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებასთან, მოლაპარაკებებთან, იურიდიული კონსულტაციების ხარჯებთან, და ა.შ. გამყიდველის ხარჯები დაკავშირებულია ამგვარი ქმედებების განხორციელებასთან, ხშირად აღემატება კიდეც მყიდველის დანახარჯებს.

ამასთან საჭიროა ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ ეს კომპენსაციები არ ეხება დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიის უშუალოდ შექმნასთან, ანუ "ნიოკრი"-ს ხარჯებს.

მიუხედავად იმისა, რომ ერთდროული გადასახდელი და წინასწარი გადასახდელი ხშირად არეულია ერთმანეთში, ისინი ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციებს.

თუ მხარეები თანხმდებიან, რომ წინასწარი გადასახდელები წარმოადგენს სამარკეტინგო დანახარჯებს და მთლიანად ეკისრება გამყიდველს, ამ უკანასკნელს შეუძლია შემდგომში ჩართოს ის ტექნოლოგიის საკუთარ ფასში და მიიღოს მათი ამოგება, როგორც როიალიტის ან ერთდროული გადასახდელის ნაწილის სახით.

გადასხადელი ტექნოლოგიური ინფორმაციის ნაწილობრივი გამჟღავნებისათვის:

იმისათვის, რომ დარწმუნდეს გარიგების მიზანშეწონილობაში, მყიდველმა ხელშეკრულების ხელისმოწერამდე

უნდა მიიღოს მინიმალური კომერციული და ტექნიკური ინფორმაცია მაინც. ამ უკანასკნელის გამჟღავნება კი გარკვეულ რისკებს შეიცავს, რადგანაც, თუ კი გარიგება არ შედგა, პოტენციურ მყიდველს პრინციპში შესწევს უნარი გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია ანალოგიური ტექნოლოგიის შესაქმნელად ან დასანერგად. რისკის ხარისხი დამოკიდებულია ტექნოლოგიისა და მისი იურიდიული დაცვის ხასიათზე. რისკის სიდიდე შესაძლებელია გახდეს არსებითი, თუ კი ტექნოლოგია დაცულია მხოლოდ, როგორც კომერციული საიდუმლოება და ადვილად კვლავწარმოებადია მისი გაცნობის შემთხვევაში.

ასეთ შემთხვევაში ლიცენზირს შეუძლია მოითხოვოს გარკვეული თანხების გადახდა გამჟღავნებულ ტექნოლოგიურ და კომერციულ ინფორმაციაზე, როგორც შესაძლო რისკის წარმოქმნის კომპენსირებისათვის. თანხმობა, ამგვარ გადასახდელზე წარმოადგენს გარკვეულ გარანტიას იმისა, რომ მყიდველი სერიოზულადაა განწყობილი და ის შეიძლება გამოყენებული იქნას იმ დანაკარგების ასანაზღაურებლად, რომელიც წარმოიშობა გარიგების ჩაშლის შემთხვევაში. ამასთან, წარმატებით დასრულებული გარიგების შემთხვევაში, წინასწარ გადახდილი ამგვარი თანხები შესაძლებელია გამოირიცხოს ტექნოლოგიის ძირითადი ფასიდან.

ოფციური გადასახდელი:

ოფციური გადასახდელები გადაიხდება იმ შემთხვევაში, თუ კი პოტენციურ მყიდველს სურს მიიღოს განსაკუთრებული უფლება მოცემული კონტრაქტის დადებაზე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აქვს სურვილი მოიპოვოს დამატებითი ტექნოლოგიური და კომერციული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ტექნოლოგიის გამყიდველს შეუძლია მოითხოვოს ოფციური გადასახდელის გადახდა იმის საკომპენსაციოდ, რომ ის ტექნოლოგიის რეალიზაციას ავადებს გარკვეული დროით. თუ კი ხელშეკრულება არ იქნა ხელმოწერილი, გამყიდველი როგორც წესი იტოვებს ოფციურ გადასახდელს თავისთან. ამავდროულად გარიგების წარმატებით დადების შემთხვევაში, ოფციური გადასახდელი შესაძლებელია ჩაითვალოს გასაყიდი ტექნოლოგიის საკონტრაქტო ფასში.

ტექნოლოგიის გადაცემასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯების ანაზღაურება:

ინჟინერინგული მომსახურების ანაზღაურება (enjineering fees).

როგორც წესი თავისი მომსახურეობის სახით ტექნოლოგიის გამყიდველი უზრუნველყოფს ინჟინერინგულ დამუშავებას, რაც აუცილებელია გადაცემული ტექნოლოგიის გამოყენებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს არ აქვს საკმარისი ინჟინერინგული გამოცდილება და კვალიფიკაცია, ტექნოლოგიის გამყიდველს შეუძლია უზრუნველყოს ის ე.წ. "ინტეგრირებული ინჟინერინგით". მაგრამ, უმეტეს წილად ინჟინერინგული მომსახურეობის უზრუნველყოფას ანხორციელებენ სპეციალიზირებული საკონსულტაციო ფირმები. ამგვარი მომსახურების ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოცემული მომსახურეობის გაწევასთან. მათი განფასებები დიფერენცირებულია კვალიფიკაციის დონის შესაბამისად და პერიოდულად ქვეყნდება საკონსულტაციო ფირმების მიერ. შესაბამისად, ტექნოლოგიის მყიდველს თავად შეუძლია განსაზღვროს ამ კატეგორიის დანახარჯების დაახლოებითი დონე.

ტექნიკური დახმარების ანაზღაურება:

როცა ტექნოლოგიის მყიდველს შესაბამის სფეროში არ აქვს საკმარისი ტექნიკური ცოდნა, ტექნოლოგიის გამყიდველი უზრუნველყოფს მისთვის შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებისათვის აუცილებელ ტექნიკურ დახმარებას.. ამგვარი მომსახურების ანაზღაურების წესები ძირითადში ინჟინერინგული მომსახურების წესების ანალოგიურია.

საკონსულტაციო გადასახდელები:

და ბოლოს, ყველა ოპერაციის განხორციელებისას, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიის შეძენასა და მის გადაცემასთან, თან ახლავს კონსულტანტთა მომსახურეობის აუცილებლობა (საფინანსო, იურიდიული, სამარკეტინგო და ა.შ. სახის). დანახარჯები, რომელიც დაკავშირებულია ამგვარი ხასიათის მომსახურეობის გაწევასთან, შესაძლებელია გადახდილ იქნას ნებისმიერი მხარის მიერ ან გაიყოფა თანაბრად. მათი დარიცხვის პრინციპი უკვე განხილული გადახდების ანალოგიურია – დანახარჯების ანაზღაურება პლიუს ნომინარული მოგება.

10.6. საერთაშორისო ტექნოლოგიურ გაცვლებში ინჟინერინგი და ტექნიკური დახმარება

საერთაშორისო ინჟინერინგი წარმოადგენს საწარმოო, კომერციული, და სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის მომსახურეობათა კომპლექსს, რომელსაც ანხორციელებენ, როგორც სპეციალიზირებული ფირმები, ასევე სამრეწველო, საამშენებლო და სხვა სპეციალიზაციის მქონე ფირმები.

"ინჟინერინგის" ტიპის მომსახურეობათა მთლიანი სპექტრი ("ტექნიკური ხელშეწყობის" ტიპის მომსახურეობის გარეშე), შესაძლებელია დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: მომსახურეობები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიური პროცესის მომზადებასთან, და მომსახურეობანი, რომელთა მიზანია რენტაბელური წარმოების უზრუნველყოფა.

პირველ ჯგუფს შესაძლებელია მიეკუთვნოს:

1) წინასაპროექტო მომსახურეობა, მათ შორის ბაზრის კონიუქტურის შესწავლა, საპროექტო-საძიებო სამუშაოები პროექტის განხორციელების არეალში: ტოპოგრაფიული გადაღება, ადგილის საინჟინრო გეგმარების შემუშავება, ნიადაგების, გრუნტის შესწავლა, წიაღისეულის დაზვერვა, კაპიტალდაბანდებათა გეგმის შემუშავება, სატრანსპორტო ქსელის განვითარება, პროექტის ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთების კომპლექსის შემუშავება, და ა.შ. წინასაპროექტო მომსახურეობაში შედის აგრეთვე საკონსულტაციო მომსახურეობაც და ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოთა მიმდინარეობაზე მეთვალყურეობაც;

2) საპროექტო მომსახურეობა, რომელიც იყოფა საბაზისო და დეტალურ ინჟინერინგად. ისინი მოიცავს: ა) საბაზისო ინჟინერინგში – წინასწარი საინჟინრო გამოკვლევებისა და პროექტების, გენერალური გეგმისა და თანმდე შესაბამისი სქემების და რეკომენდაციების, პროექტის წინასწარი ღირებულების შეფასების, მისი ექსპლუატაციისა და შექმნის ხარჯების მომზადებას. ბ) დეტალურ ინჟინერინგში გათვალისწინებულია – საბოლოო პროექტის დანართების წარმოდგენა, პროექტის გამოკვლევა, მთლიანი არქიტექტურული პროექტის შემუშავება, სამუშაო ნახაზების, ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება. ამავე ჯგუფში მოიაზრება მითითებულ სამუშაოებზე კონსულტაციები და ზედამხედველობა;

3) პროექტირების შემდგომი მომსახურება – მოიცავს სამუშაოებს მშენებლობის განსახორციელებლად კონტრაქტის გაფორმებაზე და ტექნოლოგიების ათვისებაზე. ისინი მოიცავს: ა) საკონტრაქტო დოკუმენტაციის მომზადებას, ტენდერების ორგანიზაციას, წინადადებების შესწავლას, მათზე რეკომენდაციების მომზადებას; ბ) პროექტის წარმართვას, სამუშაოთა მიმდინარეობის ზედამხედველობას და ინსპექტირებას, მშენებლობის მართვას; გ) ექსპლუოტაციაში ჩაბარების მერე ტესტირებების განხორციელებას, სამუშაოთა დასრულების სერთიფიკატის მომზადება-გაცემას, მშენებლობის შესახებ ტექნიკური დასკვნის მომზადებას; დ) საინჟინრი და ტექნიკური პერსონალის მომზადებას; ე) პროდუქციის გასაღებისათვის პირობების მომზადებას;

4) სპეციალური სახის მომსახურეობა, რომელიც განპირობებულია მოცემული ობიექტის შექმნის კონკრეტული პრობლემებით (ეკონომიკური გამოკვლევები, პრობლემათა შესწავლა, ნარჩენების უტილიზაცია, სხვადასხვა იურიდიული პროცედურები და სხვა).

ინჟინერინგული მომსახურების სხვა ჯგუფს მიაკუთვნებენ სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია ექსპლუატაციის, საწარმოთა მართვის და მათი პროდუქციის რეალიზაციის პროცესების ოპტიმიზაციასთან, და რომელიც მოიცავს:

მომსახურეობას საწარმოო პროცესების ორგანიზაციისა და მართვის სფეროში (რეკომენდაციები მათი გაუმჯობესებისათვის, ქრონომეტრაჟი და სხვა);

მომსახურეობა მოწყობილობათა დათვალიერება-გამოცდის პროცესში;

ობიექტის ექსპლუატაციის მომსახურეობა (კადრების შერჩევა, მომზადება სამუშაოთა სტრუქტურისა და შრომის ანაზღაურების სტრუქტურის დადგენა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია, მეთვალყურეობა ექსპლუოტაციაზე);

დახმარება საფინანსო საკითხებში (ფინანსირების ორგანიზაციის საკითხებში კონსულტირება და დახმარება, შემოსავალ-გასავლების შეფასება და მათი ოპტიმიზაციის საკითხებზე კონსულტაციები, სააქციო კაპიტალის პრობლემატიკაზე კონსულტაციები და საფინანსო პოლიტიკა);

პროდუქციის რეალიზაციის სფეროში მომსახურეობები (საბაზრო კონიუქტურის შესწავლა, დახმარება რეკლამირების ორგანიზაციაში, გასაღების მეთოდების დახვეწის სფეროში კონსულტაციები და ა.შ)

მომსახურეობა ინფორმაციული სისტემების დანერგვის სფეროში.

ამგვარად ინჟინერინგი, განისაზღვრება, როგორც საქმიანობის ინტელექტუალური სახეობების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია რესურსებისა და ტექნოლოგიის ყველაზე რაციონალური და ეფექტური შერჩევა-გამოყენების გზით, საინვესტიციო და სხვა პროექტების რეალიზაციის პრობლემების გადაწყვეტისაკენ.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. დაახასიათეთ ტექნოლოგია, როგორც საქონელი;
2. დაახასიათეთ ტექნოლოგიის გადაცემის ფორმები;
3. დაახასიათეთ, როგორ ხდება ტექნოლოგიის კომერციული გადაცემისას სალიცენზიო გაცვლა;
4. ლიცენზიის დადგენის მეთოდიკა;
5. ინჟინერინგის როლი საერთაშორისო გაცვლაში.

თავი XI. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ჩვენი ქვეყნისათვის ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. ეროვნული მეურნეობის საბაზრო საწყისებზე გადაყვანა, ეკონომიკის მოდერნიზაცია და მისი სოციალური ორიენტაციის გაძლიერება მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებებს. საინვესტიციო შიმშილის რამდენადმე დაძლევა უცხოური ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია. ამასთან უპირველესი ამოცანაა შეიქმნას მათი მოდინებისათვის აუცილებელი გარემო, განისაზღვროს ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენების დარგები და სფეროები, ჩამოყალიბდეს საინვესტიციო რეგულირების ქმედითი სისტემა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად გვესახება გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება.

(FAO) წარმოადგენს გაეროს სისტემის სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, მის უმსხვილეს სპეციალიზებულ სააგენტოს, რომელიც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობისა და სურსათის, მეთევზეობისა და მეტყევეობის დარგების განვითარების პოლიტიკას. დღეისათვის (FAO) -ში გაერთიანებულია 175 წევრი ქვეყანა. (FAO) -ს მიზნებია:

- მსოფლიოში სურსათისა და ცხოვრების სტანდარტების ამაღლება;
- კვებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ეფექტიანობის ამაღლება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია;

საქართველო (FAO)-ში 1995 წელს გაწევრიანდა. 1995-2008 წლებში (FAO)-სთან ურთიერთობაში ადგილი ჰქონდა საგრძნობ წინსვლას.

საქაართველოს (FAO)-ში გაწევრიანებიდან დღემდე განხორციელებულია პროექტები, რომლებიც სოფლის მეურნეობის, როგორც დარგობრივი, ისე ინსტიტუციური განვითარების სფეროებს მოიცავს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად (FAO)-ში ტექნიკური დახმარების პროექტების სამოქმედო პრიორიტეტად აგროსასურსათო სექტორის გარდაქმნისა და მისი საბაზრო-ეკონომიკურ გარემოში ეფექტიანი ადაპტირების პროცესის ხელშეწყობა იქცა. 1995 წლიდან (FAO)-ს პროექტებით განხორციელებულია 872000 აშშ დოლარის ღირებულების 4 პროექტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათით უზრუნველყოფის სპეციალური პროგრამის (SPFS) განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ არაეფექტიანად იქნა მიჩნეული ხელისუფლების მცდელობა, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები სხვადსხვა ეგრეთწოდებული მასტიმულირებელი ღონისძიებებით, როგორიცაა: საგადასახადო შეღავათები, პირდაპირი სუბსიდიები და სხვა ხელისუფლების მიერ წინასწარ დადგენილი (მანდატირებული) მოთხოვნები უცხოელი ინვესტორის მიმართ (ადგილობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ფილიალების მიერ მინიმალური რაოდენობის პროდუქციის გატანა და ა. შ.) ხელს არ უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ვლინდება უშუალოდ ტექნოლოგიურ და სამენეჯმენტო ნოუ-ჰაუს ფაქტორებში. კაპიტალის ინვესტირება სხვა ქვეყნის ბაზარზე გულისხმობს კონკურენტუნარიანობის მაღალ დონეს მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის ტექნიკის ბაზაზე. მათ თან ახლავს ეგრეთწოდებული „გადადინების ეფექტი“, ანუ ტექნოლოგიების

გადაცემა „მასპინძელი“ ქვეყნისათვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდიან კონკურენტების რაოდენობას და ამავე დროს იცვლება თვით ამ კონკურენციის არსი – მნიშვნელოვნად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ საბაზრო ეკონომიკის მქონე ახალგაზრდა სახელმწიფოებმა პირველ რიგში უნდა გადაწყვიტონ შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. სტაბილური საფინანსო სიტუაციის შექმნა. ეს ურთულესი მაკროეკონომიკური პრობლემა გულისხმობს ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებას, ანუ საბიუჯეტო დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებას, მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ურთიერთობების გაუმჯობესებას მეწარმე სუბიექტებს შორის და გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილიზაციას.
2. ეკონომიკის ლიბერალიზაციის და რესტრუქტურიზაციის განხორციელება, რასაც უნდა მოყვეს ბაზრების, მათ შორის – შრომის ბაზრების გამჭვირვალობა. გამჭვირვალე უნდა იყოს, აგრეთვე მაკროეკონომიკური ღონისძიებები, სტატისტიკა, საბანკო სისტემა და სამეწარმეო კანონმდებლობა.
3. მოგების თავისუფალი რეპატრიაციის შესაძლებლობა. შეზღუდვა ამ სფეროში განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენენ საინვესტიციო საქმიანობით უცხოელთა დაინტერესებაზე.

ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური მიდგომების ფონზე თუ შევაფასებთ ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას, შევამჩნევთ, რომ იგი არადამაკმაყოფილებელია. საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, კორუფცია, ბიუროკრატიზმი და სხვა განაპირობებს საქართველოს დაბალ რეიტინგს საინვესტიციო და საკრედიტო საქმიანობის რისკის თვალსაზრისით. ეს დასტურდება ქვემოთ მოყვანილი მონაცემებით:

ამ ქვეყნებში მოქმედებს დაბეგვრის რთული და მკაცრი სისტემა. გადასახადების სახეობათა სიმრავლე და მაღალი დონე, საბაჟო და სალიცენზიო რეგულირების მექანიზმების ჩამოუყალიბებლობა, მოხელეთა კორუმპირებულობასთან დაკავშირებული ობიექტური მიზეზები, მონოპოლისტი საწარმოების ფარული წინააღმდეგობა და სხვა ფაქტორები აუარესებენ საინვესტიციო გარემოს.

უცხოელ ინვესტორებს უნდა შევთავაზოთ ადეკვატური სტრუქტურული პოლიტიკა და შეღავათები ხანგრძლივი პერიოდისათვის (გადასახადების, საბაჟო რეჟიმის, რეინვესტირების, მოგების რეპატრიაციის და სხვა სფეროში) გარდა ამისა, თამაშის წესები უნდა იყოს მუდმივი მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდისათვის. მათი ცვლილება უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებაზე.

მაკროეკონომიკური პრობლემები, რომლებმაც მწვავე ხასიათი მიიღეს საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე წარმოშობილ საფინანსო-სავალუტო კრიზისის ფონზე, დაღს ასვამენ ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს. კრიზისი უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო დაგროვებაზე და ქმნის დანაზოგთა დეფიციტს. სახსრები ძირითადად ხმარდება საზოგადოებისა და მეურნეობის სასიცოცხლოდ აუცილებელი მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. გრძელვადიანი ინვესტირების პრიორიტეტულობაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც მიღწეულია გარკვეული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა.

საინვესტიციო საქმიანობის დაკრედიტების და რისკის ხარისხი ქვეყნების მიხედვით

(საშუალო მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით. რისკის მაქსიმალური ხარისხი =100)

გრაფიკი №2

	10	20	30	40	50	60	70	80	90	100
- დსთ-ს ქვეყნები										
- ცენტრალური აფრიკა										
- ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა										
- ლათინური ამერიკა და კარიბის აუზის ქვეყნები										
- აღმოსავლეთ ევროპა										
- აზია წყნარი										

ოკეანის რეგ.										
- სამხრეთ ევროპა										

1990-იანი წლების შუახანებიდან უცხოური ინვესტიციების მოზიდვამ საქართველოში მზარდი მასშტაბები შეიძინა. ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებამ, ეკონომიკის ერთგვარმა სტაბილურობამ, რამაც მოამზადა ნიადაგი სამეწარმეო აქტიურობის და ეკონომიკური აღმავლობის დასაწყებად. ინვესტიციების მოდინებას ხელი შეუწყო ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებამ, რომელთაგან გამოიყოფა ბაქო-სუფსის მილსადენის მშენებლობა. აღსანიშნავია აგრეთვე, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა რაოდენობის ზრდა. თუ 1998 წლის 1 იანვრისათვის რეგისტრირებული იყო სულ 166 ათასი საწარმო, 2008 წლის ბოლოსათვის მათმა რიცხვმა 750-ათასს მიაღწია.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ინვესტიციების საერთო მოცულობაში განუხრელად იზრდება უცხოური ინვესტიციების როლი (ცხრილი 9).

ინვესტიციების დინამიკა 1995-2008წწ. (მლნ ლარი)

ცხრილი №9

წლები	1995წ.	2004წ..	2005წ.	2006წ.	2007წ.	2008წ.
ინვესტიციები სულ	128	499.1	449.8	1190.4	2014.8	1564.0
მათ შორის:	43	413.0	400	1078	1850.0	1478.0
უცხოური ინვესტიციების წილი, %	33.5	82.7	89.0	90.5	91.8	94.5

შენიშვნა : ცხრილში მოყვანილია საქართველოს სტატისტიკური წელიწდეულის 2008 წ.-ის მონაცემები

როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილი №9- დან ჩანს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა წლების მიხედვით იზრდება, კერძოდ: 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 69,2%-ით, ხოლო რაც შეეხება 2008 წელს იგი შემცირებულია და შეადგენს 37,8%-ს, რაც ძირითადად გამოწვეულია საქართველოში არსებული არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობით და მსფლიოში არსებული კრიზისით.

უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში მაღალია აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის წილი. ამერიკის შეერთებული შტატების ინვესტიციები მზარდი მასშტაბებით ხასიათდება და ძირითადად ბაქო-სუბსის ნავთობსადენის მშენებლობაშია დაბანდებული. დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიის ინვესტიციები წარიმართება ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში, ხოლო გფრ-დან შემოსული კაპიტალი ხმარდება, ძირითადად, ენერგეტიკისა და ჩაის მრეწველობის ობიექტების რეკონსტრუქციას.

ცალკეული სახელმწიფოების გარდა მნიშვნელოვანი ინვესტიციებია განხორციელებული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ. მათგან გამოიყოფა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და მსოფლიო ბანკი, რომელთა კრედიტები უპირატესად მუნიციპალური პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება.

როგორც ეროვნული მეურნეობების დარგების, ისე ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით ინვესტიციების სტრუქტურაში ძირითადია მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა. მათგან მრეწველობაში საყოველთაოდ ცნობილ გარემოებათა გამო, კაპიტალი კონცენტრირებულია ძირითადად ელექტროენერგეტიკაში. ჩვენს ქვეყანაში სურსათის წარმოების ზრდის იაპონური პროგრამის (2) ფარგლებში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაწილეობით 1998 წლის ივლისში იაპონიაში ჩატარებული ტენდერის შედეგად საქართველოში გამოიყო 380 მლნ იენის ღირებულების 25 ერთეული ფინური კომბაინი, ინგლისური ტრაქტორები და შესაბამისი შლეიფი (გუთნები, კულტივატორები, სათესები, მინერალური სასუქის გამფანტველი და სხვა). გამოყოფილი და გამოსაყოფი ტექნიკის პროგრამით გათვალისწინებული პირობების დაცვით ჩასატარებელი იყო კონკრეტული ღონისძიებები (რომლის პრაქტიკული გამოცდილებაც სამინისტროში უკვე არსებობდა). ამას მყარი საფუძველი უნდა შეექმნა ტექნიკის ეფექტიანი გამოყენებისათვის, რაც იაპონური პროექტის სიცოცხლისუნარიანობის შეფასების

ძირითადი კრიტერიუმია და იძლევა შანსს, ანალოგიური მიზნებისათვის მომავალში მიღებულ იქნეს იაპონური გრანტები.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასშტაბების ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პარამეტრების შეფასების დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მათი ძირითადი ნაწილი რეალური უკუგების დაწყების ხანგრძლივ პერიოდზეა გათვლილი. სახელდობრ, დაბანდებანი მილსადენი ტრანსპორტის ხაზით, რომელიც 1998 წელს მთელი უცხოური ინვესტიციების 64,1%-ს შეადგენს, მოკლევადიანი საინვესტიციო ეფექტიანობით არ ხასიათდება და მოგვიანებით მიაღწევენ ეკონომიკის რეკონსტრუქციაზე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე ზემოქმედების სასურველ დონეს.

როგორც ცხრილი №9-დან და გრაფიკი №3-დან ჩანს, უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2004 წელთან შედარებით 2005 წლისათვის შემცირებულია. 2006-2007 წლებში კი ზრდით ხასიათდება,ხოლო 2008 წელს შემცირებულია, კერძოდ: 2007 წელს მისი მოცულობა თუ იყო-2014,8 ათ.ლარი, 2008 წლისათვის იგი შემცრებულია და შეადგენს-1564,0 ათ. ლარს. ზემოთ აღნიშნულზე განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა, ამჟამად მსოფლიოში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და საქართველოში პოლიტიკურმა არასტაბილურმა მდგომარეობამ. წლების მიხედვით ასევე იზრდება იმპორტის მოცულობა, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის იმპორტის სახით წარმოდგენილ ინვესტიციებს, რომლებიც შემოტანილია ტექნოლოგიების, მანქანების და მოწყობილობების სახით საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ინვესტიციები არ შეიძლება მივიჩნიოთ ეკონომიკის განვითარების მუდმივ ფაქტორად. მათ უნდა დავაკისროთ მეურნეობების მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზის შეცვლისა და ახლის ჩამოყალიბების, ეკონომიკური ზრდის ერთგვარი „ამძრავის“, ბიძგის მიმცემის ფუნქცია. ეკონომიკის დაბალანსებული, დინამიური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ შიდასაინვესტიციო კვლავწარმოების ბაზაზე. საქართველოში უნდა განხორციელდეს აქტიური პოლიტიკა შიდასაინვესტიციო წყაროების ამოქმედების, სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით, ხოლო რაც შეეხება ექსპორტის მოცულობას, წლების მიხედვით მართალია იგი ზრდით ხასიათდება, მაგრამ იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა ბევრად აღემატება ექსპორტირებული პროდუქციისას, ე.ი. ექსპორტსა და იმპორტს შორის სალდო არის უარყოფითი, რაც საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად აისახება, ამიტომ სასურველია ქვეყნის ბიუჯეტის შევსება მოხდეს პირდაპირი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებით და არა არაპირდაპირი გადასახადების ხარჯზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ბიუჯეტის სტაბილურობას და მდგრადობას.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა
გრაფიკი 3



უცხოური ინვესტიციის მოზიდვისა და ეფექტიანი გამოყენების მიზნით საქართველოში გადმოღებული უნდა იქნას მრავალ ქვეყანაში (სამხრეთ კორეა, ჩინეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და ა.შ.) წარმატებით აპრობირებული სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნის გამოცდილება. როგორც ცნობილია, ამ ზონებში დაბანდებული კაპიტალი სარგებლობს საგრძნობი მხარდაჭერით და საგადასახადო შეღავათებით. აქ მთავარია მოიძებნოს ზონის თუ

ზონების სპეციფიკური, ჩვენი ქვეყნის თავისებურებების შესაბამისი ფორმა.

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარიმართება პირველ რიგში, მომსახურების სფეროში და შემდგომ, პრივატიზების პროცესის გაღრმავების კვალობაზე- მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში. ამიტომ პრივატიზირების პროცესის დაჩქარება, საკუთრების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა უნდა მივიჩნიოთ უცხოური ინვესტიციების გამოყენების მნიშვნელოვან პირობად.

კაპიტალის იმპორტის გაზრდისათვის აუცილებელია ეფექტიანი საბანკო სისტემის შექმნა და საკუთრების სააქციო ფორმების შემდგომი დახვეწა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის და კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება.

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლები

ცხრილი №10

წლები	2004	2005	2006	2007	2008
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	2492.5	3355.4	4613.9	6447.3	7555.8
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	646.9	865.5	936.2	1232.4	1497.7
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	1845.6	2490.0	3677.7	5214.9	6058.1
საგარეო ვაჭრობის ბალანსი	-1198.7	-1624.5	-2741.5	-3982.5	-4560.4
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საქართველოში	499.1	449.8	1190,4	2014.8	1564.0

შენიშვნა:

ცხრილში მოყვანილია 2009 წლის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები

თანამედროვე პირობებში წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიო ბანკისა და IFAD- ის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი, რომლის სტრატეგიული მიზანია სასოფლო-სამეურნეო და აგროგადამამუშავებელი სექტორის განვითარების ხელშეწყობა.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს"პარტნიორობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის",რადგან რუსეთის ფედერაციამ მხარი არ დაუჭირა "ეუთოს" და "გაეროს" მოღვაწეობას საქართველოში.

ქვეყნის შრომითი რესურსების ეკონომიკური მახასიათებლები

ცხრილი №11

წლები	2004	2005	2006	2007	2008
ბრუნვა, მლნ. ლარი	2649.0	4018.0	5399.1	7617.8	8974.
გამოშვებული პროდუქცია, მლნ. ლარი	305.7	484.3	741.1	1150.5	1499.7
დამატებული ღირებულება, მლნ. ლარი	221.8	353.2	466.7	468.1	–
შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი	108.6	180.1	274.4	382.4	–
ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი	197.6	251.3	312.8	456.5	–
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	51429	59316	51153	51148	51611

დასაქმებულთა ხელფასი და გასამრჯელო, ლარი	84.2	145.0	246.4	355.5	543.0

შენიშვნა:
ცხრილში მოყვანილია 2009 წლის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები

ევროკავშირი საქართველოს ეხმარება 6 სფეროში. ამ სფეროებში მას აქვს საკუთარი პოლიტიკური მიზნები. ეს სფეროები და მიზნებია:

1.ვაჭრობის ხელშეწყობა;

2.რეგიონალური ინტეგრაცია და თანამშრომლობა;

3.მაკროეკონომიკური დახმარება და უფრო მეტად ხელმისაწვდომი სოციალური სამსახურები;

4.ტრანსპორტის განვითარება;

5.სასურსათო უსაფრთხოება და რეგიონების მდგრადი განვითარება;

6.ინსტიტუციური პოტენციალი.

1992-2006 წლებში ევროკავშირმა ევროკომისიის მეშვეობით საქართველოსათვის გამოყო 502 მილიონი ევრო. ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის დახმარების გაწევა 1992 წელს დაიწყო. ეს იყო პროგრამა (ECHO) (ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების დეპარტამენტი), რასაც მოჰყვა რამდენიმე სხვადასხვა პროგრამა: TACIS-(ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისათვის). სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა (FSP), მაკრო ფინანსური დახმარება (MFA) და EIDHR-(ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში).

1999 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმება "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ' (PCA). ეს შეთანხმება უზრუნველყოფს სამართლებრივ ბაზას ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის სულ მცირე 2009 წლამდე. რის შედეგადაც იგი შემდგომში განახლდება. 2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირმა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ჩართო "ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP), რითაც დააადასტურა უფრო აქტიური ჩარევა სამხრეთი კავკასიის რეგიონის განვითარებაში.

"პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების"საშუალებით ევროკავშირმა და საქართველომ ერთმანეთს "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი"(MEN) მიანიჭეს.

უფრო მეტიც, საქართველო სარგებლობს"ევროკავშირის პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP +),რითაც დაახლოებით 8000 სახელწოდების ქართულ პროდუქციას საშუალება ეძლევა შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე მოსაკრებლებისა და კვოტის გარეშე.

1.ანგარიში ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ. თბ. 2005.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. დაახასიათეთ საინვესტიციო საქმიანობის დაკრედიტების და რისკის ხარისხი ქვეყნების მიხედვით;
2. უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოს ეკონომიკაში.

თავი XII. საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების შეფასების მაჩვენებლები.

კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკის, ასევე მისი ცალკეული რეგიონის, დარგისა და კომპანიის ეკონომიკურ განვითარებაზე საერთაშორისო ეკონომიკურ ფაქტორთა გავლენის შესაფასებლად მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენება შედარებითი მაჩვენებლები, რომლებიც ამავე დროს, მსოფლიო მეურნეობაში ეროვნულ ეკონომიკათა ინტეგრაციის ხარისხსაც (ღია ეკონომიკა, ჩაკეტილი ეკონომიკა) ასახავენ.

ეს მაჩვენებლებია:

1. საგარეო ვაჭრობის მოცულობა

X 100%

მშპ- ის მოცულობა

ერთგვაროვან ვალუტაში ასახული მონაცემების შედარება შესაძლებლობას იძლევა ეროვნულ მეურნეობაზე საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი დადგინდეს. რა საკვირველია პატარა ქვეყნებისათვის, რესურსების სიმცირისა და ბუნებრივი პირობების შეზღუდულობის გამო, ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნება, ვინაიდან მათ უფრო მეტი საქონელი შეაქვთ საზღვარგარეთიდან, ვიდრე გააქვთ უცხოეთში.

მაგ., მოსახლეობის მიხედვით საშუალო რაოდენობის ქვეყნებს, კერძოდ, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, იაპონიას, გერმანიასა და იტალიას ეს მაჩვენებლები 10-20 %-ის ფარგლებში აქვთ. ხოლო მცირე ქვეყნებს კერძოდ, ნიდერლანდს, ბელგიას, ჩეხეთსა და უნგრეთს თითქმის 40%, 2006 წლის მდგომარეობით საქართველოში იგი 34 %-ია.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საგარეო-ეკონომიკური ფაქტორის როლი თანამედროვე სამეურნეო განვითარებაში ამაღლდა – მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. ამ მაჩვენებლის სიდიდე ბოლო 3 ათეულ წელიწადში თითქმის გაორმაგდა. მსოფლიო ვაჭრობის მოცულობამ მშპ-თან შედარებით შეადგინა: 1968 წერლს – 22%, 1995 წელს – 36%, ხოლო 2005 წელს ექსპერტთა შედარებით – 45-50%.

სპეციალისტთა შეფასებით, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის შეფარდება მშპ-თან მიმართებაში დიდ ქვეყნებში 35-40%-ს მიაღწევს. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი მეხუთე-მეექვსე შეძენილი საქონელი იმპორტული იქნება. ამასთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს რომ მოცემული მაჩვენებელი მეთოდიკურად არასრულყოფილია, რადგან მასში მხოლოდ საგარეო ვაჭრობაა ასახული და ჩართული არ არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთლიანი ერთობლიობა. ამ მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების მიერ მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა, რითაც საგარეო ფაქტორის როლი კიდევ უფრო დაზუსტდება, ხოლო ამ მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად გადიდდება.

2. საგარეო ვაჭრობის მოცულობა

მოსახლეობის რაოდენობა

მოცემულმა მაჩვენებლებმა საშუალოდ მსოფლიოში 2003 წელს 2000 აშშ დოლარს გადააჭარბა, აშშ-ში შეადგინა – 8913, გერმანიაში – 14735, იაპონიაში – 6190, საფრანგეთში – 11155, დიდ ბრიტანეთში – 11286, ხოლო საქართველოში – 1061 აშშ დოლარი (2006 წლის მონაცემებით).

ამ მაჩვენებლების ღირსებაა ის, რომ მას ექსპორტისა და იმპორტის მიხედვითაც ცალკ-ცალკე ანგარიშობენ. ასევე შესაძლებელია, არა მარტო რომელიმე ქვეყნის, არამედ მისი ცალკეული რეგიონის, დარგის და პროდუქციის მიხედვით საკვლევი დონის შეფასება. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა როგორც ტერიტორიულ, ისე დარგობრივ და პროდუქციის სახეობათა ჭრილში აღრიცხული და შედარებული იქნეს საერთაშორისო ეკონომიკური კავშირები, გამოვლინდეს გამოუყენებელი რეზერვები, დაისახოს სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

ანალოგიურად ხდება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის შეფასებაც, როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონისა და დარგის მიხედვით ე.ი. შემდეგი მაჩვენებლებია:

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მოსახლკეობის რაოდენობა

2003 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საშუალოდ 185 აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, 5 უმსხვილეს ქვეყანაზე (აშშ, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) მსოფლიოს პირდაპირი ინვესტიციების თითქმის 50% მოდიოდა ანუ ამ ქვეყნებში ერთობლივად ეს მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 847 აშშ დოლარს აღწევდა მაშინ, როდესაც 2006 წლის მდგომარეობით საქართველოში მხოლოდ 261 აშს დოლარს გაუტოლდა.

ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში საგარეო და საშინაო ფაქტორების ურთიერთშერწყმით, ცალკეული დარგის, რეგიონისა და საწარმოს მასშტაბში საგარეო ვაჭრობის როლის შეფასებისათვის ექსპორტული და იმპორტული კვოტები გაიანგარიშება.

ქსპორტის მოცულობა

4. ექსპორტის კვოტა=---------- X 100-%
მთლიან შიდა პროდუქტთან

მაღალი ექსპორტული კვოტა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტ-უნარიანი სამამულო საქონლის გაჯერებულობას ნიშნავს. მით უმეტეს, თუ იგი ტექნოლოგიურად რთულ პროდუქციას ეხება. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტული კვოტა მანქანათმშენებლობის,, ელექტროტექნიკური, რადიოელექტრონული, საავტომობილო, საავიაციო-კოსმოსურ და მრეწველობის სხვა დარგებში საშუალოდ 25-40%-ს აღწევს.

საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობის ხარისხსა და სამამულო ბაზრის გაჯერებულობას ახასიათებს იმპორტული კვოტაც, რომელიც შეიძლება მთლიანად ეროვნულ ეკონომიკურ დონეზე, ასევე ცალკეული რეგიონის დარგისა და სასაქონლო ჯგუფის მიხედვით დადგინდეს.

5.

$$\text{იმპორტული კვოტა} = \frac{\text{იმპორტის მოცულობა}}{\text{მშპ- ის მოცულობა} + \text{იმპორტის მოცულობა}} \times 100\%$$

საგარეო ვაჭრობის კვოტების ანალოგიურად გაიანგარიშება ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოდინებისა და საზღვარგარეთ ეროვნული ინვესტიციების უკუდენის კვოტებიც. აღნიშნული საშუალებას იძლევა შეფასდეს მათი როლი და მნიშვნელობა ეროვნულ კაპიტალურ დაბანდებებთან.

6.

$$\text{ინვესტიციების კვოტა} = \frac{\text{ინვესტიციების მოცულობა}}{\text{ეროვნული კაპდაბანდების მოცულობა}} \times 100\%$$

ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ზემოქმედების მახასიათებლად გამოყენებულია იმპორტის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან საქონელბრუნვაში, რომელიც გაიანგარიშება შეფარდებით:

7.

$$\frac{\text{იმპორტის მოცულობა}}{\text{საქონელბრუნვის მოცულობა}} \times 100\%$$

აღნიშნული მაჩვენებლის გათვალისწინებას დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ქვეყნის ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებას ასახავს. ამ მაჩვენებლის მაღალი დონე სამამულო წარმოების ჩამორჩენილობას მიგვანიშნებს, რაც პერსპექტივაში შესაძლოა სავალალო გახდეს ამ მხრივ საქართველოში ვითარება ძალზე არასახარბიელოა, კერძოდ იმპორტის მოცულობა შიდა საცალო საქონელბრუნვასთან მიმართებაში 153%-ია. ანუ იმპორტი ადგილობრივი საქონლით ვაჭრობას 15-ჯერ აღემატება. ყოველივე სამამულო წარმოების მკვეთრ შემცირებაში, ეროვნულ ბაზარზე დაბალხარისხიანი იმპორტული საქონლის მოზიდვაში აისახება.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. რა მაჩვენებლებით განისაზღვრება მსოფლიო მეურნეობაში ეროვნული ეკონომიკის ხარისხი;
2. როგორ განისაზღვრება კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დონე;
3. როგორ განისაზღვრება ექსპორტის კვოტა;
4. როგორ განისაზღვრება საერთაშორისო გაცვლაში ბაზრის გაჯერებულობა;
5. დაახასიათეთ რა ფორმით ხორციელდება კაპიტალის გატანა უცხოეთში.

თავი XIII. საგარეო ეკონომიკური კავშირების ეფექტიანობის განსაზღვრა.

საგარეო ეკონომიკური კავშირების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას ეკონომიკის მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების ყველა დონეზე საერთაშორისო ხელშეკრულებების და კონტრაქტების დადების შესახებ პროდუქციის მიწოდებაზე, უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება.

საგარეო ეკონომიკური კავშირების ეფექტიანობა ხასიათდება მაჩვენებლების სისტემით. ქვეყნის მასშტაბით იგი განისაზღვრება, როგორც ექსპორტისა და იმპორტის დამოკიდებულება მშპ - თან. ამას გარდა საგარეო ეკონომიკური კავშირების ეფექტურობა ფასდება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური სალდოს სიდიდით და ხასიათდება ექსპორტის სტრუქტურით, რაც მეტი ნედლეული და ნახევარ-ფაბრიკატები შედის ექსპორტში, მით მაღალია ქვეყნის მონაწილეობის ხარისხი შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ეფექტი საგარეო ვაჭრობიდან განისაზღვრება, როგორც სხვაობა იმპორტული პროდუქციის ღირებულებისა ეროვნულ ვალუტაში და საექსპორტო საქონლის წარმოებაზე და რეალიზაციაზე დანახარჯებისა.

საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობა გამოითვლება დანახარჯების შეფარდების გზით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საქონლის იმპორტთან, დანახარჯებთან პროდუქციის ექსპორტზე.

საბიუჯეტო ეფექტიანობა გამოითვლება საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ღირებულების შეფარდებით გარე სავაჭრო და შიდა ფასებთან.

საექსპორტო პროდუქციის მწარმოებლების ეფექტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$P_e = B_e - D_e$$

სადაც, B_e - პროდუქციის ექსპორტიდან სავალუტო ამონაგებია; ხოლო, D_e - დანახარჯებია საექსპორტო პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე.

პროდუქციის ექსპორტის ეფექტიანობა E_e განისაზღვრება სავალუტო ამონაგების შეფარდებით ექსპორტზე დანახარჯებთან:

$$E_e = B_e / D_e$$

თუ ეფექტის მაჩვენებელი აღმოჩნდება დადებითი სიდიდე, ხოლო

$D_e > 1$, მაშინ პროდუქციის ექსპორტი ეკონომიკურად მომგებიანია.

თუ გამიზნულია სპეციალური მანქანებისა და მოწყობილობების იმპორტი, რომელთა წარმოება ქვეყანაში ათვისებული არ არის, ასეთი მოწყობილობების იმპორტის ეკონომიკური ეფექტი განისაზღვრება ამ მოწყობილობების დახმარებით წარმოებული პროდუქციიდან ამონაგებით, საწარმოო დანახარჯების გამოკლებით.

ექსპორტის ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია შიდა სამეურნეო მექანიზმისა და სეკ-ის მექანიზმის ურთიერთქმედება. აქცენტი უნდა გაკეთდეს საექსპორტო პოტენციალის განვითარებაზე, საქონლის დამზადებაზე, რომელთა საწარმოო დანახარჯები უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში; პროდუქციის კონკურენტუნარია-ნობის ამაღლებაზე.

ექსპორტის და იმპორტის ეფექტიანობის გაანგარიშების საფუძველზე კეთდება დასკვნა ამა თუ იმ ქვეყანაში პროდუქციის მიწოდების ან იმპორტის მიზანშეწონილობის შესახებ.

ექსპორტზე პროდუქციის მიწოდების საგეგმო მოცულობის განსაზღვრისას ითვალისწინებენ საგარეო ბაზრების კონიუნქტურას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობას და მასზე მოთხოვნას, დარგების საექსპორტო შესაძლებლობებს, ვალდებულებების გათვალისწინებას ხელშეკრულებაში, შიდა ბაზრის გაჯერებას.

საქონლის იმპორტის საგეგმო მოცულობა განისაზღვრება ასევე ეფექტიანობის გათვალისწინებით და იმპორტირებული წარმოების განვითარების შესაძლებლობებით.

საქონლის ექსპორტისა და იმპორტის გეგმა შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: ექსპორტი (იმპორტი) გეგმას ქვეყნების მიხედვით; ექსპორტზე საქონლის მიწოდების გეგმას; ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის საქონლის მიწოდების გეგმას, რომელიც შემოსულია იმპორტზე; სახელშეკრულებო ვალდებულებების მიხედვით ექსპორტზე და იმპორტზე მიწოდებების გეგმას. საწარმოებისათვის დგინდება სახელმწიფო შეკვეთა პროდუქციის ექსპორტზე მისაწოდებლად.

სეკ-ის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობა, ამიტომ განვიხილოთ მის რეგულირებაზე მიმართული ღონისძიებები საზღვარგარეთის ქვეყნებში.

თანამედროვე მსოფლიოში საგარეო ვაჭრობის რეგულირების ღონისძიებები ჩვეულებრივ იყოფიან შემდეგ სახეებად:

სატარიფო ღონისძიებები. იმპორტზე გადასახადის განაკვეთი წარმოადგენს სეკ-ის საბაჟო-სატარიფო რეგულირების ცენტრალურ ინსტრუმენტს. განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტზე საბაჟო გადასახადი ძირითადად არ გამოიყენება, ხოლო აშშ-ში კი აკრძალულია კანონმდებლობით;

პარატარიფული ღონისძიებები. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან სხვა გადასახდელები, რომლებიც ამოიღებიან უცხოური საქონლის შემოტანისას, სხვადასხვა საბაჟო მოსაკრებლები, შიდა გადასახადები, სპეციალური მიზნობრივი მოსაკრებლები. ეს ღონისძიებები ოფიციალურად არ ისახავენ მიზნად საგარეო ვაჭრობის რეგულირებას, მაგრამ ახდენენ მასზე მნიშვნელოვან გავლენას;

ფასებზე კონტროლის ღონისძიებები. მთავარი მიზანი ეროვნული მწარმოებლების ინტერესების დაცვა. ღონისძიებების სისტემა შეიცავს ანტიდემპინგურ პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს, საექსპორტო საქონელზე ფასების დაწევასთან ბრძოლას, საკომპენსაციო ღონისძიებებს, მაგალითად საექსპორტო სუბსიდიების წინააღმდეგ. ამის გარდა, ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის დაცვისათვის (პირველ რიგში აგრარულის), შესაძლოა გამოყენებულ იქნას მცურავი საიმპორტო მოსაკრებლები, იმისათვის, რომ დაიყვანონ საქონლის შიდა ფასი განსაზღვრულ დონემდე;

ფინანსური ღონისძიებები – შესაძლებელია სავალუტო ოპერაციების განხორციელებისათვის შემოტანილ იქნას განსაკუთრებული წესები;

ქვოტირება – საქონლის შემოტანასა და გატანაზე რაოდენობრივი შეზღუდვის დაწესება;

ლიცენზირება – განსაზღვრული საქონლის შემოტანისათვის (გატანისათვის) მოითხოვება დადგენილი სახის დოკუმენტი (ლიცენზია), ამრიგად ხორციელდება დაკვირვება (მონიტორინგი) ამ საქონლით ვაჭრობაზე;

ტექნიკური ბაზები – მოიცავენ იმპორტის კონტროლს მის ეროვნულ სტანდარტებთან, უსაფრთხოების ნორმებთან და ხარისხთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

საგარეო ვაჭრობაში ქვოტირება და ლიცენზირება ისახავენ ორ მიზანს: ბაზარზე აღნიშნულ საქონელზე ფასები უფრო დაბალია, ვიდრე მსოფლიო ბაზარზე. ვინაიდან თუ ამ შემთხვევაში არ იქნება შეზღუდული ექსპორტი, ეს გამოიწვევს საქონლის უკმარისობას შიდა ბაზარზე. ქვოტირებული საქონლის გატანის უფლება უნდა იქნას დამოწმებული საექსპორტო ლიცენზიით. ლიცენზირებული საქონლის ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს კანონში „ლიცენზირების შესაახებ“.

ლიცენზია – ეს არის მასში აღნიშნული საქონლის შემოტანაზე ან გატანაზე უფლება დადგენილ დროში. ექსპორტზე განკუთვნილი საქონლის გადატვირთვა ხორციელდება საექსპორტო ლიცენზიის გაფორმების შემდეგ. ლიცენზია ფორმდება საქონლის ყოველ სახეობაზე ცალკ-ცალკე, ე. ი. თუ ხელშეკრულებაში შეტანილია რამოდენიმე სახის სალიცენზიო საქონელი, მაშინ ყოველ მათგანზე აუცილებებლია ცალკ-ცალკე ლიცენზიის აღება.

განვიხილოთ სეკ-ის სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები ცალკეულ ქვეყნებში.

აშშ-ში არ არის სახელმწიფო მონოპოლია საგარეო ვაჭრობაზე. ამასთან სახელმწიფო კანონების დახმარებით არეგულირებს სავაჭრო – ეკონომიკური საქმიანობის სხვადსხვა ასპექტებს. აშშ-ის კონსტიტუციით საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობა განეკუთვნება აშშ-ის კონგრესის პრეროგატივას. მისი თანხმობის გარეშე ვერც ერთი შტატი ვერ შემოიტანს გადასახადს ვერც იმპორტზე და ვერც დადებს ვერანაირ ხელშეკრულებას საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

აშშ-ებს შეუძლიათ: შექმნან დამატებითი სტიმულები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ადგილობრივი გადასახადების შემცირების ან სრულიად გაუქმების გზით; მონაწილეობა მიიღონ საგარეო ვაჭრობის რეჟიმის ზონების შემუშავებასა და შექმნაში, რომლებიც იქნებიან მათ ტერიტორიაზე; ხელი შეუწყონ მათი ტერიტორიიდან ექსპორტის ფინანსირებას.

აშშ-ში ექსპორტის რეგულირება მოიცავს:

- ღონისძიებების შემუშავებასა და რეალიზაციას, რომლებიც უზრუნველყოფენ სამამულო საქონელზე მოთხოვნილებას და მათ თავისუფალ მიწოდებას უცხოურ ბაზრებზე;
- ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული არიან გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე (გადასახადების შემცირება, დაგროვება და ინვესტიციებისათვის სტიმულირების

განვითარება; ფირმებისათვის დაჩქარებული ამორტიზაციის უფლების მინიჭება და სხვა);
- სუბსიდიები, მეცნიერული კვლევებისა და საცდელ – საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსება;

კანადაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის სფეროში სახელმწიფო რეგულირების როლი, რომლის წილი მთლიან ექსპორტში შეადგენს 10%-ს, ძალიან მნიშვნელოვანია.

კანადის კომპანიების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საგარეო საქმეთა და საგარეო ვაჭრობის სამინისტრო. იგი ხელს უწყობს ექსპორტის რეალიზაციას, კანადური საქონლის მოძრაობასა და კანადის ეკონომიკური და კომერციული ინტერესების დაცვას საერთაშორისო ბაზარზე თავისი წარმომადგენლობების სისტემით, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ მსოფლიოს 67 ქვეყანაში.

სამინისტრო ახორციელებს სეუ-ების მიმართულების შერჩევას, მის სტრატეგიულ დაგეგმვას, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში საქმიანობის ორგანიზაციასა და კოორდინაციას.

გერმანიაში საგარეო ეკონომიკური ოპერაციების რეგულირების საშუალებას წარმოადგენს მათ განხორციელებაზე უფლების გაცემა. საგარეო ვაჭრობის ძირითად მიმართულებებზე განსაკუთრებული კომპეტენცია მიკუთვნებული აქვთ ფედერალურ უწყებებს: კაპიტალისა და გადასახადების, უცხოური ძვირფასი მასალებისა და ოქროს სფეროებში – ფედერალურ ფინანსთა სამინისტროს; საქონლისა და მომსახურების სფეროში, რომლებსაც აქვთ მნიშვნელობა გერმანიის საგარეო და შიდა უშიშროებისათვის – ექსპორტის ფედერალურ უწყებებს; ხოლო ტრანსპორტის სფეროში მომსახურებას არეგულირებს ფედერალური ტრანსპორტის სამინისტრო.

აზია – წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში (იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაივანი) სოციალ – ეკონომიკური მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ტექნოლოგიური განვითარება, რომელიც ორიენტირებულია მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის დახვეწაზე. ამ ქვეყნების მთავრობები სტიმულირებას უკეთებენ კვლევებსა და ტექნიკურ დამუშავებებს საგადასახადო შეღავათებისა და დაჩქარებული ამორტიზაციის საშუალებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ იმ ფირმების მხარდაჭერას, რომლებიც აღწევენ წარმატებებს საზღვარგარეთის ბაზრებზე.

საგადასახადო შეღავათები იმ ფირმებისათვის, რომლებიც უშვებენ ახალ პროდუქციას და აწვდიან მას ექსპორტზე, მაგალითად იაპონიაში შეიძლება მიაღწიოს 50%-ს, შეიძლება გამოყენებული იქნეს ასევე დამატებითი შეღავათები, სუბსიდიები და შეღავათიანი კრედიტები. პატარა და საშუალო ბიზნესის წარმოებისათვის საგადასახადო კომპლექსში გაკეთებულია სპეციალური მინიშნება, რომელიც საშუალებას აძლევს მათ გამოიყენონ იმ შემოსავლების 20%-იანი შემცირება, რომლებიც ექვემდებარებიან დაბეგვრას. ყურადღებას ითხოვს ტაივანის ექსპორტზე ორიენტირებული მწარმოებლების საგადასახადო შეღავათები: პროდუქციის ქვეყნის შიგნით რეალიზაციისას ხდება ყველა 12 გადასახადის ამოღება მათგან, ხოლო ექსპორტის დროს – მხოლოდ ერთის – მოგების გადასახადის 10% განაკვეთით. ამ პოლიტიკამ საშუალება მისცა აღნიშნული რეგიონის ქვეყნებს მოახდინონ ფართო ექსპანსია საერთაშორისო ბაზრებზე.

კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

1. დაახასიათეთ საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდიკა;
2. დაახასიათეთ საგარეო ვაჭრობის რეგულირების სახეები

ამოცანები პრაქტიკული მეცადინეობისათვის

ამოცანა №1

იპოვეთ ის პირველი მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება საგარეო ეკონომიკური ფაქტორების გავლენის შეფასებისათვის, რომელიც მსოფლიო მეურნეობაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის ხარისხს ასახავს:

პასუხი: საგარეო ვაჭრობის მოცულობა

X 100%;

მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა

2001წელი 2780.0 ——— X100=41.6
6674.0

2004წელი 3886.0 X100=38.9
9970,0

ამოცანა№2

რომელია ის მაჩვენებელი, რომელიც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის დონეს განსაზღვრავს, როგორც ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონისა და დარგის მიხედვით :

პასუხი: უცხოური ინვესტიციების მოცულობა
---------- ;

მოსახლეობის რაოდენობა

2000წელი 1578.4 ---------- = 0.34
4672.2

2004წელი 2697.6 =0.59
4543.0

ამოცანა №3

რომელი ფორმულით განისაზღვრება ექსპორტის კვოტა?

პასუხი: ექსპორტის მოცულობა
ექს.კ. X 100%
მთლ. შიდა პროდუქტის მოცულობა

2000წელი ექ.კვ. = 322563
----------X100=4.8
6674.0

2004წელი ექ.კვ. = 648370
9970.0 X100=6.5

ამოცანა №4

საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობის ხარისხსა და სამამულო ბაზრის გაჯერებულობას, რომელი მაჩვენებელი ახასიათებს?

პასუხი: იმპორტის კვოტა
იმპორტის მოცულობა
იმპ. კვ. =——————————————————————— X 100%.

მთლ.შიდა პროდ.მოც. + იმპ.მოც.

2000წელი
იმპ.კვ. 709127
= ---------- X 100% =99.0
6674+709127

2004წელი იმპ.კვ. =1847702
----------X 100=99.4
9970+1847702

ამოცანა№5

იპოვეთ ის მაჩვენებელი, როგორიცაა იმპორტის მოცულობა ქვეყნის მთლიან შიდა საქონელბრუნვასთან, განსაკუთრებით სამომხმარებლო საქონლის მოცულობასთან შედარებით:

პასუხი: იმპორტის მოცულობა
---------- X 100%.
საქონელბრუნვის მოცულობა

2000წელი 709127
---------- X 100 %=31.5
2205000

2004წელი 1847702
X 100 %=74.0
2496072

ამოცანა №6

რა მაჩვენებლებია საჭირო იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ ადამიანური განვითარების ინდექსი?

პასუხი: მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლების დონე. (განათლების დონე იანგარიშება 10 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის 1000 სულზე. აქვს არასრული ან სრული უმაღლესი და საშუალო განათლება სულ საანგარიშო წელს.).

მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები

ერთობლივი ეროვნული პროდ.		მსყიდველ უნარიანობის პარიტეტი	ადამიანური განვითარების ინდექსი
ქვეყანა		ქვეყანა	ქვეყანა
1 2 3 4 5			

ამოცანა №7

რა მაჩვენებლებია იმისათვის საჭირო, რომ დავადგინოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა და სალდო?

პასუხი: ექსპორტი+იმპორტი=ბრუნვა
ექსპორტს-იმპორტი=სალდოს

2000წელი

ექსპორტი 322563+709127=1031690
322563-709127=-386564

2004წელი 648370+=1847702=2496072
648370-1847702=-1199332

ამოცანა №8

რა მაჩვენებლებია საჭირო იმისათვის, რომ დავადგინოთ კომპანიის ეფექტიანობა?

პასუხი: კომპანნის მოგება პროდუქციის გაყიდვის მოცულობისა და მის წარმოებაზე გაწეული ხარჯების სხვაობის ტოლია. მიღებულ შედეგს თუ გამოვაკლებთ ისეთ აუცილებელ ხარჯებს, როგორიცაა სესხებისა და ვალების დაფარვა, საპენსიო ფონდში ანარიცხები, სახელმწიფო სოცდაზღვევის ანარიცხები,=== ძირითადი საშუალებების აუცილებელი შეცვლა, დივიდენდების გაცემა და სხვა მივიღებთ წმინდა მოგებას, რომელიც ისევ წარმოების გასაფართოებლად გამოიყენება.

აბსოლიტური მოგების სიდიდის მიხედვით გაიანგარიშება გაყიდვების რენტაბელობა, რენტაბელობის საშუალო ნორმა და სხვა. კომპანიების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გაყიდვების მოცულობა. იგი კომპანიების საქმიანობის მასშტაბებსა და მისი ზრდის ან (შემცირების) ტემპებს ასახავს. ამ მაჩვენებლის საფუძველზე გაიანგარიშება ეფექტიანობის შემდეგი შეფარდებითი მაჩვენებლები:

1)გაყდვების მოცულობა შეფარდება ძირითად კაპიტალთან:

$$\frac{252420}{335200} = 0.75$$

2)გაყიდვების მოცულობის შეფარდება საბრუნავ კაპიტალთან;

$$\frac{252420}{225200} = 1{,}12$$

3)წარმოების ხარჯების ხვედრითი წილი გაყიდვების მოცულობაში:

$$\frac{235325}{252420} = 0{,}93$$

4)გაყიდვების მოცულობის შეფარდება მომუშავეთა რაოდენობასთან;

$$\frac{252420}{4854} = 52$$

კომპანიების საქმიანობის მახასიათებელი მაჩვენებლები დინამიკაში უნდა შედარდეს. მაგ;. მოგება შეიძლება წლების განმავლობაში იზრდებოდეს ან მცირდებოდეს, შეიძლება წამგებიანი (ზარალიანი) წლებიც იყოს. გაყიდვების მოცულობის გადიდება ან შემცირება არ შეიძლება ცალმხრივად იქნეს გაგებული, როგორც კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება ან შემცირება. ყოველ ცალკეულ შემთხვევეში გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა აუცილებელია.

კომპანიების საქმიანობის ეფექტიანობის შეფარდებითი მაჩვენებლებია:

გაყიდვების რენტაბელობა, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება (ათ. ლარი)}}{\text{გაყიდვების მოცულობა (აშშ დოლარი)}} \times 100\%$$

$$\text{რენტაბელობა} = \frac{125000}{252420} \times 100 = 49.5\%$$

მრიცხველში მოცემული მოგება შეიძლება იყოს მთლიანი ან წმინდა. ვთქვათ, შეფარდება უდრის 10%–ს ეს ნიშნავს, რომ ყოველი ერთი ლარის ღირებულების პროდუქცია 0.1ლარს ანუ 10თეთრს იძლევა.

გაყიდვების რენტაბელობის მაჩვენებელი მრავალი გზით შეიცვლება. სახელდობრ:

1)გადიდება მიიღწევა: ა)წარმოების ხარჯების უცვლელობის პირობებში პროდუქციის სარეალიზაციო ფასის გადიდებით;
ბ)სარეალიზაციო ფასის უცვლელობის პირობებში წარმოების ხარჯების შემცირებით;

2)შემცირების მიზეზებია: ა)წარმოების ხარჯების შეუცვლელად სარეალიზაციო ფასის შემცირება; ბ)სარეალიზაციო ფასის შეუცვლელად წარმოების ხარჯების გადიდება.

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება(წმინდა)}}{\text{აქტივების ღირებულებასთან}} \times 100\%;$$

$$\text{რენტაბელობა} = \frac{125000}{275225} \times 100\% = 45{,}4$$

ეს მაჩვენებელი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს.

ძირითადი კაპიტალის რენტაბელობა განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება(წმინდა)}}{\text{ძირითადი კაპიტალი (ამორტიზაციის გამოკლებით)}} \times 100\%$$

$$\text{რენტაბელობა} = \frac{125000}{325200 - 10000} \times 100 = 39{,}6$$

რაც უფრო მეტია ამ მაჩვენებლების სიდიდე, მით უფრო ეფექტურადაა გამოყენებული კომპანიის ძირითადი საშუალებები. თუ ძირითადი კაპიტალის რენტაბელობის გადიდების პირობებში მთლიანად კომპანიის აქტივების რენტაბელობა მცირდება, ეს ნიშნავს, რომ საბრუნავი აქტივები იზრდება, კომპანიას მზა პროდუქციის დიდი მარაგი აქვს, დებიტორული დავალიანებები დიდდება და ა .შ.

საბრუნავი კაპიტალის რენტაბელობა გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{რენტაბელობა} = \frac{\text{მოგება(წმინდა)}}{\text{საბრუნავი კაპიტალი (საბალანსო ღირებულება)}} \times 100\%;$$

$$\text{რენტაბელობა} = \frac{125000}{235000} \times 100 = 53.2$$

რენტაბელობის საშუალო ნორმა გამოითვლება ფორმულით:

$$\text{რენტაბელობა} = \frac{(მ_1 + მ_2 + მ_3 + ...)\ N}{} \times 100\%;$$

$(ა_1+ა_2+ა_3+.....)$ N

სადაც: $მ_1,მ_2,მ_3$ და ა.შ. არის განსახილველი პერიოდის ყოველი წლის წმინდა მოგება;

$ა_1,ა_2,ა_3$ და ა.შ.–ამავე თანმიმდევრობით აქტივების საბალანსო ღირებულება;

N ––მოცემულ პერიოდში წელთა რაოდენობა;

$$\text{რენტაბელობა} = \frac{2255+2200+2100+2252+2400 \ X \ 5}{275225+260225+285100+235120+270200 \ X \ 5} X100$$

$$= \frac{11207X \ 5}{1325870X \ 5} X \ 100 = \frac{56035}{6629350} X100 = 0.84$$

გაყიდვების(რეალიზებული პროდუქციის) მოცულობის შეფარდება მატერიალურ-სასაქონლო მარაგებთან, ანუ მატერიალურ-სასაქონლო მარაგების ბრუნვადობის კოეფიციენტი წლის განმავლობაში ამ მარაგების ბრუნვის რაოდენობას გვიჩვენებს. მისი შემცირება მზა პროდუქციის რეალიზაციის შემცირებასა და ჭარბ დასაქონლებას ნიშნავს.

რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაში წარმოების ხარჯების ხვედრითი წილი, ასევე კომპანიის საქმიანობის მაჩვენებელია. ბუნებრივია, ყოველი ფირმა მის შემცირებას ცდილობს, ამ შემთხვევაში წარმოების რენტაბელობა იზრდება და კომპანიის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მაღლდება.

გაყიდვების(რეალიზებული პროდუქციის) მოცულობის შეფარდება მომუშავეთა რაოდენობასთან–სამუშაო ძალის გამოყენებას, მათ გამომუშავებას ანუ შრომის ნაყოფიერებას ახასიათებს, რომელიც თავის მხრივ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, ასევე ავტომატიზაციის დონეს ასახავს.

კონკურენტუნარიანობის შფასების მაჩვენებლები:

კომპანიის კონკურენტუნარიანობა არის მისი შესაძლებლობა მომხმარებელს დროულად და შედარებით მისაღებ პირობებში (ფასი, მიწოდების საბაზრო პირობები, ტექნიკური მომსახურეობის ორგანიზაცია და ა.შ.) შესთავაზოს საჭირო რაოდენობის კონკურენტული საქონელი.

საქონლის კონკურენტუნარიანობა-არის მისი უნარი უზრუნველყოს კომერციული წარმატება დროის მოცემულ მომენტში, გაუძლოს ანალოგიური საქონლის საბაზრო კონკურენციას.

მოგების მაჩვენებლის გარდა კონკურენტუნარიანობის მახასიათებლებია:

– გაყიდვების (რეალიზებული პროდუქციის) მოცულობა თუ გაყიდუ-ლი პროდუქციის ღირებულება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი ფიზიკური მოცულობა, მაშინ მასზე მოთხოვნა დიდდება და პირიქით. რასაკვირველია, აუცილებლივ გათვალისწინებული იქნას ინფლაცია.

– მოგების შეფარდება გაყიდვების(რეალიზებული პროდუქციის) მოცულობასთან. ამ მაჩვენებლის გადიდების შემთხვევაში პროდუქ-ციის კონკურენტუნარიანობა იზრდება;

– გაყიდვების (რელიზებული პროდუქციის) მოცულობის შეფარდება მატერიალურ-სასაქონლო მარაგებთან. თუ აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე მცირდება, მაშინ მარაგების ბრუნვადობა ნელდება, რაც მზა პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირებას ან ნედლეულის მარაგების გადიდებას ნიშნავს;

– გაყდვების (რეალიზებული პროდუქციის) მოცულობის შეფარდება დებიტორულ დავალიანებასთან იმ კომერციული კრედიტის (განვა-დების) მოცულობას გვიჩვენებს, რომელსაც ფირმა თავის მომხმა-რებელს სთავაზობს. საქონელზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, განვადებით საქონლის გაყიდვა მცირდება და პირიქით.

– საწარმოო სიძლავრეების დატვირთვა. მზა პროდუქციის გაყიდვის სიძნელეების წარმოშობასთან ერთად ფირმის ხელმძღვანელობა საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის შემცირების გადაწყვეტილებას იღებს;

ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები:

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მისი გადახდისუნარია-ნობითა და კრედიტუნარიანობით განისაზღვრება.

გადახდისუნარიანობა-არის გარე წყაროების გარეშე ფირმის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომლის მეშვეობითაც იგი წინასწარ შეთანხმებულ ვადაში საფინანსო ვალდებულებებს ფარავს;

კრედიტუნარიანობა-არის ფირმის შესაძლებლობა მომხმარებელს კრედიტით მომსახურება გაუწიოს.

ფირმის საფინანსო საქმიანობას შემდეგი მაჩვენებლები ახასიათებს:
– საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა, რომელიც სააქციო კაპიტალის, საემისიო შემოსავლისა და კაპიტალიზებული მოგების პროცენტული თანაფარდობაა;
– საკუთარი კაპიტალის შეფარდება რეალურ ძირითად კაპიტალთან. იგი ფირმის ძირითადი კაპიტალის მოცულობაში შიდა წყაროების მეშვეობით დაბანდებული კაპიტალის ხვედრით წილს გვიჩვენებს. თუ მაჩვენებლის სიდიდე ერთეულზე ნაკლებია, მაშინ ძირითადი კაპიტალის ნაწილი ნასესხები კაპიტალით ფინანსდება, რაც ფირმის ხარჯებს ადიდებს და შესაბამისად მოგებას ამცირებს;
– საანგარიშო პერიოდში საკუთარი საშუალებებით განხორციელებული ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლები, ესაა მიმდინარე ოპერაციების თვითდაფინანსებით შემოსავლების აბსოლიტური მაჩვენებლები წმინდა მოგებისა და ამორტიზაციის ანარიცხების სახით;
– მიმდინარე კაპიტალდაბანდებების თვითდაფინანსების კოეფიციენტი. იგი საანგარიშო პერიოდში ძირითად კაპიტალში ფირმის ოპერაციებიდან მიღებული საშუალებების დაბანდების ხარისხს გვიჩვენებს;
– დაფარვის კოეფიციენტი-ანუ საბრუნავი აქტივების შეფარდება მოკლევადიან კრედიტთან ფირმის კრედიტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, პრაქტიკაშია მიღებული, რომ ეს მაჩვენებელი ერთეულზე ნაკლები არ უნდა იყოს;
– საბრუნავი აქტივების ლიკვიდურობის კოეფიციენტი. ესაა საბრუნავ აქტივებში სწრაფსარეალიზაციო ქაღალდებისა და ნაღდი ფულის ხვედრითი წილი, რაც მეტია მათი სიდიდე, მით მეტია ლიკვიდურობის კოეფიციენტი და ფირმის გადახდისუნარიანობა;
– საბრუნავი აქტივების შეფარდება მთლიან ნასესხებ კაპიტალთან. ფირმის გადახდისუნარიანობა მაღალია, თუ მისი დავალიანება ლიკვიდური საშუალებებით ანუ საბრუნავი აქტივებით იფარება;

კომერციული საქმიანობის ორგანიზაცია

საგარეო კომერციული ურთიერთობა მოიცავს ცალკეულ ეტაპებსა და სტადიებს. ამ პროცესში სრულდება კონკრეტული ამოცანები და სათანადო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული აუცილებელი ფორმალობები.

კონტრაქტი არის ხელშეკრულება, შეთანხმება ორ ან მეტ პირს შორის, რომელიც ითვალისწინებს უფლებათა და მოვალეობათა დადგენას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ექსპორტ-იმპორტრის განხორციელების პროცედურა გულისხმობს:
– ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის მომზადება;
– ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის გაფორმებას;
– ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტის პირობების შესრულებას;

საქმიანობის საწყის ეტაპზე კონტრაჰენტის უმთავრეს ამოცანად ითვლება მისთვის სასურველი პარტნიორის მოძიება და შერჩევა\, რომელიც ძალზე რთული და მნიშვნელოვანი საკითხია. იგი დამოკიდებულია ისეთ ცვლადებზე(ფაქტორებზე), როგორიცაა: გარიგების საგანი და ხასიათი; იმ ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნები და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობები, სადაც ფორმდება და სრულდება კონტრაქტები; ბაზრის ტევადობა, კონიუქტურა და პერსპექტივები; პროდუქციის წარმოების, მომარაგებისა და რეალიზაციის სტრატეგიისა და ტაქტიკის განხორციელების პირობები და მრავალი სხვა.

სასურველი კონტრაჰენტის შერჩევის შემდეგ ექსპორტიორი ან იმპორტიორი კონტრაქტის გასაფორმებლად მეორე მხარესთან კონტრაქტს ამყარებს. ამ მიზნით საქონლის ექსპორტიორი (გამყიდველი) პოტენციურ მყიდველს(იმპორტიორს) პრაქტიკაში გავრცელებული მრავალი ხერხიდან უმთავრესად წინადადებას (საერთაშორისო ტერმინოლოგიით ”ოფერტი”) ატყობინებს, ხოლო მყიდველი გამყიდველს შეკვეთას უგზავნის.

საგარეო-ეკონომიკური კავშირების დროს გამოყენებული ოფერტი გულისხმობს წერილობით წინადადებას და მოსალოდნელი გარიგების ყველა ძირითად პირობას(საქონლის დასახელება, რაოდენობა, ხარისხი, ფასი, მიწოდების და გადახდის პირობები, მიწოდების ვადა, მიღება-ჩაბარების წესი და სხვა.) მოიცავს.

ოფერტი-(ლათ.OFERTUS- წინადადების შეთავაზება) არის ოფიციალური განაცხადი საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ.

ტ ე ს ტ ე ბ ი

საბანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის "საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები"

1. როდესაც ორი (მდიდარი და ღარიბი) ქვეყანა შეფარდებითი უპირატესობის საფუძველზე ზრდიან საკუთარი მეწარმეობების სპეციალიზაციის დონეს და იწყებენ ერთმანეთთან ვაჭრობას, მაშინ:

ა. მხოლოდ მდიდარ ქვეყანას ექნება საშუალება გაზარდოს საკუთარი მოხმარება ვიდრე ეს იყო ვაჭრობის დაწყებამდე;
ბ. მხოლოდ ღარიბ ქვეყანას ექნება საშუალება გაზარდოს საკუთარი მოხმარება ვიდრე ეს იყო ვაჭრობის დაწყებამდე;
გ. ღარიბ ქვეყანაში დაიწყება ფასების ზრდა, ვინაიდან იგი აწარმოებს უფრო ნაკლებს, ვიდრე ეს იყო ვაჭრობამდე;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

2. საერთაშორისო ეკონომიკური სტატისტიკა ინტენსიურად გამოიყენებს ისეთ მაჩვენებელს, როგორიცაა ვაჭრობის პირობები. როგორ გამოითვლება იგი:

ა. ესაა მოცემული ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის ფასების საშუალო არითმეტიკულის შეფარდება ამავე ქვეყნის საიმპორტო პროდუქციის ფასების საშუალო არითმეტიკულთან;
ბ. ესაა მოცემული ქვეყნის საიმპორტო პროდუქციის ფასების ინდექსის შეფარდება ამავე ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის ფასების ინდექსთან;
გ. ესაა მოცემული ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის ფასების ინდექსის შეფარდება ამავე ქვეყნის საიმპორტო პროდუქციის ფასების ინდექსთან;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

3. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების არსებობა ყოველთვის ნიშნავს, რომ:
ა. ერთი ქვეყანა უფრო მდიდარია ვიდრე მეორე;
ბ. ერთ მოვაჭრე ქვეყანაში იზრდება საერთო კეთილდღეობის დონე, ხოლო მეორე მოვაჭრე ქვეყანაში მცირდება საერთო კეთილდღეობის დონე;
გ. ორივე მოვაჭრე ქვეყანა ნახულობს გარკვეულ სარგებელს;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

4.რეგიონალური საბაჟო კავშირები იწვევენ:

ა. სავაჭრო ნაკადების გადართვას საბაჟო კავშირის არაწევრი ქვეყნიდან წევრ ქვეყნებს შორის;
ბ. სავაჭრო ნაკადების წარმოებას საბაჟო კავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის;
გ. სავაჭრო ნაკადების გადართვას საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნებიდან არაწევრი ქვეყნებისაკენ;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია

5.საახელმწიფოთაშორისი რეგიონალური ინტეგრაციის ფორმებს მიეკუთვნება:

ა.ტარიფი, კვოტა, დემპინგი, ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვა;
ბ.თავისუფალი სავაჭრო ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, სრული სავალუტო-ეკონომიკური კავშირი;
გ. საგარეო ვაჭრობა, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია, კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

6.II მსოფლიო ომის შემდეგ დაარსებული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან რომელი მათგანი იყო განკუთვნილი საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის და სავაჭრო ბარიერების შემცირებისათვის:

ა. OPEC;
ბ. NATO;
გ. გაერო;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

7.ტარიფების დაწესება ნიშნავს:

ა.ექსპორტის სუბსიდირებას;
ბ.ექსპორტის ნებაყოფლობით შეზღუდვას;
გ. იმპორტის დაბეგვრას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

8.საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში გამოყენებული კვოტები ესაა:

ა. რაოდენობრივი შეზღუდვა დაწესებული ქვეყანაში იმპორტირებულ უცხოურ პროდუქციაზე;
ბ. გადასახადი;
გ. რაოდენობრივი შეზღუდვა დაწესებული ქვეყნის მიერ მის საექსპორტო პროდუქციაზე;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

9.წმინდა ექსპორტი ეწოდება:

ა.ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას;
ბ.ქვეყნის რეექსპორტს;
გ.. ქვეყნის რეექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

10.საიმპორტო ტარიფის დაწესებისას:

ა. ადგილობრივი მომხმარებლები იგებენ ვინაიდან ისინი იხდიან უფრო დაბალ ფასს და მოიხმარენ უფრო მეტ პროდუქციას;
ბ. ადგილობრივი მწარმოებლები ზარალობენ ვინაიდან ახდენენ უფრო მეტი პროდუქციის რეალიზაციას უფრო დაბალ ფასად;
გ. ადგილობრივი მწარმოებლები იგებენ ვინაიდან ისინი ახდენენ უფრო მეტი რაოდენობის პროდუქციის რეალიზაციას უფრო დაბალ ფასად;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

11. ვთქვათ, საქართველო აწარმოებს ტელევიზორებს, რომლებიც ძლიერ კონკურენციას განიცდიან იმპორტული პროდუქციისგან. ვთქვათ საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა ტელევიზორებზე და მის მაკომპლექტებელ ნაწილებზე სატარიფო განაკვეთების შემოღება. რა შემთხვევაში იქნებოდა ტელევიზორებზე დაწესებული დამცავი ტარიფის ფაქტიური დონე ნორმალურზე უფრო მაღალი:

ა. როდესაც მზა პროდუქციაზე დაწესებული ტარიფები უფრო მაღალია ვიდრე მაკომპლექტებელ საქონელზე დაწესებული ტარიფები;
ბ. როდესაც მაკომპლექტებელ პროდუქციაზე დაწესებული ტარიფები უფრო მაღალია ვიდრე მზა პროდუქციაზე დაეწსებული ტარიფები;
გ. როდესაც მაკომპლექტებელ პროდუქციაზე და მზა პროდუქციაზე დაწე-სებული ტარიფები ერთმანეთის ტოლია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია;

12. პროტექციონოზმის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ტარიფები, საიმპირტო კვოტები და სხვა სავაჭრო ბარიერები აუცილებელია, რათა:

ა. გავაუმჯობესოთ ქვეყნის მოსახლეობის მომარაგება მრავალფეროვანი პროდუქციით;
ბ. ხელი შევუწყოთ ახალგაზრდა ადგილობრივი კადრების დინამიურ განვითარებას;
გ. გავზარდოთ ქვეყნის ეკონომიკაში კონკურეციის დონე;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

13. საერთაშორისო კარტელის მიერ მსოფლიო ფასზე მოხდენილი გავლენა მით უფრო ძლიერია;

ა. როდესაც კარტელის მიერ საექსპორტოდ რეალიზებულ საქონელზე მოთხოვნის ელასტიურობა ერთს უტოლდება
ბ. რაც უფრო მაღალია მოთხოვნის ელასტიურობა კარტელის მიერ საექსპორტოდ რეალიზებულ საქონელზე;
გ. რაც უფრო ნაკლებია მოთხოვნის ელასტიურობა კარტელის მიერ საექსპორტოდ რეალიზებულ საქონელზე;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

14. დემპინგის დაფიქსირების შემთხვევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (wTO) მიერ ნებადართულია

ა. ქვეყანამ შეწყვიტოს უცხოური კაპიტალდაბანდებანი;

ბ. ქვეყანამ მიმართოს საკუთარი ექსპორტის სუბსიდირებას;
გ. ქვეყანაში დაწესდეს ანტიდემპინგური ბაჟი;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

15. სავაჭრო ბალანსი წარმოადგენს შემდეგ ნაწილს;

ა. კაპიტალის მოძრაობის ბალანსის;
ბ. ქვეყნის საგარეო ვალის;
გ. ქვეყნის ბიუჯეტის;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

16. ამა თუ იმ ქვეყნის მიერ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პროტექციონისტული დაცვის დონის გასაზომად გამოიყენება ე.წ. „დაცვის ნორმალური კოეფიციენტი," ანუ „დნკ". როგორ გამოითვლება იგი? ესაა;

ა. მოცემული ქვეყნებიდან ექსპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საიმპორტო ფასების „ინდექსის"შეფარდება ამავე ქვეყანაში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საიმპორტო ფასების ინდექსთან;
ბ. ერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შიდა ფასის შეფარდება იგივე საქონელზე ჩამოყალიბებულ მსოფლიო ფასებთან;
გ. ერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მსოფლიო ფასის შეფარდება იგივე საქონელზე ჩამოყალიბებულ შიდა ფასთან;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

17) როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება ფინანსურ მხარდაჭერას უწევს საკუთარი საექსპორტო წარმოების დარგებს, ადგილი აქვს:

ა. ექსპორტის დაბეგვრას;
ბ. ექსპორტის დისკრიმინაციას
გ. ექსპორტის სუბსიდირებას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია

18. საგარეო ვაჭრობის თეორიიდან ცნობილია, რომ, საიმპორტო კვოტის მოქმედების მექანიზმი მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაჟო ტარიფებისაგან. კერძოდ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება:

ა. საიმპორტო კვოტა საბაჟო ტარიფისაგან განსხვავებით ამცირებს იმპორტის მოცულობას და ამით ზრდის მის ფასს მოცემულ ქვეყანაში;
ბ. საიმპორტო კვოტა საბაჟო ტარიფისაგან განსხვავებით ზრდის საერთო კეთილდღეობის დონეს მოცემულ ქვეყანაში;
გ. საიმპორტო კვოტა საბაჟო ტარიფისაგან განსხვავებით ზრდის იმპორტული პროდუქციის ფასს და ამით ამცირებს მის მოცულობას მოცემულ ქვეყანაში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

19. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) ამოცანაა ხელი შეუწყოს:

ა. შეღავათიანი კრედიტების გაცემას განვითარებად ქვეყნებზე;
ბ. საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული პრობლემების დარეგულირების მიზნით არასატარიფო საშუალებების აქტიურ გამოყენებას;
გ. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია

20. ვთქვათ ბრაზილიის ხელისუფლებას სურს ყავის მწარმოებელი ეროვნული ფერმების კონკრეტული პოზიციები მსოფლიო ბაზარზე გააძლიერა. საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რომელი ინსტრუმენტის გამოყენება შეიძლება ამ მიზნის მისაღწევად?

ა. საიმპორტო კვოტების;
ბ. საბაჟო ტარიფების
გ. საექსპორტო ბარიერების;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია

21. თუკი ორი ქვეყნიდან ერთ-ერთს შეუძლია ყველა სახის საქონელი აწარმოოს უფრო დაბალი აბსოლუტური ხარჯებით ვიდრე მეორე ქვეყანას, მაშინ:

ა. არ არსებობს არანაირი შეფარდებითი უპირატესობა და ობიექტური საფუძველი სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად;

ბ. ვაჭრობა იქნებოდა მომგებიანი დაბალი აბსოლიტური ხარჯების მქონე ქვეყნისთვის, მაგრამ არა მეორე ქვეყნისთვის;
გ. თვითოეულ ქვეყანა ექნებოდა საშუალება მოეხდინა საკუთარი რესურსების კონცენტრაცია იმ საქონლის გამოშვებაზე, რომელშიც მათ გააჩნიათ შეფარდებითი უპირატესობა და დამყარებული ვაჭრობა ურთიერთმომოგებიანი იქნება;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არაშწორია.

22 საქართველოს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 100 მეტრი მაუდი ან 300 ლიტრა ღვინო, ხოლო რუსეთს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 150 მეტრი მაუდი, ან 200 ლიტრა ღვინო, თუკი საქართველოსა და რუსეთი შორის დაიწყება ვაჭრობა, მაშინ რუსეთი მოახდენდა:

ა. ღვინის ექსპორტს და მაუდის იმპორტს;
ბ. ღვინის იმპორტს და მაუდის ექსპორტს;
გ. არ მოახდენდა არც ერთი პროდუქტის ექპორტს ან იმპორტს;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

23. საქართველოს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 60 მეტრი მაუდი, ან 120 ლიტრა ღვინო, ან ნერისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. ხოლო რუსეთს შეუძლია დანახარჯის ერთეულზე აწარმოოს ან 150 მეტრი მაუდი, ან 200 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. გააჩნია თუ არა საქართველოს:

ა. აბსოლუტური უპირატესობა ღვინის წარმოებაში;
ბ. შეფარდებითი უპირატესობა ღვინის წარმოებაში:
გ. შეფარდებიტი უპირატესობა მაუდის წარმოებაში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

24. საქართველოს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 100 მეტრი მაუდი, ან 200 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. რუსეთს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 150 მეტრი მაუდი, ან 200 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. თუკი ამ ქვეყნებს შორის იწყება სავაჭრო ურთიერთობანი, მაშინ ღვინოზე ფასი მაუდთანშედარებით:

ა. მცირდება საქართველოში, იზრდება რუსეთში;
ბ. მცირდება ორივე ქვეყანაში;
გ. იზრდება საქართველოშიც და რუსეთში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

25. საქათველოს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 50 მეტრი მაუდი, ან 100 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. ხოლო რუსეთს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 300 მეტრი მაუდი, ან 400 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. თუკი ცნობილია, რომ მაუდის ყოველდღიური ექსპორტი შეადგენს 500 მეტრს, მაშინ მსოფლიო ბაზარზე შესაძლო ფასის გათვალისწინებით რომელი მონაცემი შეესაბამება სინამდვილეს: ღვინის ყოველდღიური ექსპორტი შადგენს:
ა. 800 ლიტრს საქართველოდან;
ბ. 550 ლიტრს რუსეთიდან;
გ. 1100 ლიტრს საქართველოდან;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

26. საქართველოს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 50 მეტრი მაუდი, ან 100 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. ხოლო რუსეთს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 150 მეტრი მაუდი, ან 200 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბინაცია მათ შორის. იმისათვის, რომ მოცემულ ქვეყნებს შორის დამყარდეს სავაჭრო უთიერთობები აუცილებელია, რომ:

ა. საგარეო ვაჭრობებიდან მიღებული სარგებელი თანაბრად იქნეს განაწილებული ორივე ქვეყანას შორის:
ბ. საგარეო ვაჭრობიდან მიღებული სარგებელი შესაძლოა არათანაბრადაც იქნეს განაწილებული ქვეყნებს შორის;
გ. საგარეო ვაჭრობიდან ერთი ქვეყანა უნდა დარჩეს სარგებელში, ხოლო მეორე ქვეყანა ზარალში
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

27. საქართველოლოს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 100 მეტრი მაუდი, ან 200 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბიაცია მათ შორის. ხოლო რუსეთს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 150 მეტრი მაუდი, ან 200 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წფრივი კომბინაცია მათ შორის. თუკი ამ ქვეყნებს შორის დამყარდება თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები, მაშინ მაუდის ფასმა, ღვინოშიგამოხატული, შეიძლება შეადგინოს დაახლოებით:

ა. 1 მეტრი მაუდი 1,7 ლიტრ ღვინოს ორივე ქვეყანაში;
ბ. 1 მეტრი მაუდი 1,5 ლიტრ ღვინოს საქართველოში და 1 მეტრი მაუდი 1,3 ღვინოს რუსეთში;
გ. 1 მეტრი მაუდი 2,15 ლიტრ ღვინოს ორივე ქვეყანაში
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

28. საქართველოლოს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 24 მეტრი მაუდი ან 32 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წრფივი კომბიაცია მათ შორის. ხოლო რუსეთს დანახარჯების ერთეულზე შეუძლია აწარმოოს ან 27 მეტრი მაუდი, ან 24 ლიტრა ღვინო, ან ნებისმიერი წფრივი კომბინაცია მათ შორის. თუკი თითოეული ქვეყანა დასპეციალიზდება შეფარდებით უპირატესობის პრინციპის საფუძველზე, მაშინ ვაჭრობის პირობები შადგენს:

ა. 1 მეტრი მაუდი 2 ლიტრა ღვინოზე;
ბ. 1 ლიტრა ღვინო 2 მეტრ მაუდზე:
გ. 1-დან 1 1/3-მდე ლიტრა ღვინო 1 მეტრ მაუდზე:
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

29. ლეონტიევის პარადოქსი ეწოდება გამოკვლევას, როცა გამოვლინდა, რომ:

ა. აშშ შრომატევადი პროდუქციის წმინდა იმპორტიორია;
ბ. აშშ კაპიტალტევადი პროდუქციის წმინდა იმპორტია;
გ. გაიზარდა აშშ-დან სამუშო ძალების ემიგრაცია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

30. როდესაც ორი ქვეყანა ვაჭრობს, ვაჭრობის პირობები იმ ქვეყანას დატოვებს უფრო მეტ სარგებელში რომლის:

ა. იმპორტზე დიდი მოთხოვნაა მსოფიო ბაზარზე;
ბ. ექსპორტზე დიდი მოთხოვნაა მსოფიო ბაზარზე;
გ. ზემოთ ჩამოთვლილი ორივე პასუხი სწორია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია

31. რომელმა ეკონომიკურმა სკოლამ დაიწყო პირველად საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემების სისტემური შესწავლა:

ა .მერკანტილისტურმა:
ბ. ფიზიოკრატულმა:
გ. კლასიკურმა;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორი

32. დაუშვათ, რომ მსოფლიოში იწარმოება მხოლოდ 2 საქონელი – ხორბალი და მაუდი. დაუშვათ აგრეთვე, რომ საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობები არა აქვს დამყარებული დანარჩენ მსოფლიოსთან. მაშინ ქვემოთ მოცემული დანახარჯების შეფარდებებიდან რომლები იქნებიან განსაზღვრული ურთიორთსასარგებლო სავაჭრო ურთიორთობების დასამყარებლად:

ა. საქართველოში ხორბლის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შეფარდება
საქართველოში მაუდის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებთან;
ბ. საქართველოში ხორბლის წარმოებაზე გაწეული დანახარეჯების (მაუდის მეტრებში გამოხატული) შეფარდება სხვა ქვეყნებში ხორბლის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებთან (ასევე მაუდის მეტრებში გამოხატული);
გ. საქართველოში ხორბლის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შეფარდება საზ-ღვაეგარეთ ხორბლის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებთან;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

33. ფრიტრედერობა გულისხმობს:

ა. სამუშო ძალის მიგრაციის შეზღუდვას;
ბ. ტარიფებისა და კვოტების თანაბარზომიერ გამოყენებას საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში;
გ. თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვას ქვეყნებს შორის:
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

34. შეფარდებითი უპირატესობის პრინციპი თავდაპირველად ჩამოყალიბებულ იქნა:

ა პოლ სამუელსონის მიერ;
ბ. დევიდ რიკარდოს მიერ;
გ. ადამ სმიტის მიერ;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

35. როგორც ცნობილია ამა თუ იმ ქვეყნის მიერ დანარჩენ მსოფლისთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება მისი მოსახლეობის ერთ ნაწილს ტოვებს სარგებელში, ხოლო მეორეს ზარალში, იმის გასარკვევად, თუ თავისუფალი ვაჭრობა წარმოების ფაქტორების შემოსავლებზე როგორ გავლენას მოახდენს, გაითვლება მათი საექსპორტო სპეციალიზაციის მაჩვენებლები. ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლებიდან რომელი შეესაბამება სინამდვილეს:

ა. სარგებელში დარჩებიან წარმოების ის ფაქტორები, რომელთაც საექსპორ-ტო სპეციალიზაციის დაბალი ანუ უარყოფითი დონე გააჩნიათ;
ბ. სარგებელში დარჩებიან წარმოების ის ფაქტორები, რომელთაც საექსპორტო სპეციალიზაციის ნულოვანი მაჩვენებელი გააჩნიათ;
გ. სარგებელში დარჩებიან წარმოების ის ფაქტორები, რომელთაც საექსპორტო სპეციალიზაციის მაღალი ანუ დადებითი დონე გააჩნიათ;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

36. ისეთი ქვეყნისთვის, რომელსაც ჭარბად გააჩნია მაღალკვალიფიცირებული სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, აქტიურ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში ჩართვა გამოიწვევდა:

ა. არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალის ანაზღაურების შემცირებას, ხოლო კვალიფიცირებული სამუშაო ძალის ანაზღაურების ზრდას;
ბ. არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალის ანაზღაურების ზრდას, ხოლო კვალიფიცირებული სამუშაო ძალის ანაზღაურების შემცირებას;
გ. როგორც კვალიფიცირებული, ისე არაკვალიფიცირებული სამუშაო ძალის ანაზღაურების ზრდას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

37. შეფარდებით უპირატესობაზე დაფუძნებული წარმოების სპეციალიზაცია იწვევს:

ა. მსოფლიოში წარმოების საერთო მოცულობის შემცირებას;
ბ. იწვევს წარმოების შეფარდებითი ხარჯების ზრდას;
გ. ხელს უწყობს ქვეყნების პროდუქციით თვითუზრუნველყოფის ზრდას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

38. დავუშვათ ქვეყანა აწარმოებს მხოლოდ ორ პროდუქტს ღვინოს და ყველს. ვთქვათ 1 ლიტრი ღვინის წარმოება ითხოვს 5 ერთეულ სამუშაო ძალას და 2 ერთეულ მიწას. ხოლო 1 კგ. ყველის წარმოება ითხოვს 3 ერთეულ სამუშაო ძალას და 7 ერთეულ მიწას. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, რომელი განცხადება შეესაბამება სინამდვილეს:

ა. ყველი არის შრომატევადი პროდუქტი და ღვინო არის მიწატევადი პროდუქტი;
ბ ღვინო არის შრომატევადი პროდუქტი და ყველი არის მიწატევადი პროდუქტი;
გ. როგორც ღვინო, ისე ყველი წარმოების ფაქტორებს ერთნაირად მოითხოვს;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

39. წარმოვიდგინოთ, რომ მსოფლიო შედგება ორი ქვეყნისაგან – X ქვეყნისაგან და V ქვეყნისაგან. თითოეულ მათგანს გააჩნია წარმოების მხოლოდ ორი ფაქტორი – მიწა და შრომა. აწარმოებენ ორი დასახელების პროდუქტს – ხორბალს (რომელიც

შრომატევადია) და მაუდს (რომელიც შრომატევადია). X ქვეყანას ჭარბად გააჩნია მიწა, ხოლო V ქვეყანას სამუშაო ძალა. თუკი დაიწყება მათ შორის თავისუფალი ვაჭრობა, მაშინ ჰეკშერ-ოლინის თეორიიდან გამომდინარე გრძელვადიან პერიოდში სარგებელში დარჩებიან:

ა. X– ქვეყნის მიწის მესაკუთრეები და V მუშები;
ბ. X– ქვეყნის როგორც მუშები ისე მიწის მესაკუთრეები;
გ. X– ქვეყნის მუშები და V– ქვეყნის მიწის მესაკუთრეები;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

40. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ცალკეული ქვეყნების სხვადასხვა რეგიონალურ საბაჟო კავშირებში გაერთიანება. ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიიდან გამომდინარე, საბაჟო კავშირში ახლად გაწევრიანებული ქვეყნის სარგებელი, ერთი კონკრეტული საქონლით ვაჭრობის მაგალითზე, მით უფრო მეტია:

ა. რაც უფრო ნაკლებად ელასტიურია მოცემულ ქვეყანაში იმპორტირებულ
საქონელზე მოთხოვნა;
ბ .რაც უფრო მცირეა განსხვავება ამ საქონელზე ჩამოყალიბებულ ეროვნულ
ფასსა და პარტნიორი ქვეყნის ფასს შორის;
გ. რაც უფრო მცირეა განსხვავება პარტნიორი ქვეყნების ფასსა და ამ
საქონელზე მსოფლიო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ფასს შორის;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

41. როგორც ვიცით გარკვეულ პირობებში ამა თუ იმ პროდუქციაზე საიმპორტო კვოტების დაწესებას შეუძლია უფრო მეტი ზიანი მოუტანოს ქვეყნის საერთო კეთილდღეობის დონეს, ვიდრე საბაჟო ტარიფების დაწესებამ. კერძოდ როდის მოხდება ეს:

ა. როდესაც მოცემულ დარგში დიდი რაოდენობით ადგილობრივი მწარმოებლები ჰქმნიან კონკრეტულ ბაზარს;
ბ. როდესაც იმპორტული პროდუქციის შემოტანა ხდება უცხოური ქვეყნიდან;
გ. როდესაც მოცემულ დარგში მონოპოლიზაციის დონე მაღალია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია

42. რა შემთხვევაშია ოპტიმალური ტარიფის დონე ნულის ტოლი:

ა. როდესაც უცხოელების მიერ ჩვენი ქვეყნის ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის მიწოდების ელასტიურობა უსასრულოდ მაღალია;
ბ. როდესაც უცხოელების მიერ ჩვენი ქვეყნის ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის მიწოდების ელასტიურობა უსასრულოდ დაბალია;
გ. როდესაც უცხოელების მიერ ჩვენი ქვეყნის ბაზარზე იმპორტირებული პროდუქციის მიწოდების ელასტიურობა 1-ის ტოლია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია

43. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ხელსეკრულების (GATT) ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ის რომ;

ა. თუკი ერთი ქვეყანა მოახდენდა გარკვეული მოცულობით საკუთარო პროდუქციის ექსპორტირებას ხელშეკრულების წევრ მეორე სახელმწიფოში, ამას უნდა გამოეწვია მეორე ქვეყნიდან მის ტერიტორიაზე იგივე მოცულობის პროდუქციის იმპორტირება;
ბ. ერთ ქვეყანას შეეძლო გაეზარდა საკუთარი ტარიფები მანამ, სანამ არდარწმუნდებოდა, რომ ხელშეკრულების სხვა წევრ ქვეყნებსაც შეეძლო განეხორციელებინა იგივე პოლიტიკა;
გ. თუკი ერთი ქვეყანა დაწევდა ტარიფებს, მას ჰქონდა საფუძველი ხელშეკრულების სხვა წევრი ქვეყნებისაგან, რომ მათაც თანაბარზომიერად დაეწიათ ტარიფები;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

44. როგორც ცნობილია იმპორტირებულ საქონელზე ტარიფის დაწესება იწვევს ქვეყნის წმინდა დანაკარგებს, რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ე.წ.„ტარიფების

საწარმოო ეფექტი", რა განაპირობებს ტარიფის საწარმოო ეფექტისაგან განცდილ ზარალს;

ა. დანაკარგი წარმოიშობა იქიდან, რომ იმპორტის შეზღუდვასთან ერთად მცირდება ეროვნული წარმოება
ბ. დანაკარგი წარმოიშობა იქიდან, რომ ეროვნული წარმოების გაფართოება ხდება შიდა ზღვრული დანახარჯების გადაჭარბებით მსოფლიო ფასთან შედარებით;
გ. დანაკარგი წარმოიშობა იქიდან, რომ ტარიფის დაწესების შედეგად ქვეყნის შიდა ფასის გადაჭარბება მსოფლიო ფასთან შედარებით ამცირებს მოხმარებას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

45. ქვემოთ ჩამოთვლილი საზოგადოებრივი ჯგუფებიდან ჩვეულებრივ რომლები რჩებიან სარგებელში საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად;

ა. იმპორტთან კონკურირებად ეროვნულ დარგებში დაკავებული მუშამოსამსახურეები;
ბ. ექსპორტიორები;
გ. ადგილობრივი ფირმები, რომლებიც იღებენ მონოპოლიურ მოგებას ქვეყნის შიდა ბაზარზე;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

46. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის პრობლემებზე მომუშავე ეკონომისტების ერთი ჯგუფი ასაბუთებს, რომ ე.წ. იმპორტჩანაცვლებადი ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი უპირატესობაა ის რომ,

ა. იმპორტჩანაცვლებადი ინდუსტრიალიზაცია ამცირებს რა ეროვნულ ვალუტის კურსს, ზრდის ქვეყნის ექსპორტს საერთაშორისო ბაზარზე;
ბ. იმპორტჩანაცვლებადი ინდუსტრიალიზაცია ზრდის ქვეყნის შიგნით მოთხოვნის დაკმაყოფილების დონეს;
გ. იმპორტჩანაცვლებადი ინდუსტრიალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობაში ტექნიკური ცოდნის ამაღლებას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

47. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესში ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ:

ა. ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად მიღებული სარგებელი აჭარბებს განცდილ ზარალს, მაგრამ სარგებელში დარჩენილები არ ახდენენ დაზარალებულების კომპენსირებას;
ბ. ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად არავინ რჩება სარგებელში;
გ. ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად განცდილი ზარალი აჭარბებს სარგებელს;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

48. სამრეწველო წარმოების პროდუქციაზე დაწესებული საიმპორტო კვოტა:

ა. ექსპორტიორ ქვეყანაში გაზრდის ამ საქონელზე ჩამოყალიბებულ ფასს;
ბ. გაზრდის საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობას;
გ. იმპოტრირებულ ქვეყანაში შეამცირებს საქონელზე ჩამოყალიბებულ ფასს;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

49. სახელმწიფო საგარეო სავაჭრო პოლიტიკაზე ეროვნული მეწარმეობის ლობისტური გავლენის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად გვევლინება ე.წ. „საბაჟო ტარიფების მცოცავი შკალა". რაში მდგომარეობს იგი:

ა. იმაში, რომ მაკომპლექტებელ პროდუქციაზე დაწესებული ტარიფების საშუალო დონე უფრო მაღალია, ვიდრე მზა პროდუქციაზე დაწესებული ტარიფების საშუალო დონე;
ბ. მზა და მაკომპლექტებელ პროდუქციაზე დაწესებული ტარიფების საშუალო დონეები ემთხვევა ერთმანეთს;
გ. მზა პროდუქციაზე დაწსებული ტარიფების საშუალო დონე უფრო მაღალია, ვიდრე მაკომპლექტებელ პროდუქციაზე დაწესებული ტარიფების საშუალო დონე;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

50. მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმი საერთაშორისო სავაჭრო ბაზარს მოიყვანს წონასწორობაში:

ა. როდესაც საექსპერტო პროდუქციაზე მოთხოვნის მოცულობა გადააჭარბებს საექსპორტო პროდუქციის მოთხოვნის მოცულობას;

ბ. როდესაც საგარეო სავაჭრო ფასი უფრო დაბალია, ვიდრე შიდა ფასი;

გ. როდესაც შიდა მიწოდება არის უფრო ნაკლები, ვიდრე შიდა მოთხოვნა;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

51. საგადასახადო ბალანსის შედგენის მეთოდიკის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი მოქალაქეთა ჯგუფებიდან რომლები ჩაითვლებიან აშშ-ს რეზიდენტებად

ა. ამერიკის მოქალაქეები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მსახურობენ ევროპაში განლაგებულ სამხედრო ბაზებზე;

ბ. მექსიკის მოქალაქეები, რომლებიც არალეგალურად შევიდნენ აშშ-ს ტერიტორიაზე და დამხმარე მუშებად ემსახურებიან ამერიკელ ფერმერებს;

გ. იაპონელი ტურისტები, რომლებიც ხანმოკლე ვიზიტით იმყოფებიან ნიუ-იორკში;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

52. როდესაც რომელიმე ქვეყნის ვალუტის კურსი იზრდება დოლართან მიმართებაში, ეს ნიშნავს, რომ

ა. ჩვენ გვჭირდება მეტი დოლარები, რათა შევიძინოთ მოცემული ქვეყნის ვალუტა;

ბ. ჩვენ გვჭირდება ნაკლები დოლარები, რათა შევიძინოთ მოცემული ქვეყნის ვალუტა;

გ. მოცემული ქვეყნის ვალუტა ხდება ნაკლებად ძვირი;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

53. თუკი რომელიმე ქვეყნის ვალუტის კურსი იზრდება დოლართან მიმართებაში, ეს ნიშნავს, რომ:

ა. ეს გააძვირებს ამერიკელი ტურისტებითვის ამ ქვეყნის დათვალიერებას;

ბ. ეს შეზღუდავდა მოცემული ქვეყნის მოქალაქეების შესაძლებლობას, შეეძინათ ამერიკული წარმოების პროდუქცია;

გ. ზემოთ ჩამოთვლილი ორივე პასუხი სწორია;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

54. როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის კურსი განსაზღვრულია არა სავალუტო ბაზრის მიერ, არამედ სახელმწიფოს მიერ, ამ ვალუტის კურსის ზრდას ეწოდება:

ა. ინფლაცია;

ბ. დევალვაცია;

გ. დეფლაცია;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

55. ცალკეული ქვეყნების ეროვნული ვალუტების საცვლელი კურსების განსაზღვრისას, მეცნიერ-ეკონომისტები ხშირად იყენებენ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორის. რომელი ეკონომისტის მიერ იქნა შემუშავებული ეს თეორია:

ა. პოლ სამუელსონის მიერ;

ბ. ბერტილ ოლინის მიერ;

გ. გუსტავ კასელის მიერ;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

56. მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორია ამტკიცებს, რომ ორ ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული ვალუტის საცვლელი კურსი:

ა. გრძელვადიან პერიოდში განისაზღვრება ამ ქვეყნების ფასების დონეების განსხვავებების მიხედვით;

ბ. გრძელვადიან პერიოდში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ უნდა იქნეს განსაზღვრული;

გ. გრძელვადიან პერიოდში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უნდა იქნას განსაზღვრული;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

57. თუკი გვაქვს ხორბლის ეფექტურად ფუნქციონირების ლიბერალური მსოფლიო ბაზარი და ერთი ცენტი ხორბლის ფასი ამერიკაში არის 7,5 დოლარი, ხოლო შვეიცარიაში 30 კრონა. თუკი სატრანსპორტო ხარჯებს პირობითად გაუტოლებთ ნულს, მაშინ მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიის მიხედვით:

ა. ერთი კრონის ღირებულება უნდა იყოს 20 ცენტი;
ბ. ერთი კრონის ღირებულება უნდა იყოს 25 ცენტი;
გ. ერთი კრონის ღირებულება უნდა იყოს 37.5 ცენტი;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

58. თუკი მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი არის გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში, მაშინ:

ა. ამ ქვეყნის ვალუტის კურსს ექნება დაცემის ტენდენცია;
ბ. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი ვალუტის კურსზე არანაირ გავლენას არ მოხდენს;
გ. ამ ქვეყნის ვალუტის კურსს ექნებოდა ზრდის ტენდენცია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

59. თუკი აშშ-ს ფასიანი ქაღალდები იძლევიან 10% შემოსავალს წელიწადში, ხოლო დიდი ბრიტანეთის ფასიანი ქაღალდები 15% შემოსავალს წელიწადში, მაშინ:

ა. დიდმა ბრიტანეთმა უნდა მოახდინოს საკუთარი ვალუტის დევალვაცია;
ბ. გირვანქა სტერლინგის კურსი გაიზრდება დოლართან მიმართებაში;
გ. გირვანქა სტერლინგის კურსი დაეცემა დოლართან მიმართებაში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

60. მოცემული ქვეყნის სავაჭრო ბალანსის დეფიციტს აქვს ადგილი როდესაც:

ა. ამ ქვეყნის ვალუტის კურსი არის დადგენილი ძალიან დაბალ დონეზე;
ბ. ამ ქვეყნის იმპორტი გადააჭარბებს ამ ქვეყნის ექსპორტს;
გ. ამ ქვეყნის ექსპორტი გადააჭარბებს ამ ქვეყნის იმპორტს;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

61. როგორც ცნობილია, საქართველოში საქონლის იმპორტი მკვეთრად სჭარბობს საქართველოდან გატანილი საქონლის ექსპორტს, ეს ნიშნავს, რომ:

ა. ქვეყანაში შემოდის უფრო მეტი სამუშაო ძალა, ვიდრე ქვეყნიდან გადის;
ბ. ქვეყნის კაპიტალის მოძრაობის ბალანსი არის დეფიციტური;
გ. ქვეყნის ეროვნული ბანკის ოქრო-ვალუტის რეზერვები იზრდება;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

62. ვთქვათ, მსოფლიოში არსებობს ოქროს სტანდარტის სავალუტო სისტემა და მოხდა ოქროს საბადოების დიდი რაოდენობით აღმოჩენა, რამაც მკვეთრად გაზარდა ოქროს მიწოდება საერთაშორისო ბაზარზე. ეს გამოიწვევდა:

ა. ფასების საერთო დონის ზრდას მსოფლიოს ქვეყნებში;
ბ. არანაირ გავლენას არ მოახდენდა ფასების საერთო დონეზე მსოფლიოს ქვეყნებში;
გ. ფასების საერთო დონის შემცირებას მსოფლიოს ქვეყნებში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

63. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1944 წელს გამართულმა ბრეტონ-ვუდსის კონფერენციამ:

ა. დააფუძნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი;
ბ. შემოიღო მცურავი სავალუტო კურსების სისტემა;
გ. ზემოთ ჩამოთვლილი ორივე პასუხი სწორია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

64. ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო-სავალუტო სისტემამ განიცადა კრახი, როდესაც:

ა. „OPEC"-ის ქვეყნებმა გაზარდეს ნათობის ფასი მსოფლიო ბაზარზე;
ბ. ჩამოყალიბდა ევროპის საერთო ბაზარი;
გ. აშშ-მა მოახდინა დოლარის დევალვაცია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

65. ტერმინი „ბინძური ცურვა" გამოიყენება რათა გამოსახოს:

ა. მოცემულ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შავი ბაზარი;
ბ. მოცემული ქვეყნის მიერ საკუთარი ვალუტის მცურავი კურსიდან ფიქსირებულ კურსზე გადაყვანა;
გ. მოცემული ქვეყნის მიერ საკუთარი ვალუტის ცურვა დროის მხოლოდ გარკვეულ, ხელსაყრელ პერიოდში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

66. თუკი თქვენი მშობლები ანაზღაურებენ თქვენს განათლებას აშშ-ში და გადარიცხეს 10 000 დოლარი ამერიკის უნივერსიტეტის ანგარიშზე, ეს აირიცხება როგორც:

ა. საქართველოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის სადებეტო სტატია;
ბ. ამერიკის მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის სადებეტო სტატია;
გ. საქართველოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის საკრედიტო სტატია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

67. როგორც ცმობილია, შეერთებულ შტატები არის ნავთობის მსხვილი იმპორტიორი, ხოლო რუსეთი ნავთობის მსხვილი ექსპორტიორი. დავუშვათ გავრცელდა ინფორმაცია ნავთობის მსფოფლიო ბაზარზე ფასების მოსალოდნელიმკვეთრი შემცირების შესახებ. ეს გამოიწვევდა:

ა. რუსული რუბლის კურსის ზრდას ამერიკულ დოლართან მიმართებაში;
ბ. რუსული რუბლის კურსის შემცირებას ამერიკულ დოლართან მიმართებაში;
გ. არანაირ გავლენას არ მოახდენდა რუსული რუბლის კურსზე დოლართან მიმართებაში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პასუხი არასწორია.

68. დავუშვათ თქვენ ხედავთ, რომ რუსული ესტრადის ვარსკლავები სულ უფრო პოპულარულები ხდებიან საქართველოში. ეს ზრდის რუსი მომღერლების გასტროლების რიცხვს და მათი გრამჩანაწერების რეალიზაციის მოცულობას ჩვენს ქვეყანაში. როგორ გავლენას მოახდენდა ეს ფაქტი ლარის კურსზე რუბლში გამოხატული:

ა. ლარის მიწოდება და რუსულ რუბლზე მოთხოვნა გაიზრდება სავალუტო ბაზარზე, რაც გამოიწვევდა ლარის კურსის ზრდას რუსულ რუბლში გამოხატული;
ბ. ლარის მიწოდება და რუსულ რუბლზე მოთხოვნა შემცირდებოდა სავალუტო ბაზარზე, რაც გამოიწვევდა ლარის კურსის შემცირებას რუსულ რუბლში გამოხატული;
გ. ლარის მიწოდება და რუსულ რუბლზე მოთხოვნა გაიზრდება სავალუტო ბაზარზე, რაც გამოიწვევდა ლარის კურსის შემცირებას რუსულ რუბლში გამოხატული:
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

69. დავუშვათ საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო ინფლაციის ტემპის შესამცირებლად გაატაროს უფრო მკაცრი ფულად-საკრედირო პოლიტიკა. ეს გამოიწვევდა:

ა. ლარის მიწოდების შემცირებას სავალუტო ბაზარზე და შესაბამისად მისი კურსის შემცირებას სხვა ვალუტებთან მიმართებაში;

ბ. ლარის მიწოდების ზრდას სავალუტო ბაზარზე და შესაბამისად მისი კურსის ზრდას სხვა ვალუტებთან მიმართებაში;

გ. ლარის მიწოდების ზრდას სავალუტო ბაზარზე და შესაბამისად მისი კურსის შემცირებას სხვა ვალუტებთან მიმართებაში;

დ.. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

70. როგორც ცნობილია აშშ ყოველწლიურად მრავალმილიონიან დახმარებას უწევს საქართველოს. ამ თანხების გადმორიცხვა აღირიცხება როგორც:

ა. ამერიკის მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის საკრედიტო სტატია;
ბ. ამერიკის მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის სადებეტო სტატია;
გ. ამერიკის კაპიტალის მოძრაობის ბალანსის საკრედიტო სტატია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

71. საქართველოში მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისი და შემოსავლების მკვეთრი შემცირება გამოიწვევდა;

ა. ქართული ლარის კურსის შემცირებას, ვინაიდან იმპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა;
ბ. ქართული ლარის კურსის ზრდას, ვინაიდან რეალური საპროცენტო განაკვეთები გაიზრდებოდა;
გ. ზემოთ ჩამოთვლილი ორივე პასუხი სწორია;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

72. დავუშვათ ამერიკაში აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადოები, რის შედეგადაც ამ ქვეყნის ეროვნული შემოსავალი და დოლარის კურსი მკვეთრად გაიზარდა. ეს გამოიწვევდა იმას, რომ ამერიკის მოქალაქეები შეისყიდიდნენ;

ა. უფრო მეტ ძვირფას ავტომობილებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა უცხოური წარმოების;
ბ. უფრო მეტ ძვირფას ავტომობილებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიიქნებოდა ადგილობრივი წარმოების;
გ. უფრო ნაკლებ ძვირფას ავტომობილებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იქნებოდა ადგილობრივი წარმოების;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

73. როგორც ცნობილია, თითქმის XX საუკუნის განმავლობაში ამერიკულიდოლარის კურსი გირვანქა სტერლინგთან მიმართებაში იზრდებოდა. ეს იყო გამოწვეული იმით, რომ:

ა. დიდ ბრიტანეთში ინფლაციის ტემპი და ეკონომიკური ზრდის ტემპი იყო უფრო მაღალი ვიდრე აშშ-ში;
ბ. დიდ ბრიტანეში ინფლაციი ტემპი იყო უფრო მაღალი, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპი იყო უფრო დაბალი ვიდრე აშშ-ში;
გ. დიდ ბრიტანეთში ინფლაციის ტემპი და ეკონომიკური ზრდის ტემპიც იყო უფრო დაბალი ვიდრე აშშ-ში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

74. ვთქვათ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით გაატაროს ლიბეალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რის შედეგადაც მივიღეთ:

ა. ლარის კურსის ზრდას და ფასების საერთი დონის ზრდას ქვეყანაში;
ბ. ლარის კურსის შემცირებას და ფასების საერთო დონის ზრდას ქვეყანაში;
გ. ლარის კურსის შემცირებას და ფასების საერთო დონის შემცირებას ქვეყანაში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

75. ქვემოთ ჩამოთვლილი ოპერაციებიდან, რომელი არ ჩაიწერება საქართველოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსში;

ა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გერმანიაში სამხედრო ტექნიკის შესყიდვა იაფ ფასებში;
ბ. საქართველოში მცხოვრები ბიზნესმენების მიერ რუსეთში დაბანდებულ კაპიტალზე მიღებული დივიდენდები;
გ. ლარის კურსის შენარჩუნების მიზნით ეროვნული ბანკის მიერ ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დოლარების გაყიდვა;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი არასწორია.

76. თუკი რუსული რუბლის კურსი დოლარში გამოხატული შეიცვალა შემდეგნაირად-იყო 1 დოლარი უდრის 33 რუბლს და გახდა 1 დოლარი უდრის 28 რუბლს, ესნიშნავ რომ:

ა. როგორც დოლარის ისე რუბლის კურსი დაეცა;
ბ. დოლარის კურსი დაეცა, ხოლო რუბლის კურსი გაიზარდა;
გ. დოლრის კურსი გაიზარდა, ხოლო რუბლის კურსი დაეცა;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

77. დავუშვათ გვაქვს ოქროს სტანდარტი და ქვეყანა ახდენს მეტი პროდუქციის ექსპორტირებას ვიდრე იმპორტირებას. ეს გამოიწვევდა;

ა. ქვეყანაში ოქროს მოდინებას;
ბ. ქვეყნიდან ოქროს გადინებას;
გ. არ მოახდენდა არანაირ გავლენას არსებულ ოქროს მოცულობაზე;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

78. ვთქვათ ორ ქვეყანას აქვს დამყარებული ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობები ერთმანეთთან, რომელთაგან ერთი დიდი მოცულობის სახელმწიფოა, ხოლო მეორე მცირე. დავუშვათ დიდი ქვეყანა სახელმწიფო ხარჯების გაზრდით იწყებს აქტიურ საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას. მცირე ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის ნულოვანი სალდო, ეს გამოიწვევდა:

ა. ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირებას;
ბ. ექსპორტის ზრდას;
გ. შიდა ინვესტიციების ზრდას;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია;

79. ვთქვათ საქართველოში იწარმოება მაგნიტოფონები, რომელთა ნაწილის ექსპორტირებაც ხდება აშშ-ში. დავუშვათ, რომ ქართული ლარის კურსი ამერიკულ დოლარებში გამოხატული დაეცა 1 ლარი უდრის 0,50 დოლარიდან 1ლარი უდრის 0,45 დოლარამდე, მაშინ საქართველოში 150 ლარად წარმოებული მაგნიტოფონის ფასი ამერიკაში:

ა. შემცირდება 1,50 დოლარი;
ბ. გაიზრდება 11 დოლარით;
გ. შემცირდება 5,50 დოლარით;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

80. ეროვნული ვალუტის გაუფასურება წამგებიანია:

ა. ქვეყანაში მყოფი უცხოური რეზიდენტებისათვის;
ბ. ექსპორტიორებისათვის;
გ. იმპორტიორებისათვის;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

81. დავუშვათ, რომ რუსეთში ინფლაციის ტემპი წელიწადში 100 %-ია, ხოლო ევროკავშირში სულ 5%. მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის თეორიის თანახმად როგორ შეიცვლებოდა ევროს კურსი რუბლთან მიმართ?

ა. გაიზრდებოდა 1,9-ჯერ;
ბ. შემცირდებოდა 5-ჯერ;
გ. გაიზრდებოდა 20-ჯერ;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

82. საგადასახდელო ბალანსის შემადგენელი ნაწილი –მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი არ შეიცავს:

ა. სასაქოლო ექსპორტს;
ბ. უცხოეთის ქვეყნებიდან მიღებულ ფინანსურ დახმარებას;
გ. ინვესტიციებისაგან მიღებულ წმინდა შემოსავლებს;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

83. ეროვნული ვალუტის დევალვაციის შედეგად იზრდება წმინდა ექსპორტი. როგორ ზემოქმედებს დევალვაცია ეროვნული დანაზოგების სიდიდეზე თუ შიდა ინვესტიციების სიდიდე უცვლელია?

ა. ეროვნული დანაზოგები იზრდება;
ბ. ეროვნული დანაზოგების სიდიდე უცვლელია;
გ. ეროვნული დანაზოგები მცირდება;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

84. თუ ფიქსირებული სავალუტო კურსების რეჟიმის დაცვისას რუსეთში ინფლაციის დონე უფრო მაღალი იქნება ვიდრე სხვა ქვეყანაში, მაშინ:

ა. რუსეთის ექსპორტი გაიზრდება, ხოლო იმპორტი შემცირდება;
ბ. რუსეთის ექსპორტიც და იმპორტიც შემცირდება;
გ. რუსეთის ექსპორტი შემცირდება, ხოლო იმპორტი გაიზრდება;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

85. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება სულ უფრო მეტად გულისხმობს მმართველობითი და მარკეტინგული კონტრაქტების შესრულებას, ვიდრე საფინანსო კაპიტალის ნაკადების ზრდას. რატომ გაჩნდა ასეთი ტენდენცია?

ა. არასრულყოფილი კონკურენციის არსებობის გამო;
ბ. ექსპროპრეაციის შესაძლებლობის შიშის გამო;
გ. ტრანსნაციონალური კომპანიების საფინანსო შესაძლებლობების შეზღუდულობის გამო;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

86. თუკი საქართველოში მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა მცირდება, მაშინ თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსების პირობებში:

ა. იმპორტის მოცულობაც გაიზრდება და ლარის კურსიც გაიზრდება;
ბ. იმპორტის მოცულობა შემცირდება, ხოლო ლარის კურსი გაიზრდება;
გ. იმპორტის მოცულობაც შემცირდება და ლარის კურსიც შემცირდება;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

87. ეროვნული ვალუტის დევალვაცია ჩვეულებრივ იწვევს წმინდა ექსპორტის ზრდას. როგორ ზემოქმედებს იგი შიდა ინვესტიციების მოცულობაზე თუ უცვლელია ეროვნული დანაზოგების სიდიდე?

ა. შიდა ინვესტიციები მცირდება;
ბ. შიდა ინვესტიციები უცვლელია;
გ. შიდა ინვესტიციები იზრდება;;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

88. ინგლისურ გირვანქა სტერლინგზე მოთხოვნის მრუდი მარჯვნივ გადაინაცვლებს, თუკი:

ა. ინგლისში რეალური საპროცენტო განაკვეთები შედარებით დაბალია, ხოლო ინფლაციის დონე შედარებით მაღალი (ვიდრე სხვა ქვეყნებში);
ბ. ინგლისში რეალური საპროცენტო განაკვეთები შედარებით მაღალია, ინფლაციის დონე კი შედარებით დაბალი (ვიდრე სხვა ქვეყნებში);
გ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა სწორია.
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

89. საქართველოში ფულადი მასის ზრდის ნელი ტემპი (რუსეთთან შედარებით) გამოიწვევს:

ა. ინფლაციის გაძლიერებას რუსეთში;
ბ. რუსული რუბლის კურსის ზრდას ქართულ ლართან მიმართებაში;
გ. ინფლაციის გაძლიერებას საქართველოში;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

90. დავუშვათ საქართველოს გააჩნია საგადასახადო ბალანსის დეფიციტი 55 მლნ ლარის მოცულობით წელიწადში. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა ამის საპასუხოდ ატარებს იმგვარ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომ ფულის მასა ქვეყანაში იზღუდება ანუ მცირდება 40 მლნ ლარის მოცულობით. როგორ ფიქრობთ, რას აკეთებს ეროვნული ბანკი?

ა. მოქმედებს „თამაშის წესების" მიხედვით;
ბ. ახდენს დეფიციტის სტერილიზებას;
გ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა სწორია.
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

91. თუკი თურქეთსა და ევროკავშირს შორის დამყარებულია თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსების რეჟიმი და იზრდება მოთხოვნა თურქულ ლირაზე, ესნიშნავს, რომ:

ა. თურქული ლირების მიწოდება შემცირდება;
ბ. თურქული ლირების კურსი (ევროში გამოხატული) დაეცემა;
გ. ვროს კურსი (თურქულ ლირებში გამოხატული) შემცირდება;
დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

92. თუკი იზრდება იაპონური იენის რეალური გაცვლითი კურსი, მაშინ:

ა. იმპორტული საქონელი იაპონელი მოქალაქეებისათვის ხდება შედარებით უფრო ძვირი;

ბ. იაპონიის წმინდა ექსპორტი იზრდება;

გ. ხელს უწყობს იაპონური პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

93. შესაძლებელია თუ არა, ქვეყანას ერთდროულად ჰქონდეს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი და მიმდინარე ოპერაციების ბალანსის დადებითი სალდო?

ა. შესაძლებელია;

ბ. არ არის შესაძლებელი;

გ. ასეთი მდგომარეობა შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ მცირე, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნაში;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი ყველა არასწორია.

94. რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ტურიზმის განვითარებამ ქვეყნის ეკონომიკას?

ა) დეგრადაციამდე მიიყვანოს;

ბ) გააუმჯობესოს სოციალური პირობები;

გ) გააუმჯობესოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

95. რა არის ტურისტული ინდუსტრია ?

ა) სასტუმროების ან სხვა განთავსების ადგილების, სატრანსპორტო საშუალებების, სზოგადოებრივი კვების, გართობის, შემეცნების, საქმიანი, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სხვა დანიშნულების ობიექტების ერთობლიობა;

ბ) სპორტული და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან სარქსკურსიო მომსახურებას;

გ) სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურეობა;

დ) ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ტუროპერატორულ საქმიანობას.

96. რა არის ტურისტული ინდუსტრიის ძირითადი პროდუქტი ?

ა). ტურისტული მომსახურება;

ბ). კვება;

გ). ტურისტული მომსახურეობაა, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია: განთავსება, კვება, ტრანსპორტი და მიზნობრივი მომსახურება;

დ). არცერთი პასუხი არ არის სწორი.

97. რა ტიპის სასტუმროები არსებობს?

ა). ლუქსი;

ბ). საშუალო დონე, ლუქსი;

გ).ეკონომკლასი, საშუალო დონე;

დ). ლუქსი, საშუალო დონე, აპარატ-ოტელები და ეკონომკლასი.

98. რომელია სასტუმროს საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი?

ა). სასტუმროს შემოსავლები;

ბ).სასტუმროს გასავლები;

გ) სასტუმროს დატვირთვა;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

99. არას ნიშნავს სუბსიდია?

ა) მოგების მიღებას;

ბ) ზარალიანობას;

გ) სახელმწიფო დახმარებას;

დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

100. საქართველოში რამდენი ტურისტული რეგიონია?

ა) 10 ტურისტული რეგიონი;

ბ) 11 ტურისტული რეგიონი;

გ) 12 ტურისტული რეგიონი;

დ) 13 ტურისტული რეგიონი.

პასუხები

1	ა		26	ბ		51	ბ		76	ბ	
2	გ		27	ა		52	ა		77	ა	
3	გ		28	გ		53	დ		78	ბ	
4	ა		29	ა		54	დ		79	დ	
5	ბ		30	ბ		55	დ		80	გ	
6	დ		31	ა		56	ა		81	ა	
7	გ		32	ბ		57	დ		82	ბ	
8	ა		33	დ		58	ა		83	ა	
9	ა		34	ბ		59	ბ		84	გ	
10	დ		35	გ		60	ბ		85	ბ	
11	ა		36	ა		61	დ		86	ბ	
12	დ		37	ბ		62	გ		87	ა	
13	გ		38	ბ		63	ა		88	ა	
14	გ		39	ა		64	გ		89	დ	
15	ა		40	ა		65	გ		90	ა	
16	ბ		41	გ		66	ა		91	გ	
17	გ		42	ა		67	ბ		92	ბ	
18	ა		43	გ		68	ა		93	ა	
19	გ		44	გ		69	დ		94	გ	
20	დ		45	ბ		70	დ		95	ა	
21	გ		46	გ		71	დ		96	გ	
22	ბ		47	გ		72	ა		97	დ	
23	ბ		48	დ		73	ა		98	გ	
24	გ		49	გ		74	ბ		99	გ	
25	ა		50	დ		75	გ		100	გ	

ტერმინოლოგიური ლექსიკონი

1. **WTO (ვმო)** - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია დაარსდა 1994 წელს ქ. მარაქეშის (მაროკო) შეთანხმებით, მსოფლიოს 104-მა ქვეყანამ, (მისი შტაბ-ბინა მდებარეობს შვეიცარიაში ქ. ჟენევაში), რომელმაც 1995 წლის 1 იანვრიდან დაიწყო მუშაობა;
2. **ინვესტიცია** -არის სახელმწიფო სექტორის კაპიტალური დაბანდება ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ;
3. **კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა** არის კაპიტალის ექსპორტი ფულადი ან საქონლური ფორმით სხვა ქვეყანაში საკუთრების შესაძენად;
4. **კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა** არის ქვეყნებს შორის კაპიტალის შემხვედრი გადაადგილება, რასაც მათი მეპატრონეებისათვის მოგება მოაქვს;
5. **მიგრაცია** არის ადამიანების გადაადგილება ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ.
6. **ემიგრაცია** არის ადამიანების იძულებით ან ნებაყოფლობით გადა-სახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში-ემიგრაციაში მყოპი პირი.
7. **იმიგრაცია** არის უცხოელთა შესვლა ამა თუ იმ სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად.იმიგრანტი-იმიგრაციაში მყოფი პირი.
8. **ლიცენზია** არის ნებართვა რაიმე საქმიანობის გარკვეულ საზღვრებში განხორციელებისათვის.
9. **სალიცენზიო შეთანხმება** არის ხელშეკრულება, რომლის თანახმად პატენტის მფლობელი (ლიცენზიარი) თავის კონტრაგენტს (ლიცენზიატი) საკუთარი პატენტის გამოყენების უფლებას (ლიცენზია) განსაზღვრულ ფარგლებში აძლევს.
10. **ფრანჩაიზინგი** (ფრანგ. „ფრანჩიზა" შეღავათი, თავისუფლებას) ნიშნავს. განვითარება მან მხოლოდ XX საუკუნის 80-იან წლებიდან მოიპოვა.
11. **კვოტა** არის წილი, ნორმა, ულუფა, დადგენილი წილი, რომელიც გაყოფის შემდეგ წესდება თითეულზე, ვინც გარიგებაში მონაწილეობს.

12.**პაშარული** - არის განსაზღვრული გადასახდელი ფიქსირებულ შეთან-ხმებებში ზუსტი გასამრჯელო. ფაქტიურად ლიცენზიის გაყიდვის ფასი;

13.**როიალიტი** - არის ლიცენზიანტის პერიდული გადასახდელი უფლებისათვის, რომ ისარგებლოს საქონლის პატენტის გამოგონების ან სხვათა ლიცენზიით;

14. **თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია** - (ეფტა) იგი შეიქმნა 1960 წელს მისი სამდივნო მდებარეობს შვეიცარიაში ქ. ჟენევაში.

15. **(ნაფტა)** - შეთანხმება ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ, 1988 წელს აშშ-სა და კანადას შორის გაფორმდა. შეთანხმება ძალაში შევიდა 1994 წელს.

16. **ფასი** - არის ფულის ის რაოდენობა, რომლის მიხედვით გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს ერთეულ საქონელს;

17.**დეპინგი** - არის საქონლის გაყიდვა ხელოვნურად შემცირებული ფასით, პოტენციური კონკურენტების შევიწროებისა და ბაზრის დასაპყრობად;

18. **საფასო პოლიტიკა** - არის ფირმის მიერ შემოთავაზებული ღონისძებათა კომპლექსი, რომელიც საქონლის ფასის დასადგენად ხორციელდება;

19. **ფასდაკლება** -არის სიტუაცია ბაზარზე, როცა გამყიდველი საქონელს საბაზრო ფასზე ნაკლები ფასით უთმობს მყიდველს ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით;

20. **ოფშერული** ზონის ცნებაში იგულისხმება, რომელიმე სახელმწიფო ან მისი ტერიტორია, სადაც არარეზიდენტებისათვის კეთილსასურველი სამართლებრივი რეჟიმებია დაწესებული;

21. **ოფშერული** ბიზნესი არის გადასახადების თავიდან აცილების და მოგების გასადიდებლად განხორციელებული ისეთი ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც მოცემული ზონის იურისდიქციის გარეთ ხორციელდება, აქვს შემოსავლების მიღების უცხური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა;

22. **სავალუტო კურსი**- არის ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ფასი, გამოხატული სხვა ქვეყნის ფულის ერთეულში;

23. **სავალუტო ბაზარი** - არის ეკონომიკური ურთიერთობის სფერო, სადაც მიმდინარეობს უცხოეთის ვალუტის ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე;

24. **აქცეპტი** - არის წინადადების მიღებაზე თანხმობა;

25. **ოფერტი** - არის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება;

26. **ოფერენტი** - არის წინადადების მიმცემი მხარე.

27. **დეპორტი -** არის საფონდო ბირჟაზე გარკვეული ვადით სპეკულაციური გარიგება, რომელიც ისახავს ფასიანი ქაღალდების კურსის ხელოვნურ დაწევას და ამ გზით სხვაობის მითვისერბას.

28 **.იმპორტი -** არის ქვეყანაში უცხოური წარმოების საქონლის შემოტანა.

29.ე ქსპორტი - არის საზღვარგარეთ საქონლის ან კაპიტალის გატანა.

30. ექსპანსია - არის სახელმწიფოს მისწრაფება ახალი ბაზრების დაპყრობისა და ეკონომიკური გავლენის სფეროს გაფართოებისაკენ.

31. ფრახტი - არის ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვაზე საფასური (განსაკუთრებით საზღვაო ტრანსპორტზე. ხშირად თვით ტვირთსაც ფრახტს უწოდებენ).

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია; მონოგრა-ფია, თბ. 2005
2. ბასილია თ. სილაგაძე, ჩიკვაძე თ. პოსტსოციალისტური ტრან-სფორმაცია. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ. 2001
3. ბარათაშვილი ე. ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვი-თარების ეკონომიკა თბ. 2007
4. გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქართველოს საერთა-შორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ.“
5. გრიჟასი რ. – “მსოფლიო ეკონომიკა” 2000წ;
6. ვადაჭკორია მ. – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაფინანსებისათვის დახმარების პროგრამების აუცილებლობა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა - აგრარული მეცნიერების

აქტუალური საკითხები, სამეცნიერო შრომათა კრებული სსაუ,თბ.2001წ,ტ.15. გვ.221-224

7. ვადაჭკორია მ. – Substantiation of financial-credit supporting of current economic reforms with the help of international organizations in agrifood sector - საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები. ტ.4 ,თბ. თსუ,თბ.,2002წ. გვ..17-19
8. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი შეთანხმება.
9. ვანიშვილი მ. ეკონომიკის საფუძვლები წიგნი I-II თბ. 2005-2007
10. ვინნერი ნ. – "კიბერნეტიკა" 1968წ;
11. ზლობინი ი. – "მსოფლიოს სოციალური ბაზარი" 1998;
12. ივანოვი ტ. – "მსოფლიოს ტყის რესურსები" 1999წ;
13. კაპიცა დ. - "განვითარებადი ქვეყნები" 1990წ;
14. კოსტიუკი ვ. – "ეკონომიკური სწავლების ისტორია" 1997წ;
15. კრაუგმანი პოლ. ოფსვილდი გაეროს საერთაშორისო ეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა; ქართული თარგმანი. თბ. 2000
16. ლევშინი ფ. – "მსოფლიო ბაზრები" 1990წ.
17. მოვსესიანი ა. ოგნივცევი ს. მსოფლიო ეკონომიკა (ქართულ ენაზე) ტ. 1, 2. თარგმანი პროფ. შ. ვეშაპიძის. თბ. 2004
18. ოქროცვარიძე ა. – ავტოთა ჯგუფთან ერთად, წარმოების ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში (გაერთიანებებში),. თბ.,1990.
19. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ."
20. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ".
21. საქართველოს კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ".
22. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წელიწდეული თბ. 2005-2008.
23. სმიტი ა. – "ხალხის სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების გამოკვლევა" 1992წ;
24. ქარქაშაძე ნ. მსოფლიო სოფლის მეურნეობა ნაწილი I, თბ. 1993
25. ქარქაშაძე ნ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობა II, თბ. 1998
26. ჩალბაევი ნ. – "ინტენსიური წარმოება და საბაზრო ურთიერთობები" 1998წ;
24. ძნელაძე დ. მსოფლიო ეკონომიკა თბ. 1997
25. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 2003
26. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 2008.
27.. Международные валютно-кредитные и финансовые отношения. Под. редакций проф. Л. Н. Красавиной, М., Финансы и статистика, 1994г.
28.. Общая теория денег и кредита. Под. редакцией проф. Е. Ф. Жукова ,М., Банки и Биржи, ЮНИТИ,1995г.
30.. Фирулин И. В. Финансово-кредитная система рыночной экономики. Самара,1992г.
31. .Харрис Дж. М. Международные финансы. Перевод с англ. М. Информационно-издательский дом., "Филинь', 1996г.
32 .Agricultural Fact Book U.S. Department of Agriculture, Office of Communications,1998, pp. 269.
33. A Directory of U.S. Resources on the Rule of Law for the Independent States of the Former Soviet Union ,United states Institute of peace press.,Washington, D. C.1995.pp.271.
34 .Bromley D. W. Environment and Economy: Property Rights and Public Policy., Oxford: Basil Blackwell,1991.
35 .Bhaduri A. The Economic of Backward Agriculture. London: Academic Press., 1983.
36 Ellis F. Agricultural Policies in Developing Countries. Cambridge University Press. ,1992.
37. Fan F. Ruttan V. Induced technical change in centrally planned economies. Agricultural Economics, Vol.6, pp.301-314.
38. Frank Ellins –Peasant Economics Farm households and agrarian development, second edition, Cambridge University press 1993, pp.309.
39 .Johnston B.F., Kilby P. Agriculture and Structural Transformation., New York, Oxford University Press.1975y.
40. Hayami Y. and Otsuka T. The Economics of Contact Choice: An Agrarian Perspective. Oxford: Clarendon Press.1993
41. William A., Geveran Jr. The World Almanac and book of facts 2001, Printed in U.S.A. 2001y.pp. 1008.